ISSN—0132—6058

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

675-1/2
1988

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

2 1988

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის „მაცნე“,
ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1988, № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე
ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია

СЕРИЯ ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ, ЭТНОГРАФИИ И ИСТОРИИ ИСКУССТВА

თბილისი
ТБИЛИСИ

2. 1988

ჟურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

სარედაქციო კოლეგია: ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გიგინეიშვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (*რედაქტორის მოადგილე*), **რ.** კიკნაძე (*რედაქტორის მოადგილე*), გ. მელიქიშვილი (*რედაქტორი*), ა. **რობაქიძე**, ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итонишвили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (*зам. редактора*), Р. К. Кикнадзе (*зам. редактора*), Г. А. Меликишвили (*редактор*), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 18.V.1988; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.07.88;
ანაწყობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108 1/16; პირობ. ნაბეჭდი 16,8
პირ. სალ. გატარება 17.15; საერიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13.39;

უე 07917; შეკ. 1712; ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

*

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

*

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ. 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

შინაარსი

წერილები

რ. მაღალაშვილი, საკადრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945) 5
შ. ხანთიკი, ისტორიოგრაფიის საგნის შესახებ 11
თ. ოჩიაური, ეთნიკური პროცესები თბილისში 26
ლ. შარაშიძე, ქართველთა ეთნიკური წარმომავლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში . 39
ზ. მენთეშაშვილი, ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საფრანგეთის „ბერბერული“ პოლიტიკის შესახებ 52

ცნობები და შენიშვნები

შ. შალვაშვილი, სილნაღის მაზრის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა 1905—1907 წწ. 67
გ. მაისურაძე, „მუშაკთა“ სოციალური ფენა ფეოდალურ საქართველოში . . 73
ვ. გოილაძე, „ფირან გუშნასპის მარტვილობის“ ცნობათა მნიშვნელობა V—VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის 89
ლ. პატარიძე, „ნინოს ცხოვრების“ ერთი სიმბოლოს გაგებისათვის . . . 103
ნ. სულაკვა, ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ლეჩხუმიდან . . . 109
ა. მაჩაბელი, სტელის ფრაგმენტი სოფელ ნიაღვარევიდან 117
მ. გაგუნია, ჯ. ვეკუა, ჭ. ჯანელიძე, ე. ყვავაძე, პირველი ზედაპალეოლითური სადგომი ჯავახეთის ზეგანზე (ბავრას მღვიმე I) 135

დისკუსია და განხილვა

ფ. ერიაშვილი, ამანათობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში 148
ვ. ვინოგრადოვი, ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაზე საქართველოს გავლენის რეალურობის შესახებ X—XIII სს 162
გ. სილაგაძე, XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან 170

კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ვ. ჯიქია, მ. ჯიჯგავაშვილი, მ. ნათმელაძე, საქართველოს მუშათა კლასის ისტორია (ივნისი 1941—1980 წწ.) 188
გ. მარგიანი, ფ. სიდამონიძე. პროკოფი რატიანი (ნეკროლოგი) 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

Р. Г. МАГАЛАШВИЛИ Основные принципы кадровой политики в период Великой Отечественной войны Советского Союза (1941—1945 гг.) . 5
Ш. А. ХАНТАДЗЕ. О предмете историографии 11
Т. А. ОЧИАУРИ. Этнические процессы в г. Тбилиси 26
Л. З. УРУШАДЗЕ. Некоторые вопросы этнического происхождения и общественно-политического быта грузинского народа в современной турецкой историографии 39
З. А. МЕНТЕШАШВИЛИ. Французская буржуазная историография о «берберской политике» Франции 52

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Ш. Н. ШАЛВАШВИЛИ. Революционное движение крестьян Сигнахского уезда в 1905—1907 гг. 67
Г. Я. МАЙСУРАДЗЕ. Социальный слой «мушаков» в феодальной Грузии . 73
В. И. ГОИЛАДЗЕ. «Мученичество Фирана Гушнаспа» и его значение для истории Грузии V—VI вв. 89
Л. А. ПАТАРИДЗЕ. К толкованию одного символа в «Житии святой Нино» 103
Н. О. СУЛАВА. Археологические памятники античной эпохи из Лечхуми . 109
К. Г. МАЧАБЕЛИ. Фрагмент стелы из с. Нагвареви 117
М. К. ГАБУНИЯ, А. К. ВЕКУА, Г. П. ДЖАНЕЛИДЗЕ, Э. К. КВАВАДЗЕ. Первая верхнепалеолититская стоянка на Джавахетском плоскогорье (Баврская пещера I) 135

ДИСКУССИЯ И ОБСУЖДЕНИЕ

Ж. Г. ЭРИАШВИЛИ. К вопросу об «аманатства у горцев Восточной Грузии» 148
В. Б. ВИНОГРАДОВ. О реальности грузинского влияния на Северо-Западном Кавказе в X—XIII вв. 162
Б. Г. СИЛАГАДЗЕ. Из хронологии истории Грузии начала XIII века . . 170

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

В. И. ДЖИКИЯ, М. ДЖИДЖЕИШВИЛИ, М. В. Натмеладзе. История рабочего класса Грузии 188
Г. Н. МАРГИАНИ, У. И. СИДАМОНИДЗЕ. П. К. Ратиани (некролог) . 191

ეროვნული ბიბლიოთეკა

წ ე რ ი ლ ე ბ ი

18 8 ✗ 5

რუსუდან მაღალაშვილი

საკადრო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები დიდი სამამულო ომის პერიოდში (1941—1945 წ.)

მუშახელის პრობლემა ამავე დროს კვალიფიციური მუშათა კადრების პრობლემაა. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ ყოველი ახალი თაობა გამოდის რა ცხოვრების ასპარეზზე, ღებულობს წარმოების იმ იარაღებს, რომელიც შექმნილია წინამორბედი თაობების ძალებით. იგი ახორციელებს წარმოებას ამ იარაღის მეშვეობით, მხოლოდ მისი სახის თანდათანობითი შეცვლითა და გაუმჯობესებით[1]. წარმოადგენენ რა საწარმოო ძალების უმნიშვნელოვანეს ელემენტს, ადამიანები ახორციელებენ მატერიალური დოვლათის წარმოებას. ეს შესაძლებელი ხდება იმ საწარმოო გამოცდილების, შრომითი ჩვევებისა და ცოდნის წყალობით, რომელთაც ადამიანები თავიანთი პრაქტიკული საქმიანობის პროცესში შეიძენენ, აგროვებენ და აუმჯობესებენ. ადამიანთა საწარმოო გამოცდილების განვითარება, მათი კვალიფიკაციისა და კულტურის ამაღლება მთელი საზოგადოებრივი წარმოების თანდათანობითი ზრდის აუცილებელი პირობაა.

კვალიფიციური კადრების როლი განსაკუთრებით იზრდება ომიანობის პირობებში, ომი თავის ბუნებით იწვევს მეომარი სახელმწიფოების ეკონომიკური შესაძლებლობის მაქსიმალური გამოყენების აუცილებლობას. ამასთან დაკავშირებით სამამულო წარმოების ძირითადი მიმართულებანი გადადის პროდუქციის ახალი სახის წარმოებაზე. ეს პროდუქცია ძირითადად შეიარაღებულ ძალთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად მიემართება. იმისათვის რომ დაეუფლონ სამხედრო წარმოებას, რომელიც ძირფესვიანად განსხვავდება ჩვეულებრივი წარმოებისაგან, მუშები იძულებული არიან შეიძინონ ახალი შრომითი ჩვევები, ხშირად იცვლიან თავიანთ ადრინდელ სპეციალობასა და კვალიფიკაციას. სახალხო მეურნეობის სამხედრო გარდაქმნები და სამრეწველო პერსონალის მიერ ახალი ტექნოლოგიური პროცესების, ამა თუ იმ სახის თანამედროვე იარაღის დამზადების ტექნიკის ათვისება მით უფრო სწრაფად და ეფექტიანად ხდება, რაც უფრო მაღალია კადრების კვალიფიკაცია, მათი შეგნებისა და კულტურის დონე.

სამწუხაროდ, საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში დიდი სამამულო ომის პერიოდის კვალიფიციური კადრების მომზადების მეტად მნიშვნელოვან საკითხს არ ეთმობა სათანადო ყურადღება. ომის პერიოდის კვალიფიციურ მუშაკთა კადრების მომზადების ზოგიერთ საკითხს ეხებიან ცენტრალურსა და ადგილობრივ პრესაში, აგრეთვე ამ პერიოდის რიგ სტატიებსა და ბროშუ-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, თხზ. ტ. 11, გვ. 115.

საქ. სსრ კ. მარქსის

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებში. ამ ნაშრომთა უმრავლესობა ატარებდა პროპაგანდისტულ ხასიათს. წინამდებარე მოკლე ნარკვევში ვეცდებით მოვხაზოთ ის ძირითადი პრინციპები, რომელთა მიხედვითაც დიდი სამამულო ომის პერიოდში პარტია და მთავრობა ახორციელებდნენ კვალიფიციური კადრების მომზადებას.

ომის პირველივე დღეებიდან კვალიფიციური კადრების მომზადება იქცა სახალხო მეურნეობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხად. 1941 წლის 20 აგვისტოს გაზ. „პრავდა“ წერდა: „არ შეიძლება ვიყოთ მხოლოდ ახალი მუშების ენთუზიაზმის იმედით, ვენდოთ მათს ინიციატივასა და ახალი პროფესიის რაც შეიძლება მალე ათვისებისათვის მზადყოფნას. ომი მოითხოვს ყურადღებას. მომზადების უაღრესად სწრაფ ტემპებს, აქედან გამომდინარე, მათს სისტემატურ და შეუპოვარ სწავლებას, აღზრდას, ტექნიკურ ზრდასა და წარმოებით წვრთნას“[2].

მუშათა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება, შრომის დისციპლინის განმტკიცება და მისი ორგანიზაციის გაუმჯობესება წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების, პროდუქციის გამოშვების ზრდისა და მისი ხარისხის გაუმჯობესების გარდუვალ პირობას.

სამხედრო წარმოება მიეკუთნება მრეწველობის მეტისმეტად რთულ დარგს. იგი დაფუძნებულია მეცნიერებისა და ტექნიკის უახლეს მიღწევებზე და ამ დარგის მუშაკებისაგან მოითხოვს მრავალმხრივ ცოდნასა და შრომისუნარიანობას.

სამხედრო-სამეცნიერო პრობლემების გადასაწყვეტად მთელი რიგი მსხვილი უნივერსიტეტები, ინსტიტუტები და სამეცნიერო-ტექნიკური ორგანიზაციები იქნა მოშველიებული. დაარსდა სპეციალური კომიტეტები, ცენტრები, პოლიგონები, რომლებიც უახლესი სამხედრო ნიმუშების შემუშავებაზე გამოცდასა და პროექტირებაზე მუშაობდნენ.

ტექნიკური პროგრესი ქმნის ხელსაყრელ მატერიალურ-პირობებს შრომის ნაყოფიერების სწრაფი ზრდისათვის. მაგრამ, მხოლოდ მოწინავე ტექნიკის არსებობა თავისთავად არ წყვეტს ამოცანას. აუცილებელია ამ ტექნიკის მოძრაობაში მოყვანა და მისი შესაძლებლობის გამოყენება.

მშრომელი მოსახლეობის კვლავწარმოების უპირატესობა სოციალიზმის დროს არის კვალიფიციური კადრების გაფართოებული კვლავწარმოება, კვალიფიციური მშრომელი მასების ხვედრითი წონის ზრდა, მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება. რასაც უშუალოდ მივყავართ გონებრივ და ფიზიკურ შრომას შორის სხვაობის ლიკვიდაციამდე. მხედველობაში ჰქონდა რა ფ. ენგელსს სოციალისტური საზოგადოება, წერდა:, რომ წარმოების ერთობლივი წარმართვა მთელი საზოგადოების ძალებით და აქედან გამომდინარე ამ წარმოების ახალ სახეს დასჭირდება სრულიად სხვა ხალხი და იგი შექმნის მათ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და მთელი საბჭოთა ხალხი ხელმძღვანელობდნენ ვ. ი. ლენინის ცნობილი მითითებით: „ომის ნამდვილად საწარმოებლად აუცილებელია მტკიცედ ორგანიზებული ზურგი. ყველაზე უკეთეს არმიას, რევოლუციის საქმისადმი ყველაზე ერთგულ ადამიანებს დაუ-

[2] Правда, 1941, 20 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყოვნებლივ გაანადგურებს მოწინააღმდეგე თუ ისინი საკმარისად შეიარაღებულნი, სურსათით მომარაგებულნი, გაწვრთნილნი არ იქნებიან[3].

საბჭოთა სახელმწიფომ წაუყენა რა აგრესორს რიცხობრივად საკმაოდ შესაფერისი პირადი შემადგენლობის არმია, იძულებული იყო მოთხოვნილებისაგმი არაპროფორციული რაოდენობით შეე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისცა მაქსიმალურად გამოეყენებინა შრომითი რესურსები. ეს ბრძანებულება ომის ბოლომდე იყო ძალაში და ამ პერიოდის განმავლობაში ივსებოდა პარტიისა და მთავრობის მიერ შემუშავებული მთელი რიგი ღონისძიებებით, რომლებიც თავდაცვითი ინდუსტრიის ცალკეული დარგების მოთხოვნილებებიდან გამომდინარეობდა.

სამუშაოდღის გახრდის შედეგად მოხდა ის, რომ მუშათა კონტიგენტისა და მოსამსახურეთა რიცხვის ზრდის გარეშე ჯერ კიდევ ომის დასაწყისში შესაძლებელი გახდა დამატებით დაეტვირთათ სამრეწველო საწარმოთა სიმძლავრეები ერთი მესამედით. მასობრივი მასშტაბით განხორციელდა მშენებლობის კონსერვაციისა და შტატების შემცირების შედეგად გამოთავისუფლებულ მუშათა სხვადასხვა, უპირველს ყოვლისა, თავდაცვითი მრეწველობის საწარმოებში გადაყვანა.

სამხედრო მრეწველობის დარგების მუშახელით უზრუნველყოფის მიზნით კვალიფიციური მუშათა კადრების მნიშვნელოვანი ნაწილი განთავისუფლდა ჯარში გაწვევისაგან.

სამხედრო მრეწველობაში, მათ შორის ევაკუირებულ საწარმოებში დასაქმებული სამხედრო მრეწველობასთან კოოპერირებული დარგების მუშები ომის პერიოდში მობილიზებული და მიმაგრებული იყვნენ იმ დაწესებულებებზე, რომლებშიც ისინი მუშაობდნენ.

ამგვარმა სისტემატურმა ღონისძიებებმა, რომლებიც ემსახურებოდნენ შრომისუნარიანი მოსახლეობის წარმოებაში მოზიდვას, მნიშვნელოვნად შეცვალა მუშათა და მოსამსახურეთა ის ნაწილი, რომელიც შეიარაღებულ ძალებში იქნა გაწვეული.

ომიანობის პირობებში შრომისუნარიანი მოსახლეობის გაწვევა გეგმაზომიერი იყო. ამ მუშახელის უდიდესი ნაწილი გაგზავნილი იქნა სამუშაოდ ძირითადად მძიმე და სამხედრო მრეწველობაში.

ძალზე გაიზარდა როლი და მნიშვნელობა სახელმწიფოს მიერ დაწესებული მუშახელის ორგანიზებული გადანაწილებისა ეკონომიკურ რეგიონებს შორის, აგრეთვე სახალხო მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგში, წარმოებდა შრომითი რესურსების გეგმაზომიერი გადანაწილება სამხედრო სფეროებსა და სახალხო მეურნეობას შორის.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა შრომითი რესურსების მობილიზაციის საქმეში იყენებდნენ სხვადასხვა ფორმებს, რომლებიც განპირობებული იყო ომიანობის სპეციფიკური მდგომარეობით. ეს ძირითადად შემდეგი ფორმები იყო: 1. საწარმოებში აუცილებელი და სახეგანკეთო სამუშაოების შემოღება და მორიგი, აგრეთვე დამატებითი შვებულებების გაუქმება; 2. მუშებისა და მოსამსახურეების მუდმივ სამუშაოებზე მობილიზაცია და მათი მიმაგრება სამხედრო საწარმოებსა და მათთან კოოპერირებულ სამრეწველო საწარმოებში; 3. შრომისუნარიანი ქალაქის მოსახლეობის მობილიზაცია სამრეწველო საწარმოებსა და მშენებლობაზე სამუშაოდ; 4. საყოველთაო შრომითი ვალდებულების შემოღება, რომელიც უზრუნველყოფდა თავდაცვით მრეწველობას საჭირო მუშახელით; 5. აუცილებელი კვალიფიციური მუშათა კადრების, სპეციალისტების, ხელმძღვანელი კადრების მიმაგრება მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებზე, რაც განსაზღვრული ვადით ხორციელდებოდა დაჯავშნის ანუ ჯარში გაწვევისაგან განთავისუფლების მეშვეობით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდი სამამულო ომის პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება მიექცა შრომის ორგანიზაციის სრულყოფას სახალხო მეურნეობაში. ფრონტის შეუფერხებლად მომარაგება სათმარი პროდუქციითა და ტანსაცმლით, საწარმოთა მიერ საწარმოო გეგმების შესრულება დიდად იყო დამოკიდებული შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებაზე შეიცვალა დროებითი პრემიალური სისტემა, უზრუნველყოფილი იქნა მრეწველობის წამყვან დარგებში მომსახურე პირთა ხელფასის მაღალი დონე. გატარებულ ღონისძიებათა შედეგად გაიზარდა მუშათა საშუალო ხელფასი ისეთ დარგებში, როგორიცაა შავი მეტალურგია.

იმ მუშებისათვის, რომლებიც გამომუშავების ნორმას გადაჭარბებით ასრულებდნენ, დაწესდა შრომის ანაზღაურების პროგრესული სისტემა.

იმ მუშების წახალისება, დაჯილდოება, რომლებიც შრომით გმირობას იჩენდნენ, პრემიალური სისტემით ხდებოდა. ამან დიდი აღმზრდელობითი როლი შეასრულა და წარმოადგენდა შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთერთ უმნიშვნელოვანეს საშუალებას. უნდა აღინიშნოს, რომ შრომის ნაყოფიერება ომის პერიოდში ყოველთვის ერთნაირი არ იყო. ომის დასაწყისში, როდესაც მიმდინარეობდა მრეწველობის რეორგანიზაცია და სამრეწველო საწარმოებში ბევრი არაკვალიფიციური მუშა მოვიდა, პროდუქციის რაოდენობა გაიზარდა სამუშაო დროის გადიდების ხარჯზე. 1942 წლიდან სულ უფრო მეტი ყურადღება მიექცა ხარისხის ფაქტორს — გამომუშავების გადიდებას პროდუქციის ერთეულზე შრომის დანახარჯების შემცირების გზით. ამის მიღწევა კი შესაძლებელი გახდა მოწინავე ტექნიკის, სრულყოფილი ტექნოლოგიისა და წარმოების საუკეთესო ორგანიზაციის საშუალებით. ომის მძიმე წლებში შრომის ნაყოფიერების გადიდება წარმოადგენდა მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობის, საბჭოთა წყობილების სიმტკიცისა და ურყეობის დამადასტურებელ ფაქტორს.

აუცილებელია აღვნიშნოთ ის ფაქტი, რომ დიდი სამამულო ომის წლებში წარმოებდა ინდუსტრიული კადრების მნიშვნელოვანი ხარისხობრივი ზრდა. ომის მსვლელობის დროს წარმოებაში მოსულ მუშათა კლასის ახალი შევსება წარმატებით ეუფლებოდა ახალ სპეციალობებს, ითვისებდა ტექნიკას, იმაღლებდა თავის კვალიფიკაციასა და კულტურულ-ტექნიკურ დონეს.

1943 წლიდან საბჭოთა სახელმწიფომ უზრუნველყო სამრეწველო კადრების მუდმივი ზრდა. 1943 წლიდან დაწყებული 1945 წლამდე სახალხო მეურნეობაში დასაქმებული კადრების რიცხვმა მოიმატა 8,9 მილიონით, მათ შორის მრეწველობაში 2, 5 მილიონი კაცით.

1945 წლისათვის საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების საშუალო წლიური რაოდენობა აღწევდა 27,3 მილიონ კაცს, მათ შორის 9,5 მრეწველობაში იყო დასაქმებული, რაც 87,5 და 86,4%-ს შეადგენს 1940 წლის მონაცემებისას.

მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ინდუსტრიის კვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფის საქმეში სახელმწიფო შრომითი რეზერვების სისტემამ.

ახალგაზრდობის რიგებიდან კვალიფიციური კადრების მომზადებამ განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო 1943 წელს, როდესაც საბჭოთა მრეწველობამ, მშენებლობამ და ტრანსპორტმა საფაბრიკო-საქარხნო სკოლებიდან და სხვა სასწავლებლებიდან მიიღო თითქმის 600 ათასი კაცი, მთლიანად კი ომის მსვლელობის ხუთი წლის განმავლობაში შრომითი რეზერვების სისტემის სას-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წავლებლებიდან სახალხო მეურნეობაში გაგზავნილი იყო 2 მილიონ 480 ათასზე მეტი ახალგაზრდა კვალიფიციური მუშა[7].

დიდ სამამულო ომში გამარჯვება საბჭოთა ხალხმა მოიპოვა განუზომელი სიძნელეების გმირულად გადალახვის ფასად. ეს სიძნელეები თანაბარი სიძლიერით აწვა საბჭოთა ხალხს მხრებზე, როგორც ფრონტზე აგრეთვე ზურგშიც. ადამიანთა რეზერვებით არმიისა და სახალხო მეურნეობის უზრუნველყოფა ერთ-ერთი მძიმე ამოცანა იყო მთელი სამამულო ომის მსვლელობაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დაუღალავად ზრუნავდნენ მუშათა კლასის რაოდენობრივ და თვისებრივ ზრდაზე. მუშათა კლასისა და სახალხო მეურნეობაში დასაქმებული მშრომელი კადრების რიცხობრივი და რაოდენობრივი ზრდა წარმოადგენდა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ნაწილს იმ ფართო პროგრამისა, რომელიც მიმართული იყო მტერზე გამარჯვების მოსაპოვებლად დიდ სამამულო ომში.

მხოლოდ მეურნეობის სოციალისტური სისტემა. დაფუძნებული წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე, ქმნის ობიექტურ პირობებს ყველა რესურსების გეგმაზომიერი და მიზანდასახული გამოყენებისათვის როგორც მშვიდობიანი სოციალისტური მშენებლობის, ასევე ომის პერიოდში.

Р. Г. МАГАЛАШВИЛИ

ОСНОВНЫЕ ПРИНЦИПЫ КАДРОВОЙ ПОЛИТИКИ В ПЕРИОД ВЕЛИКОЙ ОТЕЧЕСТВЕННОЙ ВОЙНЫ СОВЕТСКОГО СОЮЗА (1941—1945 гг.)

Резюме

Характеризуя вкратце кадровую политику в экономике нашей страны в предвоенные годы, в статье подчеркивается особое значение правильной кадровой политики в преодолении дефицита квалифицированных рабочих кадров в народном хозяйстве, в первую очередь оборонной промышленности.

В работе охарактеризованы мероприятия Коммунистической партии и Советского государства в этом направлении, указаны основные формы подготовки квалифицированных рабочих кадров (мобилизация рабочих и служащих на постоянную работу на оборонного значения предприятиях, прикрепление кадров квалифицированных рабочих и специалистов, руководящих кадров к важнейшим отраслям промышленности, с освобождением их на определенное время от призыва в армию и т. д.).

В статье приведены некоторые статистические данные о подготовке рабочих и служащих для разных отраслей народного хозяйства.

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამამულო ომის ისტორიის განყოფილებამ

[7] М. С. Зинич, Трудовой подвиг рабочего класса, 1941—1945 гг. გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზოთა ხანთაძე

ისტორიოგრაფიის საგნის შესახებ

ტერმინ ისტორიოგრაფიას ვხმარობთ ისტორიული მეცნიერების ისტორიის მნიშვნელობით. ეს, რა თქმა უნდა, პირობითია. პირდაპირი მნიშვნელობით ეს ტერმინი ისტორიის წერას ნიშნავს, საგნობრივად იგი აღნიშნავს წერილობით, დაწერილ ისტორიას, საისტორიო მწერლობას. ისტორიოგრაფიას უწოდებენ ამა თუ იმ ხალხის, ეპოქისა თუ პრობლემის ირგვლივ შექმნილ ისტორიულ თხზულებათა ერთობლიობას. ეს არის ამ ტერმინის თავდაპირველი და ძირითადი მნიშვნელობა. უცხოეთის ისტორიკოსები ტერმინს — ისტორიოგრაფია, ძირითადად, მხოლოდ ამ მნიშვნელობით ხმარობენ. ისტორიული მეცნიერების ისტორიას კი ისინი ისტორიოგრაფიის ისტორიას უწოდებენ. არაერთი საბჭოთა ისტორიკოსი (მაგ., ა. სახაროვი) მიიჩნევს, რომ ამ ტერმინით უპრიანია აღინიშნოს ამა თუ იმ პრობლემის შესახებ არსებული ლიტერატურა, ხოლო ისტორიული მეცნიერების ისტორია ასევე იქნას სახელდებული — ისტორიული მეცნიერების ისტორიად.

ჩვენ შესაწყნარებლად მიგვაჩნია ისტორიული მეცნიერების ისტორიის აღსანიშნავად ტერმინ ისტორიოგრაფიის ხმარება. ისევე, როგორც ტერმინი ისტორია იხმარება. ერთი მხრივ, გარკვეული პროცესების აღსანიშნავად, ხოლო მეორე მხრივ. ამ პროცესების შემსწავლელი მეცნიერების სახელწოდებად, ისტორიოგრაფიაც შეიძლება გამოვიყენოთ იმ ფენომენის შემსწავლელი მეცნიერების სახელად. რასაც საკუთრივ ისტორიოგრაფია აღნიშნავს, ანუ საისტორიო მწერლობის ისტორიის შემსწავლელი მეცნიერებისა.

ისტორიოგრაფიის საგნის განსაზღვრას დიდი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. საბჭოთა მეცნიერებათმცოდნეობის აღიარებული სპეციალისტი ბ. კედროვი თვლის, რომ მეცნიერების საგნის განსაზღვრა თვით ამ მეცნიერების განსაზღვრას ნიშნავსო[1].

ისტორიოგრაფიული ხასიათის ნაშრომები ქართულ ისტორიულ მეცნიერებაში დიდი ხანია იქმნება და იწერება. XVII ს-ის სწავლულ კაცთა კრიტიკული დამოკიდებულება წინამორბედ ისტორიკოსებთან (ქართლის ცხოვრებასთან), ამავე სწავლულ კაცთა ნაშრომის კრიტიკული განხილვა ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ქართული ისტორიოგრაფიული მუშაობის ადრეული ნიმუშებია. XIX და XX საუკუნეებში მრავალი ისტორიოგრაფიული ნაშრომი შეიქმნა და გამოქვეყნდა. მაგრამ საკუთრივ ისტორიოგრაფიის საგანზე, მიზანსა და მეთოდოლოგიაზე პირველი სიტყვა ივ. ჯავახიშვილს ეკუთვნის. თავის ნაშრომში — „ძველი ქართული საისტორიო მწერლობა“ (პირველი გამოცემა 1916 წ., მეოთხე გამოცემა 1977 წ.) ივ. ჯავახიშვილი ისტორიოგრაფიული

---

[1] Б. М. Кедров. Класификация наук, II, М., 1965, გვ. 443.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევის ამოცანას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ამ წიგნის მკითხველს უნდა ახსოვდეს, რომ ჩემი წადილი იყო, შეძლებისდაგვარად გამომერკვია, როგორც თვითოეული მემატიანისა და ისტორიკოსის პიროვნება, — თუ რა წრესა და მიმართულებას ეკუთვნოდა სახელდობრ იგი, რა მსოფლმხედველობისა და თვალსაზრისის კაცი იყო, — ისე ავრეთვე შემეტყო, რა მიზანი ჰქონდა და რა სწადდა მას, როდესაც თავის თხზულების წერას შეუდგა. ამასთანავე ყოველთვის ვცდილობდი გამეგო რადარა და რამდენად სანდო წყაროები ჰქონდა თვითოეულს მათგანს და რა გზით და რა საშუალებით სურდათ და შესძლეს თავიანთი მიზნის განხორციელება?“.

„...თვითოეული ძველი საისტორიო თხზულების განხილვის დროს — განაგრძობს ივ. ჯავახიშვილი — მკვლევარს მარტო ავტორის თანამედროვეობა კი არ უნდა ჰქონდეს გათვალისწინებული, არამედ მისი პიროვნებაც, განათლება, აზროვნობა და მედასეობა, მისი წყაროების თვისება, ყამთაღმწერლის წერის წესი და მეთოდები“.

დაბოლოს, ივ. ჯავახიშვილი დასძენს: „თანამედროვე მკვლევარმა ისიც უნდა იცოდეს, რომ ალმწერელის თვალსაზრისი, წოდება, და მედასეობა საისტორიო მოთხრობაზე თავის ძლიერ დაღს ასვამს ხოლმე და ნება-უნებლიედ მიუდგომლობაზე მოქმედებს...“[2].

ამრიგად, ივ. ჯავახიშვილი ისტორიოგრაფიული კვლევის მიზნად მიიჩნევდა ძველ მემატიანეთა და ისტორიკოსთა სოციალური და პოლიტიკური პროფილის („წრე და მიმართულება“) გამორკვევას, მათი მსოფლმხედველობის, თვალსაზრისისა და მიზნდასახულობის შესწავლას. ამას გარდა, მას აინტერესებდა ისტორიკოსის წყაროები, მათი ხასიათი, სანდოობა და, ბოლოს, ისტორიკოსის მიზნის მისაღწევი გზები და მეთოდები.

უნდა შევნიშნოთ, რომ აქ მოცემულია ისტორიულ თხზულებათა განხილვის კომპლექსური პროგრამა, მოხაზულია როგორც წმინდა ისტორიოგრაფიული, ასევე წყაროთმცოდნეობითი და მეთოდოლოგიური ასპექტები. ეს საკვლევით გასაგები და ლოგიკური იყო იმ ვითარებაში, რომელშიც წერდა განსვეტნებული ისტორიკოსი.

ისტორიოგრაფიის საგანსა და ამოცანებზე საგანგებო მსჯელობას ვხვდებით უ. სიდამონიძის ნაშრომში: „ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები“. უ. სიდამონიძე ისტორიული მეცნიერების ისტორიის ძირითად ობიექტად მიიჩნევს ისტორიული აზრის ისტორიის შესწავლას. „კვლევის ძირითადი ობიექტის — ისტორიული აზრის ისტორიის პარალელურად ის სწავლობს ისტორიული მეცნიერების ორგანიზაციის პრობლემების ფართო წრეს“[3]. შემდეგ კვლევარი განაგრძობს: „მის ფუნქციებში შედის ისტორიული მეცნიერების მონაპოვრის — არსებული ისტორიული ლიტერატურის — რეტროსპექტული და მიმდინარე ისტორიული ლიტერატურის შესწავლა; ისტორიული მეცნიერების განვლილი გზის გაახრება; წარსულში დაგროვილ ცოდნაზე დაყრდნობით ისტორიული მეცნიერების განვითარების ახალი გზების დანახვა; ახალი ისტორიული ცოდნის დაგროვებისათვის ახალი წყაროების, მეცნიერული კვლევის ახალი ორგანიზაციული ფორმების მოძებნა“. ცოტა ქვემოთ ვკითხულობთ. „ამასთან ის არის საზოგადოებრივი აზრის

---

2 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 25—26.

3 უ. სიდამონიძე, ისტორიული მეცნიერება და სამეცნიერო ინფორმაციის საკითხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორიის ნაწილი, რადგან სწავლობს ისტორიული აზრის ისტორიას. თავისთავად ისტორიული აზრი საზოგადოებრივი აზრის ნაწილია. ისტორიული მეცნიერების ისტორიის კვლევის საგანია აგრეთვე ისტორიული საკვლევი დაწესებულების, კათედრების, გამოცემების, ისტორიული ცოდნის გავრცელების ისტორია"[4].

ამრიგად, უ. სიდამონიძე ისტორიული მეცნიერების ისტორიის ძირითად ამოცანად (საგნად) მიიჩნევს ისტორიული აზროვნების განვითარების და ისტორიული მეცნიერების ორგანიზაციული ფორმების შესწავლას.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ჩვენთვის საინტერესო საკითხზე სხვა ნაშრომი არ გაგვაჩნია.

რუსულ ისტორიოგრაფიაში ამ საკითხის ირგვლივ გაცილებით ფართო მუშაობაა გაშლილი, მრავლადაა ნაშრომები, თვალსაზრისები. მუშაობის გაფართოებას დიდად შეუწყო ხელი სპეციალური ისტორიოგრაფიული სამეცნიერო ცენტრების შექმნამ, პერიოდული გამოცემების დაარსებამ, დისკუსიებისა და სპეციალური სესია-კონფერენციების გამართვამ[5].

საწყისს კი ეს მუშაობა იღებს რევოლუციამდელ რუსულ ისტორიოგრაფიაში.

შეინიშნება, რომ თავდაპირველად რუს მკვლევარებს ისტორიოგრაფიის საგანი ერთობ ვიწროდ ესმოდათ, შემდეგ კი მისი გაფართოება ხდება და დღეს იგი მრავალპროფილიან კომპლექსურ დარგად წარმოგვიდგება.

გასული საუკუნის 80-იან წლებში მ. კოიალოვიჩი თვლიდა, რომ ისტორიოგრაფიის ამოცანაა შეისწავლოს სხვადასხვა სახის სუბიექტივიზმები რუსეთის ისტორიულ მეცნიერებაში („Разобраться в разного рода субъективизма по изучению русской истории*)[6]. ასეთი შეხედულება გამომდინარეობდა მ. კოიალოვიჩის ფილოსოფიური სუბიექტივიზმიდან (უკეთ. სუბიექტური იდეალიზმიდან). მას საერთოდ არ სწამდა ობიექტურ კანონზომიერებათა არსებობა და თვლიდა, რომ ისტორიაში ყველაფერი სუბიექტურია. ამ თვალსაზრისის მეთოდოლოგიური უსუსურობა ნათელია, მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მ. კოიალოვიჩს მოეპოვება ერთი საყურადღებო მოსაზრება: იგი ისტორიული შემეცნების ამ სუბიექტივიზმს უკავშირებდა რუსული საზოგადოებრივი აზრის განვითარებას, ხოლო ეს უკანასკნელი მიაჩნდა რუსი ხალხის ეროვნული ნაციონალური თვითშეგნების გამოხატულებად.

3. მილიუკოვი ისტორიოგრაფიის საგნად თვლიდა იმ ფილოსოფიური სისტემების გამოკვლევას და მათი მონაცვლეობის დადგენას, რომლებიც საფუძვლად ედო სპეციალურ კვლევა-ძიებებს რუსეთის ისტორიაში.

ვ. იკონნიკოვი ისტორიოგრაფიის საგანს აიგივებდა წყაროთმცოდნეობის

---

[4] უ. სიდამონიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 26—27.

[5] საკმაოდ მძლავრი ისტორიოგრაფიული ცენტრები შექმნილია მოსკოვში, ლენინგრადში, ტომსკში, ვორონეჟში, და სხვ. მოსკოვში გამოდის პერიოდული გამოცემა: «История и историки»., ლენინგრადში აქვ ეყნებენ: «Критика новейшей буржуазной историографии», უკვე შექმნილია რუსული და სსრ კავშირის ისტორიოგრაფიის ზოგადი კურსები (იხ. ქვემოთ). ისტორიოგრაფიასა და საერთოდ ისტორიის თეორიულ საკითხებს დიდი ადგილი ეთმობა «Вопросы истории»-სა და «История СССР»-ის ფურცლებზე.

[6] О. М. Коялович, История русского самосознания... СПб, 1884, зд VI..

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამოცანებთან და მის მიზნად წყაროებისა და ლიტერატურის კრიტიკულ შესწავლას თვლდა.

ა. სახაროვის მართებული შენიშვნით „ბურჟუაზიულმა ისტორიულმა მეცნიერებამ ვერ შეძლო თავი გაერთმია ისტორიული მეცნიერების ისტორიის საგნის განსაზღვრისათვის“[7], ვერ შეძლო ჩამოეყალიბებინა ისტორიოგრაფია მეცნიერების ცალკე დარგად[8]. ამის უმთავრესი მიზეზი იყო მცდარი მეთოდოლოგია, სუბიექტივიზმი და პოზიტივიზმი, რომლებსაც. ემყარებოდა ბურჟუაზიული ისტორიული მეცნერება.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში მ. პოკროვსკიმ და მისმა მოწაფეებმა ისტორიოგრაფიის საგნისია და ამოცანების განსაზღვრებაში შემოიტანეს ისტორიულ შეხედულებათა კლასობრივი ბუნების გარკვევის აუცილებლობა. მოითხოვეს ისტორიული მეცნიერების განვითარების კლასობრივ ჭრილში შესწავლა[9].

რუსულ პროფესიულ ისტორიოგრაფიაში ამით დაიწყო ახალი ეტაპი — მარქსისტული ისტორიოგრაფიის, ისტორიული მეცნიერების მარქსისტული ისტორიის შექმნის ეტაპი. მაგრამ არც პოკროვსკის და არც მის მოწაფეებს მაშინ არ მოუციათ ისტორიოგრაფიის საგნისა და ამოცანების სპეციალური და დასაბუთებული განსაზღვრება. ისტორიოგრაფიული მუშაობა წლითი წლითი ფართოვდებოდა და ღრმავდებოდა, მაგრამ ამ დარგის თეორიულ საკითხებს, კერძოდ კი მისი ამოცანებისა და საგნის განსაზღვრას, დიდხანს უვლიდნენ გვერდს.

30—40-იანი წლების მიჯნაზე შეიქმნა რუსული და ევროპული ისტორიოგრაფიის კურსები. მათი ავტორები იყვნენ ე. კოსმინსკი, ო. ვაინშტეინი და ნ. რუბინშტეინი[10].

ე. კოსმინსკიმ თავის ლექციებში შუა საუკუნეების ისტორიოგრაფიის შესახებ განავითარა შეხედულება, რომლის მიხედვითაც ისტორიოგრაფია წარმოადგენს რა საზოგადოებრივი აზრის ერთ-ერთ დარგს, ხასიათდება პოლიტიკური მიკერძოებით და კლასობრივი შეზღუდულობით. ამდენად, ისტორიული კონცეფციები თეორიულ ასპექტში ახალს ვერაფერს მოგვცემენ. „ჩვენთვის უფრო ფასეულია და მნიშვნელოვანია იმ ფაქტების სფეროს გაფართოება, რომელთაც იყენებს ისტორიოგრაფია, მეთოდიკის დახუსტება, კვლევიძიების ტექნიკის განვითარება. ეს არის ის, რაც შეიძლება ვისწავლოთ წინამორბედ თაობათა ისტორიკოსებისაგან“[11].

როგორც ვხედავთ, ისტორიოგრაფიული ძიებების სიმძიმის ცენტრი ე. კოსმინსკის გადაჰქონდა ისტორიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ და ტექნიკურ მხარეზე, რაც არ შეგვიძლია მივიჩნიოთ მთლად გამართლებულად.

---

[7] Д. М. Сахаров, Методология истории и историография, М., 1981, გვ. 93-94.

[8] Е. Н. Городецкий, Историография как специальная отрасль исторической науки, „История СССР“, 1974, № 3, გვ. 97.

[9] М. Н. Покровский, Борьба классов и русская историческая литература, 1923, Сб. «Русская историческая литература в классовом освещении» 2 тома, М., 1927—1930.

[10] Е. А. Косминский, Историография средних веков, изд. МГУ в 1963 г. О. Л. Вайнштейн, Историография средних веков, М.-Л., 1940. Н. Л. Рубинштейн, Русская историография, М., 1941.

[11] Е. А. Косминский, ук. соч., გვ. 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ო. ვაინშტეინის აზრით ისტორიოგრაფიის საგანია ისტორიული სკოლების, მიმდინარეობების, ისტორიულ წარმოდგენათა მთელი სისტემების კანონზომიერი მონაცვლეობის პროცესი. ამასთან ერთად, მან უნდა შეისწავლოს „ისტორიული მეცნიერების ზეგავლენა უმნიშვნელოვანესი საზოგადოებრივი იდეების შემუშავებაზე“[12]. აქ სწორადაა მითითებული ისტორიოგრაფიის ძირითადი ამოცანა, მაგრამ ეს განსაზღვრა მაინც ზოგადია და დაკონკრეტებას საჭიროებს.

რაც შეეხება ნ. რუბინშტეინს, მან ისტორიოგრაფიის საგანი და ამოცანები შემდეგნაირად განსაზღვრა: „... ისტორიოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორიის ამოცანაა არა უბრალოდ დაგროვილი ფაქტობრივი ცოდნის შეჯამება და შედეგების გამოყვანა, არამედ მან უნდა შეისწავლოს მეცნიერების ზრდა მისი შინაარსის განვითარებაში, მეცნიერების შემოქმედებითი გზის ისტორია მეცნიერული აზრის განვითარებაში“. შემდეგ ავტორი განაგრძობს „მარქსისტული ისტორიოგრაფია, უპირველეს ყოვლისა, არკვევს ისტორიული შემეცნების განვითარების ჭეშმარიტად ისტორიულ კანონზომიერებას, ამ განვითარების შინაგან მთლიანობაში და რეალურ შებრისპირებულობაში... მარქსისტული ისტორიოგრაფია შეისწავლის ისტორიული მეცნიერების განვითარებას საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარებასთან კავშირში, ისტორიული პროცესის საერთო განვითარებაში“[13]. აქ ყურადღებას იქცევს ავტორისეული აქცენტი ისტორიული შემეცნების ზოგად კანონზომიერებებზე და საზოგადოებრივი ურთიერთობების განვითარებასთან მათ კავშირზე. საერთოდ, ეს ფორმულირებაც მეტად ზოგადი ხასიათისაა.

ინტერესის გამოცოცხლება და ისტორიოგრაფიის საკითხებისადმი ყურადღების გამახვილება რუსულ მეცნიერებაში შეიმჩნევა 50-იან წლებში. ამ დროს ზედიზედ გამოქვეყნდა რუსული ისტორიოგრაფიის შესახებ ლ. ჩერეპნინის, ს. ბუშუევის ვ. ასტახოვის და სხვათა ნაშრომები[14].

1955 წელს გამოვიდა მრავალტომეული — ხსრ კავშირის ისტორიული მეცნიერების ისტორიის ნარკვევები“ — პირველი ტომი მ. ტიხომიროვის რედაქციით[15]. ვინაიდან ეს გამოცემა ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ზემოთდასახელებული ავტორების შრომებს, ჩვენ აქ გამოთქმული მოსაზრების განხილვას შევუდგებით.

ნარკვევების წინასიტყვაობაში, რომელიც რედაქტორის კალამს ეკუთვნის, ისტორიოგრაფიის საგნის განსაზღვრის დროს ჩამოთვლილია რამდენიმე ძირითადი საკითხი:

1. საზოგადოების განვითარებაზე ცოდნის დაგროვების ისტორია; 2. ისტორიულ კვლევა-ძიებათა მეთოდების გაუმჯობესებისა და განვითარების ისტორია; 3. საზოგადოებრივ მოვლენათა გაგებაში სხვადასხვა მიმდინარეობათა ბრძოლის ისტორია, რაც საზოგადოებაში მიმდინარე კლასთა ბრძოლის ანა-

---

[12] О. Л. Вайнштейн, ук. соч. зд. 7.

[13] Н. Л. Рубинштейн, ук. соч. зд. 7—8.

[14] Л. В. Черепнин, Русская историография до XIX в., М., 1957; С. К. Бушуев, Русская историография, I — II, М., 1957; III, М., 1959; В. И. Астахов, Курс лекций по русской историографии, I, Харьков, 1959.

[15] Очерки истории исторической науки в СССР, I, М., 1955.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეკლს წარმოადგენს; 4. საზოგადოების განვითარების კანონზომიერებათა აღმოჩენის ისტორია, 5. ბურჟუაზიულ ისტორიულ კონცეფციებზე მარქსისტულ-ლენინური ისტორიოგრაფიის გამარჯვების ისტორია[16].

ესაა ის საკითხები, რომლებიც ქმნიან ისტორიოგრაფიის საგანს, მათი შესწავლაა ამ სამეცნიერო დისციპლინის ამოცანა. ამასთან ერთად, ისტორიული აზროვნება მართებულადაა მიჩნეული საზოგადოებრივი აზრის განუყრელ ნაწილად.

ამრიგად, ნარკვევებში ისტორიოგრაფიის საგანი დიფერენცირებული სახითაა წარმოდგენილი. მისი შემადგენელი ნაწილებიდან უპირატესობა ეძლევა პროგრესული ისტორიული აზრის ისტორიის შესწავლას. სხვა ელემენტები, როგორც ჩანს, მეორე რიგისანი არიან.

ნარკვევების ავტორთა ეს თვალსაზრისი კრიტიკისა და კომენტარის ობიექტად იქცა[17]. ზოგიერთმა მკვლევარმა არ გაიზიარა იგი. მათ მიუთითეს, რომ პროგრესული აზრისადმი უპირატესი მნიშვნელობის მინიჭება ერთგვარად ავიწროებს ისტორიოგრაფიის საგანს, ანელებს ყურადღებას სხვა მიმართულებებისადმი. ეს შენიშვნები ყოველთვის მართებული არ იყო. ვფიქრობთ, ნარკვევების წინასიტყვაობაში წარმოდგენილი თვალსაზრისი მნიშვნელოვან წინსვლას წარმოადგენდა ამ საკითხის ისტორიაში და მან დასაბამი მისცა მოსაზრებათა მთელ სერიას, რითაც მნიშვნელოვნად გამდიდრდა ჩვენი წარმოდგენა ისტორიოგრაფიის საგანსა და ამოცანებზე.

ლ. ჩერეპნინი, განმარტავდა რა ტერმინ ისტორიოგრაფიის სხვადასხვა მნიშვნელობას, დასძენდა: „მას აქვს უფრო ფართო და ღრმა მნიშვნელობაც მნიშვნელობა მეცნიერებისა. რომელიც სწავლობს ისტორიული მეცნიერების განვითარებას მთლიანად რომელიმე ქვეყანაში ან რიგ ქვეყნებში, არკვევს როგორ თანდათანობით ყალიბდებოდა წარმოდგენები კაცობრიობის წარსულზე, ადამიანთა საზოგადოების განვითარებაზე“[18].

იქვე ავტორი აკონკრეტებს ისტორიოგრაფიის ამოცანებს და ყურადღებას ამახვილებს ოთხ ძირითად ელემენტზე:

1. ადამიანთა საზოგადოების შესახებ (sic) ცოდნის დაგროვებაზე; 2. ისტორიულ წყაროთა შესწავლის მეთოდების, ტექნიკისა და მეთოდის ცვლილებებსა და გაუმჯობესებაზე; 3. ცვლილებებზე ისტორიულ პრობლემატიკაში, იმაზე თუ რა საკითხები იდგა ისტორიული მეცნიერების წინაშე ამა თუ იმ ეტაპზე, რატომ წამოიჭრებოდა ეს პრობლემები, როგორ ასახავდნენ ისინი ამა თუ იმ კლასის ინტერესებს; 4. დაბოლოს, კონცეფციებისა და თეორიების მონაცვლეობაზე, იმაზე თუ როგორ ხსნიდნენ სხვადასხვა მიმართულების ისტორიკოსები ისტორიულ წარსულს, როგორი იყო მათი მსოფლმხედველობა, როგორ უახლოდდებოდნენ ისინი წარსულის ობიექტური სურათის შეცნობას. აღნიშნული საკითხების განხილვა, ცხადია, უნდა ხდებოდეს საზოგადოებრივ განვითარებასთან კავშირში, საზოგადოებრივი იდეოლოგიის განვითარების ფონზე.

---

[16] Очерки истории исторической науки в СССР, I, М., 1955, გვ. 13.

[17] См. А. М. Сахаров, А. Г. Подольский, Н. Н. Самохина, Об Очерках истории исторической науки в СССР, ж. «Вопросы истории», 1956, № 7.

[18] Л. В. Черепин, ук. соч. გვ. 4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ფაქტები, მეთოდები, პრობლემატიკა და კონცეფციები — ასეთია ისტორიოგრაფიული კვლევის საგნის შემადგენელი ელემენტები. ამათგან უკანასკნელი მთავრადაა მიჩნეული.

1961 წელს გამოქვეყნდა დამხმარე სახელმძღვანელო სსრ კავშირის ისტორიის ისტორიოგრაფიის დარგში (1971 წელს დამატკიცეს სახელმძღვანელოდ). ვ. ალერიცკის მიერ დაწერილ შესავალში მოცემულია ისტორიოგრაფიის საგნის შემდეგი ფორმულირება: „ისტორიოგრაფიის შინაარსად იქცა ადამიანთა საზოგადოების განვითარების შესახებ ცოდნის დაგროვების პროცესისა და ამ ცოდნის მეცნიერებად გადაქცევის შესწავლა, ისტორიულ მოვლენებზე სხვადასხვაგვარ შეხედულებათა დახასიათება, ისტორიული კვლევაძიების მეთოდების სრულყოფის განხილვა. ისტორიოგრაფიის მარქსისტულ განმარტებაში, ამას გარდა, შედის ისტორიულ თეორიათა კლასობრივი არსის დადგენა, ისტორიულ მეცნიერებაში მიმართულებათა შორის ბრძოლის გახსნა (раскрытие), საზოგადოებრივი განვითარების კანონთა შეცნობისა და მარქსისტულ-ლენინური ისტორიული მეცნიერების ბურჟუაზიულ მეცნიერებაზე გამარჯვების ისტორიის შესწავლა“[19]. შემდეგ ხაზგასმულია, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მოწინავე და პროგრესული მიმდინარეობების შესწავლას...

ამრიგად, 50—60-იანი წლების მიჯნაზე ჩამოყალიბებული ჩანს გარკვეული თვალსაზრისი, რომელიც ძირითადად სწორედ ასახავს ისტორიოგრაფიის საგანსა და ამოცანებს.

60-იანი წლებიდან იწყება ახალი ეტაპი ისტორიოგრაფიის შინაარსისა და ამოცანების განსაზღვრაში. თუ აქამდე საამისო მსჯელობებს ეხებოდნდთ ზოგადი ხასიათის ნაშრომებში, ისტორიოგრაფიის კურსებში და სახელმძღვანელოებში, ამ დროიდან ჩვენთვის საინტერესო საკითხზე იწერება სპეციალური სტატიები, გამოკვლევები და მონოგრაფიებიც კი. კრებულისადმი წამძღვარებული წერილით: „История истории (Некоторые методологические вопросы истории исторической науки)“[20].

კითხვაზე თუ რა შედის ისტორიოგრაფიული შესწავლის სფეროში მ. ნეჩკინა ასე პასუხობს:

1. საკუთარი ქვეყნის ისტორიის ისტორიოგრაფია, ესაა უპირველესი საგანი: 2. სხვა ქვეყნებისა და მსოფლიო ისტორიის შესწავლის ისტორიოგრაფია; 3. სხვა საისტორიო მეცნიერული დისციპლინებისა და დამხმარე დარგების შესწავლის ისტორია (არქეოლოგია, ეთნოგრაფია, წყაროთმცოდნეობა, ისტორიული გეოგრაფია, მხარეთმცოდნეობა, პალეოგრაფია, ნუმიზმატიკა და ა. შ.) მ. ნეჩკინა ეხება ისტორიოგრაფიული პირველწყაროების საკითხს და ასევეა მიიჩნევს ისტორიკოსთა ნაშრომებს (ყოველგვარი სახისას), მათ არქივებს, სახელმწიფო და პარტიულ დადგენილებებს ისტორიული მეცნიერების დარგში, მასალებს საისტორიო საზოგადოებების დაწესებულებებისა და ისტორიკოსთა კადრების აღზრდის სისტემის შესახებ და სხვ. სხვათა შორის,

[19] Историография истории СССР, под ред. В. Е. Иллерицкого и И. А. Кудрявцева, М., 1961, გვ. 3.

[20] Сб. «История и историки», М., 1965, გვ. 6—26.

ხელ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბ. ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. ნეჩკინა მეცნიერ ისტორიკოსთა ნაშრომებს ისტორიოგრაფიულ ფაქტებად მიიჩნევს და მაშასადამე, ისტორიოგრაფიული წყარო და ისტორიოგრაფიული ფაქტი მის კონცეფციაში ემთხვევა ერთმანეთს.

ისტორიოგრაფიული ფაქტების ანალიზმა, მ. ნეჩკინას აზრით, უნდა მოგვცეს წარმოდგენა არა მარტო კვლევა-ძიების შედეგებზე, არამედ კვლევა-ძიების პროცესზეც, მის მიმდინარეობაზე. მეცნიერთა ნაშრომების შესწავლისას უნდა გამოიყოს პრობლემატიკა, დადგინდეს მათი სიახლე, საბუთიანობა, წყაროთა წრე, მათი სანდოობა. შემდეგ გაირკვეს ისტორიკოსთა კონცეფცია, მათი ფილოსოფიური შეხედულებები, მათი სოციოლოგიური იერსახე და პოლიტიკური პოზიციები. ისტორიოგრაფი ვალდებულია დაადგინოს მიმდინარეობები ისტორიულ მეცნიერებაში, შეისწავლოს მათი დაპირისპირებისა და ბრძოლის პერიპეტიები. ისტორიოგრაფიულ გამოკვლევას აგვირგვინებს ისტორიული მეცნიერების განვითარების კანონზომიერებათა დადგენა. დიდი მნიშვნელობა ენიჭება, აგრეთვე, ამ მეცნიერების ისტორიის პერიოდიზაციის დადგენას.

როგორც ვხედავთ, მ. ნეჩკინა რამდენადმე აფართოებს ისტორიოგრაფიის შესწავლის საგანს. შემოაქვს მის სფეროში სპეციალური და დამხმარე დარგების ისტორია, არქივების, სამეცნიერო დაწესებულებებისა და ისტორიკოსთა კადრების აღზრდის მთელი სისტემის ისტორია.

ისტორიოგრაფიის საგნის ასეთი გაფართოება ჩვენ სავსებით კანონზომიერ მოვლენად მიგვაჩნია და ვთვლით რომ ისტორიოგრაფი მართლაც ასეთი ფართო ასპექტით უნდა მიუდგეს ისტორიული მეცნიერების ისტორიის შესწავლას. მაგრამ არ შეგვიძლია გავიზიაროთ მ. ნეჩკინას მტკიცება, რომ ისტორიოგრაფიული წყარო და ისტორიოგრაფიული ფაქტი ემთხვევა ერთმანეთს.

თუ ჩვენ მეცნიერთა ნაშრომებს ისტორიოგრაფიულ წყაროდაც ჩავთვლით და ისტორიოგრაფიულ ფაქტადაც, მაშინ გამოირიცხება კვლევის საჭიროება. კვლევის მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ ისტორიოგრაფიული წყაროდან ისტორიოგრაფიული ფაქტი მიიღოს. თუ ეს ორი ცნება გავაიგივეთ, კვლევა-ძიება აღარ იქნება საჭირო. ისტორიკოსთა შრომები ჩვენ მიგვაჩნია ისტორიოგრაფიულ წყაროდ, ისტორიოგრაფიული ფაქტი კი არის ის კონცეფცია, ის თეორია, რომელიც გამოთქმულია ამ ნაშრომში. ისტორიკოსის ნაშრომი შეიძლება არ შეიცავდეს სრულ ინფორმაციას მეცნიერის კონცეფციის შესახებ. ან კიდევ შეიძლება საქმე გვქონდეს საპირისპირო შემთხვევასთან: ნაშრომი სცილდებოდეს მეცნიერის კონცეფციის საზღვრებს და იძლეოდეს დამატებით ინფორმაციას მეცნიერის იდეური პროფილის შესახებ, რაც ზოგჯერ არ ემთხვევა მის ისტორიოგრაფიულ კონცეფციას. ჩვენი აზრით, ნაშრომისა და კონცეფციის გაიგივება არ შეიძლება, წყარო და ფაქტი არ ემთხვევა ყოველთვის ერთმანეთს, მათი იგივეობის მტკიცება უმართებულოა.

60-იან წლებშივე ა. შაპირომ, ს. შმიდტმა, ლ. ჩერეპნინმა დააყენეს საკითხი ისტორიოგრაფიის კვლევის ამოცანად აღიარებული ყოფილიყო ისტორიული თემატიკის შემცველი მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა ანალიზიც. 1968 წ. ჩერეპნინმა გამოაქვეყნა წიგნი: „რუსული ლიტერატურის კლასიკოსთა ისტორიული შეხედულებების შესახებ“[21], სადაც

[21] Л. В. Черепнин, Исторические взгляды классиков русской литературы, М., 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მას შესწავლილი აქვს პუშკინის, ლერმონტოვის, გოგოლის, ტურგენევის, დოსტოევსკის, ტუტჩევის, ლესკოვის, ნეკრასოვის, სალტიკოვ-შჩედრინის, ტოლსტოისა და ბლოკის ისტორიული შეხედულებები. ამასთან დაკავშირებით იგი ისტორიოგრაფიას მიიჩნევს „მეცნიერებად, რომელიც შეისწავლის ისტორიული ცოდნის ფორმირებას და განვითარებას". გამოდის, რომ ამ მეცნიერების მიზანია არა მარტო მეცნიერული ცოდნის ისტორიის შესწავლა, არამედ ყოველგვარი ისტორიული ცოდნისა. ისტორიოგრაფიის საგნის ასეთი გაფართოება ჩვენ გამართლებულად არ მიგვაჩნია. მეცნიერული ცოდნა დასაბუთებადი ცოდნაა, მხატვრულ ნაწარმოებებში ასახული ცოდნა შეიძლება იყოს ამ ხასიათის და შეიძლება არც იყოს. ამდენად, მისი გამოცხადება ისტორიოგრაფიის საგნად ეჭვქვეშ აყენებს ამ საგნის მდგრადობას, მეცნიერულობას. ჩვენი რწმენით, მხატვრულ აზროვნებაში ასახული ისტორიული ცოდნა ანგარიშგასაწევია, მაგრამ ისტორიული მეცნიერების განვითარების განმსაზღვრელი იგი არ არის. მისი შემოტანა ისტორიოგრაფიული კვლევის სფეროში შეიძლება მხოლოდ პირობითად, გარკვეული შენიშვნებით, დამატებით.

საბჭოთა ისტორიულ ლიტერატურაში ა. სახაროვის მართებული შენიშვნით, „ისტორიოგრაფიის საგნის გაგების ევოლუცია მიდიოდა ისტორიოგრაფიის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აზრის ისტორიის სახესხვაობამდე დაყვანიდან ისტორიულ თემაზე კულტურის ყველა შესაძლებელი ნაწარმოების ყველაზე ფართოდ მოცვამდე". ა. სახაროვი მართებულად შენიშნავს, რომ ამ დარგის საგანმა განიცადა ცვლილება ისტორიული აზრის ისტორიიდან ისტორიული მეცნიერების ისტორიისაკენ და ამ უკანასკნელიდან ისტორიული ცოდნის ისტორიამდე ამ ცოდნის ყოველგვარ ფორმამდე, ყოველგვარ გამოვლინებამდე[22].

ამის შემდეგ ე. გოროდეცკიმ ყურადღება გაამახვილა ისტორიული კვლევა-ძიებების ორგანიზაციული ფორმების შესწავლაზე (საზოგადოებების, ინსტიტუტების და სხვ.), ისტორიული მეცნიერების დარგში სხვადასხვა კლასის პოლიტიკის შესწავლაზე, ისტორიკოსთა კადრების მომზადების, განაწილების, კვალიფიკაციის, ისტორიული განათლების სისტემის ისტორიის საკითხებზე.

დაბოლოს, ს. შმიდტმა მოითხოვა ისტორიოგრაფიის შესწავლის ობიექტად მიჩნეული ყოფილიყო ისტორიული ცოდნის გავრცელებულობა ხალხში, მკითხველთა ფართო მასებში. „ისტორიოგრაფია — ამბობს იგი — ეს ისტორიული პროცესის ისტორიის შესწავლაცაა და იმის ისტორიაცაა თუ როგორ შეაღწია ამ ისტორიული პროცესის ცოდნამ იმათ წრეში, ვისთვისაც ისტორიკოსი ქმნის თავის შრომებს. ისტორიული მეცნიერების განვითარების დონე განისაზღვრება არა მარტო ისტორიკოსებისა და ისტორიული შრომების რაოდენობით, არამედ მათი მკითხველებისა და მსმენელების რიცხვითაც, არა მარტო ისტორიული ცოდნის დაგროვებით, არამედ საზოგადოების ინტერესებითაც მისი ათვისებისადმი"[23].

დაბოლოს, უნდა ითქვას ა. სახაროვის ნაშრომთა შესახებ. სახაროვი იზიარებს თვალსაზრისს იმის შესახებ, რომ ისტორიოგრაფიის საკვლევ საკითხთა

---

[22] А. М. Сахаров, ук. соч., зд. 27.

[23] იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზორის უმთავრესია კონცეფციების, თეორიების მეცნიერულ შეხედულებათა ისტორია მათი მონაცვლეობა, დაპირისპირება, ბრძოლა...[24].

ასეთია ზოგად ხაზებში რუსულ ისტორიოგრაფიაში საკითხი ისტორიული მეცნიერების ისტორიის საკვლევი საგნის, მისი ამოცანების შესახებ. როგორც დავინახეთ, ისტორიოგრაფიის ფარგლები მეტად ფართოდაა წარმოდგენილი, ერთიანი აზრი ამ საკითხზე ჯერ კიდევ არ არის გამომუშავებული, თუმცა ბევრი რამ, საერთო, უკვე ნათქვამი.

ახლა ორიოდე სიტყვით შევეხოთ ჩვენთვის საინტერესო საკითხის დაყენებასა და გაგებას უცხოთის ისტორიოგრაფიაში.

ევროპულ ენებზე არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურიდან ჩვენ გავეცანით ბ. კროჩეს[25], ჯ. შოტველის[26], ჰ. ბარნესის[27], გ. ლეფევრის[28], გ. გუჩის[29], რ. მაჯუმრადისა და ა. სრივასტას[30], ნ. სუბრაჰმანიანის[31] და სხვათა ნაშრომებს. კარგად გვესმის, რომ ევროპულ ენებზე არსებული ლიტერატურიდან ეს არის ერთი მცირე ნაწილი, იქნებ არასაკმარისიც, მაგრამ ამ ლიტერატურის გაცნობამ მიგვიყვანა ერთ ფრიად საინტერესო დასკვნამდე, რომელმაც ზედმეტი გახადა ამ მიმართულებით შემდეგი ძიება: საქმე ის არის, რომ საზღვარგარეთის (ბურჟუაზიული) ისტორიოგრაფია ისტორიული მეცნიერების ისტორიას არ გამოჰყოფს ცალკე დარგად, ცალკე საგნად და არ მსჯელობს მისი პრინციპებისა და მეთოდოლოგიის შესახებ. როგორც ითქვა, ისტორიოგრაფიის ქვეშ იგი გულისხმობს საკუთრივ ისტორიულ მეცნიერებას, საისტორიო მწერლობას და ყველა ამ ნაშრომში ლაპარაკია საკუთრივ ისტორიული მეცნიერების რაობაზე, მის საგანზე და მეთოდებზე, შემდეგ გადმოცემულია ისტორიული მეცნიერების ისტორია. ანალოგიური სურათია უცხოეთის ენციკლოპედიებშიც (ლარუსი, ბრიტანიკა, ამერიკანა, ვებსტერი და სხვ.).

აი, მაგალითად რა საკითხებს იხილავს ჰ. ბარნესი დასახელებულ ნაშრომში: პირველ თავს ეწოდება — საისტორიო მწერლობის წარმოშობა. მასში ასეთი ქვეთავებია: ისტორიის ბუნება, დამწერლობამდელი ისტორიის განვითარება, წერის ხელოვნების დაფფლება, დროის აღმოჩენა, ქრონოლოგიის წარმოშობა, საისტორიო მწერლობის აღმოსავლური საწყისები. მეორე თავში ბერძნული და რომაული ისტორიოგრაფიის შესახებაა მოთხრობილი და ა. შ.

აღსანიშნავია, რომ ჰ. ბარნესის ამ წიგნზე ამერიკელმა ისტორიკოსმა კ. ბეკერმა გამოაქვეყნა რეცენზია სათაურით: „რა არის ისტორიოგრაფია?". იგი დაიბეჭდა ჟურნალში: „ამერიკული ისტორიული მიმოხილვა" და აქაც ისტორიოგრაფიად მიიჩნევა საკუთრივ ისტორიული მეცნიერება და არა ამ

---

[24] B. Croce, L' histoire comme pensée et comme action, Paris, 1968.
[25] B. Croce, Théorie et histoire de l'historiographie, Geneve, 1968.
[26] J. Th. Shotwel, The Introduction to the History of history, Col. 1939.
[27] H. E. Barnes. A History of historical writing, NJ, 1963.
[28] G. Lefevre, La naissance de l'historiographie Moderne, Paris, 1971.
[29] G. P. Gooch, History and Historians in the ninteenth century, Bos. 1959.
[30] Historiography, by R. K. Majumrad and A. N. Srivasta, Dehli, 1975.
[31] N. Subrahmanian, Historiography, Madurai, 1973.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეცნიერების ისტორია, მსჯელობაა ისტორიული მეცნიერების რაობასა და მნიშვნელობაზე და არა ამ მეცნიერების ისტორიის შემსწავლელ მეცნიერებაზე[32].

მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი ისტორიკოსები არ აყენებენ და არ იხილავენ საკითხს ისტორიოგრაფიის, როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორიის საგნისა და ამოცანების შესახებ, მისი მეთოდებისა და მეთოდოლოგიის შესახებ, მათი ნაშრომებიდან კარგად ჩანს თუ რას თვლიან ისინი შესწავლის ობიექტად, რას იკვლევენ, როცა ისტორიოგრაფიის ისტორიას წერენ. გარდა ცალკეული ისტორიკოსების ბიოგრაფიების, ნაშრომებისა და შეხედულების დახასიათებისა, მათ ნაშრომებში განხილულია ისტორიული მეცნიერების თეორიის საკითხები, ისტორიის ფილოსოფიისა და მეთოდოლოგიის პრობლემები და, ამდენად, ისტორიული მეცნიერების ისტორიის ასპარეზი მეტად ფართოდაა წარმოდგენილი.

აი, რა საკითხებს იხილავენ ზემოდასახელებული ინდოელი ისტორიკოსები. ს. სუბრაჰმანიანის ნაშრომის პირველ თავს ეწოდება ისტორიული თეორია. აქ შემდეგი საკითხებია განხილული: ისტორიის განსაზღვრება (დეფინიცია), ისტორიის ბუნება, ისტორიის გამოყენება. ისტორიის შემადგენელი ნაწილები, ისტორიის ფუნქცია, ისტორიული ობიექტურობა, ისტორიზმი და ისტორიული რელატივიზმი, ისტორიული დეტერმინიზმი, ისტორიის ფილოსოფია, დრო, პროგრესის კონცეფცია და სხვ. მეორე თავი უკვე ევროპელ და ამერიკელ ისტორიკოსთა შემოქმედებას ეხება. ისტორიული მეცნიერების ისტორიის საგანსა და ამოცანებზე აქ არაფერია ნათქვამი.

ასეთივე სურათია რ. მაჯუმრადისა და ა. სრივასტას ნაშრომშიც. აქაც პირველ თავში ისტორიის თეორიაა გადმოცემული (ისტორიის საზრისი, მისი ნაწილები, ისტორიული ცოდნის ბუნება, ისტორიის ურთიერთობა სხვა მეცნიერებებთან, მეთოდი, მიზეზობრიობა და დეტერმინიზმი და ა. შ). მეორე თავი ისტორიის მეთოდოლოგიის საკითხებს განმარტავს (წყაროების შერჩევა, პირველადი და მეორადი წყაროები, მათი გარეგანი კრიტიკა, კრიტერიუმების საკითხი, ფაქტების სინთეზი, პრობლემების შერჩევა, შეხედულებების ფორმირება...).

ისტორიული მეცნიერების ისტორიის საგანზე აქაც არაფერია ნათქვამი.

ამრიგად, ჩვენი დაკვირვებით, უცხოელი ისტორიკოსები ისტორიოგრაფიის ქვეშ გულისხმობენ საკუთრივ ისტორიულ მეცნიერებას თავისი თეორიით, მეთოდოლოგიით, ფილოსოფიითა და დამხმარე დარგებით. ისტორიული მეცნიერების ისტორიას, მის საგანსა და ამოცანებს ისინი ცალკე არ გამოჰყოფენ, მათ შესახებ საგანგებოდ არ მსჯელობენ.

ასეთია ჩვენთვის საინტერესო საკითხის ისტორიოგრაფიული მდგომარეობა. როგორ წარმოგვიდგენია ჩვენ ისტორიოგრაფიის საგანი?

უდავოა, რომ ისტორიოგრაფიის როგორც ისტორიული მეცნიერების ისტორიის საგანია ისტორიული მეცნიერების ისტორია და არა თვით ეს მეცნიერება — ისტორია, ისტორული მეცნიერების თეორია, მისი მეთოდოლოგია, მისი ფილოსოფია, სოციოლოგია და ა. შ. ვერ გავიზიარებთ იმ ისტორიკოსთა შეხედულებას, რომელთაც ისტორიოგრაფიის საგნად შემოაქვთ ისტორიის

---

[32] K. Becker, What is Historiography? The American Historical Review, vol XLIV, October 1938 to July 1939, NJ, 1939, გვ. 20—28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები. მაგრამ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: ისტორიული მეცნიერების ისტორიის შიგნით ეს თეორიული და მეთოდოლოგიური საკითხები შეისწავლება მათ განვითარებაში, უკეთ, შეისწავლება ისტორიული მეცნიერების განვითარების ეტაპების შესაბამისად, მაგ., ისტორიის მეთოდოლოგია არ წარმოადგენს ისტორიოგრაფიის შესწავლის საგანს, მაგრამ მეთოდოლოგიის ისტორია ისტორიული მეცნიერების განვითარების ამა თუ იმ ეტაპზე, რა თქმა უნდა, წარმოადგენს ისტორიოგრაფიის შესწავლის ობიექტს. ასევეა წყაროთმცოდნეობა. ეს დარგი დამოუკიდებელი ისტორიული მეცნიერებაა, მაგრამ მისი ისტორია, ანუ წყაროთმცოდნეობის მდგომარეობა და განვითარება ისტორიული მეცნიერების ამა თუ იმ ეტაპზე ისტორიოგრაფიული თემაა. იგივე უნდა ითქვას ისტორიული მეცნიერების სხვა დამოუკიდებელ, სპეციალურ თუ დამხმარე დარგების მიმართაც. ამდენად, მართებული გვგონია მ. ნეჩკინას მითითება, რომ ისტორიოგრაფიული კვლევის სფეროში შემოტანილი უნდა იქნეს ისეთი საისტორიო მეცნიერებათა ისტორია, როგორიცაა არქეოლოგია, ეთნოგრაფია, მხარეთმცოდნეობა და ა. შ. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს დარგები იმდენად ღრმად განცალკევდნენ, ჩამოყალიბდნენ საკუთარი მეთოდოლოგიური და თეორიული პრინციპების საფუძველზე. რომ გამოწვიეს სპეციალიზაცია ისტორიოგრაფიული კვლევა-ძიებისა. ყალიბდება წყაროთმცოდნეობის ისტორიოგრაფია, არქეოლოგიის ისტორიოგრაფია, ეთნოგრაფიის ისტორიოგრაფია და ა. შ.; რაც სპეციალურ მომზადებას და კვლევის სპეციალურ მეთოდებს მოითხოვს. ამდენად, ისტორიოგრაფია რთულ და კომპლექსურ დარგად იქცა. მისი განვითარება ამ მიმართულებით ჯერ კიდევ გრძელდება.

აღნიშვნა იმისა, რომ ისტორიოგრაფია სწავლობს ისტორიული მეცნიერების ისტორიას, არ არის საკმარისი. ისტორია, როგორც მეცნიერება, რთული სტრუქტურის მქონე დარგია, მისი ცალკეული ნაწილები ერთმანეთთან გარკვეულ ფუნქციონალურ დამოკიდებულებაში იმყოფებიან. ისტორიოგრაფიამ უნდა გაარკვიოს როგორ ხდებოდა ამ სისტემის ჩამოყალიბება, როგორ გროვდებოდა ისტორიული ცოდნა, როგორ იქნა შემუშავებული ის მეთოდოლოგიური პრინციპები, რომელთა საფუძველზედაც ხდებოდა ამ ცოდნის მეცნიერულ სისტემად ორგანიზება, ვის მიერ და როდის იქნა დანერგული ისტორიულ მეცნიერებაში ესა თუ ის პრინციპი, ესა თუ ის თეორიული დებულება, შეხედულება, თვალსაზრისი. და თუ კი ისტორიოგრაფია იკვლევს ისტორიის როგორც მეცნიერების ისტორიას, მან მთავარი ყურადღება უნდა მიაქციოს ისტორიული ცოდნის იმ ელემენტს, რომელიც ამ ცოდნას მეცნიერებად აქცევს. რა ელემენტია ეს?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად საჭიროდ მივიჩნევთ გავაანალიზოთ ისტორიული ცოდნის, ისტორიული მეცნიერების სტრუქტურა, ვაჩვენოთ მისი ცალკეული ნაწილების ადგილი და მნიშვნელობა ცოდნის მთლიან სისტემაში. ისტორიული მეცნიერების სისტემაში ფუნდამენტის როლს ასრულებს წყაროთმცოდნეობითი ბაზა. ისტორიული წყაროების ცოდნით, მათთან მეცნიერის კონტაქტით იწყება ისტორიული შემეცნების პროცესი, იწყება მეცნიერული მუშაობა. ამ მუშაობის თავდაპირველ შედეგს წარმოადგენს თვით ამ წყაროს რაობისა და მნიშვნელობის დადგენა, ასახულ ეპოქასთან წყაროს მიმართების გარკვევა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყაროზე მუშაობამ უნდა მიგვიყვანოს ისტორიული ფაქტების დადგენამდე, ანუ უნდა მოგვცეს ისტორიული მეცნიერების საშენი მასალა.

ამ პროცესში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო წყაროს ხასიათი, მისი სანდოობა და შინაარსობრივი დატვირთულობა, არამედ მეცნიერის მეთოდოლოგიაც, მისი ცოდნის სისტემა, გამოცდილება და სხვა სუბიექტური ფაქტორები (მაგ., ნიჭიერება) ფაქტის დადგენა, პირველწყაროებიდან ფაქტების გამოწვლილვა, ფაქტოლოგიური კვლევა მეტად მნიშვნელოვანი ეტაპია ისტორიული მეცნიერების სტრუქტურულ ფორმირებაში.

წყაროების შესწავლას, წყაროებიდან ფაქტების მიღებას, ფაქტოლოგიურ კვლევას უკვე თან ახლავს მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ელემენტი — ინტერპრეტაცია, გაგება, გარკვეული შეხედულება, თვალსაზრისი. იგულისხმება, რომ ეს ინტერპრეტაცია მეცნიერული ხასიათისაა, ანუ შეიცავს შემოწმებად და დასაბუთებად დებულებებს. ამის გარეშე მას მეცნიერულობის პრეტენზია ვერ ექნება. მეცნიერული ინტერპრეტაცია, შეხედულება, თვალსაზრისი თავისთავად რთული აღნაგობისაა. იგი უნდა შედგებოდეს არა მარტო ახსნითი ნაწილისაგან, არამედ შეფასებითი დამოკიდებულებით დადგენილი ფაქტისადმი, იგი არა მარტო უნდა გამოხატავდეს და ახასიათებდეს მოვლენის რაობას, არამედ უნდა ადგენდეს ამ მოვლენის მიმართულებას სხვა მოვლენებთან, უპირველეს ყოვლისა, ისტორიულ პროგრესთან.

ამრიგად, ისტორიული კვლევა-ძიების დასაწყისიდანვე ამ პროცესს თან ახლავს კონცეპტუალური მომენტი, რომელიც მას მეცნიერულ ხასიათს ანიჭებს. სწორედ ეს მომენტია ისტორიოგრაფიის ყურადღების უმთავრესი საგანი.

ისტორიული შემეცნების შემდგომ ეტაპზე ადგილი აქვს ფაქტების გარკვეულ დაჯგუფებას, მათ შორის შინაგანი კავშირებისა და მიზეზ-შედეგობრივი ურთიერთობების დადგენას. ყალიბდება ფაქტების კომპლექსი, ანუ პრობლემა, საკითხი, რომლის შინაარსის გახსნას და დახასიათებას კიდევ უფრო მეტი დიზით ახლავს კონცეპტუალური მომენტი. არ არსებობს პრობლემის, თემის გაშუქება გარკვეული კონცეფციური სუბტრატის გარეშე, შეფასებისა და ტენდენციის გარეშე.

პრობლემების გამოყოფა და შერჩევა, პრობლემატიკა საერთოდ ავლენს მეცნიერების იერსახეს, მის ხასიათსა და განვითარების დონეს. პრობლემების ერთობლიობა განსაზღვრულია გარკვეული კონცეფციით, თეორიით, მსოფლმხედველობით. ხოლო თეორიები და კონცეფციები ქმნიან მიმართულებებს (სკოლებს) ისტორიულ მეცნიერებაში. აქედან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ ისტორიოგრაფიის მთავარი ამოცანაა ისტორიული თეორიების, კონცეფციების, სკოლებისა და მიმდინარეობების შესწავლა, ისტორიული კვლევა-ძიების კონცეპტუალური ელემენტების გამოვლენა, შესწავლა და შეფასება.

ეს თვალსაზრისი არ წარმოადგენს ახალსა და ორიგინალურს. იგი მრავალ ისტორიკოსს გამოუთქვამს. ჩვენ მხოლოდ შევეცადეთ მიგვეთითებინა მისი დასაბუთების ერთ-ერთ გზაზე.

ისტორიული თეორიების შესწავლისა და შეფასების მეთოდოლოგია ემყარება მარქსისტულ-ლენინურ თეორიას, დიალექტიკურ და ისტორიულ მატერიალიზმს. იგი მაშასადამე, იცავს ისტორიზმს, თეორიათა სოციალურ (კლასობრივი) განსაზღვრულობის თვალსაზრისს, საზოგადოებრივი პროგრესის იდეას და ა. შ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ უმთავრესი მიზნიდან გამომდინარეობენ ისტორიოგრაფიის სხვა ამოცანებიც. იმისათვის რომ ავსახოთ ისტორიული ცოდნის მეცნიერულ ცოდნად გადაქცევის პროცესი, დრო და პირობები, უნდა შევისწავლოთ ამის წინარე პერიოდი, ვაჩვენთო იმყამინდელი ისტორიული ცოდნის ხასიათი, მისი განმასაზღვრელი ფაქტორები (მითოლოგია, რელიგიური წარმოდგენები, ნატურალისტური რეფლექსია და ა. შ.). ცოდნის მეცნიერებად გადაქცევას მეთოდოლოგიის სრულფაფა განაპირობებდა. ისტორიულ კვლევა-ძიებათა მეთოდოლოგიის განვითარების ისტორია ისტორიოგრაფთა განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. ასევე პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს ისტორიული თვალსაზრისების ეპოქასთან მიმართების გარკვევას, მათი როლის ჩვენებას ამა თუ იმ ეპოქის საზოგადოებრივ მოძრაობაში, კლასობრივ თუ ეროვნულ ბრძოლებში. ისტორიული განვითარების ცოდნის შინაგანი, იმანენტური კანონზომიერებების გამოვლენაც. ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანაა.

რა შეიძლება ითქვას ისტორიოგრაფიის საგნის იმ უსაზღვროდ გაფართოების შესახებ, რომელსაც, როგორც ვნახეთ, ადგილი აქვს რუსი ისტორიკოსების ნაშრომებში? კერძოდ, მხედველობაში გვაქვს მხატვრული ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოებთა შემოტანა ისტორიოგრაფიის კვლევის სფეროში. ვფიქრობთ, ეს არ უნდა იყოს მართებული. უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ ამ ნაწარმოებებში ასახული თვალსაზრისებს არ მოეპოვებან მეცნიერული კონცეფციისათვის დამახასიათებელი და საჭირო ნიშნები, დასაბუთება, ფაქტების კრიტიკული ანალიზი, მეთოდოლოგიური გამართულობა და ა. შ. ეს, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავს იმის შესაძლებლობას, რომ მხატვრულ სახეებში ასახული ისტორიული სიტუაცია შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას, სწორად ასახადეს ვითარება, მაგრამ ეს მაინც არ არის მეცნიერული კონცეფცია, მოკლებულია ზემოხსენებულ ნიშნებს და მათი მიჩნევა ისტორიული მეცნიერების ისტორიის საგნად უმართებულო გგგონია. ლ. ჩერეპნინი და ა. სახაროვი ამ შემთხვევაში გვთავაზობენ მწერალ-კლასიკოსთა მხატვრულ სახეობებში და სიტუაციებში გამოხატული შეხედულებები გადავიყვანთ მეცნიერულ ცნებათა სისტემაში და შემდეგ მოვახდინოთ მათი ისტორიოგრაფიული ანალიზი. ვფიქრობთ, გამოსავალი არც ესაა, ვინაიდან მეცნიერულ ცნებათა სისტემაში გადმოცემული შეხედულებების ავტორები მწერლები კი არ იქნებიან, არამედ ის მეცნიერები, რომლებიც ამ ოპერაციას განახორციელებენ.

ასევე საეჭვოდ მიგვაჩნია ს. შმიდტის აზრი იმის შესახებ, რომ ისტორიოგრაფიამ უნდა გამოავლინოს ისტორიული ცოდნის გავრცელებულობა ხალხში, მისი პოპულარობა. ვფიქრობთ, ეს სხვა დარგის ამოცანაა. ამ საკითხებს უნდა იკვლევდეს სახალხო განათლების ან კიდევ კულტურის ისტორიის სპეციალისტები. საერთოდ კი ძნელად წარმოსადგენია, როგორ უნდა გამოარკვიო ისტორიული ცოდნის, ისტორიული შეხედულებების გავრცელებულობა ხალხში, მათი პოპულარობა. აქ მხოლოდ ზოგადი მითითებებით თუ შეიძლება შეძოიფარგლოს მკვლევარი.

ამრიგად, ჩვენი აზრით, ისტორიოგრაფიის საგნად მიჩნეული უნდა იქნეს ისტორიულ შეხედულებათა, თეორიათა და კონცეფციათა მონაცვლეობა და განვითარება, მათი მიმართება ეპოქასთან, ეპოქის სოციალურ და პოლიტიკურ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვლენებთან. ესაა მთავარი. ამასთან ერთად კი შესწავლილი უნდა იქნეს ისტორიულ კვლევა-ძიებათა მეთოდოლოგია, პრობლემატიკა, ორგანიზაციული ფორმები, წყაროთმცოდნეობითი ბაზა და რიგი სხვა საკითხებისა.

Ш. А. ХАНТАДЗЕ

О ПРЕДМЕТЕ ИСТОРИОГРАФИИ

Резюме

В статье дан обзор взглядов советских и зарубежных историков на предмет историографических исследований. Автор примыкает к ученым, которые считают, что предметом историографического исследования следует считать исторические теории, взгляды, концепции и их отношение к эпохе, к ее социально-политическим проблемам. Это признано главным. Вместе с тем, историография изучает развитие источниковедческой базы исторической науки той или иной эпохи, методологии истории, организационные формы научно-исторических исследований и т. д.

Обоснованием признания взглядов и теории историков в качестве основного предмета историографии служит то обстоятельство, что именно в концепциях, интерпретации исторических фактов и явлений проявляется научный характер исторического знания и, так как историография является историей истории как науки, главное внимание следует обратить на концептуальные элементы в научном наследии историков прошлого.

Автор отрицает правомерность включения в предмет историографических исследований произведений художественной литературы и искусства, так как в них отсутствуют присущие научным теориям признаки (аргументированность взглядов, анализ первоисточников, методологическая обоснованность и т. д.), хотя и признается, что зачастую художественные произведения правильно отражают ту или иную историческую эпоху, ее героев и события.

წარმოდგენილ შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თინათინ ოჩიაური

ეთნიკური პროცესები თბილისში

ცნობილია, რომ ქალაქი, როგორც ხელოსნობისა და ვაჭრობის, კულტურული, პოლიტიკური, სამხედრო და ადმინისტრაციული ცხოვრების ცენტრი, თავისკენ იზიდავს არა მხოლოდ მახლობელი მიდამოების, არამედ შორეული ქვეყნის მოსახლეობასაც, რის გამოც იგი მრავალეროვანი ხდება[1].

თბილისი, რომელიც ძველთაგანვე ცნობილი იყო თავისი სიმდიდრით, ხელსაყოველი სავაჭრო გზებით, რომელიც მუდამ იყო და რჩებოდა ქართველი ხალხის გამაერთიანებლად. დედაქალაქად, მის პოლიტიკურ, ეკონომიკურ და კულტურულ ცენტრად[2], მუდამ იზიდავდა სხვა ქვეყნების ვაჭარ-ხელოსნებს და უცხო დამპყრობლებს, რასაც მოსდევდა მრავალეროვანი მოსახლეობის თავმოყრა ქალაქში. „საქართველოში დაკით ალმაშენებლის დროიდან დამკვიდრებული იყო „ერთა შორის თანაცხოვრების პოლიტიკური კურსი"[3]. ეს გარემოება შენიშნული აქვს ჟან შარდენსაც. იგი წერს, რომ „საქართველოში უფლება გაქვს იცხოვრო შენი სარწმუნოებით და ადათებით, იმსჯელო მასზე და დაიცვა იგი-ო". ასეთი პოლიტიკური ვითარების დროს კი სხვა ერების წარმომადგენელთა ჩამოსახლებას არავინ ზღუდავდა და თბილისი ინტერნაციონალურ ქალაქად გადაიქცა.

საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ, როდესაც ქვეყნად მშვიდობიანობა დამყარდა, მოსახლეობის რიცხვი სწრაფად გაიზარდა არა მხოლოდ საქართველოს სხვადასხვა მხარიდან ჩამოსახლებულთა ხარჯზე, არამედ უცხო ეთნოსის წარმომადგენელთა ცალკეული, თუ ჯგუფობრივად ჩამოსახლების გზით. უცხო ერის ჩამოსახლებას ან განთესვითი ხასიათი აქვს, ან იგი კომპაქტურად ხდება. თუ რა კანონზომიერებით მიმდინარეობს მიგრანტთა და დამხვდურთა ურთიერთობა ქალაქის პირობებში, ამაზე მ. რაბინოვიჩი წერს „ქალაქისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ახალი მოსახლეობის კომპლექსურად ჩამოსახლებას. მოსულნი ან ცალკეულ ოჯახებად სახლდებოდნენ, ან დიდ ჯგუფებად, რომელთაც ზოგჯერ საკუთარი ორგანიზაციაც კი ჰქონდათ. პირველ შემთხვევაში, როდესაც კანთესილად ესახლებოდნენ ძირითად მოსახლეობაში, ისინი ნაკლებ გავლენას ახდენდნენ ქალაქის ეთნიკურ შემადგენლობაზე, მეორე შემთხვევაში კი, შეიძლება მეტად მწვავედ დამდგარიყო ქალაქის ეთნიკური სახის საკითხი. ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ კულტურუ-

---

[1] М. Г. Рабинович. Очерки этнографии русского феодального города, 1978, 1, გვ. 67.

[2] ზ. მგესხია, თბილისის როლი ქართველი ხალხის ისტორიაში, თბილისი 1500, თბ., 1958, გვ. 14.

[3] გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობა XIII—XVIII საუკუნეებში. თბ., 1982, გვ. 291.

ლად და ეთნიკურად რამდენად ძლიერი იყო ადრე, ჩამოყალიბებული მოქალაქეთა ძირითადი ბირთვი. თუ იგი საკმაოდ მტკიცე იყო, მაშინ უცხო ტომთა მიერ დაპყრობის შემთხვევაშიც კი, ქალაქის ეთნიკური სახე არ იცვლებოდა. ერთი-ორი თაობის შემდეგ ძირითად მოსახლეობასთან მოსულთა ასიმილაცია ხდებოდა"[4].

საქართველოს დედაქალაქი, სწორედ იმ ქალაქთა რიცხვს ეკუთვნის, რომელიც ეთნიკურად და კულტურულად ძველთაგანვე მკვიდრ საფუძველზე იყო აღმოცენებული, რომელსაც თავისი სახე ვერ დაუკარგა ვერც დამპყრობლების მძიმე უღელმა, ვერც აოხრებამ და მოსახლეობისაგან დაცლამ.

მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა (1801 წ.), რუსეთის ცენტრალურმა ხელისუფლებამ მიერთებული ტერიტორიის უკეთ ათვისებისა და ექსპლუატაციის მიზნით დაიწყო აქ არსებულ სიმდიდრეთა და მცხოვრებთა აღწერა-აღრიცხვები.

ვინაიდან მეფის რუსეთისათვის თბილისი ახლად შეერთებული სამხედრო ადმინისტრაციული ცენტრი იყო, 1803 წლის იანვარში პირველად ამიერკავკასიაში ჩატარდა, როგორც თვით ქალაქ თბილისის, ისე მისი მოსახლეობის აღწერა-აღნუსხვა. ჩვენც ამ დროიდან შევეხებით ქალაქში მიმდინარე სხვადასხვა ეთნოსის ხალხთა ურთიერთობას ადგილობრივ მოსახლეობასთან.

1803 წლის აღწერილობით ქართველთა რიცხვი 2621 სულს უდრიდა. სხვა ეროვნებათაგან იმ დროს ფიქსირებულია: სომეხი — 8982, თათარი — 235, ბერძენი — 15, რუსი — 1 (ჯარისა და მოხელეების გარდა). როგორც ჩანს, ბერძნები ერეკლეს მიერ ახტალის სამთამადნო მრეწველობისათვის ჩამოყვანილ ბერძნთა ნაწილია, რომლებიც XIX საუკუნისათვის თითქმის ამოწყდნენ ავადმყოფობისა და ცხოვრების მძიმე პირობების მიზეზით.

რაკი ქვეყნად მშვიდობის დამყარების შედეგად თბილისის ზრდა სწრაფი ტემპით წავიდა წინ, საყურადღებოა ამ ზრდის მაჩვენებლები აღწერილობათა ცხრილების მიხედვით. ამასთან ცხრილებში ნაჩვენებია სხვადასხვა ეროვნების ხალხთა გაჩენისა და მისი მატების ფაქტობრივი მასალაც[5].

როგორც აღწერილობათა ცხრილები მიუთითებს, მოსახლეობის ყველაზე დიდი რიცხვითი მაჩვენებელი სომხებზე მოდიოდა. 1926 წლამდე სომხები ყველა აღწერილობის მიხედვით ქართველ მოსახლეობას აღემატებოდნენ. სომხების რიცხვის ზრდას რამდენიმე გარემოება განაპირობებდა. პირველი და მთავარი, ეს არის მათი დინება საქართველოსაკენ, რაც საუკუნეთა მანძილზე გრძელდებოდა. „XV საუკუნიდან განსაკუთრებით ფართო და სისტემატური ხასიათი მიიღო სომეხთა გადმოსახლებამ საქართველოში. XV საუკუნის 30-იან წლებში სივნიეთიდან ბეშქენ ორბელიანთან ერთად 6000 ოჯახი გადმოსულა საქართველოში, ვასპურაკანში გადაწერილი ერთი სომხური ხელნაწერის ნაწმობით კი იმ ხანად 12 ათასი კომლი სომეხი და ტაჯიკი გადმოსულა საქართველოში. დიდი რაოდენობით სომეხთა გადმოსვლა საქართველოში შემდგომ საუკუნეებშიც გრძელდებოდა"[6].

განსაკუთრებით გაიზარდა სომხების რიცხვი XIX საუკუნის ბოლო წლებში, რუსეთ-თურქეთის ომის შედეგად. ამის შესახებ ვ. ჯაოშვილი წერს: „სო-

---

[4] М. Г. Рабинович, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

[5] შ. ყაფარია, ქ. თბილისის მოსახლეობა 1803—1970 წლებში, თბ., 1976, გვ. 8.

[6] გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 271.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეხი მიგრანტების ახალი მძლავრი ნაკადის შემოჭრას ადგილი ჰქონდა XIX ს-ის ბოლო წლებში, როდესაც თურქეთში სომეხთა დევნის შედეგად მათ მასობრივად დაიწყეს საქართველოში ჩამოსახლება. ზოგი წყაროს მიხედვით იმ წლებში ამიერკავკასიაში ჩამოსახლდა 36 ათასი სომეხი, სხვა წყაროებით 70 ათასი.. მხოლოდ თბილისის გუბერნიაში სომეხთა რიცხვმა ხუთი წლის მანძილზე (1897—1902) იმატა 96,2 ათასიდან 266 ათას კაცამდე... მითითებულ წლებში განსაკუთრებით გაიზარდა სომხური დასახლებები თბილისში, გორში, ახალციხეში, ახალქალაქში. ეს იმაზე მიუთითებს, რომ ლტოლვილთა ძირითადი მასა ამ ქალაქებში დამკვიდრდა. თურქეთიდან სომეხთა დინება შემდეგ წლებშიც გრძელდებოდა. პ. არღუთინსკის მიხედვით, სომეხი ლტოლვილები თურქეთიდან დიდი რაოდენობით ჩამოდიოდნენ თბილისში, სადაც 1897—1910 წლებში მათი რიცხვი 46,7ათასიდან გაიზარდა 124,9 ათასამდე, ე. ი. 78,2 ათასიკაცით".

საყურადღებოა, რომ ჩამოსახლებულთა უმრავლესობა ვაჭრები, ხელოსნები და გარკვეული პროფესიის არმქონენი იყვნენ[7].

ვ. ჯაშვილი მიუთითებს, რომ XIX ს. და XX სს-ის პირველ წლებში საქართველოში და კერძოდ თბილისში გადმოსახლებული სომხები წამოსული იყვნენ ძირითადად თურქეთიდან, ნაწილობრივ სომხეთიდან და მთიანი ყარაბახიდან. სომეხი მოსახლეობის რიცხვის ზრდას თბილისში, სხსვა გარემოებებიც უწყობდა ხელს. გ. მაისურაძე ეხება რა XVIII ს-ის ვაჭრობის განვითარებას, წერს: „ქართული ქალაქების პროფესიული გაერთიანებები, ვაჭრობაში სომეხთა უპირატესობის გამო, უმთავრესად მონოფიზიტურ ეკლესიასთან უნდა ყოფილიყვნენ დაკავშირებული. ამიტომ ამ გაერთიანებებში შესვლა და მის საფუძველზე გარკვეული პრივილეგიების მიღება, გასაგებია, მხოლოდ სომხურ სარწმუნოებაში გადასვლით შეიძლებოდა-ო"[8]. იქვე იგი აღნიშნავს, რომ „სომხურ სარწმუნოებაზე არა მარტო საერთაშორისო ვაჭრობაში ჩაბმული ქართველი ვაჭრები გადადიოდნენ. არამედ თვით საქართველოში ადგილობრივ მოსაქმე ქართველ ვაჭარ-ხელოსანთა გარკვეული ნაწილიც უერთდებოდა სომხურ ეკლესიას"-ო. ამასთან ერთად, თბილისში სომეხი მოსახლეობის ზრდას ხელს უწყობდა შემდეგი გარემოებაც: „საგლეხო რეფორმამდე, წერს შ. კაკურია, — ბატონ-ყმობიდან თავის დაღწევის მიზნით თბილისში გამოქცეული მართლმადიდებელი სარწმუნოების მქონე ქართველი ყმა-გლეხები თავის დაფარვისა და დაცვის მიზნით იღებდნენ და ეგუებოდნენ სომხურ გრიგორიანულ სარწმუნოებას... სოფლებიდან გამოქცეულ ქართველ ყმა-გლეხებს სომხური ენის უცოდინარობა ხელს არ უშლიდა თბილისის სომხურ მოსახლეობასთან ურთიერთობაში. რადგანაც ეს უკანასკნელი ძირითადად ქართულ ენაზე ლაპარაკობდა, ხოლო თბილისელი სომხების ერთმა ნაწილმა სომხური ენა სულაც არ იცოდა.

ამდენად, თბილისის სომხების საგრძნობი ნაწილი თავისი წარმოშობისა, თუ საქართველოში ხანგრძლივი ცხოვრების შედეგად. მიუხედავად თავისი კონფესიონალური მდგომარეობისა, ქართველ ან გაქართველების გზაზე მდგომ მოსახლეობას წარმოადგენდა"-ო[9].

---

[7] В. Ш. Джашвили, Население Грузии, т. 5, 1968. გვ. 115.

[8] გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, იქვე. გვ. 304.

[9] შ. კაკურია, დასახ. ნაშრომი. გვ. 87—88.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში მოსახლე სომხები საუკუნეთა მანძილზე ქართველ მოსახლეობასთან კონტაქტის გამო. თანდათან შეეხარდნენ მას. „უმჭიდროესმა პოლიტიკურმა, ეკონომიკურმა და კულტურულმა კავშირმა თბილისის ქართულ და სომხურ მოსახლეობას შორის განსხვავება თანდათან წაშალა“[10].

„საუკუნეთა მანძილზე საქართველოში მოსახლე სომხობამ დიდი კულტურული ცვლილება განიცადა... მისი ზნე-ჩვეულებანი და სასაუბრო ენა ძირითადად ქართული გახდა, რასაც არ შეეძლო შესაფერისი ზეგავლენა არ მოეხდინა მის შეგნებაზე. ეს სომხობა თავისი კულტურული სახითა და ეთნო-სოციალური ერთობისადმი კუთვნილების შეგნებით არა მარტო განსხვავდებოდა, არამედ საკმაოდ დაცილებული იყო ძირითადი სომხური კოლექტივისაგან“[11]. განსაკუთრებით ეს იგრძნობოდა ქალაქ თბილისის მოსახლეობაში, რასაც ისტორიულ მონაცემებთან ერთად კარგად ასახავს ეთნოგრაფიული მასალა.

თუ სომხური მოსახლეობა თბილისში ადრიდანვე ჩანს, რუსეთ-საქართველოს შეერთების შემდეგ, სრულიად უცხო, თბილისისათვის მანამდე უცნობი ეთნიკური ერთეულის გაჩენასა და მის სწრაფ ზრდასთან გვაქვს საქმე. 1899 წლის „მოამბეში“ ალ. ყიფშიძე (ა. ფრონელი) წერდა: „საქართველოს დამშვიდების შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნახევარზე მეტი ველ-მინდორი ცარიელი იყო. მხეელ-მთესველი ნაკლებად სჩანდა და ამისთვის ახალი მთავრობა დიდი ხალისით აძლევდა ადგილებს დასასახლებლად ყველას, ვინც კი სურვილს გამოაცხადებდა აქ დამინავებისას. ამ სახით დაიწყო ქართულ-კახეთის დასახლება უცხოეთიდან მოსულ სხვადასხვა ტომისა და მილეთის ხალხით. პირველად შემოხიზვნა დაიწყეს სომხებმა და როგორც ეხედავთ, დღესაც არ შეწყვეტილა ეს შემოხიზვნა. შეიდეგ გვესტუმრნენ გერმანელები, ბერძნები, რუსი მწვალებელნი, მართმადიდებელი რუსობა, ყველგასული ჯარისკაცობა და ბოლოს, მთიდან ჩამოსული ოსობა. რუსის მართვა-გამგეობის დამკვიდრებამდე ჩვენში უცხოელნი ბინავდებოდნენ ქალაქად (ტფილისი, გორი, სიღნაღი, თელავი, დაბა სურამი, დაბა ცხინვალი), შემდეგ კი სოფლად“. ამის შემდეგ ალ. ყიფშიძე საგანგებოდ ეხება თითოეული ეროვნების ჩვენში ჩამოსახლება-დამკვიდრების საკითხს. რუსების შესახებ წერს, რომ მათი ჩვენში დამკვიდრების პირველი გზა იყო სამხედრო სამსახურის გათავების შემდეგ ჯარისკაცების ადგილზე დარჩენა. მეორე გზად თვლის მწვალებლების ჩამოსახლებას ჩვენში XIX ს. დასაწყისში. ალექსანდრე I და ნიკოლოზ I-ის დროს მათ სასტიკად სდევნიდნენ და დასასჯელად ჩვენსკენ გზავნიდნენო, — წერს იგი. „დასობით გამოგზაკნეს საქართველოში ოცდაათ. ორმოცსა და ორმოცდაათ წელსა. მომეტებულად მწვალებლები იყვნენ ტამბოვისა, სარატოვისა, ტავრისა, ვორონეჟისა, ორენბურგისა და ენისეის გუბერნიებიდან. აგრეთვე ბესარაბის ოლქიდან“[12]. ყიფშიძის ცნობით, იმ დროს თბილისის გუბერნიაში ირიცხებოდა 32 რუსის სოფელი, სახელდობრ თბილისის მაზრაში 12 სოფელი იყო.

---

[10] Ш. А. Месхиа, Города и городской строй феодальной Грузии. გვ. 266-268.

[11] გ. მაისურაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 319.

[12] ალ. ყიფშიძე (ა. ფრონელი), გადმოსახლებულნის დაბინავება საქართველოში, „მოამბე“, 1899, IV, VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ 1803 წლის აღწერილობით თბილისში რუსი 1 სულია აღრიცხული, 1864—65 წლებისათვის უკვე 12302 სულია, 1876 წ. 30830, 1897 წ. 44813 და ა. შ.

გერმანელები კავკასიაში და კერძოდ თბილისში ჩნდებიან 1817—1818 წლებიდან. როგორც ა. ყიფშიძე (ფრონელი) წერს — „გერმანელები გამოიწვია 1817 წ. ვირტემბერგის სამეფოდან უმაღლესმა კავკასიის მთავრობამ იმ აზრით, რომ ადგილობრივ მკვიდრთათვის ესწავლებინათ საუკეთესოდ მამულისა და ვენახების შემუშავება, აგრეთვე რომ შრომისა და მუყაითობის მაგალითი ეჩვენებინათ“[13].

გერმანელთა კავკასიაში ჩამოსახლების ერთ-ერთი ინიციატორი და აქტიური მოღვაწე ყოფილა გენერალი ა. პ. ერმოლოვი[14], რომელიც „საქართველოს სოფლის მეურნეობის დაბალ დონეს ადგილობრივ მკვიდრთა გაუნათლებლობითა და სიზარმაცით ხსნიდა“[15].

გამოუწვევიათ სულ 1. 400 ოჯახი, მაგრამ ამიერკავკასიას მოაღწია მხოლოდ 486 ოჯახმა 1818 წლის გასულს. ისინი დაასახლეს თბილისსა და განჯის გუბერნიაში“[16].

1819 წლის დასასრულისათვის გერმანიიდან გადმოსახლებულებმა ქვეყნის ადმინისტრაციის დახმარებით სულ რვა კოლონია შექმნეს. აქედან ორი კოლონია თბილისში ან უკეთ, თბილისის გარეუბანში მოეწყო. I. თბილისის გარეუბან კუკიაში (ახლანდელი პლეხანოვის გამზირის ტერიტორია) 51 ოჯახით. 1852 წ. ეს კოლონია, რომელიც მხოლოდ ხელოსნებისაგან შედგებოდა, ქალაქს მიეკუთვნა.

II. ალექსანდრესდორფი — 23 ოჯახით, მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირზე, დიდუბის სახაზინო მიწებზე. „ჩამოსახლების პირველ წლებში, — წერს გ. მანჯგალაძე — გაჭირვებას განიცდიდნენ არა მარტო სოფლად დასახლებული კოლონისტები, არამედ თბილისში (კუკიაზე) დასახლებულნიც, თუმცა მათი განცხადებით, ისინი სხვადასხვა ხელობის ოსტატები იყვნენ. ამ დროს თბილისში ხელოსანთა დიდი ნაკლებობა იყო და ყოველი კარგი ხელოსნის შრომა ძვირად ფასობდა“[17].

„ცარიზმის იმედები იმის შესახებ, რომ დასახლებული კოლონისტები საქართველოში განავითარებდნენ სოფლის მეურნეობას, მოაშენებდნენ მხარისათვის უცნობ კულტურებს, გამოიყენებდნენ ახალ სასოფლო-სამეურნეო იარაღებსა და მიწის დამუშავების გაუმჯობესებულ წესებს და ასეთი საშუალებებით გავლენას მოახდენენენ და აამაღლებენენ ადგილობრივი მოსახლეობის სამეურნეო და კულტურულ დონეს, არ გამართლდა“[18].

მიუხედავად იმისა, რომ გერმანელები გაურბოდნენ სხვა მოსახლეობასთან კონტაქტს და როგორც ა. ფრონელი წერს — „ისინი ერომანეთს დიდად ეტა-

---

13 ალ. ყიფშიძე (ა. ფრონელი), გადმოსახლებულების დაბინავება საქართველოში, გვ. 5—6.

14 Записки А. П. Ермолова во время управления Грузией, М., 1868, 67; Акты, т. VI, გვ. 318, 427.

15 გ. მანჯგალაძე, გერმანელი კოლონისტები ამიერკავკასიაში, თბ., 1974, გვ. 11.

16 ალ. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი გვ. 6.

17 გ. მანჯგალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 35.

18 დ. გოგოლაძე, კაპიტალისტური საწარმოები სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში რეფორმამდელ საქართველოში 1830—1864 წწ.), თბ., 1959, გვ. 18.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებოდნენ, სხვას კი აგრერიგად სულსა და გულს არ უხსნიდნენ, ცხოვრობდნენ კარჩაკეტილად და სხვისი დარდით თავს არ იწუხებდნენ, მათ ყოფაში მაინც შეიჭრა ადგილობრივი გავლენა.

მათი გაჭირვება ხანგრძლივი არ ყოფილა; მოკლე ხნის მანძილზე „გერმანელები მშვენივრად მოეწყვნენ, გამდიდრდნენ და ჩვენებურ ნიათ გამოლეულ გლეხებს სრულიად არ მოგაგონებენ. გერმანელი ახალშენელის ოჯახი, ბინადრობა და სახლ-კარი სწორედ ამერიკელი ფერმერის მოწყობილობას ჰგავს. ვისაც თავისი თვალით არ უნახავს გერმანელთა ახალშენები, ვერც კი წარმოიდგენს, თუ რა ნივთიერ კეთილდღეობას მიაღწიეს ამ ჩვენის ქვეყნის ხიზანსტუმრებმა. ორ სართულიანი ქვითკირის სახლები. რიგზე ჩამწკრივებული ქუჩის პირად, სიამოვნებასა ჰგვრის მაყურებელს, სიუხვე მოსავლისა, სიმავლე საქონლისა, კარგად მოწყობილი სასოფლო სკოლა და ეკლესია აუცილებელი კუთვნილებაა გერმანელ ახალშენისა. საკვირველი ისაა, რომ გერმანელებმა კი არ ასწავლეს ჩვენებურ ტატიას მიწის დამუშავება და ვენახის მოვლა, არამედ ტატიასაგან შეისწავლეს ერთიცა და მეორეც. მე ჩემის თვალით ვნახე ახალშენ ელისაბეტტალში ნემენცების ხვნა-თესვა და შემუშავებული ვენახი და ახალი, ევროპული იქ ვერა ვიპოვნე რა. ისევ ის მამა-პაპური გუთანია ექვს-შვიდ უღელა ხარ-კამეჩით, ზოგან კი ხარებთან ცხენები მიუბამთ, ახალი ევროპული, მხოლოდ ეს ცხენების შებმაა გუთანში“[19]. მეტად საყურადღებოა გარემოებაა. აქ აშკარად ჩანს, თუ როგორ ეგუება ადგილობრივ გეოგრაფიულ სამეურნეო პირობებს მიგრირებული მოსახლეობა და რა გავლენას ახდენს მათ მეურნეობაზე დამხვდური, ტრადიციული მეურნეობის წესი.

თუ ქალაქში მოსახლე გერმანელთა ყოფას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ აქ ძირითადად სხვადასხვა ხელობის ხელოსნები ცხოვრობდნენ, რომლებიც თანდათან ეუფლებოდნენ სათანადო ასპარეზს. „XIX საუკუნის 20-იანი წლებისათვის ამიერკავკასიაში და კერძოდ თბილისში საკმაოდ შომრავლებულან რუსი და უცხოელი ხელოსნები. უცხოელთაგან დიდი უმრავლესობა გერმანელი კოლონისტები იყვნენ“[20], რომელთა ნახელავს დიდი მოთხოვნილება და მოწონება ჰქონია. იმდენად შეუვიწროვებია თბილისელი ხელოსნები ჩამოსული ხელოსნებს, მათ შორის კოლონისტებს, რომ ხშირად საქმე შეტაკებამდე მიდიოდა, სწრაფად იზრდებოდა გერმანელთა ეკონომიური კეთილდღეობა და შესაბამისად უმჯობესდებოდა საყოფაცხოვრებო პირობები.

გერმანელები ჩამოსახლების პირველივე წლებში აარსებდნენ სასწავლებლებს. „ამიერკავკასიის კოლონიებში საზოგადოების ხარჯზე მათი დაარსებიდანვე მოწყობილი იყო სასწავლებლები... ეს სასწავლებლები არსებობდნენ ლუთერანულ ეკლესიასთან და იმყოფებოდნენ ადგილობრივი პასტორის უშუალო მეთვალყურეობის ქვეშ. სასწავლებლებს საერთო ხელმძღვანელობას უწევდა ამიერკავკასიის კოლონისტთა სინოდი“[21]. 1870 წლამდე სწავლება მხოლოდ გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ პერიოდში დაისვა საკითხი სასწავლებლებში რუსული ენის სწავლების შემოღების შესახებ ოღონდ მასწავლებლები ისევ გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ, რომლებიც საგანგებოდ შეისწავლიდნენ რუსულ ენას.

---

19 ალ. ყიფშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 6.

20 გ. მანჯგალაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

21 იქვე, გვ. 116.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდა დაწყებითი სკოლებისა, გერმანელ კოლონისტებს ჰქონდათ სხვა ტიპის სასწავლებლებიც.

ძველითად, 1850 წ. თბილისში გაუხსნიათ საშუალო სასულიერო სასწავლებელი პეტრე-პავლეს ლუთერანულ ეკლესიასთან. იმავე წელს გაუხსნიათ გერმანელთა კოლონისტების სასწავლებელი.

1892 წელს სახელმწიფო საბჭოს დადგენილებით კოლონისტთა სკოლები პროტესტანტულ ლუთერანული ეკლესიების დაქვემდებარებიდან, გადაეცა სახალხო განათლების სამინისტროს, საგნების სწავლება გერმანულ ენაზე მიმდინარეობდა. ამ გარემოებით ისინი აღწევდნენ ეროვნული ერთიანობის შენარჩუნებას[22].

როგორც გ. მანჯგალაძე მიუთითებს, — გერმანულ კოლონიებში მეტ-ნაკლებად — იცოდნენ ადგილობრივი ენები, რაც მათ პრაქტიკულად ჭირდებოდათ ადგილობრივ მოსახლეობასთან, დაქირავებულ მუშახელთან ურთიერთობისათვის. მიუხედავად დიდი კარჩაკეტილობისა და სხვა მოსახლეობასთან ძალზე მცირე კონტაქტებისა, დროთა განმავლობაში მაინც გარდუვალი აღმოჩნდა სხვა ეთნოსის ხალხთან დაახლოება. გერმანულ სასწავლებლებში ჯერ კიდევ XIX საუკუნის შუა წლებიდან უკვე მითითებულია სხვა ერის წარმომადგენელთა სწავლის ფაქტი გერმანულ სკოლებში, რაც გაგრძელდა ჩვენი საუკუნის თითქმის 30-იან წლებამდე. ეს გარემოება ხელს უწყობდა სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენელი ახალგაზრდობის დაახლოებას, რაც არაშეფასებადად ქორწინებით მთავრდებოდა. თანდათან იშლებოდა ენის ბარიერი, ხდებოდა გერმანელთა ასიმილაცია ადგილობრივ მოსახლეობასთან, მაგრამ ეს პროცესი პრაქტიკულად შეწყდა.

ამიერკავკასიაში ბერძნების ჩამოსახლება დაიწყო XVIII ს-ის II ნახევარში. ერეკლე II-მ თურქეთის სამთო მრეწველობის რაიონებიდან ჩამოასახლა ვერცხლ-ტყვიის საბადოებში სამუშაოდ ზხტალაში (დღეს ეს ტერიტორია სომხეთის ეკუთვნის). ამ ეროელი ნაკადის მოსახლეობა მძიმე პირობების გამო, თითქმის გაწყდა. შემდეგში, როდესაც საქართველო რუსეთს შეუერთდა, მეფის მთავრობამ მიიღო ზომები ოსმალეთის იმპერიიდან ქრისტიანთა ამიერკავკასიაში გადმოსახლების შესახებ (კონკრეტულად თურქეთის რაიონებიდან). ამისათვის 1810 წელს თბილისში დაარსდა საგანგებო კომიტეტი.

ბერძნების დიდი ტალღა ჩამოვიდა 1828—29 წლებში რუსეთ-თურქეთის ომის ზავის დადების შემდეგ. საქართველოში ჩამოსახლდა 100 კომლი. 1830 წელს კიდევ ჩამოვიდა 7000 სული (1025 ოჯახი), რომლებიც წალკაში დასახლდნენ[23].

ბერძენთა საქართველოში ჩამოსახლების შესახებ ალ. ყიფშიძე წერს: „ელინთა ჩამომავალი ტომი — ბერძნები ეწვია საქართველოს ადრიანეობოლის ხელშეკრულების შემდეგ, ამ საუკუნის ოცდაათ წლებში, როცა ოსმალეთიდან რუსის გამარჯვებულ ჯარს უკან გამოჰყვა დიდძალი სომხობა. ამასთანავე გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ბერძნებიც თან დაედევნა ჯარს

22 გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 116—126.

23 Народы мира, II, გვ. 424-425.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და მოადგა საქართველოს. ბერძნებმა დასაბინავებლად აირჩიეს წალკა ბორჩალოს მაზრაში, სადაც ოცდაოთხი სოფელი დაიჭირეს, ერთიც ტფილისის მაზრაში. მცირედი ნაწილი ბერძნებისა დამკვიდრდა ავრეთვე ახალქალაქის მაზრაში და ერევნის გუბერნიაში, სადაც სულ ორი სოფელია ბერძნებით დასახლებული"[24]. ტფილისში დაბინავებული ბერძნები 388 სულია", — მიუთითებს იქვე ავტორი. მისივე თქმით, ბერძნები მისდევენ ხვნა-თესვას, მესაქონლეობას და ქვის თლას. „სარწმუნოებით მართლმადიდებლები არიან, მაგრამ სამშობლო ენა სრულიად დავიწყებული აქვთ. მხოლოდ მცირეოდენმა იცოდა ბერძული, დანარჩენები კი ოსმალურად ლაპარაკობენ-ო", — აღნიშნავს ალ. ყიფშიძე.

თბილისის აღწერილობათა დავთრებში ბერძნები 1809 წელს 15 სულის რაოდენობით არიან ფიქსირებული. 1864 წ. მათი რიცხვი 119 აღწევს. 1876 წ. 417 სულია, 1879 წელს — 1238, 1922 წ. — 1257; 1926 წ. — 1402; 1930 წ. —1411; 1939 წ. — 3207; 1959 წ. — 7054, ხოლო 1970 წ. — 10. 696 სული.

ქურთები ამიერკავკასიაში ჩნდებიან XIX-ს-ის პირველ ათეულში, 1853 —1856 წლებში[25]. ამ დროს რუსეთს შეუერთდა ყარაბახის სახანო, სადაც ქურთები მომთაბარეობდნენ. XIX ს-ის დასაწყისში ქურთების რაოდენობა სომხეთში 10 733 სულს აღწევდა, საუკუნის დასასრულისათვის კი 36 198 სულს.

საქართველოში და კერძოდ თბილისში ქურთების არსებობა მინიშნებულია XIX საუკუნეშიც („Известная часть курдов проживала в Тбилисской области и Кутаисской губернии"[26]).

ქურთთა დიდი ტალღა საქართველოში შემოიჭრა პირველი მსოფლიო ომის შემდეგ წლებში. კერძოდ, როცა ლტოლვილები გამოიცვნენ ოსმალეთიდან სომხებისა და ქურთების ხოცვა-ყლეტისაგან თავის დაღწევის მიზნით.

1922 წლის აღწერილობაში ქურთები თბილისში არ ჩანან. შეიძლება იმიტომ, რომ ისინი ჯერ კიდევ დამკვიდრებულნი არ იყვნენ და არ ითვლებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობად. ანდა, ისინი შეტანილი არიან გრაფაში — სხვა ეროვნებანი. 1926 წლის აღწერილობით ქურთი მოსახლეობა უკვე ცალკე გამოყოფილი. ფიქსირებულია 458 ქურთი, 2044 იეზიდი, 1929 წლის აღწერილობით ქურთი — 614, იეზიდი — 1565, 1939 წლის აღწერით — ქურთი და იეზიდი ერთ გრაფაშია შეტანილი და მათი რიცხვი 4511 სულს აღწევს. 1959 წ. 12 935 სულია, ხოლო 1970 წელს — 18 409.

ქურთი მოსახლეობის რიცხვის ზრდა, ერთი მხრივ, გამოწვეულია შობადობის დიდი მაჩვენებლით, ხოლო, მეორე მხრივ, სომხეთში მოსახლე ქურთების დიდი რაოდენობით თბილისში ჩამოსახლებით (ეს პროცესი დღემდე გრძელდება).

ეთნოგრაფიული მასალა, რომელიც თბილისში შეგკრიბეთ ქურთ, ბერძენ და აზერბაიჯანელ მოსახლეობას შეეხება.

საერთოდ ცნობილია, რომ კომპაქტურად დასახლებული ერთი ეთნოსის ადამიანთა ჯგუფი დიდხანს ინარჩუნებს მისთვის დამახასიათებელ კულტურის ელემენტებს. უცხო გარემოში პირველ რიგში იგი განიცდის ადგილობრივი

---

24 ალ. ყ ი ფ შ ი ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 5—6.

25 Народы мира, II, გვ. 602.

26 Х. И. Чатоев, Курды советской Армении, Ереван, 1965, გვ. 12.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მატერიალური კულტურის ელემენტების გავლენას. ექვემდებარება ახალ გარემოს და თავის ყოფას თანდათანობით ამის შესაბამისად გარდაქმნის. ქალაქის პირობებში ეს გამოიხატება პირველ რიგში ჩაცმულობის, კვების, საცხოვრებლისა და მისი შიდა მოწყობილობის ცვლილებაღობაში. ყველაზე ხანგრძლივად რჩება ენა, რელიგიური კულტი, წეს-ჩვეულებები.

თბილისის ძველ უბნებში ეთნიკურად ჭრელი მოსახლეობა იყო. ამაზე თვალსაჩინოდ მიუთითებს თუნდაც ის გარემოება, რომ შაითან ბაზრის მიდამოებში, ხარფუხსა და მეტეხის უბანში წარმოდგენილია სხვადასხვა ეროვნების ხალხთა საკულტო სამლოცველოები. კერძოდ შაითან-ბაზართან არის სომხური ეკლესია — სურბგეურჭი, სინაგოგა, ორი მეჩეთი, სიონი (ქართული ეკლესია)) ბერძნული ეკლესია. მტკვარ-გადმა ავლაბარში მეტეხი — (ქართ.) და სომხური საყდრები — სურბკარაპეტი, ეჩმიაძინი, სურბმინასი: კარმრ ავეტარანი (წითელი ავეტარანი), სურბსარქისი, ასტვაწაწინი (ღვთისმშობელი). ასეთ გარემოში, ბუნებრივია, სხვადასხვა ეთნოსის ხალხთა ურთიერთგავლენა ძლიერია და ყოფის გარკვეულ სფეროებში მათ შორის ზღვარი თითქმის წაშლილია.

აქ არაფერს ვიტყვით საცხოვრებელ ნაგებობაზე. ვინაიდან თბილისში ამა თუ იმ ეთნოსისათვის დამახასიათებელ რაიმე ნიშნებს ამ მხრივ ვერ ვადგენთ. საცხოვრებლის ინტერიერი, დგამი და საერთოდ შიდამოწყობილობა განსხვავდებოდა მხოლოდ მაცხოვრებლის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობისა და გემოვნების მიხედვით.

გამონაკლისის სახით შეიძლება აღინიშნოს გერმანელთა მიერ აგებული სახლები, რომლებიც ძირითადად გერმანული არქიტექტურის ეროვნული მოტივების გათვალისწინებით იყო აგებული.

რაც შეეხება ჩაცმულობას, შემორჩენილი ცნობების მიხედვით, გერმანელი კოლონისტები გასული საუკუნის 80-იან წლებამდე ატარებდნენ „ტიპიურ შვაბურ კოსტუმს — ლურჯ ქურთუკს, რომელზედაც ორ მწკრივად იყო დაკერებული თეთრი ძვლის ღილები, მის შიგნით იცვამდნენ ფართო და გრძელ ქილეტს და ატარებდნენ ფართო და მოკლე შარვლებს. ქუდები გამორჩეოდა დიდი კოკარდით, მამაკაცები ძირითადად ხმარობდნენ ჩექმებს, ხოლო ქალები შალის წინდებსა და უხეშ ტყავის ფეხსაცმელებს. ქალებს ეცვათ მუქი ფერის გამოყვანილი გრძელი კაბები და ატარებდნენ იმავე ფერის წინსაფრებს. თავს იკრავდნენ შავი ან ფერადი აბრეშუმის თავსაფრით[27].

80-იანი წლებიდან ნაციონალური შვაბური ტანსაცმელი თანდათან გაქრა და კოლონისტები იცვამდნენ იმდროინდელ ქალაქებში გავრცელებულ ევროპულ სამუშაო და სადღესასწაულო კოსტუმს[28].

ჩაცმულობის მხრივ ქართველი და სომეხი მოქალაქეების ტანსაცმელი ერთმანეთისაგან არ განსხვავდებოდა. სხვაობა თავს იჩენდა როგორც პროფესიის, ისე წოდებრივი ნიშნის მიხედვით XIX და XX ს-ის 20-იან წლებამდე (თავად-აზნაურობას და ვაჭარ-ხელოსანთა კოსტუმები, ყარაჩოღელთა და კინტების ჩაცმულობა და ა. შ.). ადგილობრივ, ნაციონალურ კოსტუმს ჯერ თანდათან შეეპარა ევროპიდან შემოტანილი მოდის გავლენა, შემდეგ კი თანდათან ამოაგდო ნაციონალური ჩასაცმელი ხმარებიდან.

---

27 გ. მ ა ნ ჯ გ ა ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 139.

28 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თბილისში მოსახლე სხვადასხვა ხალხთა კოსტუმებიდან. ყველაზე ხანგრძლივად ქალაქის პირობებში თავი შემოინახა ქართი ქალის ჩაცმულობამ.

ქართების ყოფაში, როგორც ამას ეთნოგრაფიული მასალა იუწყება. პირველ რიგში მამაკაცის ჩაცმულობა შეიცვალა. იგი სწრაფად შეეგება ადგილობრივს, ქალაქურსა და ნაციონალური ელემენტებიდან მასში არაფერი დარჩა.

განსხვავებით მამაკაცის კოსტუმისაგან. ქალის კოსტუმი უფრო სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა. მოხუცებულ ქართ ქალებს დღევანდლამდე აცვიათ მამა-პაპური სამოსი, თუმცა გარკვეულად სახეცვლილი. ძველი ქართული კოსტუმის ბევრი ელემენტი დაკარგულია (თავსამკაული „კოფი", შარვალი, შემკულობის ელემენტები, ცხვირზე — ყარამფილი, ფეხზე — ხზეგ, სარტყელი და ა. შ.). მაგრამ გვიანობამდე შემონახული ჩაცმულობის ერი მაინც ქართველია. 60—70-იან წლებამდე ქალები ამ კოსტუმებს იცვამდნენ ქორწილებსა და სხვა სახალხო დღესასწაულების დროს. მაგრამ ქართული ჩაცმულობის გაქრობა გარდაუვალი იყო ცივილიზებული ქალაქის პირობებში. მთხრობელთაგე თქმით, ქართულ ჩაცმულობას ქალაქში პრაქტიკული გამართლება არ ჰქონდა მარტო იმიტომ კი არა, რომ იგი არ ეხამება გარემოს, რომ ახალგაზრდებს არ სურს სხვებისაგან გამოირჩეოდნენ, არამედ იმიტომაც, რომ, კოსტუმი, რომელიც ქართთა თავდაპირველი ქვეყნის კლიმატურ-გეოგრაფიულ პირობებს, მომთაბარეობის მოთხოვნილებას პასუხობდა, ქალაქისათვის სრულიად გამოუსადეგარი აღმოჩნდა. საერთო გარემოს ზეგავლენით ისე შეიცვალა მისი თითქმის ყოველი ელემენტი, რომ ერის გარდა მასში ტრადიციული აღარაფერი დარჩა, ბოლოს კი სრულიად გაქრა.

ყველაზე ძლიერად და სწრაფად ურთიერთგავლენა სხვადასხვა ეთნოსის ხალხთა შორის იგრძნობა კვების მხრივ. მაგალითად, ქართების საკვები ძირითადად მარცვლეულზე დამზადებული კერძები იყო, მოხალული და მოხარშული „ლაფშა", ცხვრის ხორცი, სასმელად შარბათი და ტკბილი. ყველაფერი ეს ყოფაში შემორჩა. მაგრამ ქართის სუფრას შეემატა მეზობლებისაგან ათვისებული. როგორც ქართული, ისე სხვა ხალხთა კერძები, ევროპული საჭმელები. დღევანდელ სადღესასწაულო სუფრას ქართებში, ვერ გაარჩევთ რიგითი თბილისელის სუფრისაგან.

საყურადღებოა, რომ თბილისის ძველ მოსახლეობაში ავლაბარში, სადაც ძირითადად სომხები ცხოვრობენ, ნაკლებად შეაღწია დასავლურმა ნიგზიანმა საჭმელმა.

მათი ტრადიციული კერძები: ტოლმა, ქუფთა, ფლავი, შემწვარი, მწვადი, თევზეული, ჩადებული მუჟეჟი. როგორც მთხრობლები გადმოგვცემენ, „საცივი და ტყემალი არ იცოდნენ", არც ნიგოზით შეზავებული ფხალეული.

პროდუქტთა ერთგვაროობა, საერთო სახლებში მეზობლური ურთიერთობა, შერეული ქორწინება, ის ფაქტორებია, რომლებიც განაპირობებს თითოეული ეთნოსის წარმომადგენელთა სამზარეულოს შეცვლა-გამდიდრებას.

სხვადასხვა ეროვნების ხალხთა კულტურულ სიახლოვეს, მათ ურთიერთშერწყმას და ასიმილაციას ხელს უწყობს შერეული ქორწინება, რომელიც ფეხმოკიდებული იყო თბილისის მოსახლეობაში.

როგორც აღვნიშნეთ, არა ქართველებიდან ყველაზე მრავალრიცხოვანი და ძველი მოსახლეობა თბილისში სომხები იყვნენ. ისინი კომპაქტურად ძველ ისანში (ავლაბარში) ცხოვრობდნენ. ზემოთ მოვიტანეთ ცნობები იმის შესახებ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ როგორი მტკიცე კონტაქტი არსებობდა სომხებსა და ქართველებს შორის ძველთაგანვე. რომ გასომხებული ქართველები და გაქართველებული სომხები საერთო ინტერესებით ცხოვრობდნენ. ქართველებსა და სომხებს შორის ქორწინება ჩვეულებრივი ამბავი იყო. თუმცა ქართველებიც და სომხებიც ამჯობინებდნენ თავიანთი ეროვნების წარმომადგენელზე დაქორწინებას. საერთოდ თუ რელიგიური ფაქტორი არ ეღობებოდა წინ, ერთი სარწმუნოების მქონე ხალხს შორის დაქორწინება დიდ წინააღმდეგობას არ ხვდებოდა.

ავლაბრელ არევაჰატ ხაჩატურის ასულ. ნურაჯიანის (79 წლის) თქმით, ავლაბარში სომხები ცხოვრობდნენ და სარძლო სხვაგან არ იყო საძებარი. თვითონ მისი ბებია ქართველი იყო, მამა სომეხი. მისი ექვსი ვაჟი სომხებზე არიან დაქორწინებული. შვილიშვილს რუსის ქალი ჰყავს ცოლად.

ავლაბარშივე ბცხოვრებ ვარსენიკ მიხეილის ასულ პოღოსოვს (90 წლ.), რომელიც გორის რაიონის სოფ. ახრისიდან არის, გვარად ვატიაშვილი, დედა სომეხი ჰყავდა. თვითონაც სომეხზე გათხოვდა. მისი ერთი ძმა გასომხდა, გვარი ვატიანად გადაიკეთა და სომეხი ქალი შეირთო. მეორე ძმა ვატიაშვილად ეწერებოდა. მისმა შვილებმა სომხები შეირთეს და გასომხდნენ, ქალიშვილებიც სომხებზე გათხოვდნენ.

ხშირი იყო ქორწინება ბერძნებსა და ქართველებს, ბერძნებსა და სომხებს შორის. მაგალითად, ხარფუხში მცხოვრებ ბერძენ მიხეილ ესტატეს ძე სიდოროპულს (78 წ.) მეუღლე ქართველია. მისი დები გარდა ორისა, ბერძნებზე არიან გათხოვილი, ორი დიდან კი ერთი სომეხზე, ხოლო მეორე თათარზე.

მაჰმადიანთა და ქრისტიანთა, იეზიდთა და ებრაელთათვის დღემდე სასურველი არ არის ერთმანეთთან დამოყვრება. ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩევიან ქურთები. რომელთაც შეძლეს ქალაქის პირობებში საკუთარი ეთნიკური სახის შედარებით სრულყოფილად დაცვა.

ქურთი მთხრობელის თქმით, სხვა ეროვნებაზე რომ გათხოვდეს ქურთი ქალი, მის დებს სახელი უტყდებათ და აღარავინ ირთავს. შედარებით მეტი შემთხვევებია ვაჟების დაქორწინებისა არაქურთებზე, მაგრამ დიდი წინააღმდეგობის გადალახვის შედეგად. არც ტრადიციულ ქორწილს უმართავენ („ეგლა მაკლია რუსი ქალი მოიყვანოს და მე იმას ფულები ვაძლი-ო"). არაქურთზე დაქორწინების ფაქტები ბოლო დროის ამბავია. ისინი თავიანთ ერთობას ამტკიცებდნენ, ეროვნულ სახეს ინარჩუნებდნენ მხოლოდ ერთმანეთზე დაქორწინებითაც.

ქალაქის პირობებში ერთ უბანში მეზობლად ცხოვრება, სასწავლებელში თუ სამუშაო ადგილზე ურთიერთ კონტაქტი ის ძალა იყო, რომელიც ტრადიციული ჩარჩოების გადალახვას უწყობდა ხელს და სხვადასხვა ეთნოსის ახალგაზრდებს ოჯახის შექმნისაკენ უბიძგებდა.

თქმა იმისა, რომ ეს ბარიერი დღეგანდელ დღეს მოშლილია, არ შეიძლება, ვინაიდან სწრაფვა ეთნიკური ერთობის, განსაკუთრებით გამოიკვეთა ბოლო წლების მანძილზე.

სხვადასხვა ხალხთა კულტურულ ურთიერთობას გარკვეულად განაპირობებს ახალგაზრდობის ერთად სწავლის ფაქტორი. მოსახლეობაში შეკრებილმა მასალამ აჩვენა, რომ თბილისელი ახალგაზრდობა სწავლობდა და სწავლობს ან თავიანთ ნაციონალურ სკოლებში (ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, ადრე გერმანული), ან რუსულ და ნაკლებად არამშობლიურ ენაზე — ქართულ ან სომხურ სკოლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასწავლებელში შესვლას განსაზღვრავს, როგორც მშობლების სურვილი, ისე ტერიტორიული სიახლოვე სკოლისა. მაგალითად ორთაჭალაში მცხოვრები ქურთები სომხურ სკოლებში შედიან, ვაკეში მცხოვრებლები — ქართულში. 50-იან წლებამდე უფრო ქართულ სკოლებს ეტანებოდნენ. აქამამდე ორიენტაცია რუსულ ენაზე განათლების მიღებისაკენაა.

მიუხედავად იმისა, რომ სომხებს მჭიდრო, კულტურულ-ისტორიული კონტაქტი ჰქონდათ ქართველებთან, ქორწინდებოდნენ ერთმანეთზე. ენობრივად მათ შორის დაბრკოლება არ არსებობდა, — ერთმანეთის ენებს ფლობდნენ და გამიჯვნის ტენდენცია ნაკლებ იგრძნობოდა. დღეს ასწავლიან რა თავიანთ შვილებს რუსულ სკოლებში, თანდათან სცილდებიან ქართულ მოსახლეობას.

ამასთან ერთად, ვინაიდან თბილისში ქართული მოსახლეობის რიცხვი გაიზარდა ძირითადად დასავლეთ საქართველოდან ჩამოსულთა ხარჯზე, რომელთაც არა აქვთ სომხებთან თანაცხოვრების ტრადიცია, ყოფის სფეროში თანდათან ემიჯნებიან მათ.

რომ დღეს ორიენტაცია რუსული სკოლებისკენ არის, ამის ნათელი დადასტურებაა თბილისში სომხური სკოლების შემცირება მოსწავლეთა კონტიგენტის სიმცირის გამო.

ის ვინც თბილისში სომხურ ან აზერბაიჯანულ ენებზე იღებს განათლებას, სომხეთისაა და აზერბაიჯანის უმაღლეს სასწავლებლებისაკენ მიიწევს იქვე ეწყობა სამუშაოზე, ხშირ შემთხვევაში ოჯახდება და ფაქტიურად იქაურ მოქალაქედ იქცევა. რუსულ სკოლა დამთავრებული ახალგაზრდობა კი რუსეთისაკენ ილტვის და მას ეროვნული ძაფები ნაკლებ აკავებს. ეს გარემოება ეხება ქართველ და არაქართველ თბილისელებს.

ხანდაზმული მთხრობლები მომსწრე არიან ქართველებისა და სომხების ერთად სწავლისა, სომხურ ან ქართულ სკოლებში. დღეს ეს ტენდენცია ნაკლებ შეინიშნება. მაგრამ დასტურდება ფაქტები, რომელიც თბილისელ მოქალაქეთა ინტერნაციონალურ ბუნებას ამჟღავნებს. უნდა აღინიშნოს, რომ ძველი თბილისის მცხოვრებნი თავისუფლად ფლობდნენ და ფლობენ რამდენიმე ენას. ქართული, რუსული, სომხური, აზერბაიჯანული, თითქმის უმრავლესობამ იცის. ეს უადგილებს მათ — სხვადასხვა ენაზე განათლების მიიღებას. მაგალითად, აბანოების უბანში მცხოვრებ ქურთ ხამე რაშოევას 7 შვილი ჰყავს, 4 ვაჟი და სამი ქალი. გოგონები აზერბაიჯანულ სკოლაში სწავლობენ. უფროსი ვაჟი ქართულში, დანარჩენი სამი — სომხურში. მაგრამ ასეთი ფაქტი გამონაკლისია, პრაქტიკული ინტერესებიდან გამომდინარე, მშობლები. როგორც წესი ცდილობენ შვილები რუსულ სკოლებში აღზარდონ.

ერთ-ერთი არსებითი გარემოება, რაც თბილისში მცხოვრებ სხვადასხვა ეთნოსის წარმომადგენლებს ეროვნულ ნიშანსა და თვითშეგნებას უნარჩუნებს, არის სარწმუნოებრივი ფაქტორი. გასული საუკუნის მასალებიდა და ჩვენი დროის მონაცემებით, თბილისელი სომხები, რომლებიც მეტად ახლოს იდგნენ ქართველებთან, რომელთა ენა და დამწერლობა ქართული იყო. სომხურ ეკლესიებში ლოცულობდნენ, სადაც ღვთისმსახურება სომხურ ენაზე მიდიოდა, ჰქონდათ თავიანთი სასაფლაო, ასრულებდნენ ტრადიციულ რელიგიურ წესებს. თავიანთი სარწმუნოებას არ ღალატობდნენ ებრაელები, მაჰმადიანები, ქურთები, ქართველები, რუსები და სხვა ქრისტიანი ხალხები.

ქართველებს, სომხებს, რუსებს, ბერძნებს, გერმანელებს საკუთარი ეკლესიები ჰქონდათ. ებრაელები სინაგოგაში ლოცულობდნენ, აზერბაიჯანელები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩეთში. ქურთები საკუთარ ოჯახებში ასრულებდნენ სათანადო რიტუალებს და ა. შ.

მიუხედავად ამისა, ძველი თბილისელები სალოცავად დადიოდნენ თბილისის საერთო ქართულ ეკლესია-საყდრებში — სიონში, ქაშვეთში, მამადავითზე, თელეთში, წმ. ბარბარეში. ეს სალოცავები საერთო, სათბილისო იყო, თბილისის მკვიდრთა მფარველად მიჩნეული განურჩევლად ეროვნებისა.

. თუ პირველ შემთხვევაში ეროვნულ-სარწმუნოებრივი ფაქტორია გადამწყვეტი, როცა ცალკეულ ეთნოსს თავისი საკუთარი საკულტო ობიექტი აქვს, მეორე შემთხვევაში ტერიტორიული პრინციპი მოქმედებს, რასაც ერთვის ღვთაებათა ფუნქციის ნიშანი (მაგ., ბარბარეში სალოცავად ყველა თვალმტკივანი მიდის, გიდდ ქართველი იყოს, გინდა სომეხი). ჩვენ საშუალება მოგვეცა 1982 წ. თბილისში მამადავითობას დავსწრებოდით. ეს იყო სხვადასხვა ეროვნების თბილისელთა საერთო დღეობა. თუმცა წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე მიდიოდა, მაგრამ აქ იყვნენ ქართველები, სომხები, რუსები, ქურთები და სხვ. წარმოუდგენელი ხალხმრავლობა და ეროვნული სიჭრელე იყო. დღესასწაული ინტერნაციონალური იერით მიმდინარეობდა. ეს გარემოება იმაზედაც მიუთითებს, რომ ეროვნული სხვაობის მიუხედავად თბილისელებს აქვთ საერთო, გაძაერთიანებელი ნიშან-თვისებები, ხასიათი და ინტერესები.

ჩვენ აქ არაფერს ვიტყვით, თუ როგორ ვლინდება ეს ერთობა სულიერი კულტურის სხვა სფეროებში — მუსიკაში, ზოგად რელიგიურ შეხედულებებში, ხალხურ მედიცინაში და ა. შ.

ხალხში შეკრებილმა მასალამ გამოავლინა მოსახლეობის ინტერესი ეთნიკური ერთობის შენარჩუნებისა, მაგრამ ცხოვრების ხასიათი, პრაქტიკული მახასწრაფვა, რუსული ენისა და კულტურისაკენ ლტოლვა, ერთგვარად არღვევს ამ ერთიანობის განმსაზღვრელ პირობებს.

თანამედროვე ეტაპზე თბილისში მცხოვრები ეთნიკური ჯგუფები — სომხები, ქართველები, ქურთები და ა. შ. თავიანთი ეროვნული ხასიათის დაცვის სწრაფვას ამყარებენ. მაგრამ მათი ყოფა თანდათან იცვლება ურთიერთგავლენის წყალობით, ცხოვრების თანამედროვე წესის მიზეზით.

Т. А. ОЧИАУРИ

ЭТНИЧЕСКИЕ ПРОЦЕССЫ В Г. ТБИЛИСИ

Резюме

В статье на основе этнографического материала, а также по данным специальной литературы и источников, изучен вопрос о поселении в Грузии и, в частности, в г. Тбилиси народов разных национальностей. Показан процесс взаимовлияния различных этнических культур, рассмотрены факты как исчезновения отдельных традиционных элементов, так и закономерного обогащения культурного наследия того или иного народа. Внимание уделено вопросам интернационального сосуществования населения города, а также тенденция сохранения национального самосознания.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს სულიერი კულტურის ეთნოგრაფიული შესწავლის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევან ურუშაძე

ქართველთა ეთნიკური წარმომავლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის ზოგიერთი საკითხი თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში

თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობანი ასახულია როგორც ქართულ, ისე თურქულ ისტორიულ წერილობით წყაროებში. ოსმალო ავტორთაგან მწერლებს ამ მხრივ არც თანამედროვე თურქული ისტორიოგრაფია ჩამორჩება. თანამედროვე თურქი ისტორიკოსების ნაშრომები ჩვენთვის საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ისინი ფართოდ იყენებენ თურქეთის სიძველეთსაცავებსა და წიგნთსაცავებში დაცულ, ჩვენთვის უცნობ და ხელმიუწვდომელ წყაროებს, რომელთა თანამედროვე თურქულ ენაზე თარგმნით და შესწავლით დიდ სამსახურს უწევენ ქართველ მკვლევარ-ისტორიკოსებს. თურქი ისტორიკოსების გამოკვლევებში არცთუ იშვიათად ვხვდებით საინტერესო მოსაზრებებს ორი ქვეყნის ურთიერთობათა ისტორიის პრობლემატურ საკითხებზე, მაგრამ, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ, სამწუხაროდ, თურქი სწავლულები ზოგჯერ ტენდენციურად მაკერძოებით განიხილავენ საქართველოს წარსულის მოვლენებს, იძლევიან წერილობითი ისტორიული ძეგლების მონაცემების არასწორ ინტერპრეტაციას. მათ შრომებში ვხვდებით ისტორიზმის პრინციპების უხეში დარღვევის შემთხვევებსაც.

იმ საკითხთა შორის, რომლებიც განხილულია XX საუკუნის თურქულ ისტორიოგრაფიულ ნაშრომებში, აღსანიშნავია ქართველთა ეთნიკური წარმომავლობისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ყოფის საკითხი. სწორედ მის ირგვლივ დაშვებული შეცდომების გამომჟღავნებასა და განხილვას ეძღვნება წინამდებარე ნაშრომი. კერძოდ, ჩვენი კვლევის საგანია წამყვანი თურქი ისტორიკოსების ფაჰრედდინ ქირზიოღლუს, არინ ენგინის, ისმაილ ბერკოკის, შამსედდინ გიუნალთაის და ჯ. გოქჩის ზოგიერთი თხზულება.

დასახელებულ ავტორთა შორის შესასწავლ საკითხს განსაკუთრებით ინტენსიურად იკვლევს ფაჰრედდინ ქირზიოღლუ[1]. საისტორიო ძეგლების ცნობათა არასწორი ინტერპრეტაციის საფუძველზე მის გამოკვლევებში გამოთქმულია რიგი ტენდენციური, მეცნიერულად მიუღებელი მოსაზრება. საერთოდ, ამ ავტორის ნაშრომები ცნობილია ჩვენი საისტორიო მეცნიერებისათვის, მა-

---

[1] F. Kirzioğlu, Kars tarihi, Istanbul, 1953; მისივე. Her bakımindan Türk olan Kürtler, Ankara, 1964; მისივე. Lazlar || Çanarlar, VIı Türk Tarih kongresi—1970, Ankara, 1972, გვ. 420—445; მისივე. Osman ılıarın Kafkas—Ellerini fethi (1451—1590). Ankara, 1976; მისივე, Dağistan—Aras—Dicle—Altay ve Türkistan Türk Boylarindan Kürtler, Ankara, 1984.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თი მონაცემები განხილულია ნ. შენგელიას, ც. ამბულაძის, მ. სვანიძის, თ. ბერაძის და სხვათა გამოკვლევებში[2].

როგორც ირკვევა, ფ. ქიზიოღლუ ქართული წყაროებიდან იცნობს და იყენებს მხოლოდ და მხოლოდ მარი ბროსესეულ ფრანგულ თარგმანებს[3] (დაახლოებით ივივე შეიძლება ითქვას მთლიანად, თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაზე). ოსმალური წყაროებიდან ავტორი ამ და სხვა შემთხვევებში უხვად იყენებს «Kıvamı»-ს ქრონიკისა და «Mühimme»-ს დავთრის[4] მონაცემებს, „დედე ქორქუთის“ ეპოსს, ოსმალო ჟამთაღმწერელთა ცალკეულ ისტორიულ თხზულებებს.

თურქი ავტორი აღნიშნავს, რომ 1267 წლიდან სამცხე-საათაბაგოს განაგებდა ჩაღათაურ-ყივჩაღური მოდგმის თურქული ტომის ჩამომავალი „ათაბაგების“ დინასტია. ივივეს ამბობს იგი სამცხის მთელ მოსახლეობაზე[5].

ამ საკითხთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს შემდეგი: „სერაპინ ზარზმელის ცხოვრების“[6] მიხედვით, სამცხის დიდი მთავრის გიორგი ჩორჩანელის გარდაცვალების შემდეგ, მისი ანდერძისამებრ, სამცხე გადავიდა მისი დის, ლატაგრას და ამ უკანასკნელის მეუღლის, — მეორე დიდი ფეოდალის, „მთავრად“ წოდებულის მრიანის (ე. წ. ბაჰლაუნდიანთა, ბაჰლაუნდების ქართული ფეოდალური საგვარეულოს ერთ-ერთი უკანასკნელი წარმომადგენელი) ძეთა ხელთ. ეს მოხდა ქართველ ისტორიკოსთა ერთი ნაწილის (ივ. ჯავახიშვილი, ე. თაყაიშვილი, ნ. ვაჩნაძე და სხვ.) ვარაუდით IX ასწლეულში[7], ხოლო, მეორე ნაწილის (ბ. ინგოროყვა, ა. ბოგვერაძე და სხვ.) აზრით, — VIII საუკუნეში[8]. რაც შეეხება ჩორჩანელთა გვარს, იგი გეოგრაფიულ ერთეულს,

---

2 ნ. შენგელია, კ. ჩიჩელაშვილი, თურქი ისტორიკოსის ფაჰრ ად-დინ ქირზაღლუს „ყარსის ისტორია“, — მაცნე, ისტორიის სერია, თბ., 1976, № 1; ც. ამბულაძე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს XVI საუკინის I მეოთხედის ისტორიისათვის, თბ., 1983; Т. Берадзе, Мореходство и морская торговля в Грузии, автореферат докт. диссертации, Тб., 1986.

3 Chronique georgienne, traduite par M. Brosset, Paris, 1831.

4 „ კ ი ვ ა მ ი“ გამოცემულია, თუმცა იგი ხელმიუწვდომელია ქართველ მკვლევართათვის (იხ. Kıvamı: Fetihname-i Sultan Mehmed. Hazirliyan F. Babinger, Istanbul, 1955). „ეუბიმე დავთარი“ მნიშვნელოვანი ბრძანებების წიგნია. მასში თავმოყრილია სულთნის მიერ გაცემული ყველა საყურადღებო სიგელი, რომელიც არც პეტიციას შეიცავს და არც ფისკალურ საქმეებს., ამ დავთრის შედგენა დაწყებულა 1553 წელს და შეუწყვეტიათ 1869 წელს. არსებობს 263 დავთარი, რომელშიც შესულია 2000. 000-მდე სასულთნო სიგელი (იხ.: ც. ამბულაძე, ოსმალური სიგელები ირუსალიმისა და სინას ქართული კოლონიის ისტორიისათვის, — მაცნე, ისტორიის სერია, 1987, № 1).

5 F. Kirzioğlu, Osmanlilarin Kafkas—Ellerini fethi, გვ. 85—88.

6 ცხოვრებაჲ და მოქალქეობაჲ ღმერთ-შემოსილისა ნეტარისა მამისა ჩუენისაჲ სერაპიონისი. — ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I. თბ., 1964, გვ. 339.

7 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თხზულებანი თორმეტ ტომად, ტ. II, თბ., 1983, გვ. 311; ნ. ვაჩნაძე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 27—30.

8 ა. ბოგვერაძე, ისევ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრების“ თარიღის გამო. — კრ.: საქართველოს ფეოდალური ხანის ისტორიის საკითხები, V, თბ., 1986, გვ. 45—55.

9 ნ. შოშიაშვილი, ჩორჩანელები, — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. XI, 1987, გვ. 149.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩორჩანს უკავშირდება[9]. გიორგის სიძე მირიანი იყო ძე ბეშქენ ბაჰლაუნდისა, რომელიც, თავის მხრივ, გახლდათ ვაჟი იოანესი[10].

მირიანის ვაჟებმა — სულამ, ბეშქენმა და ლაკლაკმა დასაბამი მისცეს ახალ საგვარეულოებს: სულამ ახალ ჩორჩანელთა შტოს, ბეშქენმა — ჯაყელებს, ლაკლაკმა კი ლაკლაკთა გვარს[11], რომელიც დაკავშირებული უნდა იყოს გეოგრაფიულ პუნქტ-ლაკლაკეთთან (ამჟამად შუახევის რაიონი). ამდენად, ჩორჩანელთა და ბაჰლაუნდიანთა ძველი ქართული გვარებიდან წარმოსდგა XI საუკუნეში ჯაყელების შტო, რომელიც XIV—XVI საუკუნეებში სამცხე-საათაბაგოს განაგებდა. მკვლევართა აზრით, ამ გვარს საფუძვლად დაედო სამხრეთ საქართველოში მდებარე ჯაყის ციხე-სიმაგრის (ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზეა) სახელწოდება[12]. სამცხის ხსენებულ დიდებულთა შესახებ ქართული ისტორიული წყაროების მონაცემების სისწორე გაზიარებულია თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაშიც. ჯაყელთა საგვარეულოს წარმომავლობის გარკვევის ცდა მოცემულია ავრეთვე იაპონელი ქართველოლოგის სეიჩი კიტაგავას გამოკვლევებში, რომლებშიც ავტორი იზიარებს ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ ხსენებულ მოსაზრებას[13].

რაც შეეხება ყივჩაღებს, მათი პირვანდელი საცხოვრებელი მდ. ვოლგის აღმოსავლეთ სანაპირო ზოლი იყო. შავიზღვისპირეთში ისინი მხოლოდ XI საუკუნეში აღმოჩნდნენ. ამავე საუკუნის დამლევიდან ამ ტომებში დაშლა იწყო პირველყოფილმა თემურმა წყობილებამ, თუმც. გვაროვნული წყობის გადმონაშთები მათში ამის შემდეგაც კარგა ხანს იყო შენარჩუნებული[14]. ისინი გამოირჩეოდნენ სიმამაცით და ბრძოლისუნარიანობით, რამაც განაპირობა საქართველოში მათი ჩამოსახლება XII საუკუნის დამდეგს (1118—1119 წწ.) და ეს, როგორც ცნობილია, დავით IV აღმაშენებლის სახელს უკავშირდება[15]. ამრიგად, ზემოთქმულიდან გამომდინარე, ეჭვგარეშეა, რომ ამ თურქულენოვან ტომსა და სამცხის ათაბაგებს — ჯაყელებს შორის არ შეიძლებოდა ყოფილიყო რაიმე ნათესაური (ეთნიკური) კავშირი. მით უმეტეს, რომ ჩვენს ტერიტორიაზე ყივჩაღთა კვალი არ შემორჩენილა არც ისტორიულ წყაროებსა და არც ტოპონიმიკაში[16]. ეს გარკვეულწილად განაპირობა ყივჩაღთა სწრაფი გაქართველების პროცესმა[17].

---

10 ცხოვრებაჲ და მოქალაქეობაჲ... სერგეევნისი, გვ. 339.

11 ქ. შარაშიძე, სამხრეთ საქართველოს ისტორიის მასალები, თბ., 1961; დ. კლდიაშვილი, ჯაყელთა ფეოდალური საგვარეულოს ისტორიისათვის, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1980, ტ. 98, № 2.

12 ს. ჯიქია, ტურჯოლანის ვილაიეთის დიდი დავთარი, ტ. III, თბ., 1958.

13 ნ. გაბაშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები იაპონელი მეცნიერის სეიჩი კიტაგავას შრომებში. — მნათობი, 1987, № 6; S. Kitagawa, The Il-khanids 'Rule oder South-western Georgia the Establishment of Samtskhe-Saatabago, Shi —HO, 1977, № 7.

14 С. А. Плетнева, Печенеги, тюрки и половцы в южнорусских степях. — Материалы и исследования по археологии СССР, 1958, вып. 62.

15 ქ. ჩხატარაიშვილი, ეტიოელები XII ს. საქართველოს ლაშქრში, — კრ.: საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 167.

16 იქვე, გვ. 167.

17 მათი უმეტესობა ჩასახლეს სომხეთში (იხ: С. Еремян, Агарцинская надпись 1184 г.—Исследования по истории культуры народов Востока, 1960, გვ. 183).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფ. ქირზიოღლუ აფხაზეთის გამგებელთა, შერვაშიძეების საგვარეულოს თურქი შედადიანების ჩამომავლად აცხადებს[18]. ცნობილია, რომ შერვაშიძეები, კერძოდ, ცხუმის ერისთავი ოთაღო შერვაშიძე ქართულ წერილობით წყაროებში პირველად მოიხსენიება XIII საუკუნეში, — „ისტორიანი და აზმანნი“ მას თამარის დროინდელ ერთ-ერთ დიდ ფეოდალად მოიხსენიებს[19]. ჟამთაღმწერლის „ასწლოვან მატიანეში“ ვხვდებით აფხაზთა მხედართმთავარს დარდინ შარვაშიძის ძეს[20]. გადმოცემის თანახმად, ეს გვარი შირვანშაჰებისაგან იღებს სათავეს. მაგრამ ეს ლეგენდა არ უნდა შეესაბამებოდეს ჭეშმარიტებას. აფხაზეთში შარვაშიძის შესატყვისია ჩაჩბა., აქ გავრცელებული გადმოცემა გვაუწყებს, რომ შარვაშიძეებამდე აფხაზეთს მართავდნენ აჩბები (დღევანდელი ანჩაბაძე)[21]. საფუძვლებელია, რომ, შირვანშაჰთან ნათესაობის ეკრძნობა, მაგრამ საკუთარი საჭიროებისამებრ ასხვაფერებს მას ფ. ქირზიოღლუ. შედადიანები, რომლებსაც ავტორი შირვანშაჰების ნაცვლად ასახელებს. არიან არა თურქული, არამედ ქურთული მოდგმისანი. ეს დინასტია არსებობდა 951—1199 წლებში არანსა და სომხეთში[22]. ფ. ქირზიოღლუ საერთოდ ქურთებს თურქებად მიიჩნევს, რაც უფრო მიზანდასახულ პოლიტიკურ ხასიათს ატარებს, ვიდრე მეცნიერულს. ქურთებისა და მათი წარმომავლობის შესახებ არსებული გამოკვლევების მონაცემები ნათელყოფს თურქი სწავლულის მოსაზრების სრულ უსაფუძვლობას.

იგივე ავტორი ოდითვანვე თურქულ ტერიტორიად აცხადებს არტაანს და თან დასძენს, რომ ქართველები უმართებულოდ და ბრმად აცხადებენ პრეტენზიას ამ ოლქზე[24].

არტაანი ლეონტი მროველის თხზულებაში ქაჯთა ქალაქის სახელწოდებითაც იხსენიება. გვხვდება მესამე სახელიც — ჰური. იმავე ავტორის ცნობით ფარნასაზ I-ის მიერ ძვ. წ. III საუკუნეში შექმნილი წუნდის საერისთავო კოლა-არტაანისა და ჯავახეთისაგან შედგებოდა[25]. ახ. წ. V საუკუნეში აქ კათედრა დაიარსა ვახტანგ გორგასალმა. მომდევნო საუკუნეებში არტაანი საერისთავოს წარმოადგენდა. XII ს.-დან კი იგი სამცხე-საათაბაგოს შემადგენლობაში შედიდა[26]. თურქებმა ეს მხარე მიიტაცეს 1551 წლისათვის[27].

იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ძვ. წ. 665 წლის ლაშქრობის შემდეგ სკვითები ამიერკავკასიის რიგ ოლქში დარჩნენ (ავტორი სპარსულენოვან სკვი-

---

18 F. Kirzioğlu. Osmanlıların Kafkas-Ellerini fethi, გვ. 3.

19 ისტორიანი და აზმანნი. ქართლის ცხოვრება, ტ. II, თბ., 1959, გვ. 33—34.

20 ჟამთაღმწერელი. ასწლოვანი მატიანე, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რ. კიკნაძემ, თბ., 1987, გვ. 75, 77.

21 З. В. Анчабадзе. Из истории средневековой Абхазии, Сухуми, 1959.

22 შედადიანები, — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, თბ., 1985, გვ. 699.

23 ა. მენთეშაშვილი, ახლო აღმოსავლეთის ქურთების ისტორიის საკითხები, თბ., 1978, გვ. 7—9; ქურთები, — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 10, გვ. 575—576.

24 F. Kirzioğlu, Kars tarihi, Istanbul, 1953, გვ. 111.

25 ლეონტი მროველი, ცხოვრება მეფეთა, — ქართლის ცხოვრება, ტ. I, 1955 გვ. 10.

26 მ. ლორთქიფანიძე. საქართველოს საგარეო და შინაპოლიტიკური ვითარება XII-ს II მეოთხედიდან 80-ანი წლების დასაწყისამდე. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 28; ბ. ლომინაძე. ბრძოლებთან დაზვავება, იქვე, გვ. 550, მ ი ი ი ვ, სამცხის სამთავრო XIII ს. II ნახევარში, იქვე, გვ. 599.

27 ც. ა ბ ულ ა ძ ე, თურქული წყაროები სამცხე-საათაბაგოს XVI ს. I მეოთხედის ისტორიისათვის, გვ. 66.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თებს არასწორად თურქული მოდგმის ხალხად წარმოგვიდგენს) და ბევრი მათგანის ტოპონიმიკას ღრმა კვალი დაჩნიეს. ფ. ქორზიოღლუ უსაფუძვლოდ უკავშირებს ერთმანეთს „გუგარქს“ (ოგივე „გოგარენი“) და სკვითურ ტომებს. ამასთან, ქართულ-ბიზანტიურ-სომხური წერილობითი ისტორიული წყაროების მონაცემების უცოდინარობით მიუთითებს, რომ „გუგარქი“ და „კახეთი“ ერთი და იმავე ოლქის აღმნიშვნელი ტერმინებია[28], რითაც კახეთსაც სკვითურ, აქედან გამომდინარე კი, მისი „თეორიის“ თანახმად, პროტოთურქულ ელემენტს უნათესავებს. ეს კი, როგორც გეოგრაფიული, ისე საენთომეცნიერო მონაცემების გაყალბებაა. ისტორიული სინამდვილე სრულიად საწინააღმდეგოს ღაღადებს. „გუგარეთი“ (სომხური „გუგარქი“, ბერძნული „გოგარენე“) ქვემო ქართლის აღმნიშვნელი ტერმინია. გოგარენეს სახელწოდებით გუგარეთი მოიხსენიება სტრაბონის თხზულებაში[29]. პტოლემაოსი ამ გეოგრაფიულ ერთეულს „ტოსარენეს“ უწოდებს, ხოლო სტეფანე ბიზანტიელი კი „ობარენეს“[30].

სტრაბონი ამ მხარეს სომეხთა სამეფოს შემადგენლობაში წარმოგვიდგენს. ვ. სენ-მარტენს მოჰყავს რა ეს ადგილი სტრაბონის „გეოგრაფიისა“, დასძენს, რომ ეს ტერიტორია ოდითგანვე ქართველობით იყო დასახლებული, მისი მმართველები ქართლის პიტიახშები იყვნენ და სასულიერო ხაზითაც მისი მცხოვრებნი ქართლის პატრიარქს ექვემდებარებოდნენ[31].

მ. ბროსეს მიხედვით გუგარეთი ქართლის ტერიტორიის ნაწილი იყო[32].

ამ საკითხს დ. ბაქრაძე იკვლევდა. მას მიაჩნდა რომ სომხებმა გარკვეული დროის მანძილზე შეძლეს ქართველთა კუთვნილი გუგარეთის მიმტკიცება. მკვლევარი დასძენს, რომ ეს ოლქი მოიცავდა სამშვილდეს, კლარჯეთს, ხუნანს, ჯავახეთს, არტაანს და თრიალეთს[33].

ყველი სომეხი ავტორების უმრავლესობას ეს ტერიტორია მოსახლეობითურთ ქართულად მიაჩნია. ასე, მაგალითად, მოვსეს ხორენაცის „სომხეთის ისტორიაში“ (იხ. წ. V ს.) მოყვანილია ამ აზრის დამადასტურებელი ფაქტები. ავტორი წერს: „მირიანი, ქართველთა წინამძღოლი და გუგარელთა პიტიახში...“[34], „... გუგარელთა პიტიახშმა, აშუშამ მიიწვია მესროპი...“[35]. აშუშა (არშუშა) კი V საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი ქართველი დიდებული, ქართლის (ქვემო ქართლის) პიტიახში იყო, ვარქსენ პიტიახშის მამა.

სომხეთის ისტორიის დარგის ისეთი ავტორიტეტული სპეციალისტები

---

[28] F. Kirzioğlu, დასახ. ნაშრომი, გვ. 83.

[29] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1957.

[30] ნ. ლომოური, კლავდიოს პტოლემაოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო. „ცნობები საქართველოს შესახებ. — მასალები საქართველოს და კავკასიის ისტორიისათვის, ნაკვ. 32, 1955; ბიზანტიელი მწერლები საქართველოს შესახებ ტ. 3. ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტფ., 1936, გვ. 289.

[31] ნ. ჯანაშია, ისტორიელ-წყაროთმცოდნეობითი ნარკვევები, თბ., 1986, გვ. 56—57.

[32] M. Brosset, Histoire de la Gèorgie, I, 1855, გვ. 134 135.

[33] დ. ბაქრაძე, ისტორია საქართველოსი, ტფ., 1889, გვ. 117.

[34] მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. ადალაქიმ, თბ., 1984, გვ. 184.

[35] იქვე, გვ. 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორიც იყვნენ ჰ. ჰიუბშმანი, ნ. ადონცი და ჰ. მანდანიანი, აღიარებენ, რომ გუგარეთი საქართველოს დაუბრუნდა ახ. წ. IV საუკუნეში[36].

ამ პრობლემას ყურადღება მიაქცია ივ. ჯავახიშვილმა, რომელმაც დასძინა, რომ, რადგან ახ. წ. I საუკუნეში თეზი და თრიალეთი აღმოსავლეთ საქართველოს შემადგენლობაში მოიხსენიება და ეს ტერიტორიები გუგარეთს ეკუთვნოდა, საფიქრებელია, რომ გუგარეთი ხსენებულ ხანაში გარკვეული ხნით ქართველებმა დაიბრუნეს[37].

ნ. ჯანშია აღნიშნავს, რომ ახ. წ. IV საუკუნის 60-იან წლებში გუგარქის პიტიახშმა შეძლო თავისი სამფლობელოთი აღმოსავლეთ საქართველოსთან შეერთება, რის საფუძველზეც საპიტიახშო დაიშალა და მისი უდიდესი ნაწილი (ტაშირისა და კანგარის გამოკლებით) ქართლის შემადგენლობაში შევიდა; შეიქმნა ახალი პოლიტიკურ-ადმინისტრაციული ერთეული, — ქვემო ქართლის საპიტიახშო. ავტორის თვალსაზრისით, სწორედ ამასთან არის დაკავშირებული სახელწოდება „გუგარეთის“ (გუგარქის“) მოსპობა[38]. გუგარეთის შესახებ ზემოხსენებულ მოსაზრებათა სისწორეს ადასტურებს თანამედროვე ქართველ ისტორიკოსთა სხვა ნაშრომებიც[39].

თურქი ისტორიკოსი მიუთითებს, რომ ურარტუში მცხოვრები ქართული ტომი, — „ტაოხები“ თურქმენი ოქქების წინაპრები არიან[40]. ამის შესახებ მკირედი მინიშნებაც კი არ არის ოსმალურ და ქართულ წყაროებში, თანამედროვე თურქულ და ქართულ ისტორიოგრაფიაში. ამ შემთხვევაში ავტორი „დედე ქორქუთის“ ეპოსს იმოწმებს[41].

ივივე „დედე ქორქუთის“ ეპოსის დამოწმებით, ლაზებს თურქი სწავლული ჩაღათაურ-ყიჩაღური მოდგმის ტომად მიიჩნევს[42], თავის სხვა გამოკვლევაში იგი განსხვავებულ ვერსიას გვთავაზობს და დასძენს, რომ ლაზები წანარული წარმოშობისა არიან[43]. ეს თვალნათლივ მიუთითებს, რომ თვით მას არ აქვს სათანადოდ გარკვეული, თუ რომელ ეთნიკურ ჯგუფს მიაკუთვნოს ამ კუთხის ხალხი. ლაზების შესახებ ანალოგიურ მოსაზრებას გამოთქვამენ თურქი ისტორიკოსები აფეტ ინანი[44] და ჭ. ქემალი[45].

ლაზების (ჭანების) ქართული წარმომავლობის დასტურად უპირველეს ყოვლისა, გამოდგება პლინიუსის (ახ. წ. I ს.) თხზულება, სადაც ისინი პირველად იხსენიებიან[46]. არანაკლებ მნიშვნელოვანია ახ. წ. II საუკუნის ავტო-

---

[36] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, СПб., 1908, გვ. 225—226.

[37] ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნი I, თბ., 1908, გვ. 47—49.

[38] ნ. ჯანშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 90—91.

[39] Д. Л. Мусхелишвили, Из исторической географии Восточной Грузии, Тб., 1982, გვ. 5—28.

[40] F. Kirzıoğlu, Kars tarihi, გვ. 83.

[41] შდრ., „დედე ქორქუთის წიგნი“, ოღუზურიდან თარგმნეს, წინასიტყვაობა და კომენტარები დაუთოს ე. ჯაველიძემ და გ. შაყულაშვილმა, თბ., 1987. ფ. ქირზიოღლუ ხშირად არასწორ ინტერპრეტაციას გვაძლევს ამ თხზულების მონაცემებისა.

[42] F. Kirzıoğlu, Osmanlilarin Kaíkas—Ellerini fethi, გვ. 85-86, 233.

[43] მისივე, Lazlar//Çanarlar, VII Türk Tarih Kongresi—1970. Ankara, 1972, გვ. 421—445.

[44] I. Afet, Türkiye halkının antrop. karakterleri ve Türk Tarihi, 1947, გვ. 182-183.

[45] K. Kemal, Anadolunun Doğu ve Cenupdoğusu. Ankara, 1933, გვ. 8.

[46] ნ. ლომოური, ეგრისის სამეფოს ისტორია, თბ., 1968.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რის კლავდიოს პტოლემაოსის ცნობები, რომელთა თანახმად „კოლხეთის ზღვისპირა ნაწილში მოსახლეობენ ლაზები, ზემით მდებარე ადგილებში კი — მანრალები, რომლებიც ეკრიტიკის ქვეყნის მცხოვრებნი არიან“[47]. (ეკრიტიკა იგივე ეგრისია) ასევე ყურადსაღებია ახ. წ. VI საუკუნის ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის მონაცემები, სადაც აღნიშნულია ლაზიკისა და კოლხეთის იგივეობა[48]. ამ ცნობებზე დაყრდნობით თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში დადგენილია, რომ ჭანები დასავლურქართული წარმომავლობისა არიან[49]. თუმე აეტორთა მოსაზრების უსაფუძვლობას ადასტურებს აგრეთვე ურარტულ წარწერებში (ძვ. წ. II—I ათასწლეულები) არსებული მონაცემები. მათში მოიხსენიება კოლხეთში მოსახლე ტომი „ლუშა“. ვ. მელიქიშვილის ვარაუდით, „ლუშა“ არის იგივე „ლაზი“[50].

ფ. ქირიოღლუ ქურთულ-თურქული მოდგმის ტომებად აცხადებს: გოგარელებს (ბორჩალოს, დმანისის, შემშელის, ახალქალაქის, ახალციხის, ართაანის, ართვნის ოლქი), ტაოზებს (ჭოროხის ხეობაში, „დად-ელის“ სახელით ცნობილი მხარე, — ტაო), ისპირელებს (ქართული ისტორიული სპერი)[51]. ასეთი სახელწოდების ტომები (გოგარელებისა და ტაოზების გარდა: თან, ეს სახელწოდებებიც ძველისძველია და საერთოდ ადარ გამოიყენება) არ არსებულა. აეტოოს ზერელე წარმოდგენა აქვს ქართველური ტომების სახელწოდებებზე. ამასთან, გოგარელებს რომლებსაც ადრე სკვითებს უწოდებდა, ახლა ქურთებად წარმოგვიდგენს.

ფაჰრედდინ ქირიოღლუ ქართველთა ყოფა-ცხოვრების შესახებ აღნიშნავს: „ჭოროხისა და ყუბანის შესართავებს შორის მოქცეულ შავი ზღვის სანაპიროზე ისტორიის არც ერთ დროს არ ჩქეფდა კულტურული ცხოვრება. აქ ქალაქებიც კი არ არსებობდა... ქართველი, აფხაზი და ჩერქეზი ტომებიდან გამოსული ადგილობრივი მოსახლეობაც ძლიერ ჩამორჩენილი იყო და ველური ცხოვრებით ცხოვრობდა“-ო[52]. ზემოთქმულს იმასაც თუ დავუმატებთ, რომ თურქი ისტორიკოსის მტკიცებით, ქართველებს წარმოდგენა არ ჰქონდათ ფულით ვაჭრობაზე, რომ დასავლეთ საქართველოში ქალაქის ტიპის მხლოდ ერთი და ისიც სხვათა მიერ დაარსებული ნახევრადცივილიზებული დაბა, სოხუმი (სებასტოპოლისი) არსებობდა, რომ საქართველოს არც ერთი სახელმწიფო არასდროს არ უთმობდა დიდ ყურადღებას[53], — დავრწმუნდებით მისი „კონცეფციის“ ტენდენციურობაში. ფ. ქირიოღლუ ყოველივე ამით აყალებებს თვით ოსმალეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი ურთიერთობის ისტორიას, ჩვენი ქვეყნის წარსულის იმ მძიმე მონაკვეთს, როდესაც „გურჯისტანი“ ორი მძლავრი სახელმწიფოს, — ირანისა და ოსმალეთის იმპერიის გაუთავებელი ურთიერთქმედების ერთ-ერთ უმთავრეს ასპარეზს წარმოადგენდა

---

47 ნ. ლ ო მ ო უ რ ი, კლავდიოს პტოლემაოსი, „გეოგრაფიული სახელმძღვანელო“, ცნობები საქართველოს შესახებ., გვ. 45.

48 პროკოპი კესარიელი, გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ., მე-2 გამოცემა, ტ. II, თბ., 1965, გვ. 47—48.

49 იქვე, გვ., 52—55.

50 Г. А. М е л и к и ш в и л и, Урартские клинообразные надписи, М., 1960.

51 F. K i r z i o ğ l u, Dağistan—Aras—Dicle—Altay ve Türkistan Türk boylarindan Kütler, Ankara, 1984, გვ. 12.

52 მ ი ს ი ე ვ, Osmanlıların Kafkas—Ellerini fethi, გვ. 2-3.

53 იქვე, გვ. 2—4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღებას იპყრობს მეორე თურქი ისტორიკოსის, შამსედდინ გიუნალთაის შრომებიც[54]. იგი ქირზიოღლუს მსგავსად აცხადებს, რომ „პროტოთურქული“ ტომები (სკვითები) ძვ. წ. VIII საუკუნიდან გადამწყვეტ როლს ასრულებდნენ ურარტუს სახელმწიფოსა და საერთოდ, — მთელს ამიერკავკასიაში[55] რაც აშკარად ეწინააღმდეგება ისტორიული წყაროების მონაცემებს და მათ საფუძველზე თანამედროვე საისტორიო მეცნიერებაში გამოთქმულ მოსაზრებებს[56]. ამავე ავტორის მტკიცებით, ქართველური ტომები, — ტაოხები და კარდუხები სწორედ სკვითური წარმოშობისა არიან[57].

ტაოხები, — საქართველოს სამხრეთ-დასავლეთ ოლქის, — ტაოს მკვიდრნი (დღეს ეს ტერიტორიები თურქეთის საზღვრებშია მოქცეული) ბერძნულ წერილობით ისტორიულ წყაროებში მოიხსენიება ჯერ კიდევ ძვ. V—IV საუკუნეებში. ქსენოფონტე დასძენს, რომ ტაოხები ბინადრობდნენ მდინარე ჭოროხის სათავეებთან მდებარე მიწა-წყალზე[58]. უფრო ადრე ისინი დიაოხების სახელწოდებით, როგორც სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მკვიდრნი, იხსენიებიან ძვ. წ. XII—IX სს. ასურულ და ძვ. წ. IX—XIII სს. ურარტულ წარწერებში[59]. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრების თანახმად, ტაოხებში უკვე არსებობდა ადრეკლასობრივი საზოგადოება[60]. ძვ. წ. XIV—XI საუკუნეებში „ნაირის ქვეყნების“ შორის ერთ-ერთ ყველაზე მძლავრ გაერთიანებად დასახელებულია „დიაუხის“ („დიაოხის“) ქვეყანა[61]. ამ ტომის შესახებ მონაცემებს ვხვდებით ურარტუს მეფე მენუას ლურსმნულ წარწერასა და ასურეთის მეფე სალმანასარ III-ის წარწერაში[62]. ასე რომ, გიუნალთაის მონოგრაფიაში გამოთქმულ შეხედულებას არ დასტურებს ასურული, ურარტული, ბერძნული და ქართული წერილობით წყაროები.

კარდუხების შესახებ ცნობებს ასევე ვხვდებით ძველბერძნულ წყაროებში. ქსენოფონტე ძვ. წ. V საუკუნის დასასრულს მათ დასტურებს ზემო მესოპოტამიაში. ცნობილია, რომ ამ ტომებს ქართებს უკავშირებენ[63].

შესაძლოა, თურქ ისტორიკოსთა მცდარი მოსაზრება ძველი ქართველური ტომებისა და სკვითების ნათესაობის შესახებ მომდინარეობდეს ქსენოფონტეს „ანაბასისი“-ს სხვა მონაცემებიდან. კერძოდ, ქსენოფონტე მდ. ჭოროხის სანაპირო ზოლზე და დასავლეთ პონტოს ტავროსის სამხრეთ კალთებზე მოპი-

---

[54] S. Gûnaltay, Türklerinin ilk devletinden yakin sark, Elâm ve Mespotamya, 1937

[55] იქვე, გვ. 557.

[56] Г. А. Меликишвили, Древневосточные материалы по истории народов Кавказа, I, Наири-Урарту, Тб., 1954.

[57] Gûnaltay, დასახ. ნაშრომი, გვ. 557-558.

[58] თ. მიქელაძე, ქსენოფონტეს „ანაბასისი“, ცნობები ქართველი ტომების შესახებ, თბ., 1967; გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები. — საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. I, გვ. 361.

[59] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 114, 176—180.

[60] გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, გვ. 361.

[61] Г. А. Меликишвили, Наири—Урарту, გვ. 53—58. 108—114, 204-205, 398.

[62] გ. მელიქიშვილი, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მოსახლეობის უძველესი გაერთიანებები, ტ. I, გვ. 364.

[63] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 108-109. გ. მელიქიშვილი, საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისთვის, თბ., 1965, გვ. 19—21.

ნადრე ტომად ასახელებს „სკვითიანებს“, რომლებსაც არავითარი კავშირი არ აქვთ ირანული წარმოშობის მქონე სკვითებთან[64]. მათ შესახებ ცნობები აქვს სტრაბონსაც[65]. ქართულ საისტორიო მეცნიერებაში არსებული მოსაზრების თანახმად, ამ სახელწოდებას საფუძვლად უდევს მეგრული-ჭანური რიცხვითი სახელი „შკვითი“ (შვიდი). ბერძნულში „შ“ ბგერის არარსებობის მიზეზით იგი „ს“-დ შეიცვალა[66]. ამავე სახელწოდებას უკავშირდება გეოგრაფიული ერთეული, — სკვიდისიც[65]. ამ თვალსაზრისს საფუძველს უმყარებს ის გარემოებაც, რომ სტრაბონის „გეოგრაფიაში“ მოცემულია სკვიდისის ძველბერძნული შესატყვისი, — „ჰეპტაკომეტაი“, „რაც „შვიდსოფლელებს“ ნიშნავს[68]. თურქულ გეოგრაფიულ ნომენკლატურაში აღმოჩენილია ამ ადგილის სხვა სახელწოდება — „კურსავა“, რაც აგრეთვე „შვიდ სოფელს“ ნიშნავს. ყოველივე ეს განპირობებული უნდა იყოს შვიდი ერთეულის გაერთიანებით მსნელ ეთნიკურ და ადმინისტრაციულ ერთეულად დაახლოებით ძვ. წ. V საუკუნის დამლევს[69].

რაც შეეხება საკუთრივ სკვითებს, უნდა აღინიშნოს, რომ ამ პროტოირანული ტომის თავდაპირველ საცხოვრებელს ჰეროდოტეს (ძვ. წ. V ს.) ცნობით წარმოადგენდა დნეპრისა და დონის სტეპები. ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთში ისინი გამოჩნდნენ მხოლოდ ძვ. წ. VII საუკუნეში, საიდანაც განდევნეს იქ მცხოვრები კიმირიელები[70]. საერთოდ. სკვითური ენა მთლიანობაში არ არის შემორჩენილი. ანტიკურ ავტორებს, მათ შორის ჰეროდოტესაც, მოჰყავთ რიგი ცალკეული სკვითური სიტყვები და საკუთარი სახელები[71]. თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული ქართულ-სკვითური ეთნიკური ნათესაობის შესახებ მცდარი „ჰიპოთეზის“ ერთ-ერთ უმთავრეს საყარო წარმოადგენს 1920-იანი წლების პირველ ნახევარში ნ. მარის მიერ გამოთქმული არასწორი შეხედულება[72]. ცნობილია, რომ ქართული და სკვითური ეთნიკური ნათესაობის შესაძლებლობა დაუშვა (თუმცა კითხვის ნიშნით) ივ. ჯავახიშვილმაც[73], რაც როგორც მთელმა რიგმა ფუძემდებლურმა გამო-

---

64 თ. მიქელაძე, სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის (სკვითები). — „მოამბე“, 1957, ტ. 19 № 5.

65 თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, მისივე, სტრაბონი, — ქსე, ტ. 9, გვ. 575

66 თ. მიქელაძე, დასახ. ნაშრომი., Г. А. Меликишвили, К истории..., გვ. 80-81.

67 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია. — თხზულებანი, ტ. I, გვ. 66; Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 80—85.

68 ნ. ხაზარაძე, საქართველოს ძველი ისტორიის ეთნო-პოლიტიკური პრობლემები, თბ, 1984, გვ. 46—47.

69 თ. მიქელაძე, სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი მოსახლეობის ისტორიისათვის.

70 სკვითები, — ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, გვ. 419.

71 Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, Индоевропейский язык и индоевропейцы, I, Тб., 1984, XLV.

72 Н. Я. Марр, Избранные работы, т. V, გვ. 41, 210, 299-300.

73 ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორიის შესავალი, I — საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიულ-ეთნოლოგიური პრობლემები, თბ., 1950, გვ. 246.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლევებმა[74] უჩვენეს, არ შეესაბამება ჭეშმარიტებას. ამ გამოკვლევების თანახმად, სკვითები პროტოირანული მოდგმის ხალხი იყო, რომლის განშტოებას ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის ტერიტორიაზე მცხოვრები ოსები წარმოადგენენ. ეთნიკურ ჯგუფთა და დიალექტთა გადაჯგუფებისა და მიგრაციის დეტალური შესწავლის საფუძველზე თ. გამყრელიძემ და ვ. ივანოვმა თვალნათლივ უჩვენეს, რომ სკვითებმა ხორეზმიდან გეზი მდ. ვოლგისა და დნეპრის ნაპირებისაკენ აიღეს, საიდანაც საბოლოდ გადაინაცვლეს მდ. დუნაის მიმართულებით, — ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის მოსაზღვრე რაიონებში.

საინტერესოა, აგრეთვე არინ ენგინის მონოგრაფიის ერთი თავი[75], რომელიც სომხების, ქართველებისა და ქურთების ეთნოგენეზს შეეხება. მასში ასევე პანთურქისტულ იდეებზე დაყრდნობით ვხვდებით საქართველოს ისტორიის გაყალბების მთელ რიგ ფაქტებს. სხვა თურქ ისტორიკოსთა მსგავსად, ისიც ქართველურ ტომებს (დასავლეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ძკვიდრთ) თურქულ-ჭურთული მოდგმისად მიიჩნევს, თუმცა, საბუთები ამ მტკიცებისა არ მოიპოვება.

ქართველთა წარმომავლობის საკითხი განხილული აქვს ისმაილ ბერკოკაცსაც[76]. იგი ქართველებს (ურარტუს დანარჩენ მოსახლეობასთან ერთად) პროტოხეთური წარმოშობისად მიიჩნევს[77]. თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში გაბატონებული მოსაზრება იმის შესახებ, რომ პროტოხეთები თურქთა წინაპრები არიან, ამ ავტორის გამოკვლევაშიც იჩენს თავს.

ხეთები იყვნენ ძვ. წ. III—II ათასწლეულებში ცენტრალურ ანატოლიაში მობინადრე ინდოევროპული მოდგმის ხალხები. დროთა მანძილზე ნესიტ ტომებთან პროტოხეთური ელემენტის შერევის შედეგად დაახლოებით ძვ. წ. 1650 წელს ჩამოყალიბდა ხეთური ეთნოსი. მათ მჭიდრო ურთიერთობა აკავშირებდათ ფალაელებთან, ხურიტებთან, სემიტებთან, ლუვიელებთან. ხეთებმა ძვ. წ. II ათასწლეულის დამდეგს შექმნეს საკუთარი, თავისი დროისათვის საკმაოდ ძლიერი სახელმწიფო გაერთიანება[78].

ხეთური ენა არის დოკუმენტურად დადასტურებული უძველესი ინდოევროპული ენა. იგი ლუვიურ, ლიკიურ, ლიდიურ და ფალაურ ენებთან ერთად ქმნის ინდოევროპულ ენათა „ხეთურ-ლიკიურ“ ჯგუფს[79].

გარდა ზემოთქმულისა, უნდა აღინიშნოს რომ ვერც ძველბერძნულ, ვერც ქართულ და ვერც ოსმალურ-თურქულ წყაროებში ვერ ვხდებით მინიშნებას ქართველების ხეთური წარმოშობის შესახებ, თუმც არ არის გამორიცხული, რომ გარკვეულ პერიოდში მომხდარიყო ქართულ მოსახლეობაში ხეთური ელემენტის ასიმილაცია.

---

[74] В. И. Абаев, Скифский язык,—В кн.: Осетинский язык и фольклор, I, М.-Л., 1949; Т. В. Гамкрелидзе, В. В. Иванов, დასახ. ნაშრომი, ტ. II, გვ. 596, 661, 877—882, 946-947.

[75] A. Engin, Eti tarihi, Istanbul, 1958, გვ. 92—96.

[76] Berkok, Tarihte Kafkasya, Istanbul, 1958.

[77] იქვე, გვ. 106—109.

[78] Г. Г. Гиоргадзе, Очерки по социально-экономической истории Хетского государства, Тб., 1973.

[79] Т. В. Гамкрелидзе, Клинописная система аккадеко-хеттской группы,—ВДИ 1959, № 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ი, ბერკოკი დასძენს რომ „ბასკი“ და „აფხაზი“ ერთი და იგივე ეთნიკური ჯგუფის აღმნიშვნელი სახელწოდებებია[80], რაც არ შეესაბამება ჭეშმარიტებას.

მკვლევრები ვარაუდობენ, რომ აფხაზები, რომელთა ენა კავკასიურ ენათა აფხაზურ-ადიღეურ, ანუ ჩრდილო-დასავლურ ჯგუფში შედის, ეთნიკურად ენთესავებიან მცირე აზიის ძველ ავტოქტონურ ტომს — ქაშქა — აბეშლს ტომს, რომლის შესახებ ცნობებს ვხვდებით ასურეთის მეფე ტიგლათფილესერ I-ის (ძვ. წ. XII ს.) წარწერებში. აფხაზთა ცალკე ეროვნებად ჩამოყალიბება დასრულდა ახ. წ. VIII საუკუნეში[81].

რაც შეეხება ბასკებს, ისინი ინდო-ხმელთაშუაზღვის რასას განეკუთვნებიან, სახლობენ ესპანეთსა და საფრანგეთში; ლაპარაკობენ ბასკურ ენაზე (ლინგვისტიკა დამწერლობა აქვთ). ბასკური დამწერლობის უძველესი ნიმუში ახ. წ. XVI საუკუნით თარიღდება. მათი წარმომავლობის საკითხი ჯერჯერობით გაურკვეველია. მეცნიერებაში არსებობს ჰიპოთეზა ბასკურ-ქართული (და არა ბასკურ-აფხაზური)ნათესაობის შესახებ[82].

იგივე ავტორი ერთმანეთთან აიგივებს მოსხებსა და ხაზარებს[83].

მოსხები იყვნენ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს უძველესი ტომის წარმომადგენელნი, დღევანდელი მესხების წინაპრები. მათ პირველად იხსენიებს ბერძენი ავტორი ჰეკატეოს მილეტელი (ძვ. წ. VI ს.). იგი მოსხებს კოლხურ ტომად ასახელებს[84]. სტრაბონი აღნიშნავს, რომ მოსხების ქვეყანა სამ ნაწილად იყოფოდა. ერთს განაგებდნენ კოლხები, მეორეს იბერები, ხოლო, მესამეს — სომხები[85]. მოსხების უშუალო წინაპრებად თანამედროვე ქართულ ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია ასურულ და ურარტულ წარწერებში მოხსენიებული მუშქები[86]. სტრაბონი გვაწვდის საყურადღებო ცნობას, რომ კოლხეთი მდებარეობს კავკასიონსა და „მოსხების მთებს“ შორის[87].

თურქულენოვანი მომთაბარე ტომები — ხაზარები ახ. წ. IV საუკუნეში ჰუნების შემოსევის შემდეგ გამოჩნდნენ აღმოსავლეთ ევროპის ტერიტორიაზე. ქვემო ვოლგისპირეთსა და ჩრდილოეთ კავკასიის აღმოსავლეთითVII—X ს. არსებობდა მათი სახელმწიფო,—ხაზართა სახაკანი[88]. საქართველოს საზღვრებთან ისინი პირველად გამოჩნდნენ მხოლოდ 627 წელს, როდესაც ჩვენი ქვეყანა დალაშქრეს ბიზანტიელებთან ერთად. ხაზართა შემოსევების შესახებ ცნობებს ვხვდებით ჯუანშერის თხზულებაში[89].

---

[80] I. Berkok. დასახ. ნაშრომი, გვ. 142-143.

[81] З. В. Анчабадзе, Из истории средневековой Абхазии; Ш. Д. Инал-Ипа. Абхазы, 2-е изд., Сухуми, 1965.

[82] ბასკური ენა და ბასკურ-კავკასიური ჰიპოთეზა, თბ., 1976.

[83] I. Berkok, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[84] Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, გვ. 104.

[85] თ. ყაუხჩიშვილი, სტრაბონის „გეოგრაფია“, ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 125.

[86] Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[87] თ. ყაუხჩიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ., 81.

[88] М. И. Артамонов. История хазар, М., 1962.

[89] ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 224.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენთვის საინტერესო საკითხს განიხილავს, აგრეთვე, ჯემალ გოჩჩეც[89].

იგი სვანებს არაქართულ ელემენტად მიიჩნევს. იმოწმებს რა ა. ხახანაშვილის მიერ პარიზში გამოცემულ „საქართველოს ისტორიას", ავტორი მიუთითებს, რომ საქართველოში ქართველებთან ერთად ცხოვრობენ ოსები, სვანები და თუშები[91]. ქართველებს ჯ. გოჩჩე კავკასიურ ჯგუფს აკუთვნებს, ხოლო სვანებს — ინდოევროპულს[92].

სვანები მრავალგზის მოიხსენიებიან როგორც ბერძნულ, ისე ქართულ წერილობით ისტორიულ წყაროებში. ასე, მაგალითად, ახ. წ. VI საუკუნის ბერძენი ავტორები პროკოპი კესარიელი[93] და მენანდრე პროტექტორი[94] სვანეთს ლაზიკის ერთ-ერთ სამფლობელოდ, ხოლო სვანებს ლაზთა სამეფოს (ეგრისის) ტომად მოიხსენიებენ. სვანთა ქართველობას ადასტურებს ქართული წყაროებიც[95].

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ როგორც საბჭოთა, ისე ევროპულ ისტორიოგრაფიაშიც მიჩნეულია, რომ თანამედროვე თურქი ისტორიკოსების მტკიცების სპირისპიროდ, თურქი ერის ეთნიკური თვალსაზრისით ფორმირებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მცირე აზიისა და შავიზღვისპირეთის ადგილობრივმა მოსახლეობამ, მათ შორის, — ქართველებმა, დასავლურქართულმა ელემენტმა, რომელსაც ზოგჯერ „ჭოროხ-რიონის, ანუ პონტოს ტიპს"-აც უწოდებენ[96].

როგორც ვხედავთ, თანამედროვე თურქულ ისტორიოგრაფიაში აშკარად ვლინდება ტენდენციური მიდგომა ქართველი ერის წარსულისადმი; ყოველივე ამის გამოშკარავება და შეფასება გარკვეულ სასახურს გაუწევს ქართულ საისტორიო მეცნიერებას.

ცალკე შეიძლება გამოიყოს თანამედროვე თურქ ისტორიკოსთა ნაშრომებში მოთავსებული ისტორიული რუკების სანდოობისა და სიზუსტის საკითხი. ამ მხრივ აღსანიშნავია ფ. ქირზიოღლუს მონოგრაფიაში[97] მოთავსებული ერთი „ისტორიული" რუკა, რომლის თუნდაც წარწერა თვალსათლივ მიუთითებს მის „ობიექტურობაზე". მასზე წარმოდგენილია „ოღუზ-არშაკულინთა" ოლქი, რომელშიც საზღვრების სრული უგულებელყოფით შეტანილია საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი (დღეს თურქეთის შემადგენლობაში შემავალი ოლთისის, სპერის, ტაოს გარდა რუკაზე ეხედავთ ბათუმს, იმერეთს ქუთაისითურთ, დმანისს, გუგარეთს, თბილისს, ახალციხეს). ეს ქართული ტერიტორიები მოქცეულია ხსენებული „ოლქის" იმ ნაწილში, რომელსაც ავტორი „იჩოღუზების" (ანუ ოღუზების) მხარეს უწოდებს. ამდენად, შუა აზიაში არსე-

---

90 C. Gökçe, Kafkasya ve Osmanlı Imparatorluğunun Kafkasya siasi, Ist., 1979.

91 იქვე, გვ. 5.

92 იქვე, გვ. 6.

93 გეორგიკა, ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ. ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა ს. ყაუხჩიშვილმა, ტ. 2. თბ., 1965, გვ. 126.

94 ბიზანტიელი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, ტ. 3, 1936, გვ. 222—223.

95 ჯ ო ბ ნ ს ტ ო ნ. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, გვ. 185, 241; სვანეთის წერილობითი ძეგლები, I, ისტორიული საბუთები და სულთა მატიანეები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები და საცნობარო აპარატი დაურთო ვ. სილოგავამ, თბ., 1986.

96 Д. Е. Еремеев, Этногенез турок, М., 1971, გვ. 224.

97 F. Kırzıoğlu, Her bakımından Türk olan Kürtler, Ankara, 1964.

ბული ეს მხარე თურქმა ისტორიკოსმა ამიერკავკასიაში გადმოიტანა. ფ. ქირზიოღლუს „იჩ-ოღუზებსა“ და „თაშ-ოღუზებს“ (გარე ოღუზებს) შორის „ზუსტი“ საზღვარიც კი აქვს დადგენილი. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს რუკა „დედე ქორქუთის“ ეპოსის მონაცემებზე დაყრდნობით ყოფილა შედგენილი.

Л. З. УРУШАДЗЕ

НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ЭТНИЧЕСКОГО ПРОИСХОЖДЕНИЯ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКОГО БЫТА ГРУЗИНСКОГО НАРОДА В СОВРЕМЕННОЙ ТУРЕЦКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Резюме

В работе рассмотрены труды некоторых представителей современной турецкой историографии (Ф. Кырзыоглу, А. Енгин, Ш. Гюналтай, А. Инан, К. Кемал, И. Беркок и Дж. Гökче). Дана аргументированная критика отдельных концепций об этническом происхождении и общественно-политической истории грузинского народа.

В исследованиях современных турецких историков часто встречаются данные из недоступных нам письменных исторических источников и интересные соображения по тому или иному периоду истории османо-грузинских отношений. Этим они представляют собой ценное подспорье для грузинских советских историков. Однако эти исследования нередко характеризуются тенденциозным отношением к событиям исторического прошлого Грузии. Одним из вопросов, при рассмотрении которого в современной турецкой историографии наиболее часто встречаются субъективные — суждения, является вопрос об этническом происхождении грузин и их общественно-политическом укладе. На основе неправильной научной интерпретации данных исторических памятников ими предлагается ряд научно неприемлемых положений. Используя многочисленные османские письменные памятники (хроника «Кивами», «Мукимме, дефтери», «Книга Деде Коркута», труды османских авторов и т. д.), турецкие авторы в то же время оставляют без внимания данные грузинских источников (таковыми для них являются лишь французские переводы М. Броссе).

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობით შესწავლის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა მენთეშაშვილი

ფრანგული ბურჟუაზიული ისტორიოგრაფია საფრანგეთის „ბერბერული პოლიტიკის“ შესახებ

ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის რეგიონის ე. წ. მაღრიბის ეთნო-სოციალური კვლევა ფრანგული ისტორიოგრაფიის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. იგი მჭიდროდ არის დაკავშირებული იმ კოლონიურ პოლიტიკასთან, რომელსაც საფრანგეთის მთავრობა XX ს. დასაწყისიდან 1956 წლამდე მაროკოს მიმართ ახორციელებდა.

საფრანგეთის ცნობილი კოლონიალური მოღვაწე, პირველი გენერალური რეზიდენტი მაროკოში, მარშალი ლიოტე მაროკოს ჩინებულ ლაბორატორიას უწოდებდა. სადაც მისი აზრით, „შეიძლებოდა შეესწავლათ კოლონიალური სოციოლოგიის ურთიერთკავშირი ადგილობრივ პოლიტიკასთან და გამოენახათ იოლი გზით მაროკოს ხელში ჩაგდების შესაძლებლობანი“[1].

ფრანგული კოლონიალიზმის ერთ-ერთი აპოლოგეტი რ. კანი ცდილობს თავისი ქვეყნის მმართველი წრეების დაპყრობითი პოლიტიკა მაროკოს მიმართ იმით გაამართლოს, რომ XX ს. დასაწყისში მაროკოს მმართველობა არქაული და ყოველგვარ ძალაუფლებას მოკლებული იყო, რომ იგი არ იყო თანამედროვე მოთხოვნების დონეზე და ვერ უზრუნველყოფდა ქვეყნის ნორმალურ პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას, რითაც საფრთხე ექმნებოდა მაროკოს როგორც სახელმწიფოს არსებობას[2].

როგორც ფრანგულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში აღნიშნავენ, მაროკოსთვის დამახასიათებელი იყო რთული სტერეოტიპი, რომელიც მოიცავდა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ და საზოგადოებრივ ცხოვრებას. სამეფო დაყოფილი იყო ორ ნაწილად: ცენტრალური ხელისუფლების (მაჰზენის) გავლენის სფეროდ და ურჩი ტომებით დასახლებულ ტერიტორიად (სიბა), ურჩი ტომები არ ემორჩილებოდნენ ცენტრალურ ხელისუფლებას და როგორც კ. კუნი აღნიშნავს, სისხლიან მტრობასა და ყაჩაღობაში[3], ატარებდნენ დროს რა თქმა უნდა, ტომები ეურჩებოდნენ სულთნის ხელისუფლებას, მაგრამ ყოველთვის, როდესაც ქვეყანას ემუქრებოდა გარეშე საფრთხე, ურჩი ტომები ერთიანდებოდნენ სულთნის ხელისუფლების გარშემო, მოხალისედ მიდიოდნენ სულთნის არმიაში[4]. ფრანგი ავტორის მიშო ბელერის აზრით, ქვეყნისათვის დამახასიათებელი იყო რაღაც შუალედური წინააღმდეგობა დიქტატურულ რეჟიმსა და ანარქიას შორის, რომელთა ჭიდილშიც ვერც ერთი მხარე ვერ

---

[1] Fage J., A History of Africa, London, 1978, გვ. 139.

[2] Kann R., Le protectorat marocain, Paris, 1921, გვ. 54.

[3] Coon Carleton, Caravan: The Story of the Middle East, New York, 1958, გვ. 310.

[4] А. Аяш, Марокко, итог одной колонизации, Москва, 1958, გვ. 48-49.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმარჯვებდა. ამასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული მაროკოს საზოგადოებაში არსებული ეთნიკური განსხვავება არაბებსა და ბერბერებს შორის[5].

დეკოლონიზაციის შემდეგ ადგილობრივი ნაციონალისტები უარყოფდნენ მაროკოს მოსახლეობის ეთნიკურ დაყოფას ისინი კონსტიტუციური მონარქიის მომხრენი იყვნენ. სულთნის არჩევის დამტკიცება უნდა მომხდარიყო ბეის ხელმოწერით[6]. ამ საქმეში მონაწილეობას იღებდნენ მუსლიმი ღვთისმსახურები — ულემები და აგრეთვე ტომის ბელადები. ამ თვალსაზრისის თანახმად, მაროკოს მონარქია იყო არა მარტო არჩევითი, არამედ პირობითიც. რადგანაც ზოგიერთი შეზღუდვები სულთნის ხელისუფლებაზე უნდა აღინიშნულიყო ბეის დოკუმენტში. არაბი ისტორიკოსები, რომლებიც კარგად იცნობდნენ ფრანგულ ეთნოგრაფიულ-სოციოლოგების თხზულებებს, თავიანთ გამოკვლევებში ცხადყვეს, რომ მე-19 საუკუნეში დაიწყო მაროკოს ეკონომიკური აღორძინება და 1912 წელს იგი რომ ფრანგებს არ დაეპყროთ, დღეს მაროკო თანამედროვე ევროპას კაპიტალისტური ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დონეზე იქნებოდა, ასეთია არაბი ავტორების კონცეფცია, მათ შორიდან შეიძლება დავასახელოთ მუჰამედ ლაჰბაბის წიგნი „მაროკოს მთავრობა XX ს. გარიჟრაჟზე[7] და აბდელაზიზ ბენაბდულაჰის ნაშრომი „მაღრიბის ცივილიზაციის მთავარი მიმართულებანი“[8]. აღსანიშნავია, რომ კანადელი ბურჟუაზიული მეცნიერი ე. ჯელნერი ეთანხმება არაბ ავტორებს და მაროკოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების შეფერხების მთავარ მიზეზად ფრანგების მიერ ამ ქვეყნის კოლონიზაციას მიიჩნევს[9].

ფრანგი ავტორი ჟან ბრინინონ თავის წიგნში „მაროკოს ისტორია“, სულ სხვა აზრს ავითარებს. იგი ამტკიცებს, რომ თითქოს საფრანგეთის პროტექტორატმა დადებითი გავლენა მოახდინა მაროკოელი ხალხის მიერ ევროპული კულტურის სწრაფ აღქმაზე[10].

დღეს თანამედროვე მაროკოს ისტორიის შესწავლა შეუძლებელია ამ ქვეყნის წარსულისა და მისი საზოგადოების სოციალური სტრუქტურის შესწავლის გარეშე. მეტად საინტერესო ცნობებს ამის შესახებ შეიცავს ფრანგული ეთნოლოგიური ლიტერატურა.

ამ მხრივ აღსანიშნავია ანრი ტერასეს წიგნი „მაროკოს ისტორია[11], რომელშიც განხილულია ისეთი საკითხები, როგორიცაა ისლამური სახელმწიფოს ხასიათი, სულთნის ავტორიტეტი, არაბ-ბერბერთა ურთიერთობა, მაჰზენ-სიბას ურთიერთდამოკიდებულება და წინააღმდეგობა, მაროკოელი ისლამის ბუნება, შერიფების (მმართველი სამეფო- დინასტიის) როლი ქვეყნის პო-

---

[5] Michaux-Bellaire E. Las terres collectives dú Maroc. „Renseignements coloniaux“, 1924 № 3. გვ. 101.

[6] ბეი ფეოდალური ტიტულია და ბატონს ნიშნავს.

[7] Lahbabi Mohammed, Le gouvernement marocain à l'aube de XX-e siecle, Rabat, 1957.

[8] Benabdullah Abdelaziz, Les grand courants de la civilization du Maghreb. Tanger, 1957.

[9] Gellner Ernest. The struggle for Morocco's past, Middle East Journal, 1961, გვ. 87-88.

[10] Brignon Jean, Histoire du Maroc, Paris, 1966, გვ. 103.

[11] Terasse Henri. Histoire du Maroc, Paris, 1950.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტიკურ ცხოვრებაში, რელიგიური ძმობათა-მარაბუტებისა და სუფიანელთა როლი ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მაროკოს ეკონომიკური ჩამორჩენილობის მიზეზები და ა. შ. ხსენებული საკითხები განხილულია აგრეთვე მეორე ფრანგი აიტორის შარლ რობერ აყერონის ნაშრომში „ალჟირელები და საფრანგეთი“[12].

ანრი ტერასეს მიხედვით, პროტექტორამდელი მაროკო იყოფა ორად — ბილად ალ-ბაჰზენად (სახელმწიფოს კონტროლქვეშ მყოფი ტერტორია) და ბილად ას-სიბად (ურჩების ქვეყანა). პირველ ნაწილს, ა. ტერასე განიხილავს როგორც კოალიციას, რომელიც ეყრდნობა მმართველ დინასტიას და დამორჩილებულ ტომებს — ბილად ას-სიბა წარმოდგენილია ისეთ სამყაროდ, სადაც თავს იჩენს უძველესი წინააღმდეგობა ტომებსა და ტომობრივ კონფედერაციებს (ლეფებს) შორის, გავრცელებულია მემკვიდრეობითი მტრობა.

ფრანგების მოსვლამდე მაჰზენი ცდილობდა გაევრცელებინა თავისი ხელისუფლება ურჩ ტომებზე. კერძოდ ბილად ას-სიბას ტერიტორიაზე და დაეცვა თავისი დამოუკიდებლობა[13]. თუ ისლამის საუნალებით სხვა მუსლიმურ ქვეყნებში მმართველი წრეები აღწევდნენ პოლიტიკურ ერთიანობას, მაროკოში ისლამს არ შეძლო უზრუნველეყო ქვეყნის „მორალური ერთიანობა“. გარდა ამისა, მაროკოს საზოგადოების მაჰზენ-სიბად დაყოფა დაემთხვა ქვეყანაში არაბებსა და ბერბერებს შორის არსებულ ღრმა ეთნიკურ განხეთქილებას, ბერბერები, რომლებიც წარმოადგენენ ქვეყნის მკვიდრ მოსახლეობას, მხოლოდ ზედაპირულად თუ ეზიარნენ ისლამს. მათ შეინარჩუნეს თავიანთი ძველი წარმართული საზოგადოებრივი აზრი, რაც გამოხატულებას პოულობდა მათ ჩვეულებებსა და მათ სარწმუნოების (ისლამის) ერეტიკულ ხასიათში. ისინი წინ აღუდგნენ ორთოდოქსალური ისლამის კანონებს, და მაჰზენის ადმინისტრაციულ წესებს. მათ ნაცვლად ესენი ემორჩილებოდნენ თავიანთ საკუთარ კანონებს, ტომთა საბჭოების გადაწყვეტილებებს. ისინი ზრუნავდნენ საკუთარი ენისა და ჩვეულებების შენარჩუნებაზე. ცდლობდნენ არ აღმოჩენილიყვნენ ცენტრალური მთავრობის ბატონობის ქვეშ. ტერასეს მოწმობით, მაჰზენ-სიბას უთანხმოებანი, გაცილებით მეტი იყო, ვიდრე მეამბოხეებსა და ადმინისტრატორებს შორის. ფაქტობრივად ეს იყო ძველ არაბულ, ისლამურ ცივილიზაციასა და ბერბერების კულტურულ მემკვიდრეობას შორის არსებული წინააღმდეგობის გაგრძელება, მხოლოდ მაჰზენის სისუსტე და ბერბერებში არსებული განხეთქილება უპირატესობის მოპოვების საშუალებას არც ერთ მხარეს არ აძლევდა. მაროკოს სამეფო ძლიერება მოისუსტებდა, რადგანაც სულთანს არ ჰქონდა მტკიცე პოლიტიკური გავლენა ბერბერებზე. ისინი სულთანს მიიჩნევდნენ მხოლოდ რელიგიურ ლიდერად და მას ევროპელების წინააღმდეგ საომარ ომშიც კი მიჰყვებოდნენ. ა. ტერასეს აზრით, საეჭვო თანასწორობა ამ ორ მხარეს შორის შენარჩუნებული იყო ძირითადად მაროკოს იზოლაციის გამო. საზოგადოებრივი განვითარების ჩამორჩენას ტერასე იმით ხსნის, რომ მაროკო „ძალიან ჩაიკეტა“, რის გამოც მე-20 საუკუნის ზღურბლს ისე გადა-

[12] Ageron Charles Robert, La France a-t-elle eu une politique Kabyle? Revue Historique, 1960, გვ. 333—336.

[13] Terasse Henri, დასახ. ნაშრომი, გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბიჯა, რომ არ შეუცვლია შუასაუკუნეებრივი მუსლიმური მონარქიის ფორმა[14].

მაროკოს სახელმწიფოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების საკითხები ფართოდ განიხილებოდა ისეთ ფრანგულ ჟურნალში როგორიც იყო „ფრანგული აფრიკის კომიტეტის ბიულეტენი", იგი საკმაოდ ავტორიტეტული გამოცემა იყო პროტექტორატის პერიოდში და მასში ქვეყნდებოდა ფრანგი მისიონერების, დიპლომატებისა და მოგზაურების სტატიები და შთაბეჭდილებანი. ჯერ კიდევ ქვეყნის ეთნოგრაფიული შესწავლის მიზნით ფრანგული აფრიკის კომიტეტი აწყობდა ექსპედიციებს ქვეყნის სამხრეთ რაიონებში ამ ექსპედიციების მთავარი მკვლევარი ედმუნდ დუტე იყო. მასზე დიდი გავლენა იქონიეს სოციალურ-ეთნოლოგებმა ემილ დურჰეიმმა და სერ ჯეიმს ფრეზერმა, რომლებიც ცნობილი მოგზაურ-ეთნოლოგები იყვნენ. დუტეს კალამს ეკუთვნის მრავალი ნაშრომი პროვინციული მაროკოს შესახებ. ცნობილია მისი წიგნები „მარაკეში" და „ტომებს შორის". იგი აქვეყნებს ამ ქვეყნებში შეგროვილ ეთნოგრაფიულ მასალებს სამხრეთის ბერბერების ყოფა-ცხოვრების შესახებ, აღწერს ქ. მარაკეშს და წერს, რომ ამ ქალაქში ცხოვრობს ხალხი, რომელთაც აქვთ კულტურის ბევრი კერა, ბიბლიოთეკა, კარგად განვითარებული მეცნიერება, ლიტერატურა, ფილოსოფია, განსაკუთრებით საინტერესოა ის, რომ ე. დუტემ პირველმა აღწერა ამ ქალაქის ჯერ კიდევ ახლად ჩამოყალიბებული ბურჟუაზია. ქალაქის ქვედაფენები — ხელოსნები და ვაჭრები[15]. რაც შეეხება სამხრეთის ტომებს და მათ ყოფაცხოვრებას, დუტე აღნიშნავს, რომ მათ აქვთ სეგმენტური ორგანიზაცია. სიმეტრიული დაყოფის თანახმად, ისინი ბევრი ქვეჯგუფებისაგან შედგება[16].

არც ერთ ტომს, ან ტომობრივ გაწშტოებას არა აქვს არავითარი პოლიტიკური და სხვა სახის პრიორიტეტი. ტომის ავტორიტეტი და უპირატესობა მყოვნდება მხოლოდ და მხოლოდ სახელოვანი წინაპრების არსებობის შემთხვევაში, ყოველ ტომს ჰყავს ბელადი (ამხარი) და საკრებულო (ჯამაა). დუტე მაროკოს კოლონიზაციის მომხრეა, რადგანაც მისი აზრით, ქვეყანა დიდ პერსპექტივას უქადის ევროპულ კაპიტალს, ხოლო ევროპა მაროკოელ ხალხს გაჭრეებდან დაიხსნის. იგი გმობს საფრანგეთის ძალმომრეობით პოლიტიკას ალჟირში, რისთვისაც მას მოჰყავს თავის ნაშრომებში ანრი ლამარტინერის და ნ. ლაკრუსს, ამ ორი ალჟირელი ფრანგი მკვლევრის მოსაზრებანი, რომ ქვეყნის ათვისება უნდა მოხდეს მშვიდობიანად, კონფლიქტის გარეშე. ყოველივე ეს მისი აზრით, მხოლოდ ეკონომიკური ექსპანსიით არის შესაძლებელი.[17].

ყურადსაღებია ფრანგი მოგზაურის შარლ დე ფოკოს ჩანაწერებიც. იგი აღწერს პროტექტორამდელ მაროკოს, როგორც ფეოდალურ მუსლიმურ-თეოკრატიულ მონარქიას. ქვეყნის ეკონომიკას, რომელიც სოფლის მეურნეობაზე იყო დაფუძნებული; ქალაქებს, სადაც კარგად იყო განვითარებული ხელოსნობა და ვაჭრობა. რაც შეეხება სოფლის მოსახლეობას, აქ შემორჩენილია გვარტომობრივი ურთიერთობა, ტომებს ბელადები ჰყავთ, რომლებიც კრეფენ გა-

---

[14] Terasse Henri. დასახ. ნაშრომი, გვ. 358.

[15] Doutté Edmond, Marakech, Paris, 1905.

[16] Doutté Edmond, En tribu, Paris, 1914.

[17] Lamartinière H. M., Lacroix N. Documents pour servir à l'étude du nord-ouest africain, Algier, 1927, გვ. 169.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასადებს, გადასახადების ამკრეფთა შორის არიან რელიგიური ლიდერები — მარაბუტები. სულთნის ხელისუფლება შარლ დე ფუკოს წარმოდგენილი აქვს როგორც არარაობა, უმნიშვნელო რამ. იგი მას ზედმეტად მიიჩნევს, სამაგიეროდ აღიარებს ბერბერული ტომების პოლიტიკურ ორგანიზაციას. ერთიანი მმართველობის არ არსებობა, შარლ დე ფუკოს აზრით, მაროკოს სახელმწიფოს დაღუპვას უქადდა[18].

მაროკოს ისტორიის შესასწავლად ფრანგულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში თვალსაჩინო ადგილი უჭირავს ფრანგი დიპლომატისა და მეცნიერის ეჟენ ობინის ნაშრომებს. მისი წიგნი „თანამედროვე მაროკო“ ბევრ საინტერესო ცნობას შეიცავს, პროტექტორამდელი პერიოდის მაროკოს ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით ობინი მაროკოს სახელმწიფოს გვიხატავს, როგორც არა მყარ ფედერაციას, რომელიც არსებობს ისლამის რელიგიისა და მაპზენის ძალდატანების საშუალებით. ე. ობინი აღნიშნავს, რომ კონფლიქტის მიუხედავად, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებასა და ტომებს შორის გრძელდებოდა, ურთიერთობა მათ შორის მაინც მტკიცე იყო, რადგანაც ტომთა უმრავლესობა მაპზენთან ნათესაურ კავშირში იმყოფებოდა და ასეთი ურთიერთობა კონფლიქტის დროსაც კი არ წყდებოდა[19].

თუ ობინი ასეთ მდგომარეობას ანარქიას უწოდებდა, ე. დუტე სულ სხვა წარმოდგენის არის ამ საკითხზე. იგი წერს: „ეს სულაც არ არის ანარქია, პირიქით წესრიგია, ასეთ ქაოსში ყველა აქტიური ძალა თანასწორობას პოვებდა, ხოლო კლასების და პოლიტიკური პარტიების საქმიანობა მიმართული იყო იმისაკენ, რომ უზრუნველყოფილ მყარი პოლიტიკური დასაყრდენი ცენტრალური ხელისუფლებისათვის როგორც ქალაქად, ასევე სოფლად“[20].

ე. დუტე მიუთითებს, რომ ქვეყნის დაყოფა ორ ზონად მაპზენად და სიბად ევროპელი მეცნიერების შეცდომაა, ევროპელ მეცნიერებს იმპერია წარმოუდგენიათ როგორც სხვა სახელმწიფოებისაგან საზღვრებით გამოყოფილი ტერიტორია, ხოლო მუსლიმების თვალსაზრისით, სულთნის ხელისუფლება გავრცელების საზღვარი მოსახლეობის სულთნისათვის მორჩილებისდა მიხედვით განისაზღვრებოდა. დაუმორჩილებელი და დამორჩილებული ტერიტორიების საკითხის ასეთი გაგება ხშირად იწვევდა ალჟირ-მაროკოს სასაზღვრო კონფლიქტს[21].

ფრანგი ავტორები მაროკოს შესწავლისას დიდი მნიშვნელობას ანიჭებდნენ ბერბერების სოციალურ-ეთნოგრაფიული თვალსაზრისით გამოკვლევას. ბევრი ფრანგი ავტორი მათ აიგივებდა ალჟირელ კაბილებთან, მაგალითად, პარკინ დე სეგონზაკი მომხრეა იმისა, რომ მაროკოში ალჟირის მსგავსად მოსახლეობა დაიყოს ორ ფენად: ფრანგ მოქალაქეებად და ადგილობრივ ქვეშევრდომებად, შემოშავდეს ადგილობრივი კოდექსი მაროკოს მოსახლეობისათვის, რის მიხედვითაც მაროკოელ არაბებსა და ბერბერებს არ ექნებოდათ ის უფლებები, რითაც სარგებლობდნენ ფრანგი კოლონიზატორები. მსგავსად ალჟირისა,

---

[18] Foucauld Charles de, Reconnaissances au Maroc, 1883—1884, Paris, 1888, გვ. 78.

[19] Doutté Edmond, Une mission d'études, „Renseignement coloniaux“, Paris, 1961, გვ. 169.

[20] Aubin, Eugene, Le Maroc d'aujourd'hui, Paris, 1903, გვ. 52.

[21] Doutté Edmond, En Tribu..., გვ. 83.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაროკოშიც უნდა განვითარებულიყო აგრარული კაპიტალიზმი, რაც ითვალისწინებდა ეკონომიკურ ძალდატანებას ახალი კოდექსის საშუალებით[22].

ფრანგი მკვლევარი ედმონდ დუტე მისი კოლეგებისაგან განსხვავებით საგანგებოდ არ ეძებს ეთნიკურ სხვაობას არაბებსა და ბერბერებს შორის.. ე. დუტე წერს: „მაროკოში ისევე, როგორც ალჟირში ადგილობრივი ხალხის ეთნიკური დაყოფა „არაბებად“ და „ბერბერებად“ — ეს მხოლოდ არარსებული მოგონილი სხვაობაა, როცა არ არსებობს რაიმე კრიტერიუმი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელი იქნებოდა ამ განსხვავების დადგენა[23]. სტატიაში „ორი პოლიტიკა“ იგი წერს, რომ „მაროკოში შეხვდებით ბერბერულ ენაზე მოლაპარაკე არაბებს, ან პირიქით, ეს აღინიშნება როგორც მკვიდრ, ასევე მომთაბარე მოსახლეობაშიც. სიტყვა „ბერბერს“ არ აქვს ზუსტი აზრი გარდა იმისა, რომ იგი ლინგვისტურია, ეს იმას ნიშნავს, რომ არსებობს დიალექტთა ჯგუფი, რომელშიც დიალექტები მჭიდროდ უკავშირდებიან ერთმანეთს[24]. ასე, რომ თუ მოვინდომებთ, შეიძლება კიდეც დავყოთ ჩრდილო აფრიკელები ბერბერებად და არაბებად, მომთაბარეებად და მკვიდრ მოსახლეობად, მრავალრიცხოვან ანტომიურ ტიპებად, მაგრამ არაბებსა და ბერბერების ეთნიკური კლასიფიკაცია არ არის ცალკე გამოსაყოფი კონკრეტული ფაქტი[25]. საბოლოოდ არაბებსა და ბერბერებს შორის განსხვავების საფუძვლად მას ლინგვისტური სხვაობა მიაჩნია.

საფრანგეთის პოლიტიკაში მაროკოს მიმართ შეიძლება გამოიყოს ორი ტენდენციური მიმართულება. პირველი ცნობილია „მაჰზენის პოლტიკის“ სახელით და ითვალისწინებდა მაროკოს მთავრობის თანამონაწილეობით რეფორმების გატარებას, ხოლო მეორე — „ტომების პოლიტიკა“ — ითვალისწინებდა მაროკოს ბერბერული ტომების თანდათანობით დამორჩილებას და ქვეყნის მთელი ტერიტორიის ანექსიას[26]. მაჰზენის პოლიტიკის გატარების მომხრეები ფრანგი დიპლომატები იყვნენ, ხოლო ტომების პოლიტიკისა — უმაღლესი სამხედრო პირები. ამ ორ მიმართულებას შორის უკომპრომისო ბრძოლა მიმდინარეობდა და ბოლოს საფრანგეთის თავრობამ მაჰზენის პოლიტიკის გატარებას დაუჭირა მხარი. მას საფუძველი ჩაუყარა დელკასეს პოლიტიკამ, 1904 წ. ხელშეკრულების შემდეგ, რომლის მიხედვითაც საფრანგეთის ეკონომიკური დამარების საფარ ქვეშ უნდა გაეტარებინათ „მშვიდობიანი შეღწევის“ პოლიტიკა. ამას ერთი მხრივ, უნდა შეენელებინა საფრანგეთის დეპუტატთა პალატაში კოლონიალური ექსპანსიის კრიტიკა, ხოლო მეორე მხრივ, საფრანგეთის მთავრობის აზრით, ასეთ პოლიტიკას წარმატება უნდა მოეტანა ტომების დამორჩილების საქმეში. მშვიდობიანი შეღწევის აზრით, საფრანგეთი ცდილობდა ქაროკოში მიეღწია დომინირებული მდგომარეობისათვის რეფორმების გატარების გზით, რაშიც მას სულთანი და მაჰზენი უნდა დახმარებოდნენ[27].

ფრანგები ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება რომ თითქოს იცავდნენ ტომებში არსებულ გადასახადების აკრეფის წესებს, პატივს სცემ-

---

[22] Segonzac Marquis de. Voyages au Maroc, 1899—1901, Paris, 1904, გვ. 97.
[23] Doutté Edmond, En Tribu..., გვ. 152.
[24] Doutté Edmond, Les deux politiques, Afrique française, 1903, გვ. 306-307.
[25] Doutté Edmond. En Tribu..., გვ. 161.
[26] R. de Caix. La France et le Maroc, Afrique française, 1903, გვ. 404.
[27] Bernard A., Les confins algéro-marocains, Paris, 1911, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დნენ რელიგიას და ადგილობრივ წეს-ჩვეულებებს, ფრანგი მოხელეები თან-მშრომლობდნენ მაჰზენის ოფიციალურ წარმომადგენლებთან, ყოველმხრივ ცდილობდნენ შეექმნათ ისეთი შთაბეჭდილება საფრანგეთსა და ევროპის განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებში, რომ თითქოს კოლონიზატორები პატიოსნად იქცეოდნენ.

მაროკოს სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის შესწავლის საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს როგორც ე. დუტემ, ისე მაროკოში სამეცნიერო მისიის ხელმძღვანელმა ე. მიშო-ბელერმა, მ. ეტიენმა, რ. დე კემ და სხვ: ისინი აღნიშნავდნენ, რომ მაჰზენის ავტოკრატიამ უარყოფითი გავლენა მოახდინა ბერბერების დემოკრატიულ წესებზე და ჩვეულებებზე. მიუხედავად ამისა, მხოლოდ ბერბერების წინააღმდეგობის წყალობით იყო, რომ სულთნის სამოქალაქო და სასულიერო ხელისუფლება ძირეულად განსხვავდებოდა ერთმანეთისაგან. ხელისუფლებისდა მიხედვით იყოფოდა აგრეთვე სულთნის მთავრობის გავლენის სფეროებიც. თავის დროზე ე. ეტიენი მოუწოდებდა საფრანგეთის ხელისუფლებას ორგვარი პოლიტიკის გატარებისაკენ, რამდენადაც ამ საშუალებით საფრანგეთის მორჩილების ქვეშ ადვილად აღმოჩნდებოდა, როგორც მაჰზენის, ასევე ტომების მიწებიც[28]. ედუარდ მიშო-ბელერი, რომელმაც 20 წელზე მეტ ხანს დაჰყო მაროკოში, მას ორ ნაწილად, ორ „ორგანიზმად“ ჰყოფს, მაჰზენისა და ბერბერულ „ორგანიზმად“. იგი ამბობს, რომ „მაჰზენის ბერბერული პოლიტიკა არ განსხვავდებოდა უძველესი ფინიკიელებისა და რომაელების ბერბერული პოლიტიკისაგან. „როგორც მათ, მაჰზენსაც არ ძალუძს წესრიგში მოიყვანოს ბერბერების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, ერთადერთი, რაც მათ შეეძლოთ მოემოქმედათ ბერბერების წინააღმდეგ, ეს იყო ბერბერების გარკვეულ საზღვრებში მომწყვდევა, ყოველგვარი საფუძვლის გარეშე. მათ ყოფა-ცხოვრებაზე პასუხისმგებლად საკუთარი თავის გამოცხადება. ყველა ამ საშუალებით მაჰზენი ამართლებდა თავის უფლებებს ბერბერებზე, რომლის გამოყენებაც მას თვითონ არც კი შეუძლია“[29]. ე. მიშო-ბელერი იმედს გამოთქვამდა, რომ ეს ორი ორგანიზმი გაერთიანდებოდა საფრანგეთის მეშვეობით. ფრანგული კოლონიალიზმის ეს აპოლოგეტი ცდილობდა თავისი მკითხველი დაერწმუნებინა იმაში, რომ თითქოს მაროკოს ერთ ძლიერან სახელმწიფოდ გაერთიანება და არაბებსა და ბერძნებს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის დამყარება მხოლოდ ფრანგების დაპყრობას შეეძლო.

ფრანგი მეცნიერები საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობენ მაროკოში ისლამის თავისებურებების შესწავლას. როგორც ისინი აღნიშნავენ, მაროკოში პროტექტორატის დროს და მის წინა პერიოდში არსებობდა ძალზე ბევრი სასულიერო თანამდებობის პირი კერძოდ, შერიფები მარაბუტები თუ წმინდანები, რომელთაც თავიანთი ორგანიზაციები ჰქონდათ. მაროკოს სულთნის უმაღლესი ხელისუფლებისადმი ოპოზიცია რელიგიური ზედაფენა წარმოადგენდა, ხოლო მისი გავლენა ქვეყნის პროვინციებში, ხშირად, სულთნის ხელისუფლებაზე ძლიერიც იყო. თავის დროზე ზოგიერთი ფრანგი ავტორი რჩევას იძლეო-

[28] Etienne M., Afrique française, Paris, 1904, გვ. 94.
[29] Michaux-Bellaire E. Le mission scientifique du Maroc, Rabat, 1925, გვ. 21.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სულთნის მხარდაჭერის ნაცვლად დაკავშირებოდნენ მარაბუტებს, რელიგიური ძმობის მეთაურებს, სასულიერო არისტოკრატიას, რაც უფრო გამოსადეგი იყო კოლონიური შეღწევისათვის[30]. ისეთი ცნობილი მეცნიერები, როგორიც არიან ე. დეტე და ე. მიშო-ბელერი. სათანადოდ ვერ აფასებდნენ ისლამის სარწმუნოებას, ისინი ისლამს მაროკოს საზოგადოების დეგრადაციის მიზეზადაც კი მიიჩნევდნენ. ისლამი ტყვიის მანტიასავით დაწვა მთელ ქვეყანას, — ამბობდა პირველი[31]. ისლამის შესწავლა ნთელოფოს თავის სისაატიკეს და მტრულ განწყობილებას ყოველგვარი პროგრესისა და ცივილიზაციისადმი[32], — კვერს უკრავდა მეორე. რაც შეეხება ბერბერებს, ისინი მხოლოდ ნაწილობრივ ეზიარნენ ისლამს. ბერბერების მცირე ნაწილის მიერ ისლამის აღიარებას, მათი აზრით, მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. ფრანგი ეთნოლოგები ირწმუნებიან, რომ „პირველდაწყებითი“ ბერბერული რელიგია არსებობას აგრძელებდა „ფეტიშიზმის, კერპთაყვანისმცემლობის, წარმართობის ნარევის სახით, სადაც შეხვდებოდით ჯადოსნობის, იუდაიზმის და კათოლიციზმის ნაკვალევს[33].

მიუხედავად მრავალი საინტერესო ფაქტების გამოვლენისა და დაკვირვებებისა, რომლებიც ფრანგმა მეცნიერებმა ჩრდილო აფრიკის ეთნოლოგიური კვლევისას ჩაატარეს, საფრანგეთის ხელისუფლება მაროკოში პროტექტორატის დამყარების შემდეგ (1912) არ ცდილობდა შეემუშავებინა ოტტომანური პოლიტიკა ბერბერების მიმართ, მათი ყურადღება ძირითადად მიმართული იყო მაჰხენზე ჰეგემონის დამყარებისკენ. სამეცნიერო ექსპედიციების შედეგად, რომელიც ჭ. მარაკეშის სამხრეთით მდებარე რაიონებში ეწყობოდა, აღმოჩნდა, რომ ბევრ ბერბერულ ტომში ფეოდალური ურთიერთობა საკმაოდ შორს იყო ფესვებგადგმული. ფრანგი მეცნიერი პოლ ლემუენი თავის ნაშრომში, რომელიც 1905 წელს გამოქვეყნდა, წინადადებას იძლეოდა დაემყარებინათ მჭიდრო ურთიერთობა ბერბერული ტომების ბელადებთან, რადგან ასეთი გზით საფრანგეთს აღარ გაუძნელდებოდა მაროკოს დამორჩილების წარმატებით განხორციელება[34]. ატლასის მთებში ჩატარებული მარკიზ დე სეგონზაკის ექსპედიციების საშუალებით დადგენილი იქნა, რომ იმ ტომში, რომლის სათავეშიც ავტორიტეტული ბელადი არ იდგა, ანარქია სუფევდა. მაგრამ მარკიზ დე სეგონზაკი სულაც არ აღწერს ბერბერული ტომის იდეალურ სახეს. იგი ამტკიცებს, რომ მათ ახასიათებთ რელიგიური შეურიგებლობა, საზოგადოებრივი ანარქია, დაბალი მორალური დონე აგრეთვე უხეში საქციელიც. კარგი იდეალური ბერბერის პიროვნება ჩამოყალიბდებოდა მხოლოდ და მხოლოდ პროტექტორატის დამყარების შემდეგ, — ამტკიცებდა იგი.

ზოგიერთი ფრანგი ექსპერტი დაეინებით მოითხოვდა ისეთი პოლიტიკის გატარებას, რომლის საშუალებითაც ფრანგი კოლონიზატორები არაბებსა და ბერბერებს შორის არსებულ მცირე განსხვავებებსაც კი გამოიყენებდნენ. ამას

---

[30] Segonzac Marquis de, Au Coeur de l'Atlas, missiou au Maroc, 1904—1909, გვ. 251—258; Miège J. L., Le Maroc et l'Europe, Paris, 1963, ტ. 4. გვ. 245-246.

[31] Deutté Edmond, Le Fanatisme Musulman, „Renseignement coloniaux“ 1909, გვ. 155.

[32] Michaux-Bellaire E., Le mission..., გვ. 50.

[33] Segonzac Marquis de, Au coeur..., გვ. 266.

[34] Lemoine P., Mission dans la Maroc occidental „Renseignements coloniaux“, 1905, გვ. 78.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოითხოვდა რობერ დე კე, მაგრამ ეს თვალსაზრისი არ მოეწონა ფრანგი კოლონიზატორების უმრავლესობას — 1912 წ. შემოღებულმა ოგიუსტ ბერნარის განსაზღვრებამ უფრო ფართო გამოხმაურება პოვა. თავის წიგნში „ალჟირ-მაროკოს საზღვრები“ ო. ბერნარი აღნიშნავს: „რაც შეეხება ფრანგული ეექსპანსიის მიმართ ბერბერებისა და არაბების განწყობას, იგი მკვეთრად არ განსხვავდება იმისაგან რასაც ზოგჯერ წარმოგვიდგენენ (ფრანგი ავტორების შეხედულებანი-ზ. მ.) უეჭველია, რომ მათ შორის არსებობს განსხვავებანი, რომელიც მხედველობაში მიღებული უნდა იქნეს, მაგრამ პოლიტიკის ფორმირების დროს მასზე უარის თქმა არის საჭირო — არაბები და ბერბერები საკმაოდ შეერთვნენ ერთმანეთს, მათი სოციალური მდგომარეობა იმდენად ჰგავს ერთმანეთს, რომ შეუძლებელია მათი რადიკალური ურთიერთდაპირისპირება.

აღნიშნულ ნაშრომში ო. ბერნარი ლიოტეს აზრს იზიარებს. ლიოტეს ჩანაწერების გამოკვლევისას ძნელია „ბერბერული პოლიტიკის“ არსის დადგენა[35]. თავის ნაშრომში „მაროკოს მიმართულებით“ ლიოტე იმ აზრს ავითარებს, რომ საგულისხმო განსხვავება ბერბერებსა და არაბებს შორის არ არსებობს, და ყოველივე ეს პოლიტიკასთან არავითარ კავშირში არ იმყოფებოდა. ფრანგების მიერ მაროკოს დაპყრობის წინ — 1904—1912 წწ. პერიოდში, ლიოტეს ჩანაწერებში მაროკოელი ბერბერების სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაციის საკითხები განხილული არ არის.

ზოგიერთი ფრანგი ავტორი იმ პერიოდში წინადადებას იძლეოდა საფრანგეთს ისეთი პოლიტიკა გაეტარებინა, რომელიც მას საშუალებას მისცემდა არაბებსა და ბერბერებს შორის არსებული სხვაობა თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა. მათ შორის უნდა დავასახელოთ ლ. რივიერი, გენერალი შარბონო[36].

მაროკოს დაპყრობისათვის მოსამზადებელ პერიოდში (1904—1912) საფრანგეთის მიერ გატარებულ პოლიტიკას ედფენდ ბურკე III განიხილავდა როგორც ცივილიზატორულ პოლიტიკას ჩამორჩენილი და უვიცი ხალხის ჭიმართ და აღნიშნავდა, რომ თითქოს ფრანგი კოლონიზატორებისა და დამორჩილებული მაროკოელი ხალხის მჭიდრო ურთიერთობა საშუალებას მისცემდა საფრანგეთს გამოენახა მაროკოელთა მიმართ გატარებული თავისი კოლონიური პოლიტიკის ოპტიმალური ვარიანტი[37].

მიუხედავად იმისა, რომ მაროკოს დაპყრობის წინ, თითქმის ათი წლის მანძილზე, ამ ქვეყნის ისტორიისა და ეთნიკური შემადგენლობის შესწავლა ძალზე ინტენსიურად მიმდინარეობდა, ფრანგულ ეთნოლოგიურ ლიტერატურაში ბერბერების და არაბების მიმართ საფრანგეთის პოლიტიკის გატარების თაობაზე ერთიანი შედარება არ ჩანს.

თავიანთ ექსპანსიონისტურ აქციას მაროკოს მიმართ ფრანგები ამართლებენ იმით, რომ 1912 წლის წინ ქვეყანაში ანარქია სუფევდა და სულთნის ხელისუფლება არაპოპულარული იყო-ო. ი. ფანშნინის მიხედვით, „შერცხვენილ“

---

[35] Bernard A., დასახ. ნაშრომი, გვ. 207.

[36] Riviere L., Traités, Codes et lois du Maroc, Paris, 1924, ტ. 1; Général Charbonneau, Le Maroc à la croisée de chemin, Bourg, 1903.

[37] Edmund Burke III, The Image of the moroccan State in French Ethnological Literature: a new look at the Origin of Lyautey's Berber Policy, Arabs and Berbers, Duckworth, 1973, გვ. 179.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულთანს ისღა დარჩენოდა რომ თავისი ტახტი რაც შეიძლება ძვირად დაეფასებინა[38].

კოლონიზატორული პოლიტიკის გულმავიწყ აპოლოგეტებს უნდა შეეახსენოთ, რომ ბერბერული და სხვა ტომების გამოსელები მიზნად ისახავდნენ არა ანარქიის შექმნას, ან სულთნის ხელისუფლების დამხობას, არამედ ფრანგების განდევნას მშობლიური მიწა-წყლიდან. სულთნის არაპოპულარობა კი იმით იხსნებოდა, რომ იგი სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევდა დამპყრობლებს. 1912 წ. 24 მაისს ლიოტე, რომელიც იმ დროს უკვე გენერალური რეზიდენტი გახდა ქ. ფესში ჩავიდა. მან მაროკოს ტერიტორია 5 სამხედრო ერთეულად დაპყო; დაიწყო ქვეყნის „ათვისება". სამხრეთ ნაწილში, სადაც ფეოდალური ურთიერთობანი იყო ჩამოყალიბებული, ხელისუფლება შვიდი მსხვილი კაიდის (ბეთაურის) ხელში იყო მოქცეული. ისინი ნებაყოფლობით დაემორჩილნენ ფრანგებს და ამის საპასუხოდ თავიანთი ფეოდალური ხელისუფლება შეინარჩუნეს. მაროკოს ჩრდილოეთ და ცენტრალურ ნაწილში, სადაც ძლიერი იყო პატრიარქალურ-ფეოდალური ურთიერთობანი, საფრანგეთის ხელისუფლება ურჩი ტომების დასამორჩილებლად სხვა ზომებს მიმართავდა, გზავნდა დამსჯელ რაზმებს, რომლებიც ანადგურებდნენ და აოხრებდნენ სოფლებს, ნათესებს, ხოცავდნენ საქონელს, წვავდნენ სახლებს და ა. შ. ეი ასეთი მეთოდებით ცდილობდნენ ფრანგი კოლონიზატორები ქვეყნის დამორჩილებას[39]. ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებისას დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა ტომის ბელადთან დამოკიდებულების საკითხის გადაწყვეტას, რაც გამოიწატებოდა, მათთან ახლო ურთიერთობის დამყარებაში, ქქ. მეკნესის და ფესის რაიონებში ძლიერი ტომები არ ცხოვრობდნენ, შუღლის შედეგად დაქსაქსული ცალკეული ბერბერების ჯგუფები მაინც სერიოზულ წინააღმდეგობას უწევდნენ თავიანთი სტრატეგიული ადგილმდებარეობის გამოყენებით, რადგან ისინი პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდნენ ფრანგების წინააღმდეგ[40].

საფრანგეთის ჯარი უძლური აღმოჩნდა თავისუფლებისმოყვარე ბერბერებთან რაიმე გაეწყო. გარდა ამისა, არ იყო სათანადოდ შესწავლილი ამ რეგიონის ბერბერების ყოფა-ცხოვრება, რაც აძნელებდა მათთან ურთიერთობის დამყარებას. პირველი ცნობები შუა ატლასის ბერბერების შესახებ ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ფრანგ ოფიცერს მორის ლეგლეს ეკუთვნის. თავის ნაშრომში „ლიოტე და ადგილობრივი მმართველობა", იგი მოუწოდებდა, რომ აღნიშნულ რეგიონში სასწრაფოდ დაწესებულიყო კონტროლი, რადგანაც ვამუდმებული ანტიფრანგული გამოსვლები კოლონიზატორების სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა[41]. ვინაიდან სპეციალური გამოკვლევები ბერბერების შესახებ არ იყო, საჭირო გახდა რაიმე ორიენტირის არსებობა მათთან საერთო ენის

---

[38] Fanchon Y., Le Maroc d'Algesiras, à la souveraineté économique, Paris, 1957, გვ. 63.

[39] Martinot A., Les delires de l'imperialisme et les folies marocaines, Paris, 1925, გვ. 121.

[40] Colliez A. Notre Protectorat marocain, Paris, 1930, გვ. 63.

[41] Le Glay Maurice, Lyautey et le commandement indigene, Afrique française, 1936, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსანახად. ფრანგებმა გამოიყენეს ის გამოცდილება, რომელიც მიიღეს ალჟირში ადგილობრივი ბერბერების მიმართ გატარებული პოლიტიკის შედეგად. ფრანგი მეცნიერი შარლ რობერტ აყერონი ამ პოლიტიკას „კაბილურ მითს“ უწოდებდა. ეს იყო „მითი კარგი ბერბერების შესახებ“. ფრანგების მიერ ხაზგასმულ ალჟირელ ბერბერთა ასეთ დადებით დახასიათებას საფუძვლად დაედო კაბილთა სახზოადოების დემოკრატიული ხასიათი, მისი გამუსლიმების დაბალი დონე, ქალების თანასწორუფლებიანობა ჩრდილო-დასავლეთ აფრიკის სხვა ქვეყნებთან შედარებით. კაბილების მიერ ფრანგული კულტურის სწორაფი აღქმა[42]. გარდა ამისა, ფრანგი კოლონიზატორები მოხერხებულად იყენებდნენ ტომთა შორის არსებულ მტრობას, დამორჩილებულ ტომებს ჰპირდებოდნენ დიდძალ ფულად თანხას იმ შემთხვევაში, თუ ისინი თავისივე მონათესავე ურჩი ტომების წინააღმდეგ ფრანგ ჯარისკაცებთან ერთად გაილაშქრებდნენ, ლაშქრობის შემდეგ ხელში ჩაგდებული ნაძარცვი ქონება ტომებს რჩებოდათ. ფრანგი ისტორიკოსი ფ. ბილუ ამ შემთხვევის გამო წერდა: „ბერბერი მეომრები, რომლებიც ფრანგებთან ერთად მონაწილეობდნენ ურჩი ტომების წინააღმდეგ მოწყობულ დამსჯელ ექსპედიციებში, გამარჯვების შემდეგ ტრიუმფით ბრუნდებოდნენ თავიანთ ტომში და თან მოჰქონდათ ნაძარცვი საქონელი“[43].

ასეთი იყო ფრანგული კოლონიალური პოლიტიკის ზოგიერთი მეთოდი მაროკოში. ოკუპანტები არავის არ ინდობდნენ, თუ მათ არ დაემორჩილებოდნენ. გამონაკლისს არც სულთანი შეადგენდა, მიუხედავად იმისა, რომ 1912 წ. 30 მარტის ხელშეკრულებით სულთნის ინტერესების დაცვა გარანტირებული იყო. 1912 წ. აგვისტოსათვის მაროკოს სულთანი აიძულეს თავის ძმისთვის — მულაი იუსუფისათვის ტახტი დაეთმო. ეს უკანასკნელი თავისი წინამორბედისაგან განსხვავებით უფრო ფრანგული ორიენტაციის აღმოჩნდა. მიუხედავად ახალი სულთნის ღალატისა, ბერბერული ტომები თითოეული მტკაცელი მიწისათვის უკომპრომისო ბრძოლას განაგრძობდნენ[44]. რიცხობრივად ჭარბმა და უკეთესად შეიარაღებულმა საფრანგეთის ჯარმა დიდი დანაკარგების ფასად შეძლო ქ. საფის, მარაკეშის, ფესისა და მეკნესიის ოკუპაცია. ბერბერული ტომები ბრძოლას არ წყვეტდნენ ოკუპირებულ ტერიტორიაზეც. მათ შორის იყო ისეთი ტომები, როგორიცაა აიტ ზაიანი, აიტ ვარიაგარი, აიტ ხამუ, აიტ უსი და სხვები. ფრანგ ოკუპანტებთან ბრძოლაში სახელი გაითქვა აიტ ზაიანის ტომის ბელადმა მოჰა უამამუმ. იგი პარტიზანულ ბრძოლას ეწეოდა და არ აძლევდა კოლონიზატორებს დაპყრობილ ტერიტორიაზე განმტკიცების საშუალებას[45]. ფრანგი კოლონიზატორები დაპყრობილ ტერიტორიაზე განსაკუთრებით ცდილობდნენ რიფების ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის სახელგანთქმული წინამძღოლის აბდალ-ქერიმ ალ ხატაბის თავის მხარეზე გადაბირებას. საქმეში მნიშვნელოვან როლს ასრულებდა ესპანეთიც. ესპანეთის მმართველმა წრეებმა ამდ ალ ქერიმის შვილები სამუშაოდაც კი მიიწვიეს, მაგრამ ამით მათ ამდ ალ ქერიმთან შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. როცა ტომების გაფთრებულ წინააღმდეგობას წააწყდა, საფრანგეთმა გაოაწყვეტა ჯარი გაე-

[42] Ageron Charles Robert, დასახ. ნაშრომი, გვ. 339.
[43] Billoux F., La France et le Maroc, Paris, 1955, გვ. 63.
[44] Bernard A., La France au Maroc, Paris, 1917, გვ. 21.
[45] Khorat P., Scènes de la pacification marocaine, Paris, 1914, გვ. 85.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანა ქვეყნის შიდა რაიონებიდან. ამ ნაბიჯს ამართლებდა ბევრი ფრანგი ავტორიც ა. კოლიე, ლ. მორისი, ჟ. ლეჟე, ბონე დევილერი და სხვები. მათი აზრით, საფრანგეთის გარნიზონი განლაგებული უნდა ყოფილიყო მხოლოდ სასაპირო ზოლში, ქვეყნის დაპყრობა დროებით გადაედოთ და სხვა კუთხეთი ძიდგომოდნენ ტომებთან ურთიერთობის მოწესრიგების საკითხს[46]. ბეობერიული ტომების თავგანწირულ წინააღმდეგობას და მათ წარმატებით ბრძოლას საფრანგეთის რეგულარული ჯარის წინააღმდეგ ზოგიერთი ავტორი უკავშირებს მაროკოში გერმანიის მიერ ინტენსიურად წარმოებულ ანტიფრანგულ საქმიანობასა და პროპაგანდას. ესენია ა. კამბონი, რ. კანი, ა. კოლიე ო. ბერნარი, გ. ჰარდი[47] უნდა აღინიშნოს, რომ ეს მაროკოში ფრანგების ზოგიერთი სამხედრო წარუმატებლობის გადამწყვეტი ფაქტორი არ იყო. ეჭვგარეშეა, რომ ტომის ბელადები მოხერხებულად იყენებდნენ მაროკოს ხელში ჩაგდების თაობაზე შექმნილ საფრანგეთ-ესპანეთის და ევროპის სხვა იმპერიალისტური ქვეყნების წინააღმდეგობას, მაგრამ ტომის ბელადების უმრავლესობა, ოფიციალური შეთანხმებით, არ ყოფილა დაკავშირებული არც ერთ ევროპულ სახელმწიფოსთან, ისინი ამ უკანასკნელთაგან მხოლოდ სამხედრო დახმარებას იღებდნენ. მაგალითად, გერმანელი მისიონერები მაროკოში ბევრ ტომის ბელადს დიდაალ იარაღს აწვდიდნენ და ფინანსურ დახმარებასაც სთავაზობდნენ[48]. ის სიძნელეები, რომელიც საფრანგეთის ხელისუფლებამ მაროკოს დაპყრობის დასაწყისში განიცადა, ფრანგების მიერ ბერბერების საბრძოლო პოტენციის არასათანადოდ შეფასების შედეგი იყო. გენერალურ რეზიდენტს ლიოტეს ბერბერული პოლიტიკა შემდეგნაირად ჰქონდა წარმოდგენილი: „საჭიროა პოლიტიკური მოქმედების მოხერხებული შეთავსება ძალასთან. ეს ორის ერთ-ერთი მთავარი პირობა მტრულად განწყობილი ტომების დასამორჩილებლად[49].

ამრიგად, ლიოტეს პოლიტიკის თანახმად, საჭირო იყო გავლენიანი მარაბუტების[50] ან ტომის ზედაფენის მოსყიდვა და მათი ავტორიტეტის საშუალებით ტომის დამორჩილება. როგორც მორის დე ლეკი აღნიშნავდა, „ტომის გულის მოსაგებად საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლება აშენებდა და აწყობდა ახალ ბაზრებს, საკრებულო შენობებს, ხსნიდა სამედიცინო დახმარების ახალ პუნქტებს[51]. პროტექტორატის დამყარების ხანაში (1912—1919 წწ.). ასეთი პოლიტიკა ცვლებადი წარმატებებითაც ხასიათდებოდა, მაგრამ საბოლოო მარცხი განიცადა, გარდა ამისა, საფრანგეთის ხელისუფლება ბევრ გავლენიან ბერბერს კოლონიური მმართველობის ადმინისტრაციაში მაღალ თანამდებობას ჰპირდებოდა, ბერბერების მიმართ მუდმივი პოლიტიკის შემუშავებისათვის არ იყო საკმარისი ინფორმაციაᲐ მოსახლეობის სოციალური შე-

---

[46] Colliez A. დასახ. ნაშრომი, გვ. 52; Maurice L., La politique marocaine de l'Alemagne, Paris, 1916; Legey G., Ce que j'ai vu au Maroc, Nancy,1925; Bonnet-Devillers, La guerre du Rif, Ce que j'ai vu au Maroc, Paris, 1926.

[47] Cambon H., Histoire du Maroc, Paris, 1952: Kann R. დასახ. ნაშრომი; Colliez A. დასახ. ნაშრომი; Bernard A. Le Maroc, Paris, 1921; Hardy G., L'âme marocaine d'apres la litterature française, Paris, 1926.

[48] Maurice L., დასახ. ნაშრომი, გვ. 74.

[49] Lyautey H. Paroles d'action, Paris, 1948, გვ. 36.

[50] მარაბუტებს უწოდებდნენ რელიგიური ძმების მეთაურებს ჩრდილეთ აფრიკაში.

[51] Le Glay Maurice, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მადგენლობის შესახებ, საჭირო იყო მაროკოში მყოფი ფრანგი კვალიფიციური ექსპერტებისა და ეთნოგრაფების რიცხვის გაზრდა. სწორედ აქ გახდა საჭირო იმ გამოცდილების გამოყენება, რომელიც ფრანგებმა ალჟირში კაბილებთან ურთიერთობისას შეიძინეს. ალჟირელი ბერბერების შესახებ ფრანგულ ენაზე მდიდარი ისტორიული და ეთნოგრაფიული ხასიათის ლიტერატურა არსებობდა. მასში დაწვრილებით იყო მოთხრობილი ბერბერული ტომების საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სოციალური ორგანიზაციის, მათი ზნე-ჩვეულებების, ბერბერული ენისა და მისი დიალექტების შესახებ, ამ მხრივ აღსანიშნავია ფრანგი მეცნიერების ა. ანოტოს და ა. ლეტურნეს სამტომეული ნაშრომი „კაბილები და კაბილთა ზნე-ჩვეულებანი". ო. ბერნარის „ალჟირი" „ჩრდილოეთ აფრიკის ადგილობრივი საზოგადოება",[52] სადაც ნათქვამია, რომ ალჟირში საფრანგეთის კოლონიური პოლიტიკის წარმატებით გატარებას ხელს უწყობდა ის ფაქტი, რომ ბერბერები აქ მცირერიცხოვანნი იყვნენ, ხოლო არაბებთან საერთო ენის გამოსახვა კი უფრო ადვილი იყო. „გარდა ამისა, არაბები ადვილად ეგუებოდნენ იმ გარემოებას, რომ საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლება ადგილობრივი მოსახლეობის მიმართ დიპლომატურ მიდგომას ხშირად ძალმომრეობით ცვლიდა[53]. რაც შეეხება მაროკოელ ბერბერებს, მათ არაფრის არ სწამთ, სჯერათ მხოლოდ თავისუფლების და ეჯავრებათ ყოველი ჯერის დამპყრობელი, მოძალადე, არაბი იქნება ეს თუ ფრანგი"[54].

ბერბერების შესახებ ფრანგულ ენაზე გამოცემულ ნაშრომებში დიდი ყურადღება ეთმობოდა ჯამაას (საკრებულოს) და უხუცესთა საბჭოს პოლიტიკური როლის გარკვევას ტომების ყოველდღიურ ცხოვრებაში. გარდა ამისა, განხილული იყო ტომთაშორისი ურთიერთობანი არსებული სამართლის საფუძველზე. მაჰზენი ნიშნავდა ტომის ბელადს სულთნის კართან დაახლოებული პირებიდან, ხოლო რეალური ძალაუფლება ჯამაას ან უხუცესთა საბჭოს ხელში იყო. ამასთან დაკავშირებით გაკრიტიკებულია მაროკოს ადგილობრივი ხელისუფლება პოლკოვნიკ ანრისის მიერ საფრანგეთის მთავრობისათვის გაგზავნილ მოხსენებით ბარათში[55].

საფრანგეთის ყოფილი სამხედრო ექსპერტების ანრისის, ბერიანის და სიმონის მიერ შედგენილ მოხსენებებში და საანგარიშო ბარათებში ბერბერები წარმოდგენილი არიან ერეტიკოსებად, რომლებიც შარიათის (მუსლიმური კანონმდებლობის) მიღებაზე უარს ამბობდნენ, კერძოდ ნათქვამია რომ მართალია ბერბერები გამუსლიმდნენ, მაგრამ მათ შეძლეს თავიანთი ტრადიციული არამუსლიმური წეს-ჩვეულებების შენარჩუნებაც. ისინი უნდობლად უყურებენ ისეთ ხელისუფლებას, რომელიც მოქცეულია ერთი ადამიანის ხელში, ისინი გამსჭვალული არიან დემოკრატიზმით, სახალხო სამსჯავროზე გამოაქვთ ტომის აე-კარი, უხუცესთა საბჭოს საშუალებით წყვეტდნენ ომისა და ზავის სა-

---

[52] Hanoteau A., Letourneux A. La Kabylie et les coutumes Kabyles. Augustin Challamel. Paris. 1893. ტ. 1, 2, 3.

[53] Bernard A. L'Algerie. Paris. 1931, გვ. 74.

[54] Soualah Mohammed. La société indigène de l'Afrique du Nord. Alger. 1937. გვ. 18.

[55] Surdon G. Institutions et coutumes des berbères du Maghreb, Tanger, 1938, გვ. 127.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კითხებს, გარდა ამისა მათ აქვთ დამოუკიდებლობის ძლიერი გრძნობა, რომელიც მთელი სიცხადით მომხდურთა მიმართ ვლინდება[56].

როცა ცდილობს საფრანგეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკა გაამართლოს ფრანგი ავტორი ა. ბრუნო ბერბერულ კანონ-სამართალს ფრანგულს ადარებს და ამბობს, რომ „ბერბერების კანონები იმდენად ახლოა ჩვენს (ფრანგულ) კანონებთან, რამდენადაც შორს არის ისლამის კანონებისაგანო"[57]. მას მოჰყავს ასეთი მაგალითი: „ბერბერებში ქალთან ურთიერთობა ახლოს არის ფრანგულ ნორმებთან, ამდენად, იგი უფრო ევროპული დონის არის, ვიდრე არაბული, ხოლო ყურანის მითითებანი ქალთან ურთიერთობის, ოჯახში მათი ადგილის და უფლებების შესახებ ბერბერებში გავრცელებული არ არისო[58].

ბერბერული პოლიტიკის გასატარებლად 1913 წ. 30 ივლისს გამოიცა სპეციალური ცირკულარი. მის თანახმად, კოლონიზატორები ჰპირდებოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას, ხელუხლებლად დაეტოვებინათ იმ ბერბერული ტომების ტრადიციული სოციალურ-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომლებიც დაეშორჩილებოდნენ ფრანგულ მმართველობას და არც სცნობდნენ შარიათს. იმისათვის, რომ კოლონიური შეღწევისათვის ნიადაგი მოემზადებინათ 1914 წ. 11 სექტემბერს გამოქვეყნდა დაჰირი (ბრძანებულება), რომლის მიხედვითაც პროფრანგულად განწყობილ ტომებს უნარჩუნებდნენ ტრადიციულ სამართალს. ბერბერებთან მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად საჭირო გახდა მათი ყოფა-ცხოვრების, ზნე-ჩვეულებების ზედმიწევნით კარგად შესწავლა, ამიტომ 1915 წ. 9 იანვარს რაბატში შეიქმნა ბერბერების ისტორიულ-ეთნიკური შესწავლის ცენტრი. ამ ორგანიზაციას ხელმძღვანელობას უწევდნენ გამოცდილი ფრანგი მოხელეები პოლკოვნიკი ა. სიმონნი, ბერო, გაიარი, ბიარნე და სხვ. დაარსდა ჟურნალი ფრანგულ ენაზე „ბერბერების არქივი", რომელიც ბერბერების ისტორიულ-ეთნიკური შესწავლის ცენტრის ორგანო იყო. გარდა ამისა, 1915 წ. ცენტრმა გამოაქვეყნა პირველი მონოგრაფია მაროკოს ბერბერებში მიმდინარე ეთნიკური პროცესების შესახებ[59], ამ ორგანიზაციის საქმიანობის არსი ასე განსაზღვრა ბერბერების ისტორიის შემსწავლელი განყოფილების გამგემ ა. სიმონმა: „დღეს ჩვენ აღმოვჩნდით მაროკოში, სადაც ბერბერები ყველაზე მრავალრიცხოვანი არიან. ისინი ინარჩუნებენ თავიანთ ეროვნულ სახეს. ჩვენ ისინი ზედმიწევნით კარგად უნდა შევისწავლოთ. ალჟირში გაწეული მუშაობა და განსაკუთრებით ანოტოს და ლეტურნეს შრომები მტკიცე ბაზას ქმნის ამისათვის. მაგრამ თითოეულ ტომს თავისი საკუთარი წესი და კანონი აქვს, ეს თავისებურებანი გულდასმით უნდა იქნეს შესწავლილი, რადგანაც ყველაფერი ეს წარმოადგენს იმის დოკუმენტურ საფუძველს, რასაც პოლიტიკური და ადმინისტრაციული კონტროლი ჰქვია"[60].

---

[56] Le Glay Maurice, Les populations berbères du Maroc, Conferences franco-marocains I, Paris, 1916, გვ. 433.

[57] Bruno H., Introduction a l'étude de droit coutummier des berbères du Maroc Central, Archives Berbères, Paris, 1917, ტ. III, გვ. 301.

[58] იქვე, გვ. 307.

[59] Decision du Comissaire Résident Général créant á Rabat un Comité d'etudes berbères, Archives Berbères, Rabat, 1915, გვ. 2—5.

[60] Simon H., Les ètudes berbères au Maroc et leurs applications en matière de politique et d'administration, Afrique française, 1915, გვ. 3-4.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამრიგად, ფრანგულ ისტორიოგრაფიაში ზედმიწევნით დაწვრილებით არის გაშუქებული საფრანგეთის პროტექტორატისდროინდელ მაროკოში მიმდინარე ეთნო-სოციალური და პოლიტიკური პროცესები, კოლონიური ხელისუფლების ურთიერთმოქმედება ამ პროცესებთან მისი მცდელობა გაღვიძებინა და თავისთვის სასარგებლო გზით წარემართა არაბებსა და ბერბერებს შორის არსებული ეთნიკური კონფლიქტები, დაესუსტებინა ეროვნულ განმათავისუფლებელი მოძრაობა და საბოლოოდ თავის ხელში მოექცია მაროკოელი ხალხის ბედი. ბევრი ფრანგი ავტორი გვერდს უვლის საფრანგეთის კოლონიური ხელისუფლების დამპყრობლური საგარეო პოლიტიკის კრიტიკას, თავის ნაშრომებში იძლევა მარტო მდიდარ ფაქტობრივ მასალას, რომელიც ადგილობრივი დაკვირვების საფუძველზეა წარმოდგენილი. ეს უკანასკნელი, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს პროტექტორატის პერიოდში მაროკოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური და ეთნიკური ცვლილებების არსის წარმოჩენას, მაგრამ ისტორიული განვითარების სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორების იგნორირება, ხალხის მასების როლის უარყოფა, საფრანგეთის კოლონიზატორული მისიის განდიდება ხელს უშლის მაროკოს ისტორიული წარსულის სწორ გაგებას.

З. А. МЕНТЕШАШВИЛИ

ФРАНЦУЗСКАЯ БУРЖУАЗНАЯ ИСТОРИОГРАФИЯ О «БЕРБЕРСКОЙ» ПОЛИТИКЕ ФРАНЦИИ

Резюме

Этно-социальные процессы, происходящие в независимом Марокко, получили должное отражение в современной французской буржуазной историографии. Эти процессы тесно связаны с колониальной политикой, проводимой Францией в годы протектората (1912—1956 гг.). Так называемая берберская политика фальсифицирована и субъективно оценена в трудах французских авторов Р. Кана, С. Куна, М. Берела, Ж. Бриниона и других. Анализ фактов и материалов, приводимых ими, позволяет вскрыть настоящую суть «берберской» политики, которая заключалась в стремлении воспитать из берберов прислужников колонизаторов, отделить их от арабов и противопоставить им, а также использовать берберов для воздействия на внутреннюю политику правящей династии Марокко.

წარმოადგინა შრომის წითელი დროშის ორდენოსანმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აზიისა და აფრიკის ქვეყნების ახალი და უახლესი ისტორიის კათედრამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შალვა შალვაშვილი

სიღნაღის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა 1905—1907 წწ.

XIX ს-ის დამლევს და XX ს-ის დასაწყისში რუსეთში კაპიტალიზმი გადაიზარდა იმპერიალიზმის სტადიაში, რომლისთვისაც დამახასიათებელი იყო იმპერიალიზმის ყველა წინააღმდეგობა.

XX ს-ის დასაწყისში უკიდურესად გამწვავდა ქვეყნის საგარეო და საშინაო მდგომარეობა. კაპიტალიზმის განვითარებამ და ბატონყმური ურთიერთობის ნაშთებმა წარმოშვა პროლეტარიატის და მშრომელი გლეხობის ექსპლუატაციის სასტიკი ფორმები. ახლოვდებოდა რევოლუციურ აფეთქებათა პერიოდი.

რუსეთ-იაპონიის 1905 წ. იმპერიალისტურმა ომმა და მასში რუსეთის არმიის მარცხმა, განსაკუთრებით კი 9 იანვრის სისხლიანმა დღეებმა დააჩქარა მუშათა კლასის და მშრომელი გლეხობის რევოლუციური გამოსვლები. ექსპლუატირებულმა კლასებმა იარაღი აღმართეს თვითმპყრობელობის წინააღმდეგ.

1906 წ. იანვარ-თებერვალში თბილისის, ბათუმის, ქუთაისის, სოხუმის და ტყიბულის მუშათა გაფიცვების გავლენით დაიწყო საქართველოს გლეხთა რევოლუციური მოძრაობა ოზურგეთის, ქუთაისის, სენაკის, შორაპნის, ზუგდიდის, გორის, თელავის, სიღნაღის და დუშეთის მაზრებში.

რევოლუციურ მოძრაობას სიღნაღის მაზრაში ხელმძღვანელობდნენ რსდმპ ადგილობრივი ორგანიზაციები, რომლებიც შეიქმნენ ჯერ კიდევ 1902—1903 წლებში. 1903 წლის ოქტომბერში შეიქმნა რსდმპ სიღნაღის სამაზრო კომიტეტი ალექსი უზუნაშვილის ხელმძღვანელობით, სხვა წევრებთან ერთად მასში გაერთიანებული იყო დიდი მეცნიერი-ფიზიოლოგი ივანე ბერიტაშვილი.

კომიტეტის წევრები დიდ მუშაობას ეწეოდნენ მშრომელ გლეხთა ფართო მასებში, უხსნიდნენ გლეხობას გაჭირვებული ცხოვრების მიზეზებს, აძლევდნენ მითითებებს მემამულური კაბალის, ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის, დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარებისათვის, მშრომელ მოსახლეობაში ავრცელებდნენ ხელისუფლების საწინააღმდეგო პროკლამაციებს და მოწოდებებს. მაგრამ კომიტეტის შემადგენლობა იდეურად ერთფეროვანი არ იყო. თავიდანვე ჩანდა მასში ორი საწინააღმდეგო მიმდინარეობის წარმოშობის ტენდენციები.

სიღნაღის მაზრაში არსებობდა სხვა პარტიული ორგანიზაციებიც: ნაციონალურ-დემოკრატიული, რადიკალურ-დემოკრატიული, სოციალისტ-ფედერალისტური და დაშნაკური[1].

---

[1] სკკპ ცკ-თან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის არქივი, ფ. 39, საქ. 42, აღწ. I, ფ. 41—42.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კომიტეტში შეიქმნა ბოლშევიკური ჯგუფები გამოჩენილი ქართველი რევოლუციონერის მოსე ვარამაშვილის ხელმძღვანელობით, რომელიც მშრომელ გლეხობას მოუწოდებდა მუშათა კლასთან ერთად რუსეთის ცარიზმის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურის დამყარებისაკენ.

1905—1907 წლების რევოლუციის წინა პერიოდში პირველად აღიმაღლეს ხმა არმიაში გაწვეულებმა. 1904 წლის 8 ნოემბერს ახლად გაწვეული 80 კაცი, ვიდრე „სამხედრო უწყებაში („პრისუტსტვია“) გამოცხადებდნენ, ქალაქის ბოდანზე შეიკრიბნენ და მტკიცედ შეჰფიცეს ერთმანეთს, რომ არ ესროდნენ მუშებს და საერთოდ აჯანყებულებს. ისინი წითელი დროშის ფრიალით და შეძახილებით „ძირს თვითმპყრობელობა“, „გაუმარჯოს პოლიტიკურ თავისუფლებას“-ო შევდნენ სამხედრო უწყებაში შესამოწმებლად. 1905 წლის რევოლუციის დასაწყისში აგრარული საკითხის გადასაჭრელად პირველნი გამოვიდნენ მშრომელი გლეხები. ისინი თვითნებურად იკავებდნენ მემამულეთა მიწებს, ჩეხდნენ ტყეებს, სარგებლობდნენ საძოვრებით, სარწყავი სისტემებით, ანადგურებდნენ მემამულეთა სახლ-კარს.

სოფლებში იქმნებოდა გლეხთა რევოლუციური კომიტეტები, წითელი რაზმები.

1905 წ. 18 მარტს სოფ. ბოდბისხევის გლეხებმა უნებართვოდ გაჩეხეს თელოვანის სატყეო აგარაკი. 24 მარტს სოფ. ბოდბისხევის, ქედელისა და ნუკრიანის წითელმა რაზმელებმა განიზრახეს თავდასხმა მოეწყოთ წმინდა ნინოს ეკლესიაზე, მოეხდინათ მისი კონების კონფისკაცია და შეეძინათ იარაღი. მაზრის ხელმძღვანელობამ შეიტყო თავდასხმის გეგმა, გამოიწვიეს საეგზეკუციო ესკადრონი და აღკვეთეს თავდასხმა[2].

რევოლუციურ მოძრაობაში გლეხთა გასაერთიანებლად და დასარაზმავად სოფ. ანაგაში კომუნისტ ილია ხიზანიშვილის ბინაზე სამაზრო კომიტეტის მიერ მოწყობილი იქნა არალეგალური სტამბა, რომელიც უშვებდა მოწოდებებს და პროკლამაციებს. აქვე არსებობდა იარაღის საწყობი. სტამბამ იმუშავა რეაქციის დაწყებამდე. 1915 წელს, როცა ქალაქ განჯაში (ამჟამად ქ. კიროვაბადი, აზერბაიჯანის სსრ) ეწყობოდა რსდმპ კავკასიის კავშირის არალეგალური სტამბა, შრიფტი მოსე ვარამაშვილმა სოფ. ანაგიდან გადმოიტანა[3].

მაზრის რევოლუციურ მოძრაობაში აქტიურ როლს ასრულებდა სოფ. ბოდბისხევის მკვიდრი, პოეტი და რევოლუციონერი იროდიონ ევდოშვილი.

მაზრაში რევოლუციური მოძრაობა ვერ შეაჩერა 1905 წ. 17 ოქტომბრის მანიფესტმა. 1905 წ. 23 ოქტომბერს ქ. სიღნაღში მოეწყო სოფლების: ანაგის, კარდანახის, ნუკრიანის, ბოდბისხევის და მაჩხანის მშრომელთა დემონსტრაცია, რომელსაც შეუერთდნენ ქალაქის სკოლების მოსწავლეები. დემონსტრანტები პროტესტს აცხადებდნენ მანიფესტის თვალთმაქცური ხასიათის გამო[4].

მაზრის ზოგიერთ სოფელში დაიწყო სახალხო მმართველობის შემოღება, რომლის წამომწყები სოფ. ჯუგაანი იყო. 1905 წ. 9 ნოემბერს, მათ უარი განაცხადეს გადასახადების გადახდაზე, სცემეს ხარჯთამკრეფეს, მამასახლისს და

---

[2] Революция 1905—1907 гг. в Грузии, сборник документов, Тб., 1956, გვ. 186.

[3] ჟურ. „რევოლუციის მატიანე“, № 2—3, თბ., 1924, გვ. 236.

[4] Революция 1905—1907 гг. в Грузии, сборник документов, Тб., 1956.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე გააძევეს სოფლიდან. ხალხმა თვითონ მოჰკიდა ხელი სოფლის მართვას, შექმნეს წითელი რაზმი, დანიშნეს ათისთავები და ასისთავები. მეფის მოხელენი ცდილობდნენ სახალხო მმართველობისათვის ანგარიში გაეწიერებინათ. მათ მონახეს სუსტი რგოლი სოფ. ტიბაანში. რეაქციონერებმა გადაბირეს ბობოლა გლეხები და დაარბიეს რევოლუციური კომიტეტი. კომიტეტის ერთ-კულმა წევრებმა დახმარება სთხოვეს ჯუგაანელებს, რომლებიც სწრაფად გამოცხადდნენ სოფ. ტიბაანში. რეაქციონერებსა და წითელრაზმელებს შორის მოხდა შეიარაღებული შეტაკება. ჯუგაანის წითელ რაზმში იბრძოდა დიდი ქართველი პოეტი სანდრო შანშიაშვილი[5]

მაზრის წითელრაზმელთა საბრძოლო ძალიერებისათვის სოფ. ანაგაში ნიკოლოზ ახმეტელაშვილის ბინაზე მოეწყო იარაღის დამამზადებელი არალეგალური სახელოსნო.

მაზრის რევოლუციურ მოძრაობას შეგნებულად ამუხრუჭებდნენ მენშევიკები და მათი თანამრახველი პარტიები.

მაზრის ბოლშევიკები დიდ მუშაობას ატარებდნენ სამხედრო ნაწილებში. სოფელ ლაგოდეხის პარტიული ორგანიზაცია ლუარსაბ ლობჟანიძის ხელმძღვანელობით მჭიდრო კავშირში იყო ლორეს № 264 პოლკის რევოლუციურ ორგანიზაციასთან. ამ პოლკის ტერიტორიაზე 1905 წ. 2 მაისს გაავრცელეს პროკლამაციები. ამავე წლის ბოლოს — 1905 წ. დეკემბერში რევოლუციურ ორგანიზაციას განზრახული ჰქონდა შეიარაღებული გამოსვლის მოწყობა. ამ იდეას მხარს უჭერდა პოლკის უფროსის მოადგილე ნიკა ნადირაშვილი და შეძლებისდაგვარად ეხმარებოდა პოლკის რევოლუციურ ორგანიზაციას. მაგრამ თანამდებობრივი მოვალეობა აიძულებდა ფრთხილად მოქცეულიყო. მენშევიკებმა მოღალატურად ჩაშალეს ეს გამოსვლა[6].

მოსკოვის 1905 წ. შეიარაღებულმა აჯანყებამ უდიდესი გამოხმაურება პოვა სიღნაღის მაზრაში. მაზრის ბოლშევიკები და ლაგოდეხის პოლკის რევოლუციური ორგანიზაცია ამზადებდნენ ახალ შეიარაღებულ გამოსვლას. შედეგნილი იქნა პოლკის უფროსისათვის გადასაცემი მოთხოვნილებათა ტექსტი, რომლის შეუსრულებლობის შემთხვევაში დაიწყებოდა გამოსვლა.

რევოლუციურ ორგანიზაციას კავშირი ჰქონდა სიღნაღის მაზრის „ცარსკოე კალოდეცში“ (ამჟამად წითელი წყაარო) განლაგებულ ტვერის № 43 და თელავის მაზრის ბაშკადიკლარის პოლკის რევოლუციურ ორგანიზაციებთან რეგითი ჯარისკაცის — მექანიკოს კოსიაკის მეშვეობით. მასზედ ეჭვი მიიტანეს და დაპატიმრეს. მისი სახელოსნოს გაჩხრეკის დროს აღმოაჩინეს არალეგალური ლიტერატურა და პროკლამაციები, მაგრამ მან შეიარაღებული გამოსვლის გეგმა არ გასცა. გეგმის თანახმად, წითელრაზმელებსა და პოლკის ჯარისკაცებს უნდა გაეტეხათ პოლკის იარაღის საწყობი, შეეიარაღებინათ წითელრაზმელები, დაეპატიმრებინათ მეთაურები და სხვა პოლკებთან ერთად გაეწიათ ქ. თბილისისაკენ საბრძოლველად. მაგრამ ეს გამოსვლაც მენშევიკებმა და ჯარისკაცთა რეაქციულმა ნაწილმა კვლავ ჩაშალეს[7].

---

5 იხ. ლ. ზ ე დ ე ლ ა შ ვ ი ლ ი, მოგონება, სიღნაღის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი, ფ. 710, 1962.

6 სსსცსია, ფ. 153, აღწ. საქ. 662, ფ. 120.

7 გ. ა თ ა ნ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, თელავისა და სიღნაღის გლეხთა რევოლუციური მოძრაობა 1905—1907 წლებში, გვ. 103.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფის ნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა პოლკში უწესრიგობის აღმოსაფხვრელად მიავლინა გენერალი კორნეევი, რომელმაც შეძლო ჯარისაცების ნაწილის დაპატიმრება, ნაწილის კი ხელისუფლების მხარეზედ გადაბირება. ასე დამთავრდა ეს გამოსვლაც უშედეგოდ, რომელშიც ბრალი მიუძღვის მენშევიკებს.

მაგრამ თვით რევოლუციური ორგანიზაციასაც არ ჰქონდა შედგენილი სწორი სამოქმედო გეგმა. ისინი შემოფარგლულნი იყვნენ სიღნაღის და მეზობელი ერთი მაზრით და, ცხადია, არ გააჩნდათ გამარჯვების შანსები.

ქიზიყელი მშრომელი გლეხობის დიდი ქომაგი იყო ქვემო მაჩხაანის ღარიბი გლეხი მიხა ჭუჭულაშვილი, რომელმაც ორ ამხანაგთან ერთად (შაქრო ბასილაშვილთან და ლადო ოზიაშვილთან) ტყეს შეაფარა თავი. ისინი იცავდნენ მშრომელ გლეხობას და არომრომით შემენილს მუქთახორა მდიდრებს. არ ყოფილა შემთხვევა, რომ ისინი ცუდად მოქცეოდნენ საწყალ გლეხობას.

არსებობს ბევრი მოგონება მშრომელი გლეხობისადმი მათი კეთილი დამოკიდებულების შესახებ. ასე მაგალითად: სოფელ ზემო მაჩხაანელ გლეხს, რომელსაც ცოლის დასამარხი ფული არ გააჩნდა მიხა ჭუჭულაშვილი დაეხმარა მევალეებისაგან ფულის ამოღებაში.

1908 წლის 13 ივნისს მდინარე ალაზანთან პოლიციამ მოკლა მშრომელთა ქომაგი სამი მეგობარი.

მეფის ხელისუფლების ადგილობრივ მოხელეებთან უფრო ძლიერ ბრძოლას აწარმოებდნენ „ტყის ძმები“, რომელშიც ერთიანდებოდნენ დუშეთის, თიანეთის, საგარეჯოს, სიღნაღის და თელავის მაზრებიდან უსამართლოს გაქცეული გლეხები. 1905 წელს 25 კაცის რაოდენობით ისინი ტყეში გაიჭრნენ და სულ მალე მათი რიცხვი 50 კაცამდე გაიზარდა.

მიხა ჭუჭულაშვილის მსგავსად ისინიც იცავდნენ მშრომელ გლეხობას. მაგრამ ეს რაზმი ცოტა უფრო მკაცრად იქცეოდა. როგორც კი შეიტყობდნენ რომელიმე სოფელში ბობოლათა მიერ ღარიბი გლეხის დაჩაგვრის შემთხვევაში, ღამით გამოცხადდებოდნენ დანაშაულის ადგილზე და ან შურს იძიებდნენ დამნაშავის მიმართ, ან პირობას დაადებინებდნენ დანაშაულის გამოსყიდვაზე. ისინი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდნენ. მაგრამ უფრო სჯეროდათ და პატივს სცემდნენ სოციალ-დემოკრატებს.

რაზმს ხელმძღვანელობდა ახალგაზრდა ჯომარდი (ზალიკო) სიმონიშვილი (სიღნაღის მაზრის სოფელ ვაქირიდან). რაზმის წევრებიდან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ლადო ფეიქრიშვილი, ნიკო კასრაძე, ბაგრატ ლომიძე, ჟორჟიკა ბერძენიშვილი, გუგული ოსიფოვი, ალექსი ბიჭიაშვილი, ნიკოლოზ ხუციშვილი, გიორგი ხერბალაძე, გოგია კენკაშვილი, ილო ბებურიშვილი, სანდრო ბუღაძე, კოლა ჩილინდრიშვილი, გიგო სესიკაშვილი, ნიკო ყაველაშვილი, ილო ფირალიშვილი და გიორგი მახნიაშვილი[8].

ეი ერთი ეპიზოდი მათი გმირული ბრძოლებიდან. რაზმს განზრახული ჰქონდა შეერთებოდა დასავლეთ საქართველოს „ტყის ძმებს“, „აბისათვის საჭირო იყო რაზმის ახალი წევრების (მათი რიცხვი ყოველ დღე იზრდებოდა) შეიარაღება. საქართველოს ორივე მხარის ეს რაზმები ფიქრობდნენ შეერთებული ძალით თბილისზე შეტევას. რაზმმა გაბედულ წევრს გუგული ოსი-

8 გაზ. „ხმა კახეთისა“, 1913, 17 ივნვარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოვს დაავალა ჩასულიყო თბილისში, მოენახულებინა მჭედელი სანდრო მანველიძე და მისი მეშვეობით შეერთებოდნენ დასავლეთელ ძმებს. ამავე დროს გუგულა ოსიფოვს მასთან ერთად უნდა შეედგინა თბილისის ტელეგრაფის შენობაზე თავდასხმის გეგმა, რათა რაზმს მოეხდინა გეგძის გახსორციელება და ფულის კონფისკაცია. პოლიციამ ეს გეგმა შეიტყო რაზმის შემადგენლობაში შეპარული გამცემლების საშუალებით და ქალაქის შესასვლელთან დაყენეს სამოქალაქო ფორმაში გადაცმული პოლიციელები, აქვე ცხოვრობდა მჭედელი სანდრო მანველიძე გუგულა და სანდრო ერთად ჩამოვიდნენ თბილისში. ამ ეპიზოდს პრესა შემდეგნაირად გადმოგვცემს: „ჩამოსულნი მიუახლოვდნენ მანველიძის მამის სახელოსნოს. სანდრო სახელოსნოში შევიდა, ხოლო ყაჩაღი გიგუცა (გუგულა) გარეთ დარჩა და დამალვას აპირებდა, რომ პოლიცია უცებ გარს შემოერტყა. ერთი პოლიციელი ყაჩაღისაკენ გაემართა. ამ დროს ყაჩაღმა პალტოს ქვეშიდან მაუზერის რევოლვერი ამოიღო და პოლიციელს ორჯერ ესროლა. მაგრამ ააცდინა, რადგან უკანიდან ერთი პოლიციელი მიეპარა, რევოლვერს ხელი აუკრა და მიზანი დააკარგვინა. ყაჩაღი მეტად ძლავრი აღმოჩნდა, პოლიციელები აქეთ-იქით გაფანტა, განზე გახტა და კიდევ სროლას აპირებდა, მაგრამ პოლიციელებმა დასაწრეს და სასიკვდილოდ დაჭრეს. ამ დროს სახელოსნოდან პოლიციელებს სანდრომ სამჯერ ესროლა და ერთ პოლიციელს პალტოს კალთებში მოარტყა. სანდრო სახელოსნოდან გამოვარდა და კიდევ სროლას აპირებდა, მაგრამ პოლიციელები შემოეხვივნენ და ცოცხლად შეიპყრეს"[9]. ეს რაზმი საბოლოოდ გაანადგურა პოლიციელთა დიდმა რაზმმა თელავის მაზრის სოფ. მაღრანის ტყეში.

მეფის მთავრობის რეპრესიების მიუხედავად მაზრაში აქტიურად მიმდინარეობდა რევოლუციური აგიტაცია. აგიტატორები ნიკა სიფრაშვილი, ვლადიმერ ხირსელი, დავით სამადაშვილი, მოსე მათიაშვილი, შაქრო ნადირაშვილი გაბედულად მოეწყოდებდნენ მშრომელ მოსახლეობას მეფის მთავრობის დამხობისაკენ. აგრარული საკითხის გადაჭრისაკენ.

1906 წ. 3 ივნისს რსდმპ სიღნაღის სამაზრო კომიტეტმა გამოუშვა მოწოდება „ყველა კატეგორიის მუშებისადმი", რომელიც მოეწოდებდა ხელოსნებს გაფიცვისაკენ. 4 ივნისს გაფიცვა დაიწყო. გაიფიცა 200-მდე კაცი, რომელთაც მოთხოვნა წაუყენეს მეპატრონეებს: I. დამატებითი სამუშაოს ანაზღაურებაზე; 2. მუშებს, შეგირდებს ავადმყოფების შემთხვევაში მიცემოდათ სამკურნალო ფული; 3. მეპატრონეებს გაეცათ ხელფასი დღიურად 2 მანეთის რაოდენობით[10].

გაფიცვამ გაელენა მოახდინა მეპატრონეებზე და ზოგიერთი რამ დაუთმეს გაფიცულებს.

მოსკოვის შეიარაღებული აჯანყების დამარცხების შემდეგ მთელ ქვეყანაში იკლო რევოლუციურმა გამოსვლებმა, მაგრამ მუშათა კლასი და გლეხობა არიერგარდული ბრძოლებით იხევდნენ უკან.

1906 წ. 9 ივნისს გაიფიცნენ სიღნაღის მაზრის სოფ. მუკუზანის საუფლისწულო მამულის მუშები, რომლებზედაც ზეგავლენა მოახდინა სოფ. ნაფარეულის და წინანდლის მუშების გაფიცვამ. მათ მუკუზანის საუფლისწულო მამულის ადმინისტრაციას წაუყენეს მოთხოვნა: I. მოესპოთ ჯარიმები; 2. მოემა-

---

9 გაზ. „ხმა კახეთისა", 1912, I დეკემბერი.

10 Революция 1905—1907 гг. в Грузии, сборник документов, Тб., 1956, გვ. 661.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტებინათ ხელფასი; 3. გაეხსნათ სკოლა მუშათა ბავშვებისათვის[11], მაგრამ გაფიცვა ჩაშალეს პოლიციელებმა და შტრეიკბრეხერებმა. აქვე უნდა შეეწინწნოთ, რომ სიღნაღის მაზრაში სამრეწველო პროლეტარიატი მეტად ცალკეულიყო ვანი იყო, რამაც თავისებური უარყოფითი ადი დაიჩნია აქ კლასობრივ ბრძოლას.

რევოლუციურმა მოძრაობამ გაელენა მოახდინა მეფის მოხელეებზე. ისინი ხშირად მშრომელ ხალხს ემხრობოდნენ. „სოფ. მაღაროს მომრიგებელს („მიროვოი პოსრედნიკი"), მთავრობის მოხელეებმა, მამასახლისმა, ნაცვლებმა, „სუდიებმა" მეღლები უკან მიაყარეს და უთხრეს, დღეიდან აღარ შეგვიძლიან მთავრობის სამსახური, ჩვენ ხალხთან უნდა ვიყოთ"-ო[12].

რევოლუციის მსვლელობაში მეფის მთავრობა დარწმუნდა, რომ მშრომელ კლასებს უნარი შესწევთ იბრძოლონ „უძლეველი იმპერიის" წინააღმდეგ. მშრომელთა რევოლუციურმა გამოსვლებმა აიძულა ცარიზმი ანგარიში გაეწია ხალხის მოთხოვნებისათვის. ასეთ მოვლენებს ადგილი ჰქონდა, როგორც იმპერიის ცენტრალურ გუბერნიებში, ასევე პროვინციებშიც. ჩვენ ეს ნაოლად დავინახეთ აღმოსავლეთ საქართველოს რევოლუციური გლეხობის მოქმედებაში და მის შედეგებში.

მეფის მთავრობამ გაუძლო პირველ რევოლუციურ შემოტევებს. გლეხობამ კავშირი ვერ დაამყარა მუშათა კლასთან, მთავრობამ სასტიკად იძია შური რევოლუციურ გამოსვლებში მონაწილე გლეხებსა და ხელმძღვანელებზე. დაამატემოეს და კატორღაში გაგზავნეს რსდმპ სიღნაღის მაზრის კომიტეტის წევრები, დაარბიეს გლეხთა რევოლუციური კომიტეტები. პატიმრებს ციხეებში უქმნიდნენ მკაცრ პირობებს.

რევოლუციის დამარცხება კარგი გაკვეთილი იყო რევოლუციური მოძრაობის შემდგომი განახლებისათვის. ნათელი გახდა, რომ ცარიზმის დასამხობად საჭირო იყო ყველა სახის რევოლუციურ ძალთა გაერთიანებული მოქმედება.

Ш. Н. ШАЛВАШВИЛИ

РЕВОЛЮЦИОННОЕ ДВИЖЕНИЕ КРЕСТЬЯН СИГНАХСКОГО УЕЗДА В 1905—1907 гг.

Резюме

В статье рассмотрены революционные события в России и их отзвуки в Восточной Грузии 1905—1907 гг. Много внимания уделено революционным действиям крестьян Сигнахского уезда в 1905—1907 гг; созданию крестьянских революционных комитетов, народовластию, организации демонстраций, забастовкам, попыткам вооруженного восстания в воинских частях и наконец, арьергардным боям во время поражения первой русской революции.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის სამეცნიერო საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

---

[11] Революция 1905—1907 гг. в Грузии, ტ. 690.

[12] გაზ. „პროლეტარული ტალღა", 1906, 10/23 აგვისტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გურამ მაისურაძე

„მუშაკთა“ სოციალური ფენა ფეოდალურ საქართველოში

ძველი ქართული მწერლობის თარგმნილ, თუ ორიგინალურ ძეგლებში მწარმოებელი საზოგადოების ერთი განსაკუთრებული ჯგუფის აღსანიშნავად გამოყენებულია ტერმინი „მუშაკი“, „მუშაკნი“. მოგვიანებით კი მასთან ერთად იხმარება ან ენაცვლება მას „მუშა“. ტერმინის მკვეთრად გამოხატული სოციალური ელფერის მიუხედავად, მკვლევართა დიდი უმრავლესობა მას ქართული სოციალური ნომენკლატურის მიღმა ტოვებს და ზოგადად მშრომელის აღმნიშვნელ სიტყვად განიხილავს. ასეთი დამოკიდებულების მიზეზი, ალბათ, ისაა, რომ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში „მუშაკის“ ხვედრითი წონა ბევრად ნაკლებია სხვა ცნობილ სოციალურ ტერმინებთან შედარებით, ხოლო ზოგადი შინაარსის შემცველობით ის მნიშვნელოვნად აღემატება დანარჩენებს.

ეს უდავოდ ანგარიშგასაწევი გარემოებაა, მაგრამ არც მისი მნიშვნელობის გადაჭარბებული შეფასებაა მართებული, რადგანაც ცალმხრივობის ამ ვითარებაში ტერმინის კონკრეტული შინაარსი მის ზოგად მნიშვნელობაში გვიქრება და ფეოდალური საქართველოს მწარმოებელი საზოგადოების, თუმცა არაძირითადი, მაგრამ მაინც, ერთი განსაზღვრული ფენის ისტორია მხედველობის გარეთ გვრჩება.

შეიძლება ითქვას, რომ ტერმინი „მუშაკი“ და ამ სახელის ქვეშ ნაგულისხმები საზოგადოება სპეციალური კვლევის საგნად ჯერ არ გამხდარა. მის შესახებ გამოთქმულია მხოლოდ საერთო ხასიათის ცალკეული შენიშვნები. ამიტომაც განსახილველი საკითხის ისტორიოგრაფია მეტად ღარიბად წარმოგვიდგება.

ასეთ ფონზე ერთობ საყურადღებოდ მიგვაჩნია ვახუშტი ბატონიშვილის თხზულებაში წინაქრისტიანული ხანის საქართველოს სოციალური კიბის ბოლო საფეხურზე მყოფი საზოგადოების დასახასიათებლად „მუშაკისა“ და „გლეხის“ ერთ სოციალურ ტერმინად გაერთიანება („მუშაკნი — გლეხნი“)[1]. ტერმინების ამგვარი დაწყვილება, ვფიქრობთ, თავისთავად უნდა მოწმობდეს, რომ მათ ავტორს ამ კონკრეტული ამოცანებისათვის ორივე სიტყვა თანაბარღირებულ სოციალურ ტერმინად მიაჩნდა და ამდენად, სიტყვა „მუშაკმიც“ იმავე სოციალურ შინაარსს დებდა.

ვახუშტის ამ კვალიფიკაციას თავის დროზე გაკვრით შეეხო ს. ჯანაშია, მაგრამ მას სულ სხვა ახსნა მისცა. იგი წერდა: „ყველაზე უმდაბლესის გლეხთა სოციალური მდგომარეობა ვახუშტის სხარტულად აქვს გამოხატული იმ

---

1 ქართლის ცხოვრება, ტ. IV, ვ ა ხ უ შ ტ ი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1973, გვ. 17.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეპითეტში, რომელსაც იგი თან აყოლებს დასახელებულს წოდებრივ ტერმინს „მუშაკი“ (მუშაკნი — გლეხნი). ფეოდალურმა საზოგადოებამ გლეხობას, ძირითად მწარმოებელ კლასს ამ საზოგადოებისას, სწორედ „მუშაკობა“ დააკისრა, როგორც უმთავრესი ფუნქცია“[2].

როგორც ვხედავთ, ვახუშტისეული „მუშაკი“ ს. ჯანაშიასთვის მხოლოდ და მხოლოდ ეპითეტია და არა სოციალური ტერმინი, რის გამოც მას მხატვრული გამომსახველობის ფუნქციას აკისრებს გლეხის სოციალური ბუნების ასახსნელად.

არა გვგონია XVIII საუკუნის ქართველ მკითხველს დამატებითი განმარტება დასჭირვებოდა გლეხის შინაარსში გასარკვევად. გლეხის უმთავრესი საქმე რომ შრომა იყო ვახუშტისდროინდელ საქართველოში საუკუნეების გამოცდილებით იცოდნენ. ტერმინ „მუშაკს“ კი „გლეხისგან“ განსხვავებით იმ დროს რამდენიმე კონკრეტული და ზოგადი მნიშვნელობაც ჰქონდა: იგი აღნიშნავდა როგორც მიწისმოქმედს, ისე მშენებელს, ხელოსანს, აგრეთვე, ზოგადად მშრომელს, მოღვაწეს და სხვა. სულაც არაა შემთხვევითი, რომ მიწისმოქმედსა და ხელოსანთან ერთად მეცნიერი ბატონიშვილი ვახტანგ VI-ეც „ძუშაკს“ უწოდებს[3]. ასე რომ, წინაქრისტიანული ხანის საქართველოს სოციალური სტრუქტურის დახასიათებისას სწორედ ტერმინი „მუშაკი“ საჭიროებდა განმარტებას და არა „გლეხი“. ვახუშტიმაც „მუშაკი“ თავისი დროისთვის ყველაზე უფრო გასაგები ტერმინით „გლეხით“ განმარტა. შესაძლოა გაჩნდეს კითხვა: თუ კი ვახუშტიმ იცოდა, რომ ძველი საქართველოს კლასობრივად უმდაბლეს საფეხურზე მყოფი მიწისმოქმედი საზოგადოების მდგომარეობა მისი დროის გლეხის სოციალურ პირობებს უთანაბრდებოდა, რაღატომ დასჭირდა არაერთმნიშვნელოვანი და /ამდენად/ საჩოთირო ტერმინის გამოყენება „გლეხთან“ ერთად? პასუხი აქ ერთადერთი შეიძლება იყოს: ჩანს, ვახუშტიმ იცოდა რომ „გლეხი“ შედარებით გვიანი ტერმინია და, სავსებით ბუნებრივად, თავისი ამოცანისათვის უფრო შესაფერისად მიიჩნია ქართულ ოთხთავსა და ბიბლიაში სოციალურად დამცრობილი მიწისმოქმედი საზოგადოების აღსანიშნავად მრავალჯზის დამოწმებული „მუშაკის“ გამოყენება“.

ვახუშტის ეს მინიშნება, ეტყობა ს. ჯანაშიას ავტორიტეტის გავლენით, უყურადღებოდ იქნა მიტოვებული, რის გამოც ჩვენს სამეცნიერო ლიტერატურაში ტერმინი „მუშაკი“ სოციალური შინაარსით დიდხანს აღარ დაფიქსირებულა. თე არ ვიცდებთ, ძველ ქართულ სოციალურ ტერმინოლოგიაში „მუშაკის“ ჩართვის პირველი ცდა ა. ბოგვერაძეს უნდა ეკუთვნოდეს. მისი დაკვირვებით, ტერმინ „გლეხს“ ჩვენამდე მოღწეულ ძეგლებში წინ უსწრებენ სოციალური ელფერის ისეთი სიტყვები, როგორიცაა „მდაბიო“ თუ „მდაბიური“, „მ უ შ ა კ ი“, „მსხემი“, „ამბოხი“, „უახნო“, „წერილი ერი“ და სხვა. „გლეხის“ სოციალური შინაარსის რაობაზე და მისი გაჩენის დროზე მსჯელობისას კი შენიშნავს, რომ უფლის აგარაკებზე ნებით თუ უნებურად „დასხმული“ მწარმოებლები (მაგალითად, „კაცნი მერუვენი“ თუ სხვანი და სხვანი), რომელთაც ამ უფლის სასარგებლოდ ნატურალური და შრომითი ვალდებულებები ეკისრებოდათ და, ამდენად, თავისთავს აღარ ეკუთვნოდნენ, ადრეკლასობრივ ხანაშივე უნდა ჩნდებოდნენ თავისი ძირითადი სოციალური სა-

[2] ს. ჯ ა ნ ა შ ი ა, შრომები, II. თბ., 1952, გვ. 454.
[3] ქართლის ცხოვრება, ტ. IV, გვ. 481.

ხით და ადრეფეოდალიზმის სიგრძეზე ყალიბდებოდნენ. რა ერქვათ მათ მაშინ, დანამდვილებით არ ვიცით („მსხვმი“? „მუშაკი“?). ყოველ შემთხვევაში, განგრძობს მკვლევარი, მეეჭვება, რომ მათ „მდაბიური“ ან „გლეხი“ ეწოდებოდათ. ამასთან ერთად შესაძლებელად თვლის „მუშაკი“ ფეოდალური წარმოებიდან გამოძევებული, სამეურნეო საქმიანობის საშუალებას მოკლებული „გლახაკის“ იდენტური ყოფილიყო[4].

როგორც ვხედავთ, ა. ბოგგერძისათვის ტერმინი „მუშაკი“ სოციალური ელფერის სიტყვაა, მაგრამ მისი შინაარსი ბოლომდე ნათელი არაა.

ამერკავკასიაში ფეოდალურად დამოკიდებული კლასის ფორმირებაზე მსჯელობისას ა. ნოვოსელცევი სპეციალურად ეხება „მუშაკის“ საკითხს. მისი დასკვნით „Термин мшак (грузинский „мушаки“) не имел четкого социального смысла. Слово это означало всякого работника, без констатации его социальной принадлежности. Вот почему в источниках мы встречаем мшаков (мушаки) на ниве господней, просто пахарей и т. д.“[5].

ამ 15—16 წლის წინათ გამოვთქვით ვარაუდი, რომ ადრეკლასობრივი სომხური საზოგადოების ანალოგიით „მუშაკი“ შეიძლებოდა ძველი ქართლის სტრატიფიცირებული მეოთხე გენეს — დამოკიდებული თემის წევრის „ლაოს“ ქართულ სახელად მიგვეღო და ამდენად, ის სომხური მსგავსად ქართულშიც სოციალური შინაარსის მატარებელი ტერმინი ყოფილიყო[6]. თუ კი ქართველი გლეხის წინაპრად „ლაოა“-ს მიჩნევას თითქოს ბევრი არაფერი უნდა უშლიდეს ხელს, სამაგიეროდ ჯერ ისევ ბუნდოვანია „მუშაკის“ დამოკიდებულება მასთან.

უკანასკნელ ხანს „მუშაკის“ სოციალური ბუნების გარკვევა სცადა ე. ხოშტარია-ბროსემ. მისი დაკვირვებით „მუშა“, „მუშაკი“ თავიდანვე (ე. ი. ადრეფეოდალურ ხანაში ტერმინ „გლეხის“ შემოტანამდე) პირადად დამოკიდებულ დაბეგრილ მიწის მოქმედს აღნიშნავდა[7]. ავტორის ეს თვალსაზრისი ემყარება რამდენიმე სტრიქონის ანალიზს ეფრემ ასურის თხზულების „პირველი სწავლა მონაზონთა მიმართ“ ადრეული ქართული და ეფრემ მცირისეული თარგმანებიდან, აგრეთვე, „ვეფხისტყაოსნის“ ცნობილ გამოთქმას „მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“. ეს მასალა სავსებით მხარს უჭერს „მუშაკის“ მიწის მოქმედად გააზრებას, რაც ბიბლიისა და ოთხთავის მონაცემებითაც ჯარგად დასტურდება. მაგრამ იგივეს თქმა „მუშაკის“ პირადი დამოკიდებულების თაობაზე მეტად გაძნელდებოდა. ხსენებული ძეგლიდან მკვლევრის მიერ მოტანილ ნაწყვეტში ჩვენ უბრალო მინიშნებაც კი ვერ შევამჩნიეთ „მუშაკის“ მებეგრეობასა თუ მის პირად დამოკიდებულებაზე მიწისმფლობელის პიროვნებაზე. წყაროს ცნობა, რომ“... მუშაკთა შეურაცხყეს ქყნა...“ ან „მიწის მშრომელთა მიწანი დაუტეობიან“ პრველ რიგში მიუთითებს „მუ-

---

4 ა. ბოგგერაძე, ქართლის ადრეფეოდალური საზოგადოებრივი ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1961, გვ. 121; მასივე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 221—222, 223—224, 225.

5 А. П. Новосельцев. Генезис феодализма в странах Закавказья, Москва, 1980, გვ. 179—180.

6 გ. მაისურაძე, ქართველი და სომეხი ხალხების სამეურნეო-კულტურული თანამშრომლობის ისტორიიდან XVII—XVIII საუკუნეებში, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, 1970, გვ. 83.

7 ე. ხოშტარია (ბროსე), ფეოდალური ხანის საქართველოს მთის და ბარის ურთიერთობის საკითხები, თბ., 1984, გვ. 36—37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შაკთა“ მიწისმოქმედებასთან კავშირზე და არა მიწის მესაკუთრის პიროვნებაზე მის დამოკიდებულებას. „მუშაკებს“ მიწის მიტოვება რომ შეძლებიათ, მთის პიროვნულ დამოუკიდებლობაზე უფრო უნდა მეტყველებდეს, ვიდრე პირიქით. VII საუკუნეში მწარმოებლის მიწაზე მიმაგრება. ვფიქრობთ, ისედაც არაა სავარაუდებელი, ყოველ შემთხვევაში, მკვლევრის მიერ მოხმობილი მასალა საკმარისი არ უნდა იყოს „მუშაკის“ „პირადად არათავისუფალი დაბეგრილი მიწისმოქმედის“ მნიშვნელობით გაგებისათვის.

როგორც მკვლევართა ამ ზედაპირული შთაბეჭდილებიდანაც კარგად ჩანს, ტერმინი „მუშაკი“ აშკარად საჭიროებს სპეციალურ შესწავლას და ქართულ სოციალურ ნომენკლატურაში მისთვის შესაფერი ადგილის მიჩნევას.

ეს ტერმინი ქართულის თანაბრად გავრცელებულია სომხურშიც და ასევე დადასტურებულია როგორც ნათარგმნ, ისე ორიგინალურ ძველსომხურ ძეგლებში. მხოლოდ „მუშაკის“ ნაცვლად სომხურში „მშაკი“ გვაქვს, რაც ამ ენის ბუნებითაა გამოწვეული, სხვა მხრივ კი ისინი ერთმანეთის იდენტური ჩანან. ამდენად, „მშაკის“ გარშემო წარმოებული ძიებანი, ბუნებრივია, ხელს უნდა უწყობდნენ, აგრეთვე, „მუშაკის“ კონკრეტული შინაარსის გარკვევასაც. სომხური ისტორიოგრაფიის დამოკიდებულება ამ ტერმინისადმი გაცილებით პოზიტიურია ქართულთან შედარებით და ბევრად უფრო გარკვეული თვალსაზრისი აქვს შემუშავებული მისი წარმომავლობისა თუ სოციალური რაობის შესახებ.

ასე მაგალითად, ნ. ადონცისათვის ტერმინის სოციალური შინაარსი საეჭვო არ ყოფილა და ის სომხური ჰოვბესის ერთ-ერთ სახელად მიიჩნდა, რომელიც სათავეს მესხთა სატომო სახელიდან იღებდა. იგი წერდა: «Ram-ik и mšak по-видимому, эпоними аборигенов αραμεῖοι и μοσ-χοι, которые были покорены и подчинены пришлым элементам и вследствие этого их имя получило такое значение»[8].

ეთნიკური წარმოშობისად მიიჩნევს ამ ტერმინს ს. ერემიანიც. მისი თქმით, ქართული „მუშაკიცა“ და სომხური „მშაკიც“ გენეტიკურად საერთო ეთნიკური სუბსტრატიდან მომდინარეობენ, კერძოდ, სემიტური (ასირიულ-ბაბილონური) „მუშკენუ“-დან. მას მხედველობაში აქვს ფარაონ ამენხოტპ III-ის წერილი მეფე კადაშმანხარბეადმი, სადაც ხსენებული „მუშკენუ“ თარგმნილია მდაბიო, უბრალო ხალხად[9].

ეს განმარტება, ზოგადი ხასიათის გამო, ფაქტობრივად არაფერს იძლევა „მუშკენუ“-სთან მუშაკის (მშაკის) დასაკავშირებლად. სოციალური შინაარსით „მუშკენუ“[10]-სთან მსგავსებას შესაძლოა უფრო იბერიის ლაოგ ამყოვანებ-

---

[8] Н. Адонц, Армения в эпоху Юстиниана, Ереван, 1971, გვ. 436.

[9] იხ. ВДИ, 1947, № 1, გვ. 263; ВДИ, 1950, № 1, გვ. 14—16; აგრეთვე, **հայ ժողովրդի պատմություն**, I, **Երևան**, 1971, გვ. 799.

[10] „მუშკენუმ“-ის შესახებ იხ. И. М. Дьяконов, Muškenum и первоначальное землевладение на царской земле при Хамураби—Eos XLVIII, I, 1956; D. G. Evans, The Incidence of Labour—Service in the Old Babylonian,—IAOS, გვ. 83, № 1, 1963, გვ. 20—26; F. R. Kraus, Ein Edikt des Königs ammisaduga von Babylon, Leiden, 1958, გვ. 36—37; Л. А. Липин, Аккадский (вавилоно-Ассирийский) язык, вып. II. Словарь, Ленинград, 1957, გვ. 93; მისივე, Из истории социальных отношений в Ассирии, „Палестинский сборник“, III, 1958, გვ. 48; Ю. Б. Юсифов, Элам, социально-экономическая история, М., 1968, გვ. 237—239.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეს, რამდენადაც ორივე „სამეფო ხალხის“ კატეგორიას განეკუთვნება[11]. მაგრამ ეს მსგავსება არ უნდა სცილდებოდეს სტადიალურად და ტიპოლოგიურად ანალოგიური საზოგადოებების საერთო ბუნების ფარგლებს. ამასთან, იბერიის ლაოq-სა და „მუშაკის“ (მშაკის) იგივეობაზე მსჯელობა (რაც დასაშვებად მიჩანია ს. ერემიანს) მხოლოდ აპრიორულად თუ შეიძლება. ასეთ პირობებში კი მუშკენუ-მუშაკ (მშაკ)-ის გარეგნული მსგავსება საკმარისი არაა მათ შორის გენეტიკური სიახლოვის მტკიცებისათვის. სოციალური ტერმინების ეთნიკურიდან წარმომავლობის იდეას, მართალია, ადრეც და ახლაც არაერთი გამოჩენილი მეცნიერი უჭერს მხარს, მაგრამ „მუშაკის“ (მშაკის) ეტიმოლოგიის ერემიანისეული ახსნის შესაძლებლობა, ვფიქრობთ, მაინც საკმაოდ ძნელდება. თვით სომეხი ენათმეცნიერების შეხედულებანი ამ საკითხზე ს. ერემიანის თვალსაზრისს მკვეთრად უპირისპირდება. მაგალითად, ჰრ. აჭარიანი თვლიდა, რომ ეს სიტყვა სომხურში ქართველური, კავკასიური ენებიდან არის ნასესხები, რამდენადაც ის კავკასიურ ენებში ფართოდაა გავრცელებული და ბევრი თვისტომი მოეძებნება, მაშინ როდესაც სომხურ ენაში მსგავს მოვლენას არ აქვს ადგილი. მაგალითად, ქართული მუშა, მუშაკი, მუშაობა, მუშაკობა, სამუშაკო, მემუშავე, ლაზური muša, ინგილოური mušaabay, მეგრული vimušuat, mušeoba სვანური limšal, limšae, ინგუშური muša, ჩერქეზული mišak და სხვ.[12], ს. მალხასიანიც მას კავკასიური წარმოშობის სიტყვად მიიჩნევდა და მისი გავრცელების არედ ქართულ-ლაზურ და ინგუშურ ენებს ასახელებდა[13]. არის სხვა შეხედულებებიც, რომელთა მიხედვით „მუშაკი“ ირანულ-პართულ წარმომავლობას უნდა ამჟღავნებდეს[14]. მაგრამ ამჯერად ჩვენი მიზნებისათვის გაცილებით საყურადღებოა სომხურ ენასა და ორიგინალურ ძველსომხურ ძეგლებში დაცული ცნობები და მათს საფუძველზე სომხურ ისტორიოგრაფიაში შემუშავებული თვალსაზრისი „მშაკის“ სოციალური სტატუსის შესახებ.

სომხურში „მშაკი“ ზოგადად მშრომელს, მიწისმოქმედს, მინდვრებსა და ბაღ-ვენახებში მომუშავე პერსონალს ნიშნავს (***հողագործ, երկրագործ, այգու աշխատաւոր***).[15] მაგრამ სოციალური მოვლენების გადმოცემისას სომხური წყაროები სრულიად გარკვევით მიუთითებენ მუშაკზე, როგორც საზოგადოების დაბალ სოციალურ ფენაზე. ფულადი სახლაურით რომ ამუშავებენ სხვის მიწას[16]. მათი შრომის ხასიათი იდენტურია დაქირავებული მუშის, მეიჯარადრის ან ყმა-გლეხის შრომისა[17]. ს. ერემიანი შენიშნავს, რომ თემების კუთვნილი

---

11 იხ. გ. მელიქიშვილი, კლასობრივ საზოგადოებათა ტიპოლოგიური და სტადიალური კლასიფიკაცია და ზოგადესი კლასობრივი საზოგადოების ხასიათის საკითხი, „მაცნე“, № 3, 1971, გვ. 123—125.

12 Հր. Ա ճ ա ռ ե ա ն, Հայերեն արմատական բառարան, III, Երևան, 1977, գ. 335.

13 Մ ա ն. Մ ա լ խ ա ս ե ա ն, Հայերեն բացատրական բառարան, Երևան, 1944.

14 Ց. ա ն դ ր ո ն ի կ ա շ վ ի լ ի, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, I, თბ, 1966, გვ. 165; И. М. Дьяконов, Предистория армянского народа, Ереван, 1968, гл. 199, Зуб. 23.

15 იხ. ჰრ. აჭარიანისა და სტ. მალხასიანის დასახელებული ლექსიკონები.

16 Հայ ժողովրդի պատմություն, I, Երևան, 1971, գ. 650.

17 Գ. ղ. Մ ա ր գ ա ր յ ա ն, Հին հայաստանի սոցիալ-տնտեսական զարգացման ուղիների մասին, Երևան, 1962, գ. 35—38.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასოფლო-სამეურნეო ტერიტორია „სამეფო მიწად“ ითვლებოდა. ხოლო თვით მეთემენი კი „მეფის მშაკებს“ ან „მეფის წარაჲ“ებს ე. ი. მსახურებს წარმოადგენდნენ[18]. თუ ეს, მართლაც, ასე იყო, გამოდის, რომ სომხეთში მატერიალური დოვლათის ძირითადი მწარმოებელი — თავისუფალი მეთემე — „შინაკანიც“ „მეფის მშაკი“ და „წარაჲ“ ყოფილა. ზოგადი თვალსაზრისით, ალბათ, ეს ასეც იყო, რამდენადაც სახელმწიფოს პოლიტიკურ ხელისუფლებას მთელი ქვეყნის მასშტაბით მეფე ახორციელებდა. მაგრამ „მშაკი“ განსხვავდებოდა „შინაკანისაგან“ თუნდაც იმით რომ ის უფრო დასტაკერტ-აგარაკებთანაა დაკავშირებული, სადაც „ვარძკანის“ მსგავსად ქრირთ მუშაობს. ს. ერემიანის აზრით, მიწას მოკლებული და თემის გარეშე დარჩენილი პირი ხდებოდა კერძომფლობელური მეურნეობების „ვარძკანი“ ან „მშაკი“[19]. ალბათ, არც ისაა გამორიცხული, რომ ეს დაქირავებული სამუშაო ძალა სხვაზე უფრო შეძლებულ სამეფო მეურნეობაშიც გამოყენებინათ. ეტყობა, ამიტომაც ს. ერემიანს სავსებით შესაძლებლად მიაჩნია „მეფის მშაკების“ სტრაბონისეული იბერიის მეოთხე გენესთან გაიგივება[20].

როგორც ვხედავთ, სომხური წყაროები „მშაკს“ გვიხასიათებენ ეკონომიკურად შეუძლებელს, უფლებრივად კი თავისუფალ ან ნახევრადდამოკიდებულ მუშა-პერსონალად. „მშაკი“ ძირითადად, ალბათ, მაინც თავისუფალი უნდა ყოფილიყო, რამდენადაც ვარძკანის მსგავსად ისიც ქრირთ მუშაობდა. ამ ვარაუდს არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ს. ერემიანის დებულება, რომლის მიხედვითაც ეკონომიკური და უფლებრივი პირობებით „მშაკი“ „წარაჲ“-ს (მსახურის), მონის მდგომარეობას უახლოვდებოდა. ძველ სამყაროში ასე მონის მდგომარეობასთან მიახლოვებული ჩახდა ეკონომიკურად შეუძლებელი ფენების დიდი ნაწილი. რა თქმა უნდა, სავალდებულო არაა საქართველოშიც სომხურის ზუსტი ანალოგია ვივარაუდოთ. ადგილობრივი სამეურნეო პირობები ყოველთვის სპეციფიკურ ელფერს აძლევდნენ ამა თუ იმ ინსტიტუტის განვითარების გზასა და ხასიათს, თუმცა არც ისაა გამორიცხული, რომ განვითარების ადრეულ ეტაპზე, როცა საქართველოსა და სომხეთის კლასობრივ საზოგადოებთა ფეიზიონომია მეტ სიახლოვეს ამჟღავნებდა ერთმანეთთან, მათი სოციალური ნომენკლატურაც სავსებით იდენტური ყოფილიყო.

ახლა ვნახოთ ქართულ ძეგლებში დაცული ცნობები რამდენად იძლევიან საფუძველს ძველი სომხური საზოგადოების „მშაკის“ სოციალურ ბუნებასთან „მუშაკის“ გასაიგივებლად.

„მუშაკი“ და „მუშა“, როგორც მწარმოებელი საზოგადოების გარკვეული ჯგუფისა თუ ფენის აღსანიშნავი სახელი, ქართული ენის ძეგლებში და საისტორიო წყაროებში უძველესი დროიდან დაწყებული ფეოდალური ხანის მთელ სიგრძეზე გვხვდება. ბიბლიისა და ოთხთავის ქართული ტექსტები არაერთ საინტერესო ცნობას შეიცავენ „მუშაკთა“ ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის დასახასიათებლად. მართალია, ეს ძეგლები რელიგიური შინაარსის თხზულებებია და შესაბამისი ამოცანებითაა განპირობებული ყოველი ტერმინის აგდილი ტექსტში, მაგრამ ამ ტერმინთა რეალური შინაარსი სათანადო ასახვას პოვებენ საჭირო შედარებებსა და სახეებში მათი გამოყენე-

---

18 Հայ ժողովրդի պատմություն, I, გვ. 797.

19 იქვე, გვ. 798.

20 იქვე, გვ. 799.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბისას. ბუნებრივია, რომ ქართველი მთარგმნელიც ხსენებულ ტერმინებს მისთვის ახლობელ ქართულ გარემოსთან შეფარდებით გაიაზრებს. ასე რომ, დასახელებული ძეგლების სპეციფიკამ მაინცდამაინც დიდი სიძნელეები ვერ უნდა შეგვიქმნას კვლევის პროცესში.

თვალში საცემია „მუშაკის“ მრავლობით რიცხვში მოხსენიება, რაც იმას უნდა მოწმობდეს, რომ ტექსტის ავტორი ამ ტერმინით ადამიანთა გარკვეულ ჯგუფსა თუ კოლექტივს აღნიშნავს. ეს კოლექტივი თითქმის ყველა შემთხვევაში სოფლის მეურნეობასთან არის დაკავშირებული და თითქოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ძირითადი მწარმოებელიც არის. მაგალითად, გვხვდება ასეთი გამოთქმები: „...მუშაკნიცა, რომელნი ქუეყანა-სა იქმედ, რაჟამს დასთესიან და მკიან“[21]; მუშაკნი, რომელთა დაასხეს ვენაკნი, ვინა იყოფის ღუნო“[22]; „რამეთუ ვითარცა მუშაკმან სთესის მრავალი თესლი, და ნეოგი მრავალი დაპნერგის“[23] და სხვა.

ამ ძეგლებში პირდაპირი მითითებები გვაქვს მუშაკთა მძიმე ეკონომიკური და სოციალური პირობების შესახებ, რომელთა მიხედვით ისინი წარმოგვიდგებიან საზოგადოების დაბალ საფეხურზე მდგომ ფენად, რომლის ძირითადი საქმე სხვისთვის შრომა გამხდარა. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებით ნიშანდობლივია ქართული ოთხთავის ერთი ადგილი, სადაც ვკითხულობთ:

1. რამეთუ მსგავს არს სასუფეველი ცათაჲ კაცსა სახლისა უფალსა, რომელი განვიდა განთიად დადგინებად მუშაკთა ვენაკსა თჳსსა.

2. და აღუთქუა მათ თითოეულად სასყიდელი დრაჰკანი ღღესა და წარავლინა იგინი ვენაკსა თჳსსა.

3. და განვიდა მესამე ჟამსა და იხილნა სხუანი, მდგომარენი უბანთა ზედა უქმად.

4. და ჰრქუა მათ: მივედით თქუენცა ვენაკსა ჩემსა და, რაჟ-იგი იყოს სამართალი, მიგცე თქუენ.

5. ხოლო იგინი წარვიდეს და მერმე განვიდა მეექუესსა და მეცხრესა ჟამსა და იყო ეგევე.

6. ხოლო მეათერთმეტესა ჟამსა განვიდა და პოვნა სხუანი მდგომარენი და ჰრქუა მათ: რაჲთა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად?

7. ხოლო მათ ჰრქუეს მას: არავინ დამიდგინნა ჩუენ. ჰრქუა მათ: წარვედით თქუენცა ვენაკსა ჩემსა.

8. და ვითარცა შემწუხრდა, ჰრქუა სახლისა უფალმან ეზოჲს-მოძღუარსა თჳსსა: მოუწოდე მუშაკთა მათ და მიეც მათ სასყიდელი; უწყე უკანაჲსკნელითგან, ვიდრე პირველთამდე.

9. მოვიდეს მეთერთმეტისა ჟამისანი იგი და მიიღეს თითოჲ დრაჰკანი.

10. მოვიდეს პირველსანიცა იგი და ჰგონებდეს, ვითარმედ უფროჲს მიიღონ; და მიიღეს მათცა თითო დრაჰკანი.

11. ხოლო მე-რაჲ-იღეს, დრტუნვიდეს სახლისა უფლისა მისთჳს.

12. და იტყოდეს, ვითარმედ უკუანაჲსკნელთა მათ ერთი ხოლო ჟამი დაჰ-

---

21 III ეზრა, 4,6, მცხეთური ხელნაწერი, ელ. დოჩანაშვილის გამოცემა, თბ., 1982, გვ. 406.

22 III ეზრა, 4, 16, იქვე, გვ. 407.

23 ძველი აღთქმის აპოკრიფების ქართული ვერსიები, I, თბ., 1970, გვ. 377—378 და სხვ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვეს და სწორ ჩუენდა ჰყვენ იგინი, რომელთა ვიტკრთეთ სიმძიმე დღისაჲ და სიცხეჲ[24].

ვფიქრობთ, სკმაოდ ვრცელი და საყურადღებო ინფორმაციაა დაცული ქართული ოთხთავის ამ ნაწყვეტში. „მუშაკი“ უპირველესად ქირის მუშაა, იგი ვალდებულების გამო კი არა, არამედ სასყიდლისათვის, დრაჰკანისათვის მუშაობს „უფლის ვენახში“. თუ მხედველობაში არ მივიღებთ ქრისტიანული მორალის შესაბამისად აწყობილ სიუჟეტს, აშკარაა, რომ „მუშაკის ხვედრი განთიადიდან მწუხრამდე შრომა იყო. მოტანილი ტექსტის მიხედვით; მუშაკი“ პირადად თავისუფალი, მაგრამ ეკონომიკურად შეუძლებელი პირია, რადგანაც იძულებულია გაჰყიდოს თავისი ერთადერთი ქონება — სამუშაო ძალა. მოცემულ კონტექსტში, ეჭვი არაა, დღიური მუშის სურათია დახატული. ეს კი გვაძლევს საფუძველს სეზონური და სხვა კატეგორიის მუშაკთა არსებობაც ვივარაუდოთ. საინტერესო ცნობაა დაცული ხსენებულ ტექსტში მუშაკთა თავისებური ბაზრის არსებობის შესახებ. ავტორი მას „უბანთა ზედა უქმად მდგომარე“ ადამიანებს უწოდებს. მიწის მესაკუთრემ კარგად იცის სად და როგორ უნდა შეიძინოს დამატებითი სამუშაო ძალა. საჭიროების შემთხვევებში ის გადის უბანში და ყოველთვის ნახულობს მისთვის აუცილებელ კონტიგენტს, რომელიც თავის ერთადერთი საქონლის მყიდველს მთელი დღეების განმავლობაში უცდის. ნიშანდობლივია ამ მუშაკთა პასუხი შეკითხვაზე „რაჲსა სდეგით თქუენ აქა დღე ყოველ უქმად?“ ისინი პასუხობენ: „არავინ დამიდგინა“. სხვა შემთხვევებში კი შესაბამის ტექსტებში, თითქოს ჩივილიც ისმის მუშახელის სიმცირის გამო. მაგლითად, „სამკალი ფრიად არს, ხოლო მუშაკნი მცირედ“[25]. როგორც ჩანს, დაქირავებული სამუშაო ძალის რაოდენობა და მასზე მოთხოვნილება ყოველთვის არ შეესაბამებოდა ერთმანეთს, რაც სავსებით კანონზომიერად გამოიყურება კაპიტალიზმამდელი საზოგადოებისათვის.

მოტანილ ტექსტში თითქოს კლასობრივი დაპირისპირების მომენტებიც შეიცნობა. შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებისას „მუშაკთა“ ერთი ნაწილი უკმაყოფილებას გამოთქვამს მიღებული თანხის სიმცირის გამო. ავტორი ხაზგასმით შენიშნავს: „ხოლო მი-რაჲ-იღეს, დრტყნვიდეს სახლისა უფლისა მისთჳს“. ასეთი რამ პრაქტიკაში რომ არ ყოფილიყო, ვფიქრობთ, ტექსტის ავტორი მას ვერ აღნიშნავდა, რა მიზნითაც არ უნდა გამოეყენებინა ხსენებული ფრაზა. მსგავსი დაპირისპირების გამომხატველი ცალკეული ფრაზები გვხვდება ბიბლიაშიც. მაგალითად, „მუშაკნი ზაკუღნი“, „მუშაკი მომთოვალ“ ვერ წარეწიოს სიმდიდრესა“[26] და სხვა. შეხედულება მუშაკთა მზაკვრობისა თუ სიზარმაცე-ლოთობისა, რა თქმა უნდა, ეს მდიდარ დამქირავებელთა, მიწის მესაკუთრეთა თვალსაზრისია და განსაზღვრული აზრით უნდა ასახავდეს კლასობრივი დაპირისპირების ფაქტს. ხოლო დებულება მუშაკთა, ალბათ, ნაწილის გამდიდრების შესაძლებლობის შესახებ, მეორე მხრივ, მწარმოებელთა ამ ფენაში უკვე დაწყებული ქონებრივი დიფერენციაციის ამსახველიც შეიძლება იყოს.

---

24 მათე, 20, 1—12, ქართული ოთხთავის ბოლო ორი რედაქცია, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო ივანე იმნაშვილმა, თბ., 1979, გვ. 325—326.

25 მათე, 9, 37, ლუკა 10, 2, დასახელებული გამოცემა.

26 ოშეის ბიბლია, სიბრძნე იესუ ზირაქისი, 18,33; იხ. აგრეთვე, ი. აბულაძე, ძველი ქართული ენის ლექსიკონი, თბ., 1973, გვ. 301.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შევჩერდებით კიდევ ერთ საყურადღებო ინფორმაციაზე. მუშაკთა საქმის გამგებელს ქართველი მთარგმნელი ეზოჲსმოძღვარს უწოდებს. საფინანსო უწყების მეთაურის ალსანიშნავად არქაული ქართული სახელის გამოყენება, შესაძლოა, საქართველოშიც მსგავსი და ამასთან ძალზე ძველი ვითარების მოწმობის მაჩვენებელი იყოს. მართალია, იბერიის სტრაბონისეული მეოთხე გენე უფრო დამორჩილებული თემია და დაქირავებული მუშის სტატუტს სულაც არ შეეფერება, მაგრამ ბიბლიის შესაბამის ტექსტებში მუშაკებიც ატარებენ მეფისადმი დამორჩილებული თემის წევრების შთაბეჭდილებას. მაგალითად, „მუშაკნიცა, რომელნი ჭუეყანასა იქმედ, რაჟამს დასთესიან და მკიან. ნაყოფი იგი თჳსი მიართვიან მეფესა და მერმე ხარკის მომკჳლთა ჰმძღავრიან სოფელსა და მოჴადიან ხარკი სამეფო“[27]. ამ მხრივ, ალბათ, ნიშანდობლივია ლეონტი მროველის მითითებაც ფარნავაზისდროინდელ ქართლში „ხარკი სამეფოსა“ და ამ ადრეკლასობრივი ქართული სახელმწიფოს სპარსთა სამეფოსთან ორგანიზაციული მსგავსების შესახებ[28]. ასე რომ, „მუშაკები“ იბერიაში შეიძლებოდა მეფის მიწაზეც მსხდარიყვნენ და სამეფო სახლისადმი დაქვემდებარებულ დამორჩილებულ მეთემეთა გვერდით თავისუფალი დაქირავებულებიც ყოფილიყვნენ.

ქართული ორიგინალური ძეგლებიდან უძველესი ცნობა „მუშაკის“ შესახებ დაცულია იოანე მოსხის ნოველებში (ამ ძეგლის ორიგინალურობა, ეფექრობთ, დასაბუთებულია ს. ყაუხჩიშვილის ცნობილ გამოკვლევაში[29]). რომელიც ცნობილია ბერძნული სახელწოდებით ლიმონარი[30]. აქ ეს ტერმინი ორი ძნიშნელოვნთაგან გამოყენებული: „მიწის მოქმედისა“ („მუშაკის“ ამ მნიშვნელობაზე საკმაო მაგალითები იყო მოტანილი, რის გამოც მასზე სიტყვას აღარ გავაგრძელებთ) და მშრომელი მუშის, ზოგადად მშენებლისა თუ კალატოზის აზრით. საუბარია ვინმე ეპისკოპოსზე, რომელსაც განსაზღვრული რელიგიური მოსაზრებებით დაუთმია ამქვეყნიური პატივი და გადაუწყვეტია დარჩენილი სიცოცხლე ფიზიკურ შრომაში გაეტარებინა. ავტორი მის შესახებ გვამცნობს: „ყო თავი თჳსი მუშაკ, და იქმოდა იგი დღითი დღედ მაშენებელთა გალატოზთა თანა“[31].

ძეგლში დაცული მასალა უფლებას გვაძლევს ვიმსჯელოთ „მუშაკის“ სოციალურ წარმომავლობაზეც. ამ მხრივ ერთობ საგულისხმოა ის ადგილი, სადაც ნათქვამია: „მე კაცი ვარ გლახაკი, ამის ქალაქისა გლახაკთაგანი, და არა მაქუს მე საზრდელი თავისა ჩემისაგ, და ამით მოყოფიეს თავი ჩემი მუშაკ, რაჲთა ნაშრომითა ჴელთა ჩემთაჲთა ვიზრდებოდი“[32]. გამოდის, რომ „მუშაკად თავის ყოფის“ მიზეზი დაგლახაკება, გაღატაკება იყო, რადგანაც მოცემული ტექსტის მიხედვით „მუშაკები“ გლახაკთა წრიდან გამოდიან. მაგრამ ისინი ერთმანეთს სულაც არ ფარავენ. „გლახაკი“ „მუშაკს“ არ ნიშნავს, ისევე როგორც „მუშაკი“ ყოველთვის გლახაკს არ უდრის. „გლახაკი“ უპირველესად დეკლასირებული, წარმოებიდან გამოძევებული ელემენტია, ღატაკი მათხოვა-

27 III ეზრა, 4,6, მცხეთური ხელნაწერი.
28 ქართლის ცხოვრება, I, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, გვ. 25.
29 ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია, თბ., 1973, გვ. 236—247.
30 ი ო ა ნ ე მ ო ს ხ ი, ლიმონარი, თბ., 1960.
31 იქვე, გვ. 15.
32 იქვე, გვ. 16.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რია, ის შრომის უუნაროა და უძლური[33]. ალბათ ამიტომაც არის, რომ გიორგი მერჩულე თავის თხზულებაში გლახაკთა დასახასიათებლად ბიბლიის ცნობილ სენტენციას იყენებს „რამეთუ გლახაკთა არაჲ აქუს, თუნიერ ღმრთისა სიტიერისა მოწყალებაჲ“[34]. „მუშაკს“ კი სამოწყალოდ არა აქვს საქმე, იგი თავისი შრომით არსებობს და მხოლოდ გარეგნულად თუ ჰგავს „გლახაკს“ სიღარიბისა და შრომის მძიმე პირობების გამო. ასეთი დამოკიდებულება „მუშაკის“ სოციალური პორტრეტისადმი კარგად იგრძნობა ხსენებული ნოველის იმ ნაწყვეტში, სადაც ეპისკოპოსის „მუშაკად“ დადგომა სასწაულადაა მიჩნეული. თხზულებაში ვკითხულობთ: „ნეტარ რაჲმე არს სასწაული ესე და არა უწყოდა მან, ვითარმედ მუშაკი იგი ეპისკოპოსი არს და ვინაჲ უკუემცა უწყოდა იგი, ვითარმედ ეპისკოპოსი არს იგი, ვინაჲთგან ჰხედვიდა გარეშეთ კაცსა გლახაკსა, პირითა. შემწუარსა და თმით შეტუსვილსა სიცხითა და შრომისაგან დაუცოდებელსა, და ძონძითა სამოსლითა მოსილსა, დაწუნებულად და შეურაცხად სახილველსა მარხვისა და ჭირისაგან დიდისა“[35]. შესაძლოა „მუშაკის“ გარეგნული სახე აქ ერთგვარად გამუქებულიც იყოს კონტრასტის გასაძლიერებლად, მაგრამ ერთი აშკარაა, VI—VII საუკუნეებშიც (რა დროსაც განხილული ძეგლი მიეკუთვნება) სამეურნეო დამოუკიდებლობის დაკარგვა, გაღატაკება და პირადი თავისუფლების შენარჩუნებისაკენ სწრაფვა უნდა ყოფილიყო მუშაკთა წარმოქმნის ძირითადი წყარო. „მუშაკები“ რომ პირადად თავისუფალნი უნდა ყოფილიყვნენ, ვფიქრობთ, ეს ეჭვს არ უნდა იწვევდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში მათ სამუშაო ადგილისა და ხასიათის შერჩევის საშუალება არ ექნებოდათ.

ქართული ორიგინალური ძეგლებიდან თითქოს სხვაზე უფრო ხშირადაა მოხსენიებული ტერმინი „მუშაკი“ სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში. საგულისხმოა, რომ აქ ტერმინი „მუშაკი“ მიწისმოქმედის ოსსანიშნავად კი არ არის გამოყენებული, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მშენებლობაში მომუშავეთა ზოგადი და კონკრეტული მნიშვნელობითაა ნახმარი. მაგალითად, გვხვდება ასეთი ადგილები: „აღმოიღეთ იგი (ევლოგიაჲ) და მიეცით ყოველთა მუშაკთა“[36]; „და ესრეთ წარემართა შენებაჲ იგი ეკლესიისა[ჲ] ვინა[ჲ]ცა საფუძველით და ხარისხთაჲთგან იღუწოდა კაცი იგი ყოველთა მუშაკთა თუნიერ სანოვაგეთასა“[37]. მშენებლობის პროცესის აღწერისას ავტორი ხაზგასმით აღნიშნავს „სიმრავლესა მუშაკთასა“[38]. მშენებლობაში მონაწილე-მომუშავეთა ასეთი ზოგადი თვალსაზრისით და მრავლმეთ რიცხვში არიან მოხსენებულნი „მუშაკნი“ დაახლოებით იმავე ხანის ლაპიდარულ წარწერებში. ყუმურდოს ეკლესიის 964 წლის წარწერა ითხოვს: „წმიდაო ეკლესიაო შენნი მუშაკნი და ყოველნი მაშენებელნი შეენნი დღეს მას სასჯელისასა დაიფარენ...“[39]. ზარზმის ეკლესიის X ს-ის 80-იანი წლების ივანე სულას ძის სამშენებლო წარწერა კი გვაუწყებს: „...ღირს ვიქმენ მოყვანებად მუშაკთა უფლისა ეკლესი-

33 იხ. ძველი ქართული ენის ლექსიკონი, გვ. 94; აგრეთვე, რ ი ნ ი ს მ ე ტ რ ე ე ე ლ ი, დეკლასირებული ელემენტები შუა საუკუნეების საქართველოში, V—XII სს., თბ., 1976.

34 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წ. I, თბ., 1964, გვ. 276.

35 ი ო ა ნ ე მ ო ს ს ი, ლიმონარი, გვ. 15.

36 ნ. ვ ა ხ ნ ი ა ძ ე, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება როგორც საისტორიო წყარო, თბ., 1975, გვ. 183.

37 იქვე, გვ. 184.

38 იქვე, გვ. 183.

ისა კონქსა, სადა ვიქმენ მაშენებელი ამისავე ეგუტერისაჲ“[40]. ამ წარწერებში „მუშაკნი“ და ყოველნი მაშენებელნი არ არიან ერთმანეთთან გაიგივებულნი, რაც იმის მოწმობადაა, რომ „მუშაკანი“ მშენებლობის მხოლოდ მონაწილენი არიან და არა მაშენებელნი[41]. ჩანს, აქ მოხსენიებული მუშაკები უბრალო, დამხმარე სამუშაოთა შემსრულებელნი იყვნენ. მათი მოვალეობა იყო, ალბათ, „მუშაკობისა შინა ქვაჲ განეპო“, ქვა და ქვიშა მოეზიდა, „ხელად ქვიშისა და კირისავე თანა“, ქვა ქვაზე დაეწყოთ და სხვა მისთანები[42]. ამ სახის მუშაკთა რაოდენობა მშენებლობისას, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტი იყო საჭირო, ვიდრე მშენებელი ოსტატებისა. ალბათ ამიტომაც არის, რომ ბასილ ზარზმელი მათს სიმრავლეს საგანგებოდ აღნიშნავს.

აბუსერიძე ტბელი, როცა ხიხათა ეკლესიის მშენებლობაზე მოგვითხრობს, ისიც აღნიშნავს მუშაკთა სიმრავლეს. მისი თქმით, „მრავალნი მუშაკობით მოქმედნი“, „ქვისმქმნელნი“ და „თანაშემწენი მათნი“ მონაწილეობდნენ მშენებლობაში[43].

ყველა ამათ მიხედვით, მუშაკთა სიმრავლე ფეოდალურ საქართველოში თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს.

„ყოველთა მუშაკთა“, ე. ი. უბრალო მუშაკთა გარდა, ბასილი ზარზმელი-საც მოწმობით, ყოფილან მუშაკთა სხვა კატეგორიებიც. მაგალითად, „ხელოვანნი მუშაკნი“, რომელთაც თავიანთი მაღალი ოსტატობის წყალობით შეეძლოთ ბუნების ნაკლის შევსება და ადგილთა გამშვენიერება. სერაპიონ ზარზმელს უთქვამს გიორგი ჩორჩანელისათვის: „...რამეთუ მარგალიტნი და თუალნი პატიოსანნი მიმოგანბნეულ რაჲ იყვნენ თანა-აღრევითი მიწასა, არა ესრეთ ბრწყინვნენ წინაშე თუალებსა ხილვისმოყვარეთა, ვითარ იგი რაჟამს გამოეკურნენენ და განწმდენ და ოქროთხზულებით შეიწყვნენ კეთილთა მიერ მჭედელთა, მაშინღა გამოჩნდეს ბრწყინვალეაჲ მათი და იქოს მუშაკი და შუენიერებაჲ მათი. ეგრეთვე ადგილი ესე რაჟამს ველ-უონ ველოვანთა მუშაკთა, მაშინ იხილოს თუალმან მხილველთამან შუენიერებაჲ ადგილთა ამის“[44].

როგორც ვხედავთ უბრალო მუშაკთა — საქმისმოქმედთა გარდა, მუშაკთა რიგში შეიძლება იყოს ჩაყენებული ოქრომჭედელიც და დახელოვნებული მშენებელი ოსტატიც. „მუშაკზე“ უფრო ზოგადი ტერმინი რომ ვიხმაროთ, ყველა ესენი საქმისმოქმედნი იყვნენ[45], მაგრამ არა ჩვეულებრივი საქმისმოქმედნი, არამედ „მუშაკობით მოქმედნი“. რას უნდა ნიშნავდეს აბუსერიძე ტბელის ეს გამოთქმა? განა უშრომლად მოქმედება, კეთება შესაძლებელია? ვფიქრობთ, ამ შემთხვევაში ყურადღება გამახვილებულია „მუშაკთა“ სპეციფიკაზე, ხაზგასმულია მათი განსხვავებული მდგომარეობა ფეოდალურ ურთიერთობაში ჩაბმული საზოგადოების ძირითად მშრომელი ნაწილისაგან.

ეპოქა (X—XIII სს.), რომელსაც ასახავენ ხსენებული ქართული ორიგინალური ძეგლები, განვითარებული ფეოდალიზმის ხანას მიეკუთვნება, როცა

39 ლაპიდარული წარწერები, I, თბ., 1980, გვ. 266.

40 იქვე, გვ. 282.

41 შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, I, თბ., 1982, გვ. 54—55.

42 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, I, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946, გვ. 150—152.

43 შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 55.

44 სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება, დასახ. გამოცემა, გვ. 160—161.

45 იხ. ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 145.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელოსანთა უმრავლესობა სბატონყმო ეღელში იყო შებმული, ძირითადი მწარმოებელი მოსახლეობა კი მიწაზე მიმაგრებული. ხელოსნები „საფასის გაოეშე მოქმედნი“ ჰყავდათ მთავრებსა და ახნურებს, მონასტრებს. ზოგი მათგანი „მეწრიულს“ წარმოადგენდა, ზოგი კიდეე „მსახურს[46]. ყველა ისინი საკუთარი შრომით იხდიდნენ თავის ყმურ ვალდებულებას. მათ შესახებ ცნობები საკმაოდ უხვადაა დაცული წყაროებში. მაგრამ ისინი არც ერთ შემთხვევაში „მუშაკებად“ არ არიან მოხსენიებულნი. ზემოთ განხილული და სხვა წყაროების ნიუმბითაც „მუშაკის“ ერთ-ერთი უმთავრესი ნიშანი „საფასით შრომაა“. სერაპიონ ზარნაბელის ცხოვრება პირდაპირ მითითებას შეიცავს „მუშაკთა“ ამ თვისებაზე. დასახელებულ თხზულებაში კვითხულობთ: „გიხილო მხიარული და ბრწყინვალე, ვითარცა რაჲ მუშაკი კეთილი, სასყიდლითა განმდიდრებული“[47]. ზარნბმის მონასტრის წინამძღვარს გიორგის სიკვდილის წინ თავისი შემცვლელისათვის დაუბრუნებია: „იწყეთ შენებად ეკლესიისა ბრძანებისაებრ მამისა სერაპიონისა და ნურას ზრუნავთ წარსაგებელთათჳს, რამეთუ ჩუენებით მეუწყა წმიდისა მიერ, ვითარმედ ეველოგიაჲ ივი, რომელ მოიღო კაცმან მან, იგი დამარხულ არს ქუეშე კერძო ჯუარისა (რომელი იყო თავით კერძო წმიდისა მის) აღმოიღეთ იგი და მიეცით ყოველთა მუშაკთა“[48]. ნაპოვნი თანხა 305 დრაჰკანი საკმარისი აღმოჩნდა ეკლესიის ასაშენებლად[49]. შ. მესხიას საინტერესო მასალა მოაქვს ხელოსან „მუშაკთა“ ხელფასის ოდენობის შესახებ. მისი აზრით, მონასტრის საშსახურში მყოფ მუშაკს წელიწადში ვეიდი დრაჰკანი ეძლეოდა, რაც მისიეე დაკეკრებით საკმაოდ დიდი ხელფასი უნდა ყოფილიყო[50].

ასე რომ, მუშაკნი ყოველთვის „საფასით მოქმედნი“ იყვნენ, განსხვავებით ყმა ხელოსან მშენებლებისა, რომელთა ჩვეული „საფასის გარეშე“ შრომა იყო[51]. თუ ყმა-გლეხის შრომის საზღაური მისთვის მიზომილი მიწის ნაკვეთი — საგლეხო ფუძე იყო, „მუშაკის“ შრომის ანაზღაურება ძირითად ფულით ხდებოდა. ფეოდალური საზოგადოების პირობებში სასაქონლო ფულადი მეურნეობის განვითარების ერთობ დაბალი დონის გამო, ბუნებრივია, „მუშაკებს“ მუდმივად მოძრაობა უხდებოდათ ერთი კუთხიდან მეორისაკენ „მოსაოწეულად რაჲსამე“. არცთუ იშვიათად, ეს მოძრაობა საკუთარი ქვეყნის ფარგლებსაც სცილდებოდა და უცხოეთში გრძელდებოდა. სვიმონ მესვეტის ცხოვრებაში ამ მხრივ ერთობ ნიშანდობლივი ცნობაა დაცული: „რვანი ვინმე მუშაკნი მოვიდეს სომხითით დღეთა მარხჳსა დაწყებისათა წლისა მის... ჰრქუა ერთმან მათგანმან: ლოცავ ყავ ჩუენთჳს, წ̅დაო! ორი წელი მაქუს ჩ̅ნ ვინაჲთგან გამოსულ ვართ ქ̅ყნით ჩ̅ნით და ვიქმთ და შეეკრიბეთ ნამუშაკევი ივი ჩ̅ნი და ვყავთ, ღუთქმაჲ, რა მოვიდეთ და თა̅ყნი ვცეთ წ̅დათა ფერხთა შენთა და ნამუშაკევი ჩ̅ნი განუყოთ მყოფთა წ̅დისა ამის მონასტრისათა“. ამ ადგილის გამო კომენტარში შ. მესხია წერს: როგორც ამონაწერიდან ჩანს, ორი წელი გასულა მას შემდეგ, რაც მუშაკნი წამოსულან თავიანთი ქვეყნიდან, და ამ ხნის განმავლობაში შეკრებილი „ნამუშაკევი“ მონასტრისათვის შეუწირავთ.

46 შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 165—175.

47 სერაპიონ ზარნბელის ცხოვრება, გვ. 173.

48 იქვე, გვ. 183.

49 იქვე, გვ. 184.

50 შ. მესხია, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 168—169.

51 იქვე, გვ. 58.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისინი არსებითად თავისუფალნი იყვნენ და მათი მოქმედებაც საკუთარ სურვილზე იყო დამოკიდებული[52].

„მუშაკთა“ პირად თავისუფლებას, გარკვეულ პირობებში და თუნდაც ზოგჯერ, მათთვის ერთგვარი უპარატესი სოციალური მდგომარეობა უნდა შეექმნა დაბალ ფენებში. ასეთი აზრისაკენ თითქოს უნდა გვხრიდეს ვრიგოლ პაკურიანის ძის ტიპიკონის ტექსტის ის ადგილი, სადაც საუბარია მონასტრის სამსახურში მყოფთა შორის ნახევარი შემოსავლის განაწილებაზე. აქ „მუშაკები“ მსახურებთან ერთად არიან მოხსენიებულნი. გლეხები კი ცალკე. ა. შანიძეცა და ს. ყაუხჩიშვილიც ამ შემთხვევისათვის „მუშაკებს“ განმარტავენ, როგორც მონასტრის სამსახურში მყოფ დაქირავებულ მუშებს[53].

დაქირავებულ მუშებად წარმოგვიდგებიან „მუშაკები“ გიორგი მთაწმინდელის „ცხორებაჲ იოანესი და ექვთიმესი“-ში[54]. მის ზოგიერთ ხელნაწერში „მუშაკის“ ნაცვლად „მუშა“ გვხვდება, ხელმწიფის კარის გარიგებაში კი მხოლოდ მუშა გვაქვს[55]. რამდენადაც ტერმინი „მუშაკი“ ქართულ წყაროებში ზნირად საპატიო შრომის აღსანიშნავადაც იხმარება სასულიერო თუ საერო მოღვაწეების დასახასიათებლად (მაგალითად, „მუშაკებაჲ გონებისა“ (ეზრა სუთ.), „მუშაკნი ქრისტეს მცნებათაგანნი“ (გიორგი მთაწმინდელი), „მუშაკი ძაცხოვრისა“ (აბოს წამება), „ჯელოვანი მუშაკი“ (სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება) და სხვა), ბუნებრივად ისმის კითხვა: ხომ არ არის ცდა საზოგადოების პოლარიზაციის გაღრმავებასთან ერთად განასხვავონ ის (ე. ი. საპატიო შრომა) ლუკმა-პურის მოსაპოვებლად წარმოებული უფრო მძიმე ყოველდღიური შრომისაგან, რომელიც უკვე, ჩანს, არასაპატიოდ გამოიყურებოდა უმრავლესობის თვალში. ამ აზრით ერთობ საგულისხმოა რუსთაველის მორალურ-კანონიკური ხასიათის ფრთიანი გამოთქმა:

„რაცა ვის რა ბედმან მისცეს, დასჯერდეს და მას უბნობდეს
მუშა მიწყივ მუშაკობდეს, მეომარი გულოვნობდეს“ (11,2).

მართალია, მეომრობა გაბატონებული ფეოდალური კლასის პრივილეგია იყო. მაგრამ საჭირო შემთხვევებში მთელი მწარმოებელი საზოგადოებაც ებმოდა ომში. შუა საუკუნეების საქართველოში ყმა-გლეხების მონაწილეობა ომებში მრავალგზისაა დამოწმებული წყაროებით, თუმცა მათი ძირითადი მოვალეობა შრომა იყო. რუსთაველის ხაზგასმა, უყურების გამახვილება „მუშაკთა“ „მიწყივ“ მარადის შრომაზე, ვფიქრობთ, აშკარას ხდის მათს განსხვავებულ ადგილს ფეოდალურ საზოგადოებაში ძირითად მწარმოებელ კლასთან — ყმა-გლეხობასთან შედარებით. და ეს, მართლაც, ასე უნდა ყოფილიყო. უმიწოა, უმამულობა მუშაკთა ძირითად მასას მოხეტიალე მშრომელად აქცევდა, რომლის არსებობის უმთავრეს საშუალებას საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვა წარმოადგენდა. ამიტომაც იყო მიისი ხვედრი „მიწყივ მუშაკობა“.

თვალს ვადევნებთ რა „მუშაკის“ სოციალური ფენომენის ევოლუციას საქართველოში, თვალსაჩინო ხდება მისი თანდათანობითი სახეცვლილება „ქვეყა-

---

52 შ. მ ე ს ხ ი ა, საისტორიო ძიებანი, I, გვ. 176.

53 იხ. ქართველთა მონასტერი ბულგარეთში და მისი ტიპიკონი, თბ., 1971, გვ. 106, 189; გეორგიკა, V, თბ, 1963, გვ. 211.

54 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 81—83.

55 ქართული სამართლის ძეგლები, II, თბ., 1966, გვ. 82.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნის მოქმედიდან“ „საქმისმოქმედისაკენ“. როგორც ვნახეთ, ძველსა და ადრეფეოდალურ ხანაში „მუშაკები“ კერძოსამფლობელო მიწებზე შრომობენ ქირით, განსაკუთრებით ბაღ-ვენახებში, სადაც უფრო მეტად იგრძნობოდა თავისუფალი შრომის საჭიროება. შემდგომში, ფეოდალიზაციის გაღრმავებასთან ერთად. ჩანს, ყმა-გლეხთა უფასო შრომა დევნის მათ (თუმცა ეს განდევნა აბსოლუტური არ შეიძლებოდა ყოფილიყო) და მუშაკნიც წარმოების სხვა დარგებში, ძირითადად მშენებლობებზე ინაცვლებენ. თუ კი ადრეკლასობრივი ხანის საქართველოში სახელმწიფო ხელისუფლებაზე ნახევრადდამოკიდებული თუ ნახევრადდამოუკიდებელი მუშაკთა ფენა შეიძლება ვიგულისხმოთ, რომელიც თავისი სოციალური მდგომარეობით სუსტად განვითარებულ ყმურ დამოკიდებულებას უახლოვდებოდა, სომხეთში „მშაკთა“ ფენა ასეთად რჩება სომხური ფეოდალიზმის არსებობის თითქმის მთელ მანძილზე. IV—XIII საუკუნეების სომხეთშიც, ს. აკოფიანის მტკიცებით, „მშაკები“ სავალო კაბალის შედეგად დაყმევების გზაზე დამდგარი მეთემეები იყვნენ, რომელთაც წარმოების საშუალებები ალარ გააჩნდათ[56]. თუ ქართული ფეოდალიზმის პირობებში „მუშაკის“ სოციალურ შინაარსში დაქირავებულის სტატუტი ძლიერ ჭარბობდა, სომხეთში, პირიქით, „მშაკის“ სოციალური მდგომარეობის ძირითადი მახასიათებელი სამეფო ხელისუფლებაზე მისი დამოკიდებულება იყო. მუშაკთა სოციალური ფიზიონომიის სტაგნაციის მიზეზი სომხეთში, ვფიქრობთ, უნდა ყოფილიყო აღმოსავლურთთან ძალზე ახლო მდგომი სამეურნეო პირობები, რომლებიც განსაზღვრავდნენ თემის განსაკუთრებულ სიმტკიცესა და ცენტრალურ ხელისუფლებაზე მის დამოკიდებულებას. საქართველოში, პირიქით, თემის სწრაფმა დაშლამ, კერძო საკუთრების ინსტიტუტის უფრო ფართოდ განვითარებამ და სამეურნეო-პოლიტიკურმა აღმავლობამ ერთიანი ფეოდალური მონარქიის პირობებში, შესაძლებელი გახადეს თავისუფალი შრომის ჩაბმა წარმოების ინტენსიურ სფეროებში. პოლიტიკური უმანდობისა და ეკონომიკური დაქვეითების ხანაში „მუშაკთა“ გამოყენების ასპარეზი, გასაგებია მნიშვნელოვნად უნდა შემცირებულიყო. ამ დროისათვის დაქირავებული შრომის გამოყენება საგანგებო აღნიშვნის საგანი ხდება, როგორც გამონაკლისი. მაგალითად, თურქ-სელჩუკთა შემოსევების ხანაში სავანის 1046 წლის წარწერაში ვკითხულობთ: „სახელითა ღმრთისაჲთა მე, ერისთავთ-ერისთავმან გიორგი, დაუწერე და მივეც ამის ეკლესიისა ნახევარი სავანისა სოფელსა. თანადამიდგეს ოდეს შენებაჲ დავიწყეთ, მუშაობითა ფასითა და ყოვლითა ფერითა“[57]. ამისგან განსხვავებით X საუკუნის ძეგლებში „მუშაკნი“ და „ყოველნი მაშენებელნი, როგორც გვახსოვს, მთავარი პირობაა ეკლესიის ასაგებად. მონღოლთა შემოსევებისა და შემდგომ მძიმე პოლიტიკურ ვითარებაში თითქმის ქრება მათი ხსენება.

ვვიანფეოდალურ ხანაში კი, როცა სამეურნეო ინიციატივის ელემენტები ჩნდება ქართულ სოფელში, „მუშაკნი“ და „მუშები“ კვლავ მრავლად გვხვდებიან საბუთებსა და საკანონმდებლო ძეგლებში. ამასთან, სასოფლო სამეურნეო საქმიანობაში ჭარბობს ტერმინი „მუშა“, რაც პროფესიულ დახელოვნებას მოკლებული დაქირავებული შრომის გამომხატველი უნდა იყოს. პროფესიო-

56 С. Е. Акопян, История армянского крестьянства, Ереван, 1952.

57 ლაპიდარული წარწერები, II, თბ., 1980, გვ. 62.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნალი ხელოსნები კი, ჩანს, მუშაკთა წრეში აღარ იგულისხმებიან. მუშაკთა ფენა ისევ ერთგვაროვანი ხდება და ძირითადად არაკვალიფიციური უბრალო სამუშაოების შესრულება ეევალება. ასეთი ვითარების გამოსახატავად კი უფრო შესაფერისი „მუშა“ უნდა ყოფილიყო ტერმინ მუშაკთან შედარებით. მაგალითად, დასტურლამალში მხოლოდ „მუშა“ გვხვდება მწარმოებლის იმ კატეგორიის აღსანიშნავად, რომელსაც ადრე „მუშაკი“ ერქვა, მუშა აქ მრავალჯერ არის ნახსენები და უმრავლესისაგან უმრავლეს შემთხვევაში მიწის დაქირავებულ მუშას ნიშნავს. მაგალითად, ვხვდებით ასეთ ფორმულირებას „ნახიდურს დაქირავებული მუშა მოვა და ზვარს იმით იმუშავებენ“. საუბარია ავრეთვე მუშებთან ფასის გარიგებაზე და სხვა. ივ. სურგულაძე, ჩამოთვლის რა დასტურლამალში მუშის ხსენების ყველა შემთხვევას დაასკვნის, რომ „მოყვანილ შემთხვევებში „მუშა“ სოფლის მეურნეობაში მომუშავეს ნიშნავს (ხვნაში, მკაში, ვენახში), რომელიც ძირითადად დაქირავებულია; ნიშნავს, აგრეთვე, შავი სამუშაოს შემსრულებელს ფეოდალის ოჯახში“[58].

მუშათა რაოდენობის შემდგომი ზრდა და ფართოდ გამოყენება წარმოებაში, მათი ქონებრივი და პროფესიული დიფერენციაციის შემდგომი გაღრმავება უკვე დაკავშირებულია ახალ პოლიტიკურ და სამეურნეო პირობებთან, რომელიც საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ შეიქმნა (შავი მუშა, კურტნანი მუშა, ვირის მუშა, ყალნიანი მუშა და სხვა ერთობ დამახასიათებელი პერსონაჟებია ამ ახალი დროისთვის).

მოტანილი მასალის ანალიზი, ეფექტრობთ, გვაძლევს უფლებას დავსაკვნათ შემდეგი: ძველქართულ თარგმნილ და ორიგინალურ ძეგლებში დადასტურებული ტერმინი „მუშაკი“ სოციალური შინაარსის მატარებელია და აღნიშნავს წარმოების ძირითად საშუალებას — მიწას მოკლებულ თავისუფალთა ფენას, რომლის არსებობის უმთავრესი და ძირითადი საშუალება საკუთარი სამუშაო ძალის გაყიდვაა. ამ ფენის არსებობა ფეოდალურ საქართველოში უძველესი დროიდან დასტურდება. ფეოდალურ საზოგადოებაში ყმა-გლეხის უფასო შრომის ფართოდ გავრცელებისა და სასაქონლო-ფულადი მეურნეობის სუსტი განვითარების პირობებში საქართველოშიც, ისევე როგორც ყველგან, დაქირავებული შრომის ფუნქციონირება მნიშვნელოვნად იყო შეზღუდული. მაგრამ მეზობელ ქვეყნებთან შედარებით ფეოდალური საქართველო მეურნეობის ინტენსიური დარგებითა და საზოგადოებრივ ურთიერთობათა განვითარების უფრო მაღალი დონით მაინც უკეთეს პირობებს ქმნიდა დაქირავებული შრომის გამოსაყენებლად. ფეოდალური საქართველოს არსებობის მთელ სიგრძეზე „მუშაკთა“ სოციალური ფენა, რა თქმა უნდა, ერთგვაროვანი არ ყოფილა და იგი განიცდიდა ევოლუციას ქართული ფეოდალური საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესების შესაბამისად. ქონებრივი და პროფესიული დიფერენციაციის მუდმივი პროცესი მას ფეოდალური საზოგადოების სულ დაბალი საფეხურისაკენ ეწევოდა. ფეოდალურ ურთიერთობაში ჩაბმულ დანარჩენ საზოგადოებასთან შედარებით, „მუშაკთა“ სოციალური ფენის ისტორია ქართულ წყაროებში მკრთალად აისახა. ეს სხვათა სავსებით შეესაბამებოდა „მუშაკთა“ სოციალური ფენის ადგილსა და როლს ქართული ფეოდალური საზოგადოების განვითარებაში. როგორც ფ. ენგელსი აღნიშნავს, „დაქირავებული შრომა, რო-

58 ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა ივ. სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 813—814.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელშიც ჩანასახისებურად უკვე მთელი კაპიტალისტური წარმოების წესია მოქცეული, მეტად დიდი ხნის მოვლენაა; განცალკევებულად და აქა-იქ მას მთელი საუკუნეების მანძილზე ეხდებით მონობის გვერდით. მაგრამ ეს ჩანასახი კაპიტალისტური წარმოების წესად მხოლოდ მას შემდეგ შეიძლებოდა გაშლილიყო, რაც ამის ისტორიული წანამძღვრები შეიქმნა".[59]. ვფიქრობთ, ფეოდალურ საქართველოშიც დაქირავებული შრომის მატარებელი რიცხვობრივად შედარებით მცირე „მუშაკთა ფენა" კაპიტალიზმის პოტენციურ სარეზერვო საზოგადოებად რჩებოდა, ვიდრე სამრეწველო გადატრიალებამ ის ძირითად და წამყვან კლასად არ აქცია.

Г. Я. МАЙСУРАДЗЕ

СОЦИАЛЬНЫЙ СЛОЙ «МУШАКОВ» В ФЕОДАЛЬНОЙ ГРУЗИИ

Резюме

Известный по армянским и грузинским источникам немногочисленный социальный слой «мушаков» (арм. «мшаков») в Грузии и Армении, несмотря на сходство их происхождения, прошел различный путь исторического развития. Если в средневековой Армении «мшаки» оказались в полукрепостной зависимости, то «мушаки» в Грузии остались в основном наемными работниками. При всей ограниченности положения «мушаков» в условиях господства феодальных производственных отношений, грузинская феодальная действительность создавала, нужно полагать, определенные объективные условия для существования этой социальной прослойки, потребность в которой особенно возрастала во времена экономических подъемов страны.

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა კავშირის ხალხთა ისტორიის განყოფილებამ

59 ფ. ენგელსი, ანტიდიურინგი, თბ., 1933, გვ. 228, შენ. 1.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახტანგ გოილაძე

ფირან გუშნასპის მარტვილობის* ცნობათა მნიშვნელობა V—VI საუკუნეების საქართველოს ისტორიისათვის

მარტვილობანი და წმინდანთა ცხოვრებანი, — წერდა ჯერ კიდევ 1913 წელს აკად. კ. კეკელიძე, — ხშირად მასში მოთხრობილი ამბისა და მოვლენის თვითმხილველთა მიერ იწერებოდა. ამიტომ, ამ ავტორთა თხზულებებში ზოგჯერ ისეთ ფაქტებზე არის ცნობები, რომლებიც ოფიციალურ მემატიანეებსა და ქრონისტებს მხედველობიდან გამორჩათ[1]. ამ მხრივ, ანონიმი ავტორის მიერ სირიულ ენაზე დაწერილი „ფირან გუშნასპის მარტვილობა", მართლაც, საყურადღებოა. ძეგლის ცნობებით გარდა იმისა, რომ ძველ ქართულ წყაროთა რეალურობა დასტურდება, ისინი გარკვეულწილად ავსებენ V—VI ს-ების საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხის შესახებ არსებულ ქართულ და უცხოენოვან წყაროთა მწირ მონაცემებს.

მარტვილობა კარგა ხანია ცნობილია სამეცნიერო წრეებისათვის. ტექსტის გერმანული თარგმანი 1880 წელს გამოსცა გ. ჰოფმანმა[2]. 1903 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში საქართველოს ძველი ისტორიის ცალკეული საკითხების განალიზებისას მარტვილობის ცნობები გამოიყენა ცნობილმა გერმანელმა აღმოსავლეთმცოდნემ, იოზეფ მარკვარტმა[3]. მანვე, იმავე ნაშრომში დაბეჭდა მარტვილობის მოკლე შინაარსი[4].

საქართველოს ისტორიის შესახებ მარტვილობაში არსებული ცნობები ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად აკად. ივ. ჯავახიშვილმა განალიზა ძველი სომხური საისტორიო მწერლობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიასა და ქართველი ერის ისტორიის პირველ წიგნში[5].

მიუხედავად იმისა, რომ V—VI ს-ების საქართველოს ისტორიის შესახებ მარტვილობის ცნობები მეტად მნიშვნელოვანია, დღემდე ამ ძეგლის ქართული თარგმანი არა გვაქვს. საქართველოს ისტორიის მკვლევრები მარტვილობის მონაცემებს ივ. ჯავახიშვილის „ძველი სომხური საისტორიო მწერლობის" მე-

---

* გ. ჰოფმანის თარგმანში სათაური — „გრიგორი. მარტვილობა მოწამე ბატონ გრიგორისა, რომელიც ხოსრო მეფის დროს ეწამა".

[1] К. Кекелидзе, Историко-агиографические отрывки, „Христианский Восток", т. II, вып., II, СПб., 1913, გვ. 187.

[2] Martyrium des Zeugen Herrn Grighor, der in den Tagen des Königs Khosrau Zeugniss ablegte. G. Hoffmann, Auszuge aus syrischen Akten persischen Märtyrer, Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes, Leipzig, 1880, გვ. 78—86.

[3] J. Marquart, Osteuropäische und ostasiatische Streifzüge, 2, unveränderte Auflage, Darmstadt, 1961, გვ. 431 და შემდეგი.

[4] იქვე, გვ. 431, შენ. № 2.

[5] ივ. ჯავახიშვილი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, ტფ., 1935, გვ. 42—45; მისივე, ქართველი ერის ისტორია, I, თხზ., ტ. I, თბ., 1979, გვ. 332—333.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეეობით იყენებდნენ, მაგრამ ივ. ჯავახიშვილს დასახელებულ მონოგრაფიაში მარტვილობის ყველა ცნობა არა აქვს გაანალიზებული.

როგორც მარტვილობიდან ვგებულობთ, ირანელი დიდმოხელის, მიჰრანთა ცნობილი საგვარეულოს* წარმომადგენლის, ქართულ-ალბანეთის მარზპანის ფირან გუშნასპის კონფლიქტი ირანის სახელმწიფოში გამატონებული რელიგიის — მაზდეანობის მსახურებთან და ზაჰთან ფირანის გაქრისტიანების შემდეგ იწყება. მარტვილობაში ნათქვამია, რომ „ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქთა“ გამგებლად დანიშნულ ფირან გუშნასპს მეფის ბრძანებით „გურზანია და არანის ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული“ და იგი ამ ქვეყნებში სამსახურის დროს გაქრისტიანდა „კავადის მმართველობის ოცდამეათე წელს, ადარის თვეში“ და გრიგორიდ იწოდა[6].

მარტვილობის ავტორის მიერ დასახელებული „გურზანი“ ქართლია, ხოლო „არანი“ ალბანეთი. კავად I-მა კი, რომლის მეფობის დასაწყისიდანაც ათვლილია ფირან გუშნასპის გაქრისტიანების წელი, 488 წელს დაიკავა ირანის ტახტი. აქედან გამომდინარე, კავადის მეფობის 30-ე წელი 518 წელზე მოვა, რადგან ადარის თვე მარტს შეესაბამება[7], ფირანი 518 წლის მარტში გაქრისტიანებულა. მარტვილობის ცნობებს, როგორც ითქვა, ქართულ ისტორიოგრაფიაში პირველად ივ. ჯავახიშვილი შეეხო, მაგრამ მას ფირანის გაქრისტიანების თარიღის შესახებ არაფერი უთქვამს. თუმცა ძეგლში, როგორც ვნახეთ, ფირანის გაქრისტიანების არა მარტო წელი, თვეც კი არის მითითებული.

მარტვილობის ცნობა 518 წელს ქართულ-ალბანეთში მარზპანობისას ფირან გუშნასპის გაქრისტიანების შესახებ, პირველ რიგში მეტად მნიშვნელოვანია იმის გასარკვევად, იღმ. ამიერკავკასიაში სასანიანთა მიერ შექმნილ მმართველობის სისტემაში თუ რა დროს უნდა შესულიყო ცალკე სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულებად ალბანეთი და ქართლი. მეორე, მსგავსი ცნობა აქვს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ ავტორს ჯუანშერს. ჯუანშერი ქართლის, ალბანეთისა და მოვაკანის ერთი სპარსელი მოხელისადმი დაქვემდებარების ფაქტზე ჯერ კიდევ ვახტანგის პაპის — არჩილის ზეობაში მიგვითითებს. შემდეგ, ვახტანგის თანადროულად ქართლისა და ალბანეთის გამგებლად ასახელებს ბარზაბოდსა და მის ძეს — ვარაზ-ბაკურს[8]. რადგან მარტვილობის ავტორის მსგავსად, ჯუანშერიც მოგვითხრობს ქართლში მეფობის გაუქმებამდე ქართულ-ალბანეთის ერთი ირანელი მოხელისადმი დაქვემდებარების შესახებ, ვფიქრობ, საეჭვო აღარ უნდა იყოს მარზპანის ინსტიტუტი ქართლში მეფის ხელისიუფლების არსებობის თანადროულად რომ არსებობდა.

---

* ამ საგვარეულოდან გამოსულ სამხედრო მოსამსახურეთა გაქრისტიანებისა და სიკვდილით დასჯის შესახებაა მოთხრობილი „წმინდა გრიგოლ სპარსელისა“ (იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 38—41) და „მიჰრანგუშნასპის“ (Н. Пигулевская, Города Ирана в раннем Средневековье, М.—Л., 1956) წამებაში.

[6] Martyrium..., გვ. 78-79.

[7] Адар, Еврейская энциклопедия, т. I; შდრ., V. Grumel, La Chronologie, Paris, 1958, გვ. 173.

[8] ჯაუნშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, I, თბ., 1955, გვ. 145. ვარაზ-ბაკურის დაღუპვის (456 წ.) შემდეგ, ისევ ვახტანგ გორგასლის თანადროულად, 475 წ. წინა ნახანში, მარზპანი ქართლის დიდებულებთან ერთად იხსენიება „შუშანიკის მარტვილობის“ სომხურ ვერსიაში. Памятники армянской агиографии, в. I. Перевод с древнеармянского, Ереван, 1973, გვ. 208.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორ დგას ეს საკითხი დღეისათვის ქართულ ისტორიოგრაფიაში? მიუხედავად იმისა, რომ მარტვილობაში ფირან გუშნასპი ქართლ-ალბანეთის გამგებლადაა დასახელებული, ივ. ჯავახიშვილი მას მხოლოდ ქართლის მარზპანად იხსენებს[9]. მეორე, ივ. ჯავახიშვილი ფირანის მმართველობის დასაწყის თარიღად დაახლ. 523 წელს თვლის. ამ შემთხვევაში ზღვრად იგი, როგორც ჩანს, ქართლში მეფობის გაუქმების თარიღად ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებულ 523 წელს იღებს. როგორც ივ. ჯავახიშვილის, ისე შემდგომი თაობის ისტორიკოსებს მიაჩნიათ, რომ ირანელები მარზპანს ნიშნავდნენ ისეთ ქვეყანაში „სადაც სამეფო ხელისუფლება აღარ არსებობდა, ანდა დროებით იყო გაუქმებული“ (ქსე, ტ. 6, სტ. მარზპანი. ავტ. ა. ბოგვერაძე), აღნიშნული „თეორიიდან“ გამომდინარე. ამ მკვლევართა მიერ იგნორირებულია ჯუანშერის ცნობა, ქართლში მეფობის გაუქმებამდე ბევრით ადრე, ქართლისა და ალბანეთის ერთი ირანელი მოხელისადმი დაქვემდებარების შესახებ[10].

ქართლ-ალბანეთში ფირან გუშნასპის მარზპანობაზე საუბრისას ცალკე დგება საკითხი, რომელ წლებში იყო ფირანი დასახელებული ქვეყნების გამგებელად.

ი. მარკვარტი ფირანის მარზპანობის კონკრეტულ წლებს არ უთითებს, თუმცა თვლის, რომ მას არავინდ გუშნასპზე ადრე ეჭირა ეს სახელო[11]. ივ. ჯავახიშვილის თანახმად, ფირანს საქართველოში დაახლ. 523 წლიდან 542 წლამდე უნდა ემსახურა[12].

ფირანს აღნიშნული სახელო 523 წელზე გაცილებით ადრე რომ ეკავა ეს ცხადია. იგი ხომ 518 წელს, როცა ქართლსა და ალბანეთს განაგებდა მაშინ გაქრისტიანდა. ახლა რაც შეეხება მისი მარზპანობის ბოლო თარიღს.

როცა შაჰს ფირანის გაქრისტიანების ამბავი მოახსენეს, შაჰის ბრძანებით ფირანი გადაიყენეს და 3 წელი პატიმრობაში იყო. შემდეგ შაჰმა ფირანს კვლავ დაუბრუნა ძველი ღირსება. ასე რომ, 521 წ. ფირანი ისევ ქართლ-ალბანეთის მარზპანი გახდა და მარტვილობის ავტორის ცნობით, „ხალხის სასიხარულოდ მრავალ წელს ცხოვრობდა“ სანამ სპარსელებსა და რომაელებს შორის ქართლ-ალბანეთში ომი არ დაიწყო. ფირანი როგორც მარზპანი სპარსთა ერთ-ერთი სარდალი იყო. იგი ბიზანტიელებთან ბრძოლაში დამარცხებულა და სხვა ტყვეებთან ერთად იმპერატორისათვის მიუგზავნიათ. ფირანი თავისი ჩინისა და ქრისტიანობის გამო იმპერატორს დაუსჯიტქრებია და თანამდებობაც მიუცია. ამ ამბებიდან დიდი ხნის შემდეგ, — ნათქვამია ძეგლში, — ბიზანტიასა და ირანს შორის მშვიდობა დამყარდა. [ზავის დადების] მეორმოცე წელს ავიდა ხოსრო ტახტზე და თავისი მეფობის მესამე წელს ბრძანა რათა ორივე ქვეყანას შორის მშვიდობა გამყარებულიყო[13].

ოცი. რომელშიც ფირანი იქნა ბიზანტიელთა მიერ დატყვევებული ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად მიიჩნია 523—532 წლებს შორის მომხდარად[14]. მა-

---

[9] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი სომხური საისტორიო მწერლობა, გვ. 44—45.

[10] დასმული საკითხის შესახებ იხ. ვ. გ ო ლ ა ძ ე, ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა ქართულ საისტორიო ტრადიციაში, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1982, № 4.

[11] I. Marquart, დასახ. ნაშრომი, გვ. 431-432.

[12] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[13] Martyrium..., გვ. 80.

[14] ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრამ, მარტვილობის ავტორის ცნობაში [ზავის დადების] „მეორმოცე წელს ირანის ტახტზე ხოსროს ასვლის“ შესახებ, რა თქმა უნდა, 523—532 წლებს შორის მომხდარი ომი არ იგულისხმება. რატომ დასჭირდა მარტვილობის ავტორს ხოსრო I-ის (531—579) ტახტზე ასვლა ქართლ-აღბანეთში ირანსა და ბიზანტიას შორის 40 წლის წინათ, ე. ი. 491 წელს მომხდარი ომისა და ზავის დაღებიდან აეთვალა ძეგლიდან არა ჩანს. თუმცა, მარტვილობის ავტორის ეს მითითება უნიკალურია. მსგავსი ცნობა ჯერჯერობით არც ერთ სხვა წყაროში არა გვაქვს. როგორც სათანადო კვლევის შედეგად დადასტურდა, მარტვილობის ავტორის მიერ მითითებული 491 წლის ბიზანტია-ირანის ომის ერთ-ერთ კამპანიად უნდა იქნას მიჩნეული ჯუანშერის მიერ აღწერილი ვახტანგ გორგასლის ბრძოლა ირანელებთან „იორსა ზედა“, სადაც ვახტანგი სასიკვდილოდ დაიჭრა.

მარტვილობის ავტორის ზემომოტანილმა ცნობამ საფუძველი შექმნა ჯუანშერის თხზულებას ახალი, სანდო საისტორიო წყაროს მნიშვნელობა მიეღო. გარდა ამისა, რომ ზემომოტანილი მითითების საფუძველზე დადგენილი იქნა ვახტანგ გორგასლის დაბადება-გარდაცვალების თარიღი, გაირკვა მისი ოჯახური ქრონოლოგია, ჯუანშერის არაერთი ცნობა ახლებურად იქნა გააზრებული[15]. ასე რომ, აღნიშნული ცნობის სახით ჩვენს ხელთაა საისტორიო წყაროებით დღემდე უცნობი ბიზანტია-ირანის ომი, რომელიც ქართლის ტერიტორიაზეც მიმდინარეობდა. მარტვილობის სხვა ცნობებზე რომ აღარაფერი ვთქვა, მარტო ეს ცნობაც საკმარისი იქნებოდა ძეგლის მეცნიერული შესწავლისათვის.

მარტვილობის ავტორის ცნობით, ხოსროს მეფობის მესამე (ე. ი. 534) წელს ირანის ელჩის ზაბერგანის[16] შუამდგომლობით იმპერიაში ტყვედ მყოფი ფირანი იმპერატორმა გაანთავისუფლა. ირანში დაბრუნებული ფირანი შაჰმა კვლავ ძველ თანამდებობაზე აღადგინა[17] (იგულისხმება, რომ ფირანმა ისევ ქართლ-აღბანეთის მარზპანის პოსტი დაიკავა). მარტვილობის ავტორის ეს მითითება, მართლაც ასე რომ უნდა გავიგოთ, იქიდან ჩანს, რომ მარტვილობაში ისევაა ცნობა დაკავებული თანამდებობიდან ფირანის გადაყენების შესახებ. მოგვების მრავალგზისი მოთხოვნის შემდეგ, — ნათქვამია მასში, — მეფე დათმობაზე წავიდა, გრიგორი სამსახურიდან გადააყენა და ბრძანა მისთვის ბორკილები დაედოთ[18].

ამრიგად, ძეგლის შინაარსიდან გამომდინარე, ფირან გუშნასპი 518 წლის წინა ხანებიდან უკვე ქართლ-აღბანეთის მარზპანი იყო. ამის შემდეგ ივი ორჯერ იქნა გადაყენებული და კვლავ აღდგენილი (პირველად გაქრისტიანე-

---

15 ვ. გოილაძე, ვახტანგ გორგასალი და მისი ისტორიკოსი, „მნათობი“, 1983, № 11; რომელი ქეეყანაა „ვახტანგ გორგასლის ცხოვრების“ აბაშეთი? „მნათობი“, 1984 № 7; ვახტანგ გორგასლის ოჯახური ქრონოლოგია, „მნათობი“, 1985 № 4; ქალაქი ანტიოქია „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“, „დროშა“, 1986, № 1; მიქაელი იყო „მეფდელი ჭუშარტელი“, მაგრამ არ იყო..., „მნათობი“, 1987, № 4.

16 ბიზანტია-ირანის 527—532 წწ. და 540—545 წწ. ომებთან დაკავშირებული ამბების გადმოცემისას პროკოპიოს კესარიელი ზაბერგანს არაერთხელ იხსენიებს ირანელ მხედართმთავრთა შორის. Проконий Кесарийский, История войн римлян с персами. Перевод с греческого, кн. I, СПб., 1876, გვ. 299-300; кн. II. СПб., 1880, გვ. 64, 191; პროკოპიოსი ზაბერგანს იხსენიებს „საიდუმლო ისტორიაშიც“, თავი II.

17 Martyrium..., გვ. 81.

18 იქვე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიდან მესამე — 521, ხოლო მეორედ ტყვეობიდან დაბრუნების შემდეგ დაახლ. 534 წელს) დასახელებულ თანამდებობაზე.

მაგრამ, 534 წლის შემდეგ როდის გადააყენეს ფირანი მარზპანობიდან და ვინ დაიკავა ეს სახელო?

„მარტვილობაში“ ნათქვამია, რომ ფირანის გადაყენების შემდეგ, ხოსროს მეფობის მეცხრე წელს დაიწყო ომი რომაელებსა და სპარსელებს შორის და ხოსრომ გაილაშქრა რომაელების წინააღმდეგ. სირიის ანტიოქია დაანგრია და დაწვა ეს ქალაქი. როცა ერთი წელი გავიდა ბრძანა ომი ჰეგართა ქვეყანაში დაეწყოთ[19].

ძეგლში დასახელებული „ჰეგართა ქვეყანა“ ივ. ჯავახიშვილმა სამართლიანად მიიჩნია ეგრისად. თუმცა, „ჰეგართა ქვეყნის“ შესახებ მარტვილობაში არსებული სხვა ცნობათა ივ. ჯავახიშვილისეულ ინტერპრეტაციას ვერ გავიზიარებ. პირველ რიგში ეს ეხება ივ. ჯავახიშვილის მოსაზრებას თითქოს ამ ომის შემდეგ „ჰეგართა ქვეყნითგან მიმავალ ხოსროს“ ფირან გუშნასპი კვლავ ეგრისში დაეტოვოს სანაპიროს დასაცავად და „...ფირან გუშნასპს დაახლოებით 523 წ-ითგან მოყოლებული 542 წ. საქართველოში ემსახუროს. მხოლოდ ხოსრო მეფის მეათე ინდიქტიონის ბრძანების თანახმად ის თავის თანამდებობითგან, ვითარცა გაქრისტიანებული გადაეყენებიოთ“[20].

ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ვნახეთ, ფირანი 518 წლის წინა ხანებიდან ჰხნს მარზპანი. მეორე, 534 წელს ტყვეობიდან დაბრუნებული ფირანი ხოსრო I-მა მართალია ძველ თანამდებობაზე აღადგინა, მაგრამ მოგვების დაყენებული ოხოვნით 540 წელს ბიზანტიასთან დაწყებული ომის წინ, იგი ხომ ისევ გადააყენა.

ახლა ამ მხრივ გადავხედოთ მარტვილობის ცნობებს. მარტვილობის ავტორის მითითებით, ეგრისში მიმავალი ხოსრო „გზად იმ პროვინციაში შევიდა, სადაც ბორკილდადებული წმინდანი იმყოფებოდა“[21]. აქ მეფე ესაუბრა გრიგორის (ფირან გუშნასპს). ამასთანავე, რადგან დიდი მობედის პირადი ცდა გრიგორის უარეყო ქრისტიანობა წარუმატებლად დამთავრდა, მეფის ბრძანებით გრიგორი დედაქალაქში გაგზავნეს და მეფის საპყრობილეთა უფროსს გადასცეს“[22].

ასე რომ, ეგრისში საომრად მიმავალ ჰაჰს ფირანი ქართლში (ან ალბანეთში) ბორკილდადებული დახვდა, საიდანაც იგი ირანის დედაქალაქის საპყრობილეში გაგზავნეს. ამიტომ, ეგრისიდან წასვლისას ხოსრო ფირანს ვეღარ დატოვებდა „სანაპიროს დასაცავად“.

მარტვილობაში საინტერესოა ცნობა ქართლ-ალბანეთის (რან-ქართლის) მარზპანის სახელოს მიჰრან-გუშნასპთა საგვარეულოს მიერ მემკვიდრეობით მფლობელობის შესახებ[23]. ძეგლის შინაარსიდან ვგებულობთ: ქართლ-ალბანეთის მარზპანის თანამდებობიდან ფირანის გადაყენების შემდეგ, ჰაჰს ეს სახელო ფირანის ძმისთვის (მარტვილობის ავტორი მას მიჰრანად იხსენიებს) მიუცია.

---

[19] Martyrium..., გვ. 81.

[20] ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 44.

[21] Martyrium..., გვ. 81.

[22] იქვე, გვ. 81-82.

[23] შდრ., ვ. გოიაძე, ამიერკავკასიაში სასანიანთა მმართველობის ასახვა...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძეგლის ავტორის ცნობით, ეგრისიდან წასულმა შაჰმა, ხუთი თვის შემდეგ ომი განაახლა რომაელთა წინააღმდეგ. იგი გავიდა მაპოზიდან[24] [სამეფო] გზით გაემართა ქ. პეროზ-შაპურისაკენ[25] და კარავი გაშალა სოფელში, რომელსაც დანა ეწოდებოდა. აქედან, შემდეგ კვლავ გაიარა ერთი ფარსანგი და დაბანაკდა. აი აქ, ნათქვამია „მარტვილობაში“ „პეგართა ქვეყნიდან ჩამოვიდა მიჰრანი, სადაც იგი მცველად იყო დატოვებული. როცა მოგვებმა ეს გაიგეს, შეიკრიბნენ ისინი და ეკითხებოდნენ: რა მოუვიდა შენს ძმას გრიგორის, რომ მან ქრისტიანთა ცრურწმენა ამჯობინა?[26].

ზემომოტანილი ციტატიდან აშკარაა: 1. ეგრისში (უფრო სწორად ქართულ-ალბანეთში) დატოვებულად ფირანის ძმა-მიჰრანი იგულისხმება. 2. დაახლ. 535/36 წელს ქართულ-ალბანეთის მარზპანის თანამდებობიდან ფირანის გადაყენების შემდეგ ხოსრო I-ს მარზპანად ფირანის ძმა მიჰრანი დაუნიშნავს და 541 წ. ეგრესში ხოსრო I-ის ლაშქრობისას ქართულ-ალბანეთის მარზპანი უკვე ივი იყო. ამიტომ, უეჭველია, ეგრისში სალაშქროდ მიმავალ შაჰს მიჰრანი შეხვედებოდა ქარლში, შემდეგ იგი როგორც მარზპანი მონაწილეობას მიიღებდა ხოსროს ეგრისში ლაშქრობაში და ეგრისიდან წასვლისას ხოსრო ისევ მიჰრანს დატოვებდა სანაპირო ხაზის დასაცავად[27]. რადგან ეს მიჰრანი, 541 წელს ეგრისიდან ხოსროს წასვლიდან ხუთი თვის შემდეგ, 542 წლის გზაფხულზე ჩავიდა პეროზ-შაპურისაკენ მიმავალ ხოსროსთან, მეორე მხრივ კი სწორედ 542 წელს ტოვებს თბილისს „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის მიერ ქართლის მარზპანად მოხსენიებული არვანდ გუშნასპი. ვფიქრობ, საეჭვო არ უნდა იყოს, ფირან გუშნასპის ძმა — მიჰრანი (ივივე გუშნასპი) და „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორის მიერ ქართლის მარზპანად დასახელებული არვანდ გუშნასპი, იდენტური პიროვნებანი რომ უნდა იყვნენ. აღნიშნული მოსაზრება თუ სწორია, მაშინ არვანდს ქართულ-ალბანეთის მარზპანის სახელო დაახლ. 535/36 წლიდან სჭერია და როგორც აქამდე გვეგონა[28] იგი 542 წელს ამ თანამდებობიდან გადაყენებული არ ყოფილა. ასეთ მოსაზრებას მხარს უჭერს სომხური აგიოგრაფიული ძეგლის „გრიგოლ სპარსელის წამების“ ავტორის ის ცნობა, რომლის თანახმად, ქართლში სამხედრო სამსახურისას გაქრისტიანებული მანაჭიური „ხოსრო სპარსთა მეფის მეთხუთმეტე“ ე. ი. 546 წელს გამოსული ბრძანებით დააპატიმრეს და ბევრი ტანჯვა გადაიტანა ქართველთა მარზპანისაგან, რომელსაც ერვანდ ვშნასპი ერქვა[29]. რადგან ერვანდ ვშნასპი ივივე არვანდ გუშნასპია[30], ზემომოტანილ ცნობათა მიხედვით არვანდ გუშნასპი (მიჰრანი) 546 წელს კვლავ ქართულ-ალბანეთის მარზპა-

---

24 ნ. პ ი გ უ ლ ე ვ ს კ ა ი ა ს თანახმად, ქ. მაპოზი ქ. სელევსკიასთან ან ქტეზიფონთან იყო შერწყმული. Н. В. П и г у л е в с к а я, Месопотамия на рубеже V—VI вв. н. э., Труды Ин-та востоковедения, т. XXXI, М.—Л., 1940, გვ. 116.

25 ქ. პეროზ-შაპური ირანიდან ანტიოქიისაკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა. Н. В. П и г у л е в с к а я, დასახ. ნაშრომი, გვ. 94.

26 M a r t y r i u m..., გვ. 83.

27 პროკოპიოს კესარიელის მიერ პეტრასთან ბრძოლაში ირანელთა ერთ-ერთ სარდლად დასახელებული მიჰრანი, იქნება ფირანის ძმაq? იხ. П р о к о п и й К е с а р и й с к и й, II, გვ. 235.

28 ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

29 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 39.

30 იქვე, გვ. 44.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნი ყოფილა[31]. მეორე მხრივ, ფირან გუშნასპი რადგან 542 წ. დასაჯა შაჰმა სიკვდილით (იხ. ქვემოთ), ზემომოტანილი სომხური ცნობა (მასში არავანდი 546 წელს ისევ ქართლის მარზპანად იხსენება) ივ. ჯავახიშვილმა შეცდომად ჩაიჩნია[32]. ასეთი მტკიცების საფუძველს მას ისიც აძლევდა „ევსტათი მცხეთელის მარტვილობის“ ავტორი დაბლ. 543 წელს ქართლის მარზპანად ვეჟან ბუზმირის შემოსვლის შესახებ რომ მიუთითებს. „...არავანდ გუშნასპის მარზპანობა, — წერდა ივ. ჯავახიშვილი — თუ ამაზე უწინარეს არა, 540/1 წლითვან უნდა ვიგულისხმოთ, მხოლოდ 543—4 წლამდე, როდესაც უკვე მის მაგიერ ქართლის მარზპანად ვეჟან ბუზმიჰრი ყოფილა დანიშნული. მაშასადამე, — ასკვნის იგი, — ევსტათე მცხეთელის მარტვილობის ქრონოლოგიური ცნობებითგან ირკვევა, რომ 545—6 წ. არავან გუშნასპს არ შეეძლო „გრიგოლ მანაჩიჰრი ქართლში ეწამებია, რადგან ის 540—541 წლამდე ყოფილა ქართლში“[33].

542 წელს თბილისიდან არავან გუშნასპის წასვლის შემდეგ ქართლის მარზპანად, მართლაც, შემოვიდა ვეჟან ბუზმირი, მაგრამ ამ ცნობის სხვა ცნობებთან შედარების შემდეგ ჩვენ იმ დასკვნამდე მივედით, რომ „ქართლის მარზპანად შემოსული“ ვეჟან ბუზმირი და კამბეჩოვანის ირანელი გამგებელი ვეზანი ერთი და იგივე პირები უნდა ყოფილიყვნენ და ვეჟანი ქართლის მარზპანად დროებით უნდა შემოსულიყო ქართლში არავანდის არ ყოფნის გამო. 545 წ. ბიზანტიასთან ზავის დადების შემდეგ, არავანი კვლავ ქართლში დაბრუნებულ[31]და ამის შემდეგ უნდა ეწამებია მას ქართლში გაქრისტიანებული მანაჩიჰრი.

აქვე გასათვალისწინებელია ნერსე II სომეხთა კათალიკოსის ცნობა „ხოსრო მეფეთა-მეფის მეჩვიდმეტე“ ე. ი. 548 წელს სომხეთში „ნიპორაკანის მარზპანობაში“ ქ. დვინში მანაჩიჰრ-რაჟიკის სახელზე სამლოცველოს აგების შესახებ[35]. მანაჩიჰრის სახელზე 548 წელს რომ ააგეს სამლოცველო იქნებ იმაზე მიგვითითებს მანაჩიჰრი 546 წელს რომ ეწამა და არა 542 წელს. მანაჩიჰრი, რომ 542 წელს ეწამებიათ, სამლოცველოს უფრო ადრე ააგებდნენ.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ხოსრო I-ის ეგრისში ლაშქრობის თარიღად 542 წელია მიღებული[36]. მარტვილობის (რომელსაც მხარს უჭერს პროკოპიოს კესარიელის ცნობა) თანახმად კი, ომი ხოსრომ „თავისი მეფობის მეცხრე“ ე. ი. 540 წელს დაიწყო და როცა ერთი „წელი გავიდა ბრძანა ომი ჰეგრთა

---

31 სომეხი მკვლევრის გ. ტერ-მკრტჩიანის მოსაზრება არავანდისა და ფირანის იდენტურობის შესახებ ჩვენც გავიზიარეთ (В. Гоиладзе, Политическое развитие Картли с начала VI в. до конца 30 гг. VII в., Тб., 1979, გვ. 14—17. საკანდიდატო დისერტაციის ავტორეფერატი; შდრ., ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 112), მაგრამ, როგორც ვხედავთ, ტექსტის მონაცემებით ასეთი მოსაზრება არ დასტურდება.

32 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 45.

33 იქვე.

34 ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, VI საუკუნეში ქართლის ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენის დათარიღებისათვის, „მაცნე“ ისტორიის სერია, 1979 № 1, გვ. 120—123.

35 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

36 იქვე, გვ. 43, ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, I, გვ. 332; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, II, თბ., 1973, გვ. 253, ავტორი ა. ბ ო ბ ვ ი ა ძ ე; ქსე, ტ. 4. სტ. ეგრისის დიდი ომი 542—562. ავტორი ნ. ლ ო მ ო უ რ ი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვეყანაში დაეწყოთ"[37]. ასე რომ, ხოსროს ეგრისში ლაშქრობა 541 წელზე მოდა. ახლა პროკოპიოსის ცნობებს გადავხედოთ. მისი ცნობებიდან გამომდინარე, ხოსრომ 540 წლის ლაშქრობა იმპერიის წინააღმდეგ ქ. ანტიოქიის აღებით დაასრულა[38]. 541 წელს ხოსრო ჩრდილოეთისაკენ გამოემართა, მაგრამ, როგორც პროკოპიოსი წერს, ბიზანტიელთა ყურადღება რომ მოედუნებია, მან ხმა გავრცელა თითქოს ჰუნების წინააღმდეგ მიდიოდა სომრად, სინამდვილეში კი ქართლის გავლით დიდი ჯარით ეგრისში შეიჭრა. აქ წარმატებით დაწყებული სომარი ოპერაციების დროს გაიგო ირანის ტერიტორიაზე ბიზანტიელი მხედართმთავრის ველისარიუსის შეჭრის ამბავი. ამიტომ, სასწრაფოდ დატოვა ეგრისი[39]. როცა ხოსრო ირაწში დაბრუნდა ველისარიუსიც გავიდა ირანის საზღვრებიდან და კონსტანტინოპოლში ჩავიდა[40]. ასე დამთავრდა 541 წლის სამხედრო კამპანია. 542 წელს, ხოსრო ისევ 540 წლის ლაშქრობის მიმართულებით გაემართა. მარტვილობის ავტორი სწორედ ამ ლაშქრობას უკავშირებს ფირანის სიკვდილით დასჯის ამბავს და ამიტომ ლაშქრობის დასაწყის მარშრუტსაც უთითებს. როგორც მარტვილობაშია ნათქვამი, ეს ლაშქრობა ხოსრომ ეგრისიდან წასვლიდან 5 თვის შემდეგ წამოიწყო და ქ. პეროზშაპურისაკენ გაემართა[41] (აქ, ჯერ კიდევ ირანის ტერიტორიაზე მყოფმა სიკვდილით დასჯა ფირან გუშნასპი[42]). ამ ლაშქრობის შემდგომი მარშრუტის შესახებ ცნობები პროკოპიოსთან გვაქვს. მისი ცნობით, 542 წ. გაზაფხულზე ხოსრომ გადალახა მდ. ევფრატი, მიადგა ქ. სერგიოპოლისს, შემდეგ გაიგო, რომ მის წინააღმდეგ ველისარიუსი მოემართებოდა, უკან გაბრუნდა, თუმცა იმპერიის კუთვნილი ქ. კალინიკე მაინც აიღო[43]. ამ წელს დიდი ჭირიანობა იყო ოროგორც იმპერიის ტერიტორიაზე, ისე აღმოსავლეთში, ამიტომ ხოსრო ჭირს გამოერიდა და 543 წ. გაზაფხულზე ქ. განძაკში (აქ იყო ზოროასტრული დიდი ტაძარი) მივიდა. ამ წელს ხოსროს შეტევა არ უწარმოებია, თუმცა ქ. დვინის აღება სცადა[44].

ამრიგად, როგორც ბიზანტია-ირანის 540—545 წწ. ომის 540—543 წწ. სამხედრო კამპანიების ანალიზიდან ჩანს, ხოსრო 541 წ. შემოვიდა ეგრისში და არა 542 წელს. ხოსროს ეგრისში ლაშქრობა 541 წლით არის დათარიღებული რუსულ სამეცნიერო ლიტერატურაში[45].

541 წ. „ჰეგრართა ქვეყნიდან" წასული ხოსრო როცა მაპხოზში (ე. ი.დედაქალაქში) ჩავიდა, იქ ჩაიყვანეს „ბორკილდადებული გრიგორიც" და იგი პა-

---

[37] Martirium..., გვ. 81. შდრ., Прокопий Кесарийский, История войн... II., გვ. 137.

[38] იქვე, გვ. 36, 72, 85, 95—105.

[39] იქვე, გვ. 137.

[40] იქვე.

[41] Martyrium..., გვ. 83.

[42] იქვე, გვ. 86. ფირანი რომ ირანის ტერიტორიაზე დასაჯეს, ეს „ეზიტ-ბოზიტის მარტვილობის" ცნობითაც დასტურდება. მასში ნათქვამია, რომ ეზიტ-ბოზიტმა გრიგორის წამება სპარსთა მეფის ბანაკში ნახა და შემდეგ გაქრისტიანდა. Труды по востоковедению, издаваемые Лазаревским ин-том вост. языков, в. XXXI, М., 1910, გვ. 51-52.

[43] П. Кесарийский, დასახ. თხზ., II, გვ. 138—143.

[44] Ю. Кулаковский, История Византии, II, გვ. 143—145.

[45] იქვე, გვ. 142; შდრ., История Византии, т. I, М., 1967, გვ. 332.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტემრობაში რჩებოდა „მეორე ტიშრიდან მეფის რომაელთა წინააღმდეგ გალაშქრებამდე“[46].

მეორე ტიშრი ნოემბერს შეესაბამება[47], მეორე მხრივ კი, ბიზანტიის წინააღმდეგ ახალი ლაშქრობა ხოსრომ რადგან ეგრისიდან წასვლიდან ხუთი თვის შემდეგ დაიწყო, ნოემბრიდან ხუთი თვე 542 წლის მარტის ბოლოს გასრულდებოდა და სწორედ ამ დროს, ბიზანტიის წინააღმდეგ სალაშქროდ მიმავალმა ხოსრომ, დიდი მარხვის ბოლო მეშვიდე (ვნების) კვირის წრთელ პარასკევს, როგორც ეს მარტვილობაშია ნათქვამი ქართულ-ალბანეთის ყოფილი მარზპანი ფირან გუშნასპ-გრიგორი სიკვდილით დასაჯა.

ფირანი ქართულ-ალბანეთში სამსახურისას კი გაქრისტიანდა, მაგრამ რა მიმართულების ქრისტიანობა მიიღო მან?

როგორც მარტვილობაშია ნათქვამი, „ხოსროს მეფობის მეათე“ ე. ი. 541 წელს ირანში „ქრისტიანთა დევნა დაიწყო“ და მოგვებმა ეკლესია-მონასტრები დაანგრიეს (ამ დევნის დროს დასაჯეს სიკვდილით ფირან გუშნასპი). სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში არსებული მითითებით, VI ს. ირანში რადგან ქრისტიანობის ნესტორიანული მიმდინარეობა იყო დაშვებული[48] უნდა ეფიქროთ, რომ ირანში დევნილი ქრისტიანები ნესტორიანები უნდა ყოფილიყვნენ. ნესტორიანად უნდა მივიჩნიოთ თვით ფირან გუშნასპიც. ალბათ, აღნიშნულით უნდა აიხსნას, მარტვილობის ავტორის ცნობა „წმინდა მოწამის“ ე. ი. ფირან გუშნასპ-გრიგორის ხსოვნას [ირანის] მთელი ეკლესია რომ ზეიმობდა და მისი საფლავი „მუდმივი თაყვანისცემის ადგილი [რომ]გახდა. ფირანის ნესტორიანობაზე ისიც მიუთითებს ბიზანტიაში ტყვედ ყოფნისას იგი ბიზანტიელებს „ღვთის გმობაში“ და „ქრისტეს რწმენის არა ჭეშმარიტებაში“ რომ სდებდა ბრალს. იმ დროის ბიზანტიის ოფიციალური რელიგია დიოფიზიტური იყო და მარტვილობის ავტორის ცნობიდან გამომდინარე, დიოფიზიტობა მიაჩნდა ფირანს „არა ჭეშმარიტად“. რაც მთავარია, ზემომოტანილი მასალა კიდევ ერთი დადასტურებაა. ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმული მოსაზრებისა VI ს-ის ქართლში ნესტორიანებიც რომ იყვნენ[49]. ფირანი ხომ ქართლ-ალბანეთში სამსახურისას გაქრისტიანდა.

მარტვილობაში არსებული ცნობებიდან საინტერესოა მითითება ადარის თვეში მაზდეანური დღესასწაულის ზეიმის შესახებ, რომელსაც მოგვები „ფორრდიგანის დღეს უწოდებდნენ“[50]. ფირანის სიკვდილით დასჯის ცერემონიალი და სხვა.

---

46 Martyrium..., გვ. 82.

47 სირიული ქალენდრით მეორე ტიშრი (ტეშრინ II) ნოემბერს შეესაბამება. იხ. ვ. გრუმელის. დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

48 431 წ. ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრებაზე ნესტორიანობა მწვალებლობად გამოცხადდა და ბიზანტიაში მათ დევნა დაიწყეს. დევნილმა ნესტორიანებმა ძირითადად ირანს შეფაფარეს თავი (იხ. СИЭ, Несторианство).

49 საქართველოში ნესტორიანთა არსებობის შესახებ იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველების ისტორია, I, გვ. 348—349; შდრ., ეპისტოლეთა წიგნი, სომხური ტექსტი ქართული თარგმანით გამოკვლევითა და კომენტარებით გამოსცა ზ. ალექსიძემ, თბ., 1968, გვ. 225—230.

50 Martyrium..., გვ. 79.

ფირან გუშნასპის მარტვილობა*

ბერძენთა რვაას ორმოცდაათ წელს[1] ქრისტიანთა მდგომარეობა ძალიან კარგი იყო. ყველგან ჰქონდათ მათ ეკლესიები და არვის შეეძლო მეფის ბრძანების გარეშე მათთვის ენება მიეყენებინა. ასე გაგრძელდა მეფე პეროზის[2] მმართველობიდან მეფე ხოსროს[3] მეათე წლამდე. ამ წელს მოგვებმა[4] დაიწყეს ქრისტიანთა დევნა. სადაც ქრისტიანები სუსტნი იყვნენ, დაუნგრიეს ეკლესიები და ტაძრები. იმ ხანად ცხოვრობდა ერთი კაცი რეიდან, მიჰრანთა სახლის გვარისშვილი, მეფის ერთ-ერთი დიდებული, რომელსაც თავდაპირველად ფირან გუშნასპი[5] ერქვა, ხოლო ნათლისცემის შემდეგ გრიგორი უწოდეს. მას მრავალი წარჩინებული ემორჩილებოდა, მეფისაგან ჩრდილოეთის საზღვრისა და ოლქთა გამგებლად იყო დანიშნული. მეფის ბრძანებით გურზანისა და არანის[6] ქვეყნების დაცვა ჰქონდა დავალებული. მას მრავალი ათასი მხედარი ემორჩილებოდა.

კავადის[7] მმართველობის ოცდამეათე წელს, ადარის თვეში[8], როცა მოახლოებული იყო დღესასწაული, რომელსაც მოგვები სატანას უძღვნიდნენ (ამ დღესასწაულს თვითონ ისინი ფრორდგანის დღეს უწოდებენ) ფირან გუშნასპს სწორედ იმ წინა ღამეს, ვიდრე მისი დღე [დადგებოდა] და სატანას დღესასწაული დაიწყებოდა, გამოეცხადა ღვთაება ანგელოზის სახით და ჰაგონა, რომ იგი გაქრისტიანებულიყო. მან ეს ჩვენება კვლავ ნახა. მეორე დილით შეიკრიბნენ დიდებულები, რათა მისთვის თაყვანი ეცათ. მათ შორის იყო ერთი მოგვი, რომელმაც პირდაპირ პირში უთხრა, რომ იგი ღვთის ნებით ქრისტიანი გახდებოდა. მან გაიკვირვა. მესამე ღამეს, მესამე გამოცხადებისას მან გაგზავნა კაცი სოფლის ხუცესებთან თხოვნით, რომ იგი მოენათლათ. მათ ჯერ უარი უთხრეს, რადგან ეშინოდათ მოსალოდნელი შედეგებისა, მაგრამ, როცა იგი თვითონ მივიდა მათთან, მაშინ დათანხმდნენ. დადგა მისი დღე, როცა მას ცოდვები უნდა მოენანიებია. მოგვები და ხალხი დაძაბული უცდიდა მის ბრძანებას, რომელიც ბრბოს უწმინდურ ნადიმზე მიიპატიჟებდა. ის არ გამოვიდა. მაშინ მივიდნენ და უთხრეს: აღსრულებია იაშო. მოგვალხენე დღეს საჭმელითა და სასმელით, მოგვაგე პატივი იმ სიმდიდრით, რომელიც შენ ორმუზდმა[9] მოგცა. მან დაიყვირა რომ თვითონ ორმუზდი უარყო და ამიერიდან ქრისტიანია. ხალხმა იფიქრა ალბათ ავი სულის-დევისაგან[10] არის შეპყობილი. ამაზე მან უპასუხა: მართლაც ადრე მე[11] დეკს ვემსახურებოდი, რადგან ორმუზდი სწორედ ასეთი დევია და არა ღმერთი. ამის შემდეგ ყველანი გაეცალნენ. როცა ეს მეფეს მოახსენეს, მან ბრძანა მისი გადაყენება, ცისტერნაში (ავზი) ჩაამწყვდევინეს და მხოლოდ იმდენი წყალი მიაცემინა რომ არ მომკვდარიყო. იგი ცისტერნაში სამ წელს იმყოფებოდა. სასწაულების წყალობით, რომლებიც მან იქ მოიმოქმედა, მეფემ მას დაუბრუნა თავისი ადრინდელი ღირსება და ამის შემდეგ ფირან გუშნასპი ანგელოზისა და ხალხის სასიხარულოდ მრავალ წელს ცხოვრობდა. როცა სპარსელებსა და რომაელებს შორის გურზანისა და არანის მხარეში ომი დაიწყო, გრიგორი, როგორც სპარსელთა სარდალი, რომაელთა წინააღმდეგ ბრძოლაში მონაწილეობდა. იგი დამარცხდა და სხვა ტყვეებთან ერთად რომაელთა კეისარს მიჰვავრეს. ამ უკანასკნელმა შეიტყო რა ფირანის ჩინი და ქრისტიანობის ამბავი, იგი დაასაჩუქრა და უფრო დიდი თანამდებობა უბოძა, ვიდრე იგი ადრე ფლობდა. ამ ამბიდან დიდი

* გერმანული ტექსტი ქართულ თარგმანთან შეადარეს ნოდარ გოშვილმა და გია გელაშვილმა, რისთვისაც მათ მადლობას მოვახსენებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხნის განმავლობაში, ღვთის ნებით, ამ ორ სახელმწიფოს შორის მშვიდობიანობა იყო. [ზავის დადების] მეორემოცე წელს ტახტზე ავიდა ხოსრო[11] და თავისი მმართველობის მესამე წელს ბრძანა რომაელთა კეისართან გაეგზავნათ ელჩი, ორივე ქვეყანას შორის მშვიდობის განსამტკიცებლად. ელჩად დანიშნეს ზაბერგანი[12], მეფის ერთ-ერთი დიდებული. [ელჩი]რომაელთა კეისრის მიერ კარგად იქნა მიღებული. როცა უკან გაბრუნების დრო მოვიდა, ზაბერგანმა ითხოვა, ნება დაერთოთ უფალი გრიგორი თან წაიყვანა. კეისარი უარზე იყო, რადგან ეს კაცი მისთვის ძვირფასი იყო. მაგრამ, ამასთანავე გრიგორის თვითონ ჰქონდა დიდი სურვილი ქრისტეს ღვთაებრივი ბუნებისადმი რომაელთა მკრეხელობისა და ჩვენი ბატონის იესო ქრისტეს ხოროცელების მიმართ მათი რწმენის არაჭეშმარიტების გამო [დაეტოვებია ეს ქვეყანა]. მან ზაბერგანისაგან თავისი უვნებლობის ფიცით განმტკიცება მოითხოვა და მოგვანებით გაყოლას შეპირდა. ელჩი წინდაწინ გაემგზავრა სპარსელთა ქალაქ ნისიბისისაკენ, სადაც გვიან მათ გრიგორიც დაეწია, რათა მასთან ერთად მეფესთან მისულიყო. [მეფემ] მას უფრო დიდი პატივი მისცა, ვიდრე წინათ ჰქონდა და მმართველად იმ მხარეში დანიშნა, სადაც ადრე იყო. მაგრამ, უძველესი დროიდანვე „ორმეზდის სახლის“ თაყვანისმცემელი მოგვები მიჰრანთა სახლის ამ წარმომადგენლის მიმართ არაკეთილად იყვნენ განწყობილნი. მათი მრავალგზისი დაძალების შემდეგ მეფე დათმობაზე წავიდა, გრიგორი დგაययენა და ბრძანა მაგარი ბორკილები დაედოთ.

გრიგორი ყველანაირად ტანჯეს რათა ქრისტიანობა უარეყო. მაგრამ, ამაოდ დაშრნენ. ამასობაში რომაელებსა და სპარსელებს შორის ომი დაიწყო. ხოსრომ თავისი მეფობის მეცხრე წელს გაილაშქრა რომაელების წინააღმდეგ, სირიის ანტიოქია დაანგრია და დაწვა ეს ქალაქი. როცა ერთი წელი გავიდა მოისურვა გაელაშქრათ ჰეგართა ქვეყნის[13] წინააღმდეგ. [ჰეგართა ქვეყანაში მიმავალი ხოსრო] გზად იმ პროვინციაში შეივდა, სადაც ბორკილდადებული წმინდანი იმყოფებოდა. მეფეს წარუდგა გრიგორის ბიძაშვილი (მამის ძმისწული) მიჰრანი და უთხრა: დიდი სირცხვილია, რომ მისი გვარის კაცი ქრისტიანია. ამის გამო მეფე ესაუბრა გრიგორის, რამაც მას საშუალება მისცა მისი [გრიგორის] საზრიანობით მოხიბლულიყო, ამასთან ერთად მეფე იმედოვნებდა, რომ დიდი მობედი[14] შთაგონებდა მას, რომ იგი, მის მიერ უკვე უარყოფილ მოგვების რელიგიას დაბრუნებოდა. მაგრამ, მისი ყოველივე გარჯა ამაო გამოდგა. ამის შემდეგ დიდმა მობედმა გამოაცხადა, რომ მისი და ბეთ არამეიის [მაშასადამე დედაქალაქის]* მობედის პირადი ცდა გრიგორის უარეყო ქრისტიანობა წარუმატებლად დამთავრდა. გრიგორი მეფის საპყრობილეთა ზედამხედველს გადაეცა. ჰეგარზთა წინააღმდეგ წარმატებით დამთავრებული ომის შემდეგ, მეფე დაბრუნდა მაჰოზში [ასე იწოდებოდა ბეთ არამეია]* მასთან ერთად მოვიდა ბორკილდადებული უფალი გრიგორიც. აქვე გაიცა ბრძანება, რომ გრიგორი პატიმრობაში უნდა ყოფილიყო ქტეზიფონის[15] აღმოსავლეთით მდებარე სოფელში, რომელსაც ზღარტა [ასე იწოდებოდა ბეთ ბალანი]* ჰქვია. მეფემ ნება დართო საპყრობილეს კარი ღიად დაეტოვებინათ, ამით მრავალრიცხოვან ბრბოს მისი ნახვის საშუალება ეძლეოდა. გრიგორი საპყრობილეში რჩებოდა მეორე ტეზრიდან[16] მეფის რომაელთა წინააღმდეგ გალაშქრებამდე [იხ. ქვემოთ]*. მან [გრიგორიმ] მასთან ერთად საპყრობილეში მყოფთაგან

---

* ეს განმარტებანი გ. ჰოფმანისაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველა მოაქცია. მას შემდეგ, რაც ისინი აწამეს, გაქრისტიანებულებმა ეს აღიარეს. ასე მოიქცა კერძოდ ერთი „დიდი“ კაცი რეის პროვინციიდან და თავადაც ეწამა. მეფემ ბრძანა მისთვის ცხვირი და ყურები მოეკვეთათ, მაგრამ, რაკი ამით მასთან ვერაფერს გახდნენ, იძულებულნი შეიქმნენ გაეშვათ და აღედგინათ წინანდელ ღირსებაში.

ამ კაცის გულისათვის გრიგორი საგანგებო პატიმრობაში ჩავარდა. მისი საკნის კარი თიხითა და აგურით ამოქოლეს და იგი შვიდ დღეს დატოვეს პურისა და წყლის გარეშე. მოუხედავად ამისა, ამის შემდეგაც იგი ნახეს სიცოცხლით აღსავსე და მხიარული, ხოლო მის სახე იყო ისეთივე ხალისიანი როგორც ანგელოზისა. საპყრობილის ზედამხედველმა საღამოდან გათენებამდე ძაირახით აცემინა რომ მოეკლა; ამასთან ხელები, მუხლებს უკან ჭქონდა შეკრული. იმავე ღამეს საპყრობილის ირგვლივ შეკრებილი ძორწმუნენი მისთვის ლოცულობდნენ. დილით გრიგორი ნახეს ღვთის წყალობით მხიარული სახით. მას, ვინც ის გარეზგა, ღმერთმა გამოუგზავნა უწმინდური დემონი და ისევ გრიგორის ლოცვამ უშველი მისგან განთავისუფლებულიყო. როცა ამ სასწაულის შესახებ მეფეს აცნობეს, ყველა შეიპყრო დიდმა შიშმა. სპარსეთის პროვინციებიდან სამეფო კარზე მოდიოდნენ ეპისკოპოსები და მორწმუნენი. ისინი ემუდარებოდნენ მეფეს. შესთხოვდნენ მფარველობასა და ეკლესია-მონასტრები დაეცვა დანგრევისაგან. მაგრამ ამათდ; ისინი მათ პრესვიტერებთან[17] ერთად დაპატიმრებულნი იქნენ. ყველაფერმა ამან უფრო მეტად განუმტკიცა გრიგორის თავისი რწმენა. ხუთი თვის შემდეგ მეფემ ომი დაიწყო რომაელთა წინააღმდეგ, გავიდა მაჰოზიან[18] [სამეფო] გზით, რომელიც არაბთა ქალაქ პეროზ-შაპურისაკენ მიემართება და თავისი კარავი დასცა სოფელში, რომელსაც დანა ეწოდება. აქედანაც აიყარა, კიდევ ერთი ფარსანგი[19] გაიარა და დაბანაკდა. როცა იგი იქ იყო, ჰეგართა ქეეყნიდან ჩამოვიდა მიპრანი, სადაც იგი მცველად იყო დატოვებული. როცა მოგვებმა ეს გაიგეს, შეიკრიბნენ ისინი და ეკითხებოდნენ: რა მოუვიდა შენს ძმას გრიგორის, რომ მან ქრისტიანთა ცრურწმენა ამჯობინა? თავისი მოწამებრივი ორსებობით ის უფრო შეუბოვარი გახდა და უკვე შეძლო მრავალი მოგვი მოექცია; არ შეიძლება მისი ცოცხალი დატოვება. ძმა დაეთანხმა მათ—საჭიროა მეფეს გრიგორის დასჯა გამოეთხოვოს. დიდი მარხვის მეექვსე შაბათს[20] მივიდა მეფესთან ძმა და სთხოვა მას, რომ გრიგორი დასასჯელად მოგვებისათვის გადაეცა. იმ დღეს მეფე არ დაეთანხმა. მეორე დღეს დიდებულები მეფეს მიეჭრნენ, მოგვები კი მიჰრანთან მივიდნენ და მუდარით უთხრეს: თუ გრიგორი ცოცხალი დარჩება, მოგვთა დაიღუპება. მაშინ ბრძანა მეფემ, საპყრობილედან მისი სამეფო კარზე მოგვრა შემდეგი წესის დაცვით: არავინ არ უნდა შეიტყოს რისთვის მიჰყავთ ის, რათა მოგვების წინააღმდეგ ქრისტიანები არ აჯანყდნენ. როცა გრიგორისთან მაცნე მივიდა, მან უკვე იცოდა, რომ მისი [აღსასრულის] ჟამი დადგა. იგი ქმაყოფილი ლოცულობდა, ხტოდა და ცეკვავდა, თითქოს ქორწილში მიდიოდა. იმავე დროს მასთან საპყრობილეში იმყოფებოდნენ: უფალი შალმაი ლადჰანის ეპისკოპოსი, პრესვიტერი და მრავალი მორწმუნე. მეფის კარზე დაპატიმრებული იყო მიჰრნარსე ძაბჰეს ეპისკოპოსი, გარდა იმისა, პრესვიტერები და მრავალი დიაკონი. ისინი პროვინციებიდან ერთად ჩამოვიდნენ და მაჰოზში იმყოფებოდნენ.

როცა გრიგორი უნდა გამგზავრებულიყო, მის გარშემო შეკრებილი ყოველი მხრიდან მოსული ხალხი ეარაუდს გამოსთქვამდა იმის შესახებ, თუ რას

ეროვნული ბიბლიოთეკა

უზამდნენ მას; ერთნი ვარაუდობდნენ, რომ მას კვლავ თავის ძველ თანამდებობაზე დანიშნავდნენ. მეორენი ცუდს წინასწარმეტყველებდნენ. გრიგორიმ თვითონ სოქვა, [რომ] ის მიდის სიკვდილთან შესახვედრად და მათ სანუგეშო სიტყვით მიმართა, რითაც ყველა გააოცა თავისი მხიარულებით და ა. შ.ისინი განცვიფრებულნი ემშვიდობებოდნენ მას, ის ყველას გადაეხვია და გადაკოცნა. მეორე დილით, მარხვის მეექვსე შაბათს, ადგა იგი [გრიგორი] და გავიდა ქალაქის ქუჩაში მარტო და უამრავ ხალხს თავის წარმოდგენაში ეჩვენებოდა, რომ ის ანგელოზებით იყო გარემოსილი. როცა მან გაიარა, დიდი მობედის ბრძანებით იგი მასთან მიიყვანეს და მან ყველა დიდებულის წინაშე უსაყვედურა და სცადა მისი დარწმუნება, უარეყო ქრისტიანობა, მაგრამ პარაუმატებლად. ორშაბათს ახლა ყველა დიდებულმა სცადა მისთვის თავისი წარმოშობა მოეგონებინათ. მან თავის ძველ კეთილშობილებაზე და ყველაფერზე წინ დააყენა ღვთის პატივისცემა, ამით მან დიდებულთა ისეთი რისხვა გამოიწვია, რომ მათ ადგილზეევ სურდათ მისი მოკვლა, მაგრამ პარასკევამდე, ქრისტეს წამების დღემდე, ღმერთმა დაიფარა. როგორც ქრისტე, იგიც ექვს საათზე იქნა მოკლული. ამ ამბების შემდეგ მეფემ აყარა თავისი ბანაკი, გაემგზავრა და თავისი კარვები დანარატად წოდებული სოფლის პირდაპირ გაშალა. მას თან ჰქონდა დიდი სამეფო აკრა. როცა იგი იქ იყო, ჯვარცმის დღე პარასკევი მოახლოვდა. ხუთ საათზე გაიცა ბრძანება, რომ წმინდა უფალი გრიგორი სიკვდილით დასჯილიყო. მოციქულებმა ის [გრიგორი] თავის კარავში ნახეს და ირონიით უთხრეს: მეფეს სურს თავისი ლმობიერებით ბორკილებისაგან გაგანთავისუფლოს. მაგრამ, გრიგორი მიუხვდა მათ და ღმერთს შესთხოვდა ძალა მიეცა. ამის შემდეგ იგი კვლავ მხიარულობდა და განუწყვეტლივ პატივს მიაგებდა ძეფეს. როცა იგი აკრაში შევიდა, ჯალათებს დრო სთხოვა ლოცვისათვის. ლოცვის დასრულების შემდეგ, ჯალათების წინაშე იგი კმაყოფილი ლაპარაკობდა, ისე რომ მათ შეეშინდათ და ხელები აუკანკალდათ. ის მიიჩნიეს ადამიანის სახით წარმოდგენილ ზეციურ ძალად. როცა გრიგორიმ დაინახა, რომ ჯალათი ყოყმანობდა, თავისთან მიიხმო ერთი ბიჭი და უბრძანა ჯალათისათვის ფული, ძვირფასი ქვები და ძვირფასეულობა მიეცათ. რათა დაეჩქარებინა მისი სიკვდილი. მან აგრეთვე გაიძარა ფეხსაცმელები, გაიხადა ტანისამოსი და მისცა ბიჭს თავისი [გრიგორის] მეგობრებისთვის გადასაცემად. ექვს საათზე მას თავი მოკვეთეს. მას არც კი უგრძვნია სიკვდილი. ისე იყო შეპყრობილი იესოსთან მისვლის ფიქრით. იმ დროს, როცა მას თავი მოჰკვეთეს მისი სხეული ისე მშვიდად იდო, როგორც სარეცელზე მძინარისა. მიუხედავად იმისა, რომ წმინდანს თავი მოშორებული ჰქონდა, მისი სული დაახლოებით ორი საათი მასში [სხეულში] რჩებოდა. თითქოს თვითონაც იცოდა, რომ მას თავი მოცილებული ჰქონდა, და თავის სხეულს იცერდა. რომ ამ უკანასკნელს არ ეძაგძაგა და ექანავა აქეთ-იქით, როგორც მოკლულებმა იციან. ამის გარდა ხალხს უკვირდა, რომ მისი სისხლი დარჩა თბილი და მისი გული ოდნავ კიდევ ფეთქავდა. ჩამობნელდა, მზის სხივები ჩაიწურა და დარჩა ფარული ჯვარცმის დღე პარასკევიდან აღმსარებელთა პარასკევამდე, როდესაც წმინდა მოწამის ხსოვნა მთელი ეკლესიის ზეიმად გამოცხადდა. ამით მზეს უნდოდა ეთქვა, რომ იგი მსახურია და არა მბრძანებელი ღმერთი. წმინდა სხეულს ქვეითი და ცხენოსანი ჯარისკაცები დარაჯობდნენ. მაგრამ, ღამით ქრისტიანების ჯგუფმა წაიღო მისი გვამი და მაჰოზში გადასვენა. მისი სხეულის ნაწილები დაიტაცეს, სრულიად სხვადასხვა მხარეში წაიღეს, ჩაასვენეს ოქროს ყუთებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სამარადჟამოდ მრავალ სასწაულმოქმედებას ახდენდნენ. მომდევნო დღეს, შაბათს მრავალი ადამიანი შეიკრიბა დასჯის ადგილას და ღმერთს აკრიდან მადლობას სწირავდნენ. ამასობაში მოგვებმა შეიგრძნეს, რომ ადამიანის გახრწნილი გვამის სუნის ნაცვლად იქ ყველა შესაძლო სურნელი იდგა, რომელიც ძეფის ბანაკს მოეფინა. ხალხმა მტვერიდან აიღო აბრეშუმისა და ძოწის ტანსაცმელი, რომელიც მათ თითქოს შეეწეოდა. ეს მიდამო მუდმივი თაყვანისცემის ადგილი გახდა.

შენიშვნები

1. ბერძენთა 850 წ. შეესაბამება ქრისტიანული წელთაღრიცხვის 538 წელს, ათვლილია სელევკიდური ერის (ქ. წ. 312 წ.) დასაწყისიდან.
2. პეროზი ირანის შაჰი 459—484 წწ., 3. ხოსრო I ანუშირვანი 531—579 წწ.
4. მოგვი — ცეცხლმსახურთა ქურუმი., 5. გ. პოეშანი ფირან გუშნასპს ერთად წერს., 6. გურზანისა და ირანის შესახებ იხ. გამოკვლევა., 7. კავად I ირანის შაჰი 488—531 წწ., 8. ადარის თვე — იხ. გამოკვლევა, შენიშვნა № 7
9. ორმუზდი — ძველი სპარსული ამურამაზდას (ზოროასტრულ რელიგიაში, კეთილი შემოქმედი საწყისის განსახიერება) ბერძნული ფორმაა.
10. დევი — ბოროტი სული ზოროასტრულ რელიგიაში.
11. იგულისხმება ხოსრო I ანუშირვანი.
12. ზაბერგანის შესახებ იხ. გამოკვლევა.
13. ჰეგართა ქვეყანა — ეგრისი. იხ. გამოკვლევა.
14. დიდი მობედი — ზოროასტრული რელიგიის კულტის მსახურთა იერარქიის სათავეში მდგომი პიროვნება.
15. ქტეზიფონი — ახ. წ. 266 წლიდან სასანიანთა ირანის დედაქალაქი იყო.
16. მეორე ტიში — იხ. გამოკვლევა, შენიშვნა 47.
17. პრესვიტერი — ბერძნ. ნიშნავს ეხუცესს. ადრექრისტიანულ ეკლესიაში იყო ქრისტიანული თემის გამგებელი. შემდეგ ნიშნავდა მღვდელს, კულტის მსახურს.
18. ბაპოზი — იხ. გამოკვლევა, შენიშვნა № 24.
19. ფარსანგი — მანძილის საზომი ერთეული სასანიანთა ირანში.
20. მარტვილობის ავტორი, ქვემოთ (გვ. 101), როცა მეორე დილით ფირანის ქალაქში გასვლაზე საუბრობს კვლავ დიდი მარხვის მეექვსე შაბათს ეთითებს.

В. И. ГОИЛАДЗЕ

«МУЧЕНИЧЕСТВО ФИРАНА ГУШНАСПА» И ЕГО ЗНАЧЕНИЕ ДЛЯ ИСТОРИИ ГРУЗИИ V—VI ВВ.

Резюме

Сочинение анонимного сирийского автора «Мученичество Фирана Гушнаспа» с предисловием и комментариями впервые публикуется на грузинском языке. Сведения «Мученичества» дополняют данные древнегрузинских и иноязычных источников истории Грузии V—VI вв.

По данным автора, начиная с VI в. до конца 30-х годов, Фиран Гушнасп был марзпаном Картли и Албании, и в связи с этим в «Мученичестве» рассказывается о его жизни и военной деятельности. В сочинении кроме Картли содержатся сведения об Иране, Византии и Эриси. Уникально для истории Грузии сообщение автора «Мученичества» об ирано-византийской войне на территории Картли в 491 г., дающее возможность по-новому представить политическую историю Картли IV—VI вв.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელა პაპარიძე

„ნინოს ცხოვრების“ ერთი სიმბოლოს გაგებისათვის

(„ნაძვი ლიბანით მოსრული“)

ძველი ქართული ისტორიული თხზულება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“, განსაკუთრებით კი აქ დაცული „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქცია, საქართველოში ქრისტიანობის დამკვიდრების სურათს ასახავს და ახალი საკრალური ადგილების, ქრისტიანული სამლოცველოების დაარსების ისტორიას გადმოგვცემს. ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ ეს ისტორია მითოლოგიურ-რელიგიური შინაარსით არის დატვირთული.

„ნინოს ცხოვრებაში“ ჰიეროფანიების მთელი წყება მოიპოვება. ეს ისეთი ამბებია, სადაც ღვთაების გამოჩენა, ან მის მიერ რაიმე ნიშნის მოვლინება, ადამიანის ამ ღვთაებასთან შემდგომი ურთიერთობის საფუძველი ხდება. „სასწაულის“ (ძვ. ქართული სიტყვაა, ნიშნავს: ნიშანი, მომასწავებელი ნიშანი) გამომჟღავნების ადგილი ღმერთის ამქვეყნიურ სახლად, ცისა და მიწის ურთიერთობის გამომხატველ წმინდა ადგილად იქცევა. ამიტომაც არ უნდა იწვევდეს გაოცებას ამგვარი „სასწაულების“ სიჭარბე „ნინოს ცხოვრების“ ტექსტში, რადგანაც ეს ტექსტი არის მატიანე სწორედ იმ დროისა, როდესაც ხდებოდა ძველი სამყაროს დამხობა და ადგილის ხელახალი საკრალიზაცია. რა თქმა უნდა, ახალი რელიგიის იდეოლოგიის და ძირითად სიმბოლოთა სისტემის გათვალისწინებით[1].

აქ შევეხები მხოლოდ ერთ დეტალს იმ მრავალრიცხოვანი საკრალური მნიშვნელობის ფაქტებიდან, რომლებიც ნინოს ცხოვრებაშია ასახული.

მცხეთის პირველი ქრისტიანული ეკლესიის — „წმინდაჲ წმინდათაჲს“ აგების დროს ძელი ცხოველის აღმართვა და მასთან დაკავშირებული სასწაულები ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პასაჟია „ნინოს ცხოვრებაში“. მისი შინაარსი ასეთია: როდესაც გადაწყვიტეს ეკლესიის აშენება და მოჭრეს ხე, ადამიანებმა ვერ შეძლეს ამ ხის ადგილიდან დაძვრა, ხოლო ღმერთმა სასწაული მოუვლინა ხალხს: ჩამოვიდა ზეცით „კაცი ნათლისა ფერი“, იატაცა ცაში ძელი, რომელიც შემდეგ ცეცხლოვანი სახით დაეშვა ისევ მიწაზე და დაემკვიდრა თავისსავე ადგილს, სადაც ეკლესიის საფუძველი იყო დადებული, ცხადია,

---

1 „ნინოს ცხოვრების“ ვრცელი რედაქციის შექმნის დრო IV ს-ით განსაზღვრა მ. ჩხარტიშვილმა. იხ. მ ი ს ი, ქართული ჰაგიოგრაფიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის პრობლემები, „ცხრება წმიდისა ნინოსი“, 1987. ძველის ადრეულ დათარიღებას მხარს უჭერს უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული მრავალი ნაშრომი. მათ შორის რ. ს ი ო ბ ა ძ ე, წმიდა ნინო და დედაუფალი, მნათობი, 1985 № 2; გრ. გ ი ო ო რ გ ა ძ ე, ხეთური-არმაზული „ტრიადები“, მნათობი, 1985, № 7; ვ. გ ო ი ლ ა ძ ე, წმინდა ნინოს ქართლში შემოსვლისა და ქართლის მოქცევის დათარიღებისთვის, მნათობი, 1986, № 9; ზ. კ ი ტ ა ნ ა ძ ე, თ. მ ი ო ზ ა შ ვ ი ლ ი, რას მოგვითხრობს „მირიანის წიგნი“, კრიტიკა, 1985, № 6; გ. ნ ა ო ს ი ძ ე, ქებაჲს ისტორიული პარალელები, მნათობი, 1986, № 4.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ძელი ცხოველი, აღწერილი სასწაულების მიხედვით, განასახიერებს ცისა და მიწის კავშირს; ამიტომაც იხილი იგი მირიანმა ოროგრაც „ნათელი ვითარცა ელვაჲ ზეცადმდე აღწევნული სამოთხესა მას შინა“[2].

ის ხე, რომლისაგანაც ძელი ცხოველი შემაზდეს, **თხზულების ამ ადგილას** მოხსენიებულია, როგორც „ნაძვ იგი“: „და მეყსეულად მოიღეს ძელი და აწყვეს შენებად. და მოჰკუეთეს ნ ა ძ ვ ი გ ი და შემზადეს სუეტად. და ძირთა მისთა ზედა დადვეს საფუძველი, ეკლესიისაჲ“[3]. კ. კეკელიძის აზრით, ნაწარმოებში არაფერია იმ ნაძვზე ნათქვამი, რომელსაც თხზულების ამ ადგილას უთითებს ავტორი. ამ გარემოებას მკვლევარი იმის ერთ-ერთ სამუდამ თვლის, რომ „ნინოს ცხოვრებას“ აკლია ის ნაწილი, სადაც იქნებოდა ამ ნაძვზე ლაპარაკი. კ. კეკელიძეს არ გამორჩენია თხზულებაში ნაძვების ხსენების დანარჩენი შემთხვევები, მაგრამ, მისი აზრით, ისინი ძელი ცხოველის ნაძვთან არავითარ კავშირში არ არის[4]. პატივცემული მეცნიერის ამ აზრის გაზიარება გაჭირდება, რადგანაც „ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ნაძვნი“, ისევე როგორც ძელი ცხოველის ხე, მირიან მეფის ბაღში იზრდება. ამ ნაძვებს და მათ მახლობლად „საყუარლად შემზადებული“ ადგილის მიწას განმკურნებელი ძალა აქვს, რაც მათ სიწმინდეზე მიუთითებს, ნანა დედოფლის ბიძის განკურნება. „ნაძუთა მათ ქუეშ“ მოხდა[5]; ნინომ ანსატოს უშვილობისაგან განსაკურნებელი მიწა მეფის ბაღის იმ ადგილიდან აიღო, სადაც „ნაძუთა ქუეშ ბაბილოთა ადგილი არს მცირე საყუარლად შემზადებული“[6]; მეფის „სამოთხეში“ (ბაღში) ნაძვებისა და მათ ქვეშ არსებული „საყუარლად შემზადებული“. ადგილის საკალაერ მნიშვნელობაზე მეტყველებს აგრეთვე ნინოს სიზმარიც, რომელიც ასეა თხზულებაში აღწერილი „ზოვიდიან სამოთხესა მას და ბაბილოსა მოისთულებდიან და ყუავილსა მას ძოვდიან, და მოწლედ ჩემდამო ღაღადებედ, რ ე ც ა ჩ ე მ ი ა რ ს ა ს ა მ ო თ ხ ⷭ ი გ ი“[7]. წმ. ნინოს ხილვას ასე განმარტავს სიდონია: „ჩუენებაჲ შენი არს ესე, რომეთუ ადგილი ესე სამოთხისაჲ შენ მიერ იქმნეს სამოთხⷭ სადიდებლად ღმრთისა, რომლისაჲ არს დიდებაჲ აწ და მარადის...“[8] ეს სიტყვები მიუთითებს, რომ ღვთის ნებით სწორედ ამ ადგილზე იქნება ამქვეყნიური სამოთხე. სიტყვა „სამოთხე“ აქ უკვე არა ბაღის, არამედ ზეციური სამოთხის მნიშვნელობით არის ნახმარი. ქრისტიანული სიმბოლიკით კი ტაძარი, ღვთის სახლი, სახეა ზეციური სამოთხისა. ეს აზრი ასეა გამოთქმული ერთ პოეტურფულ თხზულებაში: ეკლესია „სახე არს უხილავისა, მის საუკუნოჲსა სოფლისა და ხილულისა მის საწუთროჲსა სოფლისა“[9]. მაშასადამე, „ნინოს ცხოვრებაში“ ამქვეყნიური სამოთხის, ღვთის სახლის, ტაძრის აშენების ადგილი ყოფილა მითითებული.

---

2 მოქცევაჲ ქართლისაჲ, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი I, თბ., 1964, გვ. 142.

3 იქვე, გვ. 138 (ხაზი აქვე და შემდეგაც ჩვენია).

4 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შედგენილობა, წყაროები და ეროვნული ტენდენციები, ეტიუდები ძველ ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, ტ. I, 1956, გვ. 65.

5 მოქცევაჲ... გვ. 134.

6 იქვე, გვ. 123.

7 იქვე.

8 იქვე, გვ. 124.

9 К е к е л и д з е К. Житие Агафангела, католикосса Домасского.—Христианский Восток, т. IV, вып. 3. 1916, гв. 255.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწორედ მეფის ბაღში მდგარი ნაძვის ქვეშ დაუმარხავს ელიოზს მის მიერ მცხეთაში ჩამოტანილი უფლის კვართი. „ნინოს ცხოვრების“ ერეკლ რედაქციაში ნათქვამია: „ხოლო ელიოზ დაპმარხა დაჲ იგი თჳსი და კელთა მისთა აქუნდა სამოსელი იგი. და არს ადგილი იგი, რომელი ღმერთმან იცის და იცის დედამან ჩემმან ნინო და არა იტყჳს, რამეთუ, არა ჯერ არს სიტყუად აწ. არამედ ესე ხოლო კმა იყავნ ნინოჲს მოწაფეთათჳს და ქრისტჱს მორწმუნეთა, რამეთუ მაესლობელ არს ადგილი იგი ნაძუსა მას ლიბანით მოსრულსა და მცხეთას დანერგულსა“[10]. უფლის კვართის ნაძვის ქვეშ დამარხვის ტრადიციას მცირე სხვაობით იმეორებენ „ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული და პერიფრაზული ვარიანტებიც[11].

მაშასადამე, უფლის კვართი „ნინოს ცხოვრების“ მიხედვით სწორედ იმ ნაძვის ქვეშ ყოფილა დამარხული, რომელიც ეკლესიის აგების დროს მთიელ ბერჯად გამოუყენებიათ. ცხადია, რომ „ლიბანით მოსრული“ ნაძვს ცენტრალური ადგილი ენიჭება მცხეთის „საკრალურ გეოგრაფიაში“, რადგანაც სწორედ მის ქვეშ დაუმარხავთ უდიდესი ქრისტიანული სიწმინდე და აქვე შენდება უპირველესი ქრისტიანული ტაძარი მცხეთაში. სამეცნიერო ლიტერატურაში უკვე გამოთქმულია აზრი ამ ხის სიმბოლური მნიშვნელობის შესახებ. მცხეთისა და ზეციური იერუსალიმის ანალოგიის შესახებ საუბრისას რ. სირაძე წერს: „მცხეთა სახეა ე. წ. ზეციური იერუსალიმისა“... „ზეციური იერუსალიმი“ ზეცაა, ქალაქიც და ბაღიც. იგივე „ლომონარი“, „პარადეიზო“ (ანდა აღმოსაკ-ლური „ბუსთანი“) ანუ „სამოთხე“... აქაურობას არც „ცხოვრების ხე“ აკლია და არც ზეციური სულიერების განმასახოვნებელი ფრინველები“[12]. იგივე ნაძვზე ასე წერს გ. ნარსიძე: „ეს „სასწაულთმქმედი“ საკანონ პირდაპირი ანარეკლია აპოკალიფსური „ძელი ცხორებისაჲ“-ს, რომელიც „ზეციურ იერუსალიმში“ იყო აღმოცენებული“[13].

როგორც ვხედავთ, მცხეთისა და იერუსალიმის. ბაღისა და სამოთხის, ნაძვისა და „ძელი ცხოვრებისაჲ“ სიმბოლიკა უკვე გარკვეულია. დასაზუსტებელია მხოლოდ, თუ რატომ არის ხაზგასმული ნინოს ცხოვრებაში, რომ ეს ხე იყო „ნაძვი ლიბანით მოსრული“. ანალოგიისათვის ისევ ბიბლიას მივმართოთ.

ლიბანის კედარი ხშირად გვხვდება ძველი აღთქმის წიგნებში. ეს საკმაოდ ცნობილი წიწვოვანი ხე დღესაც გამოსახულია ლიბანის დროშაზე. მისი ებრაული სახელწოდება (érez; ბერძნული — cedros, ლათინური — cedrus) ქართულად ყოველთვის ერთნაირად არ ითარგმნება. ქართული ბიბლიის შესაბამის ადგილებში ჩვენ ვხვდებით ამ ხის შემდეგ სახელწოდებებს: ნაძვი, ფიჭი, კეიპაროსი, ლიბანის ძელი, კედარი.

ლიბანის კედარს იყენებს სოლომონ მეფე იერუსალიმის ტაძრის ასაშენებლად. აქ სჯულის კიდობანში იუდეველთა უდიდესი სიწმინდე — ფიცარნი სჯულისანი ინახებოდა. სოლომონის მიერ აშენებული ტაძრის ამ ადგილს ეწოდებოდა „წმიდათა წმიდა“, რომელიც სამლოცველოსაგან კედარის კედლით იყო გამოყოფილი. იერუსალიმის და მცხეთის „წმიდათა წმიდის“ სიმბოლე-

---

10 მოქცევაჲ... გვ, 129—130.

11 არსენ ბერი, ცხორება ნინოჲსი, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, წიგნი III, თბ., 1971, გვ. 33; ცხორებაჲ ნინოჲსი, იქვე, გვ. 70—71.

12 რ. სირაძე, ქართული აგიოგრაფია, თბ., 1987, გვ. 84.

13 გ. ნარსიძე, ქებაჲს ისტორიული პარალელები, გვ. 146.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი იგივეობის შესახებ საკმაოდ ითქვა[14]. რ. სირაძე ამის შესახებ ამბობს: „გამოდის, რომ სვეტიცხოველის ტაძარი იმეორებდა სოლომონის ტაძარს. სვეტიცხოველის სასწაული თვით იყო ღვთის გამოცხადების ნიშანი“[15]. ლიბანის კედარი არის როგორც იერუსალიმის, ისე მცხეთაში აშენებული ტაძრის საშენი მასალა. ეს გარემოებაც, ეფიქრობ, კიდევ ერთხელ დასტურებს მათ სიმბოლურ იგივეობას.

ლიბანის ნაძი მირიანის „სამოთხეში“ დგას და სამოთხის ხეს, ზეციური იერუსალიმის შუაგულში აღმოცენებულ „ძელი ცხოვრებისაჲ“-საც განასახიერებს. რამდენად შესაძლებელია, რომ ლიბანის კედარი სამოთხის ხედ იქნეს წარმოდგენილი?

ლიბანის კედარი ყველაზე მაღალი, ყველაზე ლამაზი ხეა ბიბლიაში. ესაიას წინასწარმეტყველების მიხედვით, როდესაც დადგება ღვთის უკანასკნელი დღე და როდესაც ღმერთი ყოველგვარ ადამიანურ სიმაღლეს დაამდაბლებს, უპირველესად ის ლიბანის კედრს დასცემს (ესაია 2. 12, 13). ლიბანის კედარი თავისი სიმაღლის გამო ყოველივე განდიდებულის სიმბოლოდაა წარმოდგენილი ბიბლიაში: „ძველი დროის ძლიერი დამპყრობლები, ასირიელი დესპოტები, ეგვიპტელი ფარაონები, იუდეველთა კერპთაყვანისმცემელი მონარქები, თვით ებრაული საზოგადოება, პატრიარქალური დროის მებრძოლი ამონიტები, მესიანისტური ხანის მორალური სიმძლავრე — ყოველივე ეს შედარებულია ტანმაღალ კედრს მისი ხელმწიფური სიდიადისა და უზენაესობის გამო“[16].

ეზეკიელის წიგნში ასურის სიდიადე კედარის ხესთან არის შედარებული. „აჰა ასსურ-კაპაროზი შორის ლიბანისა, და კეთილ რტოებითა, და მაღალ სიდიადითა. და კშირ ჩრდილითა და საშუალ ღრუბელთა მთავრობაჲ მისი“ (ეზკ. 31.3). ლიბანის ნაძი სამოთხის ხეცაა. „კპაროზი ესე ვითარ სამოთხესა შინა ღმრთისაჲსა, და პიტუნი არა მსგავს იყუნეს ბაბილოთა მისთა. და სოჭნი არა იქმნეს მსგავს მორჩთა მისთა, ყოველი ხე სამოთხესა შინა ღმრთისაჲსა არა ემსგავსა მას სიკეთესა შინა მისსა“. (ეზკ. 31. 8) ეზეკიელის წიგნის ამ ადგილის განმარტებისას ნათქვამია: „Кедр в саду божием“ т. е. раю „не затемняли его“. Важные данные для ветхозаветного понятия о рае, что деревья были естественные и даже не превышали естественных“[17].

მოყვანილი მაგალითებიდან ჩანს, რომ ლიბანის კედარის მოქცევაასეული სიმბოლიკა სავსებით შეესატყვისება მის ბიბლიურ გაგებას, ამის შემდეგ სრულიად ლოგიკურად გვეჩვენება ის, რომ სამოთხის ხის ანალოგად მცხეთაში სწორედ ლიბანის კედარი იყო წარმოდგენილი. ლიბანის კედარის მნიშვნელობა ძველი ალთქმიდან ქრისტიანობას თავისებურად გადმოუღია. ესაია წინასწარმეტყველის სიტყვები: „და დიდებაჲ ლიბანისა შენდა მოვიდეს სარო-

---

[14] ზ. კიკნაძე, თ. მირზაშვილი, დასახ. ნაშრომი; რ. სირაძე, დასახ ნაშრომი; თ. მგალობლიშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲს“ ერთი ადგილის გაგებისათვის. — „ლიტერატურული საქართველო“, 22 ივნისი, 1984, გვ. 10.

[15] რ. სირაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 88.

[16] Illustrated Bible Dictionary, M. G. Easton, London, Edinburg, and New York, 1893, გვ. 132.

[17] Толковая библия, т. V. СПб., 1908.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასსა მიერ და ფიჭჯსა და ნაძესა ერთბამად დიდებად ადგილი წმიდაჲ ჩემი და ადგილი ფერკთა ჩემთა ვადიდო“ (ესაია 60, 13) ზოგიერთი ეგზეგეტის მიერ დაკავშირებული ქრისტეს ჯვარცმასთან, რადგანაც ქრისტიანული ეკლესია მიიჩნევს, რომ სწორედ ამ ხისგან იყო ქრისტეს ჯვარი შემზადებული[18]. იგივე ტრადიცია დასტურდება ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკაში: „რაჲმე უკუმ იყოს უცნაურეს მისსა, რომელი — იგი თქუა: სოროჲთა ფიჭჯთა და ნაძესა ერთბამად იდიდოს ადგილი წმიდაჲ ჩემი? და რამეთუ სამებამან წმიდამან, სწორმან ბუნებითა ერთითა, გუამითა მისითა და განაგო ცხოვრებაჲ კაცთაჲ ჯუარითა და ჴეშმარტად საჴურველად ძლევისა მომცა ჩუენ სამთაგან ძელთა შემზადებული ჯუარი, ვითარცა სამ სახელთაგან — სოროჲსა, ფიჭჯსა და ნაძესა სადიდებლად ადგილისა წმიდისა“[19]

აი, რას მოგვითხრობს ძველი წარმოშობის ერთი აპოკრიფული კითხვა-მოგება: „ოდეს დავითს კიდობანნი სჴულისა მოაქუნდა სახლითა ამინადობისათა იერუსალიმად სამნი მორჩენი ეპყრეს ჴელთა. ერთი სოროსა, ერთი ფიჭვისა და ერთი ნაძუისა... და ვითა მოიწია ადგილსა რომელსამე ერთსა სამნივე ერთბამად დაჰნერგნა და საღმრთოჲთა წამისყოფითა ერთად შეიერთნეს და აღ-ზოოდეს და იქმნეს ხე მაღალ და შუენიერ. ოდეს სოლომონის ტაძარსა აშენებდეს მაშინ მოკუეთეს ხე იგი ტაძრისათვის. განგებულებით დარჩა ტაძარსა მას შინაჲ და რაჟამს მოიწია ვნებაჲ ქრისტესი, მაშინ განკუეთეს და მას ზედა ჯუარსა აცუეს უფალი ღმერთი ჩუენი“. სწორედ ბიბლიური და ქრისტიანული ტრადიციების შეერთებას წარმოადგენს ეს აპოკრიფული თხზულება, სადაც კედარი როგორც სოლომონის ტაძარს, ისე ქრისტეს ჯვარს უკავშირდება. „ნინოს ცხოვრება“, როგორც ჩანს, თავისებურად იაზრებს ლიბანის კედრის სიწმინდეს. მისთვის მცხეთის წმინდათა წმინდა ადგილი როგორც სოლომონის ტაძრის ანალოგიით, ისე ქრისტეს კვართის სიწმინდით არის განსპეტაკებული, და ამდენად სწორედ ამ ადგილს ეგების ლიბანის კედარის არსებობაც.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ჭელიშურ ვარიანტში, „ნინოს ცხოვრების“ მოკლე რედაქციაში დაცულია ცნობა იმის შესახებ, რომ მცხეთის „ქუშმოჲ“ ეკლესია იყო ხისა: „და მსწრაფლ აღაშენა ეკლესია ქუშმოჲ სამოთხესა შინა, ძ ე ლ ი ს ა ჲ, და სუეტი იგი პატიოსანი, რომელი თჳთ აღემართა“[21]. შესაძლებელია, რომ „ნინოს ცხოვრების“ ვრცელ რედაქციაში ეკლესიის მშენებლობის სიმბოლურად გადმოცემული სურათი ამასვე გულისხმობს: კერძოდ, რომ „ქუშმოჲ“ ეკლესია აიგო ხისგან, ეს ხე კი იყო ლიბანის კედარი. ლიბანის კედარი ძველად განთქმული იყო როგორც შესანიშნავი საშენი მასალა თავისი სიმკვრივის, გამძლეობის, ულამბადობისა და ღეროს სიმაღლის გამო. პლინიუსი ამბობს, რომ ეფესოში მდგარი დიანას ტაძრის კედარის სახურავმა გაძლო 400 წელიწადი, ხოლო უტიკაში აპოლონის ტაძრისამ — 1170 წ. ეს ხე განსაკუთრებით გამოსადეგი ყოფილა სვეტებისა და ბოძების მშენებლობისათვის. ამავე დროს, ლიბანის კედარი სავსე ყოფილა სურნელოვანი და განკურნავი თვისებების მქონე წვენით, რომელიც ხის ქერქის მცირედი დაზია-

---

[18] Толковая библия, т. V, СПб., 1908, გვ. 516—517.

[19] ალექსანდრე კვიპრელის ქრონიკა, თბ., 1979, გვ. 39.

[20] К е к е л и д з е К. Житие Агафангела.,., გვ. 253—255.

[21] მოქცევა... გვ. 84.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხების შემთხვევაში უხვად ფონავდა[22]. ლიბანის კედრის ეს თვისებები ეთანხმება იმ ლეგენდას, რომელიც სვეტი ცხოველის მოკვრისა და აქედან მაცოცხლებელი წვენის გადმოსვლის შესახებ ორსებობს. ყოველივე ამის გამო სავსებით დამაჯერებლად გვეჩვენება „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ ცნობები მცხეთის პირველი ქრისტიანული ეკლესიის აგების შესახებ.

გამოდის, რომ ლიბანის ნაძვს ორმხრივი მნიშვნელობა აქვს „მოქცევაჲ-ში“, სულიერად — ის სამოთხის ხეს, აპოკალიფსურ „ძელი ცხორებისაჲ-ს“ განასახიერებს და იერუსალიმის წმიდათა წმიდა ტაძარს უკავშირდება, მატერიალურად კი — ეკლესიის საშენ მასალად წარმოგვიდგება.

Л. А. ПАТАРИДЗЕ

К ТОЛКОВАНИЮ ОДНОГО СИМВОЛА В «ЖИТИИ СВЯТОЙ НИНО»

Резюме

В «Житии св. Нино» в связи со строительством первой христианской церкви упоминается ливанский кедр, под которым был захоронен хитон господен. Из этого кедра был сделан столб, который вознесся к небу, а затем вновь опустился на свое место. Это чудо и помогло окончанию никак не завершавшегося строительства храма.

В статье рассмотрены библейские сюжеты, а также сюжеты христианских легенд, в которых ливанский кедр, с одной стороны, символично связан с Иерусалимским храмом царя Соломона, а с другой — с древом креста. Соединение этих двух традиций можно видеть и в данном произведении — «Житии св. Нино».

Так как ливанский кедр в древности широко употреблялся для строительства храмов, не исключено, что упоминание в «Житии» этого дерева означает, что оно было использовано в качестве строительного материала для церкви, впоследствии названной Свети-Цховели (Животворный Столб).

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ძველი და შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობითი შესწავლის განყოფილებამ

[22] Dictionary of the Bible, Edited by Jones Hastings. New York, 1906, გვ. 364-365.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნინო სულავა

ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები ლეჩხუმიდან

(სოფელი უსახელო)

ლეჩხუმი დიდი ხანია იზიდავს არქეოლოგთა ყურადღებას თავისი საინტერესო და მეტყველი არქეოლოგიური მასალებით, რომლებიც დაგროვილია შემთხვევითი მონაპოვარითა და იმ მცირე სადაზვერვო არქეოლოგიური სამუშაოებით, რომლებსაც აწარმოებდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, ეთნოგრაფიისა და არქეოლოგიის ინსტიტუტი 1962, 1970—71 და 1977 წლებში.

შემთხვევით მოპოვებული არქეოლოგიური მასალის დიდ ნაწილს წარმოადგენს ანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები, რომლებიც დაცულია ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა მუზეუმში. აღნიშნული სტატია ეხება მხოლოდ ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში დაცულ მასალებს.

ყველაზე დიდი რაოდენობით აღნიშნული ხანის მასალები ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში მიტანილია სოფელ ცხეთიდან და უსახელოდან, ორივე სოფელი ლაჯანურ-ხელიშურის ხეობაშია.

უსახელო დიდი სოფელია, მდებარეობს ცაგერის სამხრეთ-აღმოსავლეთით, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე. სოფლის ბოლოში გორა-ნაციხვარია, რომლის თავზე ეხლაც არის შერჩენილი ფეოდალური ხანის ციხის ნანგრევები. ნაციხვარს მაღლა ჩანგოურის და ლაბურდვაშის შეერთებია, რომლებიც ხელოვნურად მოკეთებული პლატოთი თთავრდება. პლატოზე წმინდა გიორგის სახელობის ბაზილიკური ტიპის ეკლესიაა. ამ ადგილს გუდულაშს ეძახიან. გუდულაშის შეერთებაზე ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კერამიკული ფრაგმენტია დამოწმებული.

ნაციხვარს თითქმის ზედ აკრავს დავითულანების ეზო. სწორედ ეს დავითულანები პოულობდნენ უამრავ ნივთებს ნაციხვარის ჩრდილო ფერდობზე. მათ ოჯახში დიდხანს ინახებოდა თურმე ყურძნის მტევნის (?) ოქროს გამოსახულება.

უსახელოს ნაციხვარის ფერდობზე შემთხვევით მოპოვებული მასალა აშკარად სამარხეულია.

იგი ძირითადად წარმოდგენილია სამკაულით: ლითონის სამაჯურები, ბეჭდები, საყურე და სასაფეთქლე რგოლები; ბალთები, ბეზინდები, ზარაკები, მინისა და პასტის მძივები; სამეურნეო დანიშნულების ნივთებიდან — რკინის დანის ფრაგმენტებით და კვირისთავებით.

უსახელოს შემთხვევით მონაპოვრებში სამკაულთაგან პირველ რიგში აღსანიშნავია ბრინჯაოს სამაჯურები (ტაბ. I). სამაჯურები ძირითადად ერთი მოხაზულობისაა — მეტ-ნაკლებად რკალგახსნილი და ზურგსწორი. გამონაკლისია ერთი მოლიანად სხმული, მრგვალგანივკვეთიანი, რკალშეკრული ბრინჯაოს სამაჯური (ტაბ. 1, 5) და ერთიც რკინის ბრტყელგანივკვეთიანი სამაჯური (№ 33). ზურგშედრეკილი სამაჯური წარმოდგენილია ფრაგმენტით. სახეობის თვალსაზრისით შეიძლება გამოიყოს:

I — მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, რომლის რკალის შუა და ბოლო ნა-



ტაბელა I.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წრლებს ამკობს ოთხკუთხა ნაჭდევები თუ წამონაზარდები. ამ ადგილებში სამაჯურის რკალი ოდნავ შემსხვილებულია (ტაბ. I, 1); II — მრგვალგანივკვეთიანი სამაჯური, რომლის რკალი და ბოლოები ბურცობებით არის შემკული (ტაბ. I, 2); III — მრგვალგანივკვეთიანი ზურგშედრეკილი სამაჯური, რომლის ბოლოები სტილიზებულ გველის თავს გამოხატავს (ტაბ. I, 3). IV — მრგვალი ან ოდნავ ბრტყელგანივკვეთიანი, სადა, ოდნავ ბოლოებშემსხვილებული სამაჯური (ტაბ. I, 4, 6). ნაწილი სამაჯურებისა ფრაგმენტული ღერების სახითაა წარმოდგენილი (№ 30, 90, 143—148, 166, 168, 169, 174—175) და მათი მიკუთვნება რომელიმე სახეობისადმი ძნელდება.

სამაჯურებთან უნდა განვიხილოთ აგრეთვე ერთი ფრაგმენტი. ეს არის 2 სმ. სიგრძის ოდნავ მოღუნული, მრგვალგანივკვეთიანი ღერო. რომელზედაც შერჩენილია ოთხნახევრიანი ხვია. ვფიქრობთ, რომ ეს უნდა იყოს ე. წ. თაკეთავზე გადატანილი და გადახვეული სამაჯურის ნაწილი.

სამაჯურების შემდეგ ყველაზე გავრცელებული სამკაული სასაფეთქლე და საყურე რგოლები ყოფილა (ტაბ. $II_{3,4}$, ტაბ. IV_{7-13}). ისინი ნაკეთებია ოქროს, ვერცხლის ელექტრუმის და ბრინჯაოს მავთულისაგან. რაოდენობრივად ჭარბობს ბრინჯაოს რგოლები. საყურე რგოლები მრგვალგანივკვეთიანი მავთულისაგან არის ნაკეთები. ფიქრობენ, რომ ეს რგოლები ბეჭდათაც იხმარებოდა[1].

სამკაულთაგან აღსანიშნავია აგრეთვე ბრინჯაოს ბეჭედი (ტაბ. II_2), რომელსაც რგოლის ნაწილი აკლია. ბეჭედი მრგვალფარაკიანია; ფარაკი შეესებულია მრგვალი ბურცობებით; შუა ბურცობი ყველაზე მაღალია.

აღნიშნულ მასალაში არის აგრეთვე ბრინჯაოს ფიბულის მშვილდის ფრაგმენტი, მოკლე ჭდეული ხაზებს ₹ ზურგზე (ტაბ. II_7) და ბრინჯაოს ღერაკი დაფარული მკვეთრი, მოკრილი ბურცობებით (ტაბ. II_6). უკანასკნელის დანიშნულება გაურკვეველია.

ლითონის სამკაული წარმოდგენილია აგრეთვე ბალთებით, მრგვალი და ოთხკუთხა და ე. წ. „ჰერალდიკური“ ტიპის აბზინდებით, საკიდებით (ტაბ. III_{1-7}).

განსაკუთრებით საინტერესოა ბრინჯაოს ბალთა. რომელიც წარმოადგენს წაჩოქილი ჯიხვის (?) გამოსახულებას (ტაბ. III_1), რომელსაც თავი მოტეხილი აქვს. ზურგზე და გულმკერდზე ყელის გაყოლებით დაფუვება გრეხილი ორნამენტი. გულზე ბურცობი აქვს. ასეთივე ბურცობი აქვს წინა და უკანა ფეხებთან და ერთიც კუდის ქვემოთ. კუდი მოკლეა და სამკუთხა მოყვანილობის ფიგურა რელიეფურია, იქმნება მრგვალი ქანდაკების შთაბეჭდილება, ფიგურის ნაწილები მასიურია. უკანა მხრიდან, ერთმანეთის საპირისპიროდ ბალთას აქვს ორი ორნაწილიანი დედალი დუგმა. ერთ მათგანს შერჩენილი აქვს პატარა ენა. ჯიხვის გამოსახულება გვაგონებს ბრინჯაოს ჭვირული ბალთების ცენტრალური ცხოველის გამოსახულებას[2].

ბრინჯაოს სამკაული წარმოდგენილია აგრეთვე ზარაკებით, რომელთაც როგორც ჩანს მაგიური დანიშნულებაც ჰქონდა, რამდენადაც იცავდა პატრონს „ავი თვალისაგან“ „და „ბოროტი სულისაგან“.[3] ზარაკები ორი სახისაა: ცილინდრული-გვერდშეჭრილი (ტაბ. IV_1) და კონუსური-დაფანჯრული (ტაბ. IV_{2}).

---

[1] ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დაკრძალვის წესები ელინისტური ხანის საქართველოში, თბ., 1980, გვ. 52.

[2] იხ. ბ. ხ ი ბ ა შ ვ ი ლ ი, ბრინჯაოს მხატვრული დამუშავების ისტორიისათვის ანტიკური ხანის საქართველოში, თბ., 1972.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ტაბელა II.

ყველაზე მრავალფეროვანი და მრავალრიცხოვანი მძივები და მძივსაკიდ-ებია, რომლის მხოლოდ ნაწილია მოცემული IV ტაბულაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტესობა მძივებისა მინისაა: მწვანე მინის — გამჭვირვალე მოზრდილი, გვერდებდაღარული; ლურჯი მინის — გაუმჭვირვალე, მილაკისებური, დაწახნაგებული; ოქროფენილი — ერთმანეთზე გადაბმული სფერული მძივები; ქვის მძივები: სარდიონისა — მუქი ყავისფერი, ნაკრისფერი ხალებით და ღია ფერის, სფერული; ქალცედონისა — ნახევრადგამჭვირვალე, თეთრი, მოგრძო. მინის პოლიქრომული მძივები: ლურჯი თეთრი ზოლით და სხვ.

განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ოქროს ფირფიტისაგან გაკეთებული ბალთის თუ რაღაც სხვა სამკაულის ნაწილი[4]. ოქროს ფირფიტა დაყოფილია ერთმანეთის საპირისპიროდ დალაგებული თხელი სამკუთხა თვალუფლებით. ორ მათგაწმი თვალი ამოვარდნილია. დანარჩენი შეესებულია მუქი წითელი ქვით. ნივთი ნაკლულია (ტაბ. IV_1).

უსახელოდან მომდინარე მასალაში გვაქვს სამეურნეო დანიშნულების ნივთებიც: რკინის დანის ფრაგმენტები (ტაბ. 8) და ქვის კვირისტავები.

უსახელოში შემოხვევით მოპოვებული სამარხეული ხასიათის ინვენტარი არსებითად იმეორებს საქართველოს ელინისტური ხანის ძეგლების მასალას (დაბლაგომი, დაფნარი, რიონ-სუფსის ორმდინარეთი, „ქუთაისის ქვეყანა“, სამეგრელო, მცხეთა-სამთავრო და სხვ)[5]. და ამდენად, მის ორგანულ ნაწილად მიგვაჩნია. თუმცა იქ არსებული ზოგიერთი ნივთის ფრაგმენტი (მაგ.: პოლიქრომული ბალთის ფრაგმენტი, თავგადახვეული სამაჯურის ფრაგმენტი, ენაგამობმული მრგვალი და ოთხკუთხა აბზინდები. და სხვ.) იმაზე მეტყველებს, რომ უსახელოში უფრო გვიანდელი სამარხებიც უნდა იყოს. ამის ერთ-ერთი საფუძველია აგრეთვე, ლენინგრადში. სახელმწიფო ერმიტაჟში დაცული მდიდრული კოლექციაც (ოქროს ბალთა შემკული ჰელიოსის გამოსახულებიანი ინტალიოთი და ოქროს ორი ბალთა-ფირფიტა) უსახელოდან (ტაბ. IV_{10}, $_{11}$)[6].

როგორც ვხედავთ. მასალა საკმაოდ მრავალფეროვანია. მაგრამ მისი მოპოვების შემთხვევითი ხასიათის გამო ჩვენ ისიც კი არ ვიცით თუ დამარხვა რა წესია გამოყენებული უსახელოს სამაროვანზე. საფიქრებელია, რომ მიცვალებულებს ორმოსამარხებში კრძალავდნენ. მსგავსად ცხეთის სამაროვნისა, რომელიც იმავე ხეობაშია და რომლის ინვენტარი იდენტურია უსახელოს მასალისა და შესაბამისად ერთი პერიოდისაა.

ცხეთა პატარა სოფელია. მდებარეობს ცაგერის სამხრეთით 15 კმ-ზე. 1962 წელს აქ გათხრილ იქნა 15 სამარხი, რომლის ინვენტარიც ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმშია დაცული.

სამარხეული ინვენტარი წარმოდგენილია უმთავრესად სამკაულით (სამაჯურები, მშვილდსაკინძები, საყურეები, მძივები), საბრძოლო და სამეურნეო იარაღით (რკინის შუბისპირები, რკინის დანები) და თიხის ჭურჭლით.

---

[3] Н. Кигурадзе, Дапнарский могильник, Тб., 1976, გვ. 54-55.

[4] შდრ. ბალთები ურეკის გაძარცვიდან; იხ. Jewellery et metalwork in the Museums of Georgia, Leningrad, 1986, გვ. 73.

[5] Б. А. Куфтин, Материалы к археологии Колхиды, II, Тб., 1950, გვ. 38—44; ვ. თ ო ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 6—16, 17—23, 23—31. Н. Кигурадзе, დასახ. ნაშრომი, 51—53.

[6] Е. Придик, Новые кавказские клады, Петроград, 1914, გვ. 18-19, ტაბ. I—II; ნ. ხ ო შ ტ ა რ ი ა, ციხისძირი, თბ., 1962, გვ. 16, ტაბ. II_3, $_5$, $_4$; მ ა რ გ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე, ძველი საქართველოს გლიპტიკური ძეგლების კორპუსი, I, თბ., 1969, გვ. 121, ტაბ. VII_{109}.

ერმიტაჟის კოლექცია სრულად ისახება ჩვენს შემდგომ მუშაობაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბულა III.

სამარხები ორ ქრონოლოგიურ ჯგუფად იყოფა: ძვ. წ. III—II სს-ის და ახ. წ. პირველი საუკუნეების სამარხები[7].

7 ლ. სახაროვა, შუა კავკასიონის სამხრეთი კალთის ბრინჯაოს ხანის ექსპედიციის ლეხხუმის რაზმის 1962 წ. ანგარიში, სამეცნიერო სესია მიძღვნილი 1962 წ. საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი, თბ., 1963, გვ. 35.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბელი IV.

უსახელოს მასალები ძირითადად პირველი ქრონოლოგიური ჯგუფის მასალების (ძვ. წ. III—II სს.) შესატყვისია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარკვეულ მსგავსებას იჩენს უსახელოს ინვენტარი აგრეთვე ლეჩხუმში 1976 წელს მურის ციხესთან შემთხვევით აღმოჩენილ სამარხის ინვენტართან. აღმოჩენის ინფორმაციით მიცვალებული ქვევრში იყო დასაფლავებული. ინვენტარი წარმოდგენილია ქვევრსამარხებისათვის დამახასიათებელი ტიპიური ნივთებით (თუმცა კომპლექსში მოხვედრილია, ალბათ, იქვე დაზიანებული ვეიანანტიკური ხანის სამარხების მასალაც)[8].

არქეოლოგიურმა კვლევა-ძიებამ დაადასტურა, რომ მიცვალებულის ქვევრში დაკრძალვა ელინისტური ხანის შიდა კოლხეთისათვის დაკრძალვის გაბატონებული წესია. განსხვავებით შიდა კოლხეთისაგან იბერიაში ერთმანეთის პარალელურად დამოწმებულია დაკრძალვა როგორც ქვევრსამარხებში, ასევე ორმოსამარხებში[9].

ამ თვალსაზრისით საინტერესოა ლეჩხუმში, კოლხეთის მთისწინა ზოლში დამოწმებული სიტუაცია. თუ მურის ციხესთან აღმოჩენილ სამარხში მიცვალებული ქვევრში იყო დაკრძალული, მაშინ იბერიის მსგავსად ლეჩხუმშიც ელინისტურ ხანაში დაკრძალვის ორი წესი ყოფილა გავრცელებული: ცხუთა-უსახელოში ორმოსამარხები გვაქვს, ხოლო მურის ციხის მიდამოებში ქვევრსამარხები.

როგორც ზემოთ მოტანილი შემთხვევით მოპოვებული მასალის მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, კოლხეთის მთის წინა ზოლი საკმაოდ ინტენსიურად და თავისებურად ყოფილა ჩამბული ელინისტური ხანის ყოფაში. ამასთან დაკავშირებით ბევრი საინტერესო საკითხი ჩნდება, რომელთა წარმოჩენა სპეციალურ არქეოლოგიურ კვლევა-ძიებას თხოულობს. სოფელ უსახელოს სამაროვანის გათხრა-შესწავლა დააზუსტებს მის ხასიათს, დაკრძალვის წესს, ურთიერთობას სხვა სამაროვნებთან და ქრონოლოგიას.

Н. О. СУЛАВА

АРХЕОЛОГИЧЕСКИЕ ПАМЯТНИКИ АНТИЧНОЙ ЭПОХИ ИЗ ЛЕЧХУМИ

(село Усахело)

Резюме

Статья посвящается случайным археологическим находкам античной эпохи из с. Усахело. Материал погребального характера представлен украшениями и предметами хозяйственного назначения.

Археологический материал из с. Усахело датируется III—II вв. до н. э., но по некоторым данным думается, что здесь должны быть погребения и более позднего периода. Видимо, погребения были ямные, но находка похожего материала в кувшинном погребении у крепости Мури дает возможность предположить, что в Лечхуми в данное время был распространен и обряд кувшинного погребения. Специальное изучение этого региона уточнит много интересующих нас вопросов.

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა

---

8 ინვენტარი № 3225 „მურის განძის“ სახელწოდებით დაცულია ცაგერის მხარეთმცოდნეობის მუზეუმში.

9 ვ. თ. ლ ო რ დ ა ვ ა, დასახ. ნაშრომი, გვ. 56—57.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კიტა მაჩაბელი

სტელის ფრაგმენტი სოფელ ნაღვარევიდან

სამცხე-ჯავახეთის ისტორიული მუზეუმის ექსპონატებს შორის ყურადღებას იპყრობს მის ექსპოზიციაში წარმოდგენილი ადრეფეოდალური ხანის ქვასვეტის ფრაგმენტი, შემკული თავისებური ხასიათის რელიეფური დეკორით. იგი გამოირჩევა დღეისათვის ცნობილ ანალოგიური ძეგლებიდან მხატვრული მეტყველების სპეციფიკით, იკონოგრაფიული პროგრამის განსაკუთრებულობით[1]. ფრაგმენტი წარმოადგენს ქვის სტელის ზედა ნაწილს. იგი პროფილირებულია და მის ზედა რეგისტრს კაპიტელის ფორმა აქვს მიცემული. კუბური მოცულობის კაპიტელი მცირედ გამოწეული კარნიზით გამოიყოფა საკუთრივ სვეტის ზედაპირიდან (კაპიტელის სიმაღლე — 35 სმ.). კაპიტელის ზედა ნაწილში ღრმა ოთხწახნაგა ბუდეა ამოკვეთილი ქვის ჯვრის დასამაგრებლად. როგორც კაპიტელი, ასევე სტელა რელიეფური გამოსახულებებით არის დაფარული. კაპიტელის წახნაგები ყოველგვარი მოჩარჩოების გარეშე, მთლიანად არის შევსებული რელიეფური სახეებით. თვით სვეტის რელიეფური კომპოზიციები კი მკაფიოდ გამოკვეთილ, გლუვი ლილვებით შემოწერილ არეებზეა მოთავსებული.

სტელის ფორმის თავისებურება — ერთ მონოლითში გამოკვეთილი კაპიტელით დაგვირგვინებული ქვასვეტი, პლასტიკურ გამოსახულებათა კვეთის მანერა მდიდარ მასალას გვაძლევს ქვასვეტის მხატვრულ-ისტორიული მნიშვნელობის განსაზღვრისათვის.

რელიეფური დეკორის გადაწყვეტაში კარგად გაგებული მხატვრულ-თეოლოგიური ამოცანა იგულისხმება: კაპიტელის მთავარი წახნაგის კომპოზიცია თითქმის მთლიანად ჩამოტეხილია, დარჩენილია მხოლოდ მარჯვენა მხარეს მდგომი ფიგურა (თავი ჩამომტვრეულია) და ცენტრალური ფიგურის ქვედა ნაწილი. ამ კომპოზიციის შინაარსი გაუგებარი იქნებოდა, თუ არა მომიჯნავე ვეერდით წახნაგებზე განლაგებულ ანგელოზთა რელიეფური გამოსახულებები. ამ შემთხვევაშიც, ისევე, როგორც ადრექრისტიანული ქართული სტელების უმეტესობაში, ოსტატი სტელის ყველა წახნაგს იაზრებდა, როგორც ერთი მთლიანი კომპოზიციურად შეკრული სიუჟეტის ნაწილებს და სტელის ფორმიდან გამომდინარე, ანაწილებდა მის წახნაგებზე რელიეფურ სცენათა ელემენტებს. როგორც ყოველთვის, ამ შემთხვევაშიც, სტელის საერთო მხატვრულ-აზრობრივი მნიშვნელობა გასაგები ხდება მხოლოდ მისი ყველა კომპონენტის ურთიერთკავშირის გათვალისწინებით.

---

1 სტელის ფრაგმენტი აღმოჩნდა ადიგენის რ-ნის სოფ. ნაღვარევში, ჩამოტანილია მუზეუმში 1964 წლის შემოდგომაზე (№ 4018), მასთან ერთად აღმოჩნდა ორი ქვაჯვარი (ფრაგმენტირებული), რომლებზეც ასომთავრული წარწერებია მოთავსებული (№ 4017, 4019). სტელის ფრაგმენტის ზომებია: სიმაღლე 62 სმ. ზედა ნაწილის წახნაგის სიგანე 30 სმ. ქვედა ნაწილისა 26 სმ. კვეთში სტელა კვადრატული სვეტია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქაპიტელის ცენტრალურ არეზე დარჩენილია მხოლოდ მარჯვენა ფიგურა, მჭიდროდ მიდგმული ქაპიტელის მარჯვენა კიდესთან. სხეული გადმოცემულია ფონიდან ოდნავ ამოზიდული ბრტყელი ბლოკისებრი მოცულობის სახით, რომლის ზედაპირი საკმაოდ უხეშად არის დამუშავებული ჩაკვეთილი პარალელური ხაზებით. ორი ჩაჭრილი ხაზით შექმნილი ბრტყელი ზოლი მკაფიოდ შემოწერს სხეულს. ფიგურა გადმოცემულია ორი ხედვის წერტილიდან. მისი ზედა ნაწილი მკაცრად ფრონტალური და სიმეტრიულია. სამოსლის ნაკეცები, პარალელური დახრილი ხაზების წყობით, თავს იყრის ფიგურის სიმეტრიის ღერძზე. სხეულის ქვედა ნაწილში კი მოცემულია ცდა მისი პროფილში გადმოცემისა. კარგად არის მოხაზული გრძელი კაბის კალთა, ნაკეცთა აღმნიშვნელი პარალელური ხაზები იშლება და ოსტატი თითქოს ცდილობს გადმოსცეს ცენტრისკენ მობრუნებული სხეული. ამას იგი ახერხებს კაბის ფართო, ორნამენტული ქობის ირიბი მიმართულებით და, რაც მთავარია, ორივე ფეხის პროფილში ჩვენებით. ზედაპირის ძლიერი დაზიანების მიუხედავად ეს გამოსახულება გარკვეულ წარმოდგენას გვაძლევს მის ჩაცმულობაზე; მუხლს ქვემოთ ჩამოსული ნაკეცებიანი გრძელი კაბა (უსარტყლოდ), ფართო ქობით,

სურ. 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომელზეც კარგად განირჩევა წრეხაზებისაგან შედგენილი ორნამენტული სახეები და რბილი ტყავის, ფეხზე კარგად მორგებული წუღები (ან ფეხებზე მჭიდროდ შემოკრული, კოჭებთან შეკრული შარვალი და რბილი უქუსლო ფეხსაცმელი). ფიგურის გაყინულ, ფრონტალურ პოზასთან კონტრასტს ქმნის ფეხების მოძრაობა. ორივე ფეხი მოძრაობაშია, ისინი დაშორებულია ერთმანეთს და, ამასთან ერთად, სხვადასხვა სიბრტყეში და სხვადასხვა კუთხით არის ნაჩვენები ტერფები. დარღვეულია მკაცრად ფრონტალური გამოსახულებისათვის დამახასიათებელი ნიადაგის მკაფიო ჰორიზონტალი. იქმნება კონტრასტი ქვის ზედაპირზე გაშლილი ბრტყელი ფიგურების მკაცრ ფრონტალობასა და მოძრაობის ჩვენების სურვილს შორის.

მთავარი წახნაგის ცენტრალურ ნაწილში შემორჩენილია მხოლოდ დიდი, ფართო ფიგურის ნაშთები. შეუძლებელია სხეულის ნაწილთა გარჩევა. ნამთების გულდასმითი შესწავლის შედეგად შესაძლებელი გახდა გაგვერჩია ფიგურის ზედა ნაწილში სამოსლის „ფარფლისმაგვარი“ დამუშავების კვალი, ქვედა ნაწილში — ფართო ნაკეცების აღმნიშვნელი პარალელური ხაზების ნაშ-

სურ. 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

თები და სულ ქვემოთ რაღაც სწორკუთხა დეტალი. შესაძლოა ტახტის ან პოდიუმის ნაწილი. დარჩენილი ფრაგმენტების მიხედვით შესაძლოა ვივარაუდოთ ცენტრში ტახტზე მჯდომარე მაცხოვრის გამოსახულების არსებობა.

სტელის ოსტატის განსაკუთრებულ დეკორატიულ და კომპოზიციურ ალღოზე მეტყველებს გვერდითი წახნაგების გამოსახულებები. კაპიტელის ორ გვერდით არეზე თავისუფლად არის განლაგებული ანგელოზის თითო ფიგურა, მათი ჰორიზონტალურად გაშლილი სხეულები და გაშლილი ფრთები მთლიანად ავსებს კაპიტელის კკადრატულ წახნაგებს. ორივე ანგელოზი ცენტრისკენ არის მომართული და ცხადია, რომ ისინი ცენტრალურ გამოსახულებასთან ერთად ქმნიან სამნაწილედ კომპოზიციას.

ანგელოზთა გამოსახულებებზე დაკვირვებამ გამოავლინა უაღრესად მნიშვნელოვანი გარემოება. ამაღლების კომპოზიციებისათვის ჩვეული ანგელოზების ნაცვლად, აქ ექვსფრთედებია გამოსახული. ორივე გვერდით წახნაგზე ადვილად განირჩევა განსაკუთრებული წესით განლაგებული ფრთების მოხაზულობები. ანგელოზთა სხეული წახნაგის არეზე ჰორიზონტალურად არის გაშლილი. პარალელური ჰორიზონტალური ჩაკვეთილი ხაზებით არის დამუშავებული ანგელოზთა გრძელი სამოსელი (ტუნიკა), რომელიც მთლიანად უფარავს სხეულს. კომპოზიციების ზუსტი იგივეობის მიუხედავად ორივე წახნაგზე ანგელოზთა ფრთების გადმოცემაში სრული თავისუფლებაა. განსხვავებაა აია მხოლოდ ფრთების განლაგების სქემაში, არამედ ფრთების დამუშავებაშიც. ორივე შემთხვევაში ორი ფრთა დაუყვება სხეულს ზუსტად ისე, როგორც ეს გვაქვს ადრექრისტიანული ქართული რელიეფების სცენებში (ქკემო ბოლნისი, ეძანი, ხანდაისი), დანარჩენი ფრთები კი ორივე წახნაგზე განსხვავებულად არის განლაგებული. თუმცა სტელის ამ ნაწილების ზედაპირიც ძალზე დაზიანებულია, მაინც ჩანს ფრთების კონსტრუქციის ჩვენების ცდა. ოსტატი გადმოსცემს რეალური ფრთის ფორმას, ბრტყელი გლუვი ზოლი შემოწერს ფრთის მოხაზულობას და შემდეგ ირიბი პარალელური ხაზები ასრულებს ფრთის ფორმას.

ანგელოზთა თავები მთლად ამომტვრეულია, ამიტომ შეიძლება მსჯელობა მხოლოდ მათ ზოგად მოხაზულობასა და დეკორატიულ-ორნამენტულ მიდგომაზე. რელიეფის სიმაღლე აქაც უმნიშვნელოა.

კაპიტელის ზურგის წახნაგი სრულიად განსხვავებული ხასიათისაა თუ კი სამი აღნიშნული მხარე მთლიანად შევსებულია ორნამენტულად დამუშავებული ფიგურული გამოსახულებებით, ზურგის მხარეზე — თავისუფალ ფონზე ხარის მძლავრი ბრტყელი სილუეტია. ყურადღებას იპყრობს კონტრასტი ცხოველის სხეულის რეალისტურ აღქმასა და მისი გადმოცემის პირობითობას შორის. ვინაიდან ოდნავ ამოწეული სიბრტყე აპლიკაციის მაგვარად გამოსახავს ხარის მონუმენტურ სხეულს. დაზიანების მიუხედავად ჩანს, თუ რა ოსტატურად არის გადმოცემული ცხოველის დამახასიათებელი მოძრაობა, რა კარგად არის გამოკვეთილი ხარის მძლავრი ქედი, სხეულის ფორმა. თავი დაზიანებულია, მხოლოდ ოდნავ განირჩევა მისი ნაწილი და რქის მოხაზულობა, ჩანს აგრეთვე ცხოველის თვალი, გადმოცემული წრეხაზითა და ღრმა ნაჩხვლეტით ცენტრში. გადარჩენილია წინა ფეხების ნაწილი, კარგად იკითხება მათი ფორმა, ოდნავ განირჩევა უკანა ფეხების ნახატი.

თვით სვეტისაგან მხოლოდ ზედა ნაწილია გადარჩენილი. ამ ფრაგმენტულობის მიუხედავად, მაინც შეიძლება მსჯელობა სვეტის დეკორატიულ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემკულობაზე. სამი წახნაგის სიბრტყეები ჩასმულია ლილვისებურ ჩარჩოებში. ღრმა ვერტიკალური ღარით ოთხივე წიბოზე შექმნილია სვეტისმაგვარი მოცულობები. ქვასვეტის წინა მხარე დათმობილი ჰქონდა წმიდა გამოსახულებებს, მარჯვენა წახნაგზე დღეს დარჩენილია ცხოველთა გამოსახულების კვალი, მარცხენა წახნაგი შევსებულია ვერტიკალურად განლაგებული მცენარეული ორნამენტით, ხუთგის მხარე გლუვია. ოთხივე წახნაგს ერთნაირებს მხატვრული პრინციპი, სვეტის სიბრტყის ირმა ჩარჩოთი შემოვლებულ სასურათო არედ. მცენარეული მოტივიც ჩასმულია სადა რელიეფურ ჩარჩოში.

სვეტის წინა მხარეზე მოთავსებულია მთავარანგელოზის გამოსახულება. ფრთოსანი ფიგურა (დაზიანებულია მისი თავი, სხეული: ქვა ჩამტეხილია ისე, რომ მოჩანს ანგელოზის სხეულის მხლოდ სამი მეოთხედი) მთლიანად ავსებს სასურათო არეს. თავით იგი ზედა ჩარჩოს ებჯენება. ფრთები სიბრტყეზეა გაშლილი და მათი მოხაზულობა ზუსტად მიჰყვება ვერტიკალურ ჩარჩოს. მსუბუქი რელიეფით შესრულებული ფიგურა გვიჩვენებს სიბრტყოობრივ ტენდენციას, ყველაფერი სიბრტყეს ემორჩილება. აშკარად დისპროპოციული, დიდი თავი სიბრტყეზეა გაშლილი. გლუვ ბრტყელ სალტედ ეკვრის თავს თმის მოცულობა, ბრტყელ რკალად შემოყვება თავს შარავანდი (მისი მოხაზულობა მბრის ზემოთ წყდება). სახიდან დარჩენილია მხლოლდ მარცხენა თვალი, წრეხაზით შემოხაზული, ღრმად აღნიშნული ცენტრით. ანგელოზს ჰქონდა დიდი, ფართო სახე, გრძელი ნიკაპით. ბღოკისებური სხეული ოდნავ არის ამოზიდული ფონიდან, ზედაპირს ატყვია პარალელური ხაზებით დამუშავების კვალი. მარცხენა მხარს, რომელიც უკეთ შემოინახა, ეტყობა პარალელურ ნაკეცთა რიტმული წყობა. ანალოგიურად იყო დამუშავებული ანგელოზის ტუნიკის კალთები. ფრთების სილუეტი საკმაოდ უხეშად არის შემოხაზული ორმაგი ჩაკვეთილი კონტურით, ფრთების ზედაპირი დამუშავებულია ირიბი პარალელური ხაზებით. ფრთების ეს გრაფიკული ნახატი საკმაოდ ტლანქი და დაუდევარია. ძხრებთან ფრთების მიმაგრების ადგილს ამოკაწრული წრეხაზებია, რომელთა ცენტრი ღრმა ნახვრეტით არის აღნიშნული. ეს ორნამენტული დეტალი ზუსტად ისევეა შესრულებული, როგორც ანგელოზის თვალი. თავის დროზე ორი წყვილი ასეთი წრეხაზისა (თვალები და ფრთები) გარკვეულ აქცენტებს წარმოადგენდა გრაფიკულად დამუშავებულ ორნამენტულ ზედაპირზე. ანგელოზის თავის ორივე მხარეს ფონზე ამოკვეთილია რელიეფური ასომთავრული წარწერა: წი მ̃ქლ (წმინდაჲ მიქაელ).

სტელის მარჯვენა გვერდითი წახნაგი დანაწილებული იყო შედარებით მცირე სასურათო არეებად. ზედა არეზე ძნელად გასარჩევი მჯდომარე ცხოველის რელიეფური გამოსახულებაა. კარგად ჩანს ზუსტად შემოწერილი გაკვა, მოკეცილი ფეხები. რელიეფი აქაც ძალზე დაბალია. ცხოველის გამოსახულება ბრტყელ სილუეტად იკითხება გლუვ ფონზე. შეიმჩნევა უკან მობრუნებული კისრისა და განტოტვილი რქების ნახატი. ირიმის მჯდომარე გამოსახულება კარგად არის ჩაწერილი ჩარჩოში, მაქსიმალურად ავსებს მისთვის განკუთვნილ არეს. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ცხოველის გაკვაზე გამოსახული დეკორატიული ვარდული. ამგვარი სიმბოლოებით წმინდა ცხოველთა კამოსახულებების აღნიშვნა საქართველოში უძველესი ხანიდან არის ცნობილი. სხვა რომ არა იყოს რა, საკმარისია გავიხსენოთ წინაქრისტიანული ხანის ქართული ბრინჯაოს ბალთების არაერთი ნიმუში, სადაც ამგვარი ასტრალური სიმბოლო და ნიშანი საცნაურს ხდიდა გამოსახულების საკულტო ხასიათს. ამ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვარი ვარდულებიანი მედალიონების ტრადიცია დადასტურებულია ქართულ ხალხურ საკულტო ძეგლებში. ირმინი კომპოზიციის ზედა ჩარჩოსთან ჩანს პატარა-პატარა თაღების მწკრივი. ასეთივე მინიატურული რელიეფური თაღების მწკრივი შეიძლება გავარჩიოთ ამ წახნაგის მეორე (ქვედა) კომპოზიციის ზედა ნაწილში. (ცვალი ირმის რქებისა, რომელიც გამოსახული იყო ქვედა რეგისტრში). ამ კომპოზიციის რელიეფური სახეები სავსებით განადგურებულია.

სტელის მარცხენა წახნაგზე ჩარჩოში ჩასმულ არეზე იშლება მცენარეული ორნამენტის ზოლი: ურთიერთგადამკვეთი რკალების მწკრივი, რომელთა წვეტი დასრულებულია ლოტოსისმაგვარი სტილიზებული ყვავილებით. დარჩენილია ამ ორნამენტული ზოლის სამი ელემენტი. ეს ორნამენტული მოტივი, რომელიც ორგანულად აღიქმება ადრეული ხანის ქართული არქიტექტურული დეკორის საერთო ეფოლუციაში, გეხვდება ადრექრისტიანული სტელების შემკულობაშიც. აღსანიშნავია, რომ რელიეფის შესრულების ოსტატობით, დახვეწილი ნახატით ეს ორნამენტული წახნაგი გამოირჩევა ფიგურული რელიეფების ტლანქი, უხეში შესრულებისაგან.

თავი რომ მოვუყაროთ ყოველივე ზემოთქმულს და გამოვყოთ ნაღვარევის სტელის დამახასიათებელი ნიშანთვისებები, ეს თავისებურებები ამგვარად ჩამოყალიბდება: სტელის ფორმის თავისებურება მდგომარეობს ქვის მონოლითში კუბური სვეტისთვის გამოკვეთაში, მის მკაფიოდ გამოყოფაში საკუთრივ სვეტისაგან. სვეტის წახნაგების დანაწევრება გლუვი რელიეფური ჩარჩოებით, რითაც იქმნება სტელის მთლიანი სახის მხატვრული ერთიანობა, სტელის კუთხის სვეტების საკმაოდ უხეში გამოყოფა. რელიეფური დეკორის შექმნისას ამ სტელის ოსტატიც, სხვა ქართველ ოსტატთა მსგავსად, აზროვნებდა არა ცალკეული კომპოზიციებით, არამედ ყველა წახნაგის ერთ მხატვრულ მთლიანობაში წარმოდგენით. ამის ნათელი მაგალითია კაპიტელის სამი წახნაგის გაერთიანება ერთ მთლიან რელიეფურ კომპოზიციად, ყოველგვარი გამყოფი ელემენტების გარეშე. რელიეფური კომპოზიციების მთავარი მხატვრული ტენდენციაა ფიგურათა სიბრტყობრივ-დეკორატიული გადაწყვეტა. მოცულობითი ფორმების გაშლა სიბრტყეზე და მათი ორნამენტული დამუშავება. პლასტიკური მოდელირება აქ შეცვლილია სიბრტყობრივ-გრაფიკული დამუშავებით. რაც შეეხება სტელის რელიეფური დეკორის იკონოგრაფიულ და შინაარსობრივ მხარეს, აქ ჩვენ ვხედებთ მთელ რიგ ისეთ მნიშვნელოვან თავისებურებებს. რომლებიც ამდიდრებენ ჩვენს ცოდნას ადრექრისტიანული ხანის ქართველ შემოქმედთა ხელოვნების შესახებ. ყოველ აღნიშნულ ნიშანთვისებას, ყოველ თავისებურებას მოეძებნება ლოგიკური ახსნა ქართულ ადრექრისტიანულ ძეგლთა საერთო ევოლუციაში და მათი ერთობლიობა განსაზღვრავს ძველი ქართული პლასტიკური ხელოვნების ამ მნიშვნელოვანი ძეკლის ადგილს ქართული ხელოვნების ისტორიაში.

პირველ ყოვლისა გასათვალისწინებელია ქვასვეტის ზედა ნაწილის — „კაპიტელის“ რელიეფური შემკულობის დეკორატიული პროგრამა. პირით მხარეზე უკიდურესად დაზიანებული რელიეფური ზედაპირი არ გვაძლევს კატეგორიული მტკიცების უფლებას, მაგრამ დარჩენილი ფრაგმენტებით უნდა ვივარაუდოთ ვედრების კომპოზიციის არსებობა: ცენტრში ტახტზე მჯდომარე ქრისტეს ფიგურა. მისგან მარცხნივ — იოანე ნათლისმცემლის გამოსახულება, ჩამოტეხილ მარჯვენა მხარეს (ქრისტესგან მარჯვნივ) ღმრთისმშობლის გამოსახულება უნდა ყოფილიყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ კაპიტელის გვერდით წახნაგებზე ჰორიზონტალურად გაშლილი ორი სიმეტრიული ფრთოსანი ფიგურა შეიძლებოდა მიჩნეული ყოფილიყო ამაღლების ანგელოზებად. მაგრამ რელიეფურ ზედაპირზე დაკვირვებამ გამოავლინა კიდევ დამატებითი ფრთები: ორი — ვერტიკალურად გაშლილი ანგელოზის ფიგურის წინ და ორიც ზედა ნაწილში, ზედა ფრთის ზემოთ. ფრთების განლაგება, წახნაგის კვადრატულ არეზე მათი განშლა გამორიცხავს ანგელოზთა სხვა ფიგურების არსებობას ამ არეებზე. ამგვარად, გვერდით წახნაგების ანგელოზები უნდა მივიჩნიოთ ექვსფრთოვნების გამოსახულებად. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ძნელდება ანგელოზთა სხეულებთან ფრთების დაკავშირების სქემის ზუსტი რეკონსტრუქცია.

თუ სწორია ჩვენი ვარაუდი ცენტრალურ წახნაგზე ვედრების კომპოზიციის არსებობის შესახებ, გვერდით არეებზე სერაფიმების მოთავსება სავსებით გასაგები ხდება. ასეთ კონტექსტში უნდა გავითვალისწინოთ, რომ ადრექრისტიანული რწმენით (ფსევდოდიონისე არეოპაგელი, V—VI ს.ს. დასაწყისი) სერაფიმნი წარმოადგენდნენ, ქერუბინებთან ერთად, ანგელოზთა უმაღლეს რანგს, ყველაზე უფრო დაახლოებულს უფლის ტახტთან. მათი ფუნქცია იყო — უფლის საყდრის დაცვა. ისინი დარაჯებად ედგნენ უფლის ტახტს[2]. ამავე დროს ისინი იყვნენ მგალობელნი ქრისტეს დიდებისა. ამგვარად, კაპიტელის სამი წახნაგის გამოსახულებები უნდა განვიხილოთ მთლიანობაში. როგორც რთული თეოლოგიური აზრის შემცველი კომპოზიცია, რომელშიც შერწყმულია მეორედ მოსვლის ღმერთის თეოფანიური ხილვის, მისი დიდებისა და ვედრების იდეები. ასეთ შემთხვევაში სერაფიმთა ჩართვა „უფლისა დიდებისა ხილვაში“ (ეზეკიელი. 2, 1) სრულიად გამართლებულია. რაც შეეხება „საყდარსა ზედა მჯდომარე“ უფლის (ესაია, 6, 1) წინაშე კაცობრიობის ხსნის მავედრებელი იოანე ნათლისმცემლისა და ღმრთისმშობლის (?) გამოსახვას ამგვარი გააზრება უფლის დიდების თემისა დამახასიათებელია აღმოსავლურ-ქრისტიანული ხელოვნებისათვის და აგრეთვე ქართული ხელოვნებისათვისაც[3].

თუ უფრო ფართოდ განვიხილავთ ამ კომპოზიციას, მასთან უშუალოდ დაკავშირებული აღმოჩნდება სვეტის პირით მხარეზე განლაგებული მთავარანგელოზის გამოსახულება. მთავარანგელოზნი ქრისტეს დიდების სცენაში — საკურთხევლის კომპოზიციებში — ქრისტეს ამალას წარმოადგენენ. ნაღვარევის სტელაზე მთავარანგელოზი მიქელია გამოსახული. ეს იყო მეომარი, რაინდი, ვანკითხვის დღეს სულთა გამცილებელი — წმ. ფსიქოპომპი. ამავე დროს იგი მორწმუნეთა მფარველი ანგელოზიც იყო. ჩვენ არ ვიცით, რა იყო გამოსახული სტელის ქვედა ნაწილებზე. მაგრამ ამის გათვალისწინების გარეშეც, წმ. მიქელ მთავარანგელოზის არსებობა სტელის დეკორატიულ სქემაში დიდებების კომპოზიციის ქვემოთ გვიჩვენებს მის გარკვეულ მიმართებას ზედა რეგისტრის სიუჟეტთან. საგულისხმოა, რომ სერაფიმთა და მთავარანგელოზის

---

2 ესაია 6, 1—2 „...ვიხილე უფალი მჯდომარე საყდარსა ზედა მაღალსა და აღმატებულსა და სავსე იყო სახლი დიდებითა მისითა. და სერაფიმნი დგეს გარემოს მისსა...“.

3 იხ. კაპადოკიის ეკლესიების ადრეული გუმბათების მხატვრობა (Arts de Cappadoce, Genève, 1971, გვ. 148) კაპადოკია და საქართველოს შუა საუკუნეების ეკლესიათა აბსიდის კონქების მოხატულობანი (Н. Алададжвили, Композиции алтарной конхи в церквах Сванети, Тб., 1963. აქვეა მითითებული ლიტერატურა ამ საკითხის შესახებ).

ეროვნული ბიბლიოთეკა

განლაგებაში დაცულია ციური იერარქია. სერაფიმნი ამ იერარქიაში უმაღლეს ადგილზე იმყოფებიან. სტელაზეც მათ შესაბამისი ზედა რეგისტრი აქვთ დათმობილი.

სურ. 3

ვედრებისა და ქრისტეს დიდების თემა ადრექრისტიანულ სტელაზე მეტ-ყველებს იმაზე, რომ ოსტატს კარგად ჰქონდა გააზრებული სტელის ფუნქცია, მისი დაცვითი, შემწეობითი მნიშვნელობა (ამაზე მიუთითებს სტელებზე შენარჩუნებული წარწერები — შეიწყალე... მეოხ ეყავ... შეუნდე.. და სხვა). ავგვარად, სტელის ზედა ნაწილში — კაპიტელზე ოსტატმა ასახა პირველ ქრისტიანეთათვის დიდმნიშვნელოვანი სიუჟეტი, რომელშიც ნაგულისხმევია მფარველობის, შეწყალების, შენდობის მიღება უფლისაგან.

ქართული სტელების რელიეფურ დეკორზე დაკვირვებამ ცხადყო, რომ ძველი ქართველი ოსტატები ამ მეტად თავისებური საკულტო ძეგლების შექმნისას ხელმძღვანელობდნენ ქრისტიანულ ცენტრებში შემუშავებული ნიმუშებით, რომელთაც შემოქმედებითად გარდაქმნიდნენ მხატვრული ამოცანის შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 4

სამამისად. ნაღვარევის სტელის ოსტატიც, რა თქმა უნდა, ხარგებლობდა გარკვეული იკონოგრაფიული სქემით, რაზეც მიუთითებს მთავარი რელიეფური კომპოზიციის თავისებურებანი და ცალკეული დეტალები. როგორც უკვე არაერთგზის იყო აღნიშნული სპეციალურ ლიტერატურაში, სიუჟეტური კომპოზიციების საწყისთა ძიებას მივყავართ აღმოსავლურ-ქრისტიანულ ცენტრებში. წმიდა ადგილებში შემუშავებული სახარების სიუჟეტები დაიდო საფუძვლად მთელ შემდგომ ქრისტიანულ ხელოვნებას. ქართული სტელების ხატოვანი სისტემის შესწავლამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ მათ შემუშავებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი ადრეული ქრისტიანული ეკლესიების აბსიდების კომპოზიციებს (იხ. ხანდისის, მამულაანთ სოფლისა და სხვა სტელები)[4].

[4] К. Мачабели, Некоторые иконографические схемы раннехристианской пластики Грузии, Тб., 1983; K. Maciabeli, Il sistema figurato delle stele giorgiane del primo Medioevo, 1986 (მოხსენება ქართული ხელოვნების V საერთაშორისო სიმპოზიუმს, ბავია, ხელნაწერი); კ. მაჩაბელი, ადრეფეოდალური ხანის ქართული პლასტიკის ძეგლი, „საბჭოთა ხელოვნება", № 10, 1986, გვ. 46—61).

ეროვნული ბიბლიოთეკა

უფრო მეტიც, ცალკეულ ჩარჩოებში მოთავსებული რელიეფური ფიგურები თუ კომპოზიციები აშკარად დაკავშირებულია ადრეულ ფერწერულ ხატებთან: ამას გვკარნახობს სტილების დანიშნულებაც — ჯვრით დაგვირგვინებული ქვასვეტი. მთელი თავისი რელიეფური სამკაულით წარმოადგენდა თაყვანისცემის საგანს, მის წახნაგებზე მოთავსებული წმინდა პერსონაჟები და ამბები წმიდა ისტორიისა ასრულებდნენ ხატების ფუნქციას, რადგან მათში, მსგავსად ხატებისა, აისახებოდა ქრისტიანული მოძღვრება მთელი მისი სირთულითა და მრავალფეროვნებით. დამოუკიდებელ ჩარჩოში ჩასმული სიუჟეტი თუ ცალკე პერსონაჟი აღიქმებოდა დამოუკიდებელ ხატად, რომელსაც ჰქონდა თავისთავადი მხატვრულ-იდეური მნიშვნელობაც და ამავე დროს იგი ჩართული იყო სტელის საერთო მხატვრულ-დეკორატიულ სისტემაში.

ნაღვარევის სტელა. სქემა

ნაღვარევის სტელის შედარებით უკეთ შენახული რელიეფია გლუვ ლილვისებრ ჩარჩოში ჩასმული მთავარანგელოზის გამოსახულება. მიქელ მთავარანგელოზის ფიგურა მთლიანად ავსებს სასურათო არეს; მხოლოდ თავთან დარჩენილი არეა გამოყენებული დაქარაგმებული წარწერისათვის. დაზიანებულ რელიეფზე შესაძლებელია გავარჩიოთ საკმაოდ დიდი, არაპროპორციული (ტანთან შედარებით) თავი, დიდი, სქემატურად გადმოცემული თვალები, ბრტყელი პირობითი რელიეფური ზოლით მინიშნებული თმა, ასევე პირობითად გამოსახული შარავანდედი. თუ ამას დავუმატებთ გამოსახულების ხახგასმულ, მკაფიოდ გამოხატულ ფრონტალურობას, ფორმების სიბრტყეობრიობას, ამ ქვის „ხატის“ თვისებური ანალოგიებს მივაკვლევთ ადრეულ კოპტურ ხელოვნებაში. VI—VII საუკუნეების კოპტური ფერწერული ხატების ჯგუფში ჩანს იგივე სტილური ნიშნები, რომლებიც ახასიათებს ნაღვარევის სტელის მთავარანგელოზის სახეს (წმიდანის პორტრეტი, კაიროს მუზეუმი; ქრისტეა და წმ. მენას ენკაუსტიკური ხატი, ლუვრი, წმ. მარკოზის ხატი, ნაციონალური ბიბლიოთეკა, პარიზი)[5]. განსაკუთრებით თვალსაჩინოა სტილისტური სიახლოვე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაღვარევის მთავარანგელოზის რელიეფური „ხატისა“ მთავარანგელოზისეე ფერწერულ კოპტურ ხატთან, რომელიც ინახება პარიზის ნაციონალურ ბიბლიოთეკაში[6]. VI საუკუნის ეს პატარა კოპტური ხატი (25×14 სმ.) ერთხელ კიდეკ ამტკიცებს ადრექრისტიანული სამყაროს ერთიანობას, იკონოგრაფიული ნიმუშების საყოველთაობას და დაკანონებულ ჩარჩოებში სხვადასხვა ქვეყნის ოსტატთა თავისებური მიდგომას ერთი და იმავე სიუჟეტის მხატვრული გადაწყვეტისადმი.

ნაღვარევის სტელის კაპიტელის რელიეფური კომპოზიციის მხატვრულ მხარის კვლევა გართულებულია მისი ფრაგმენტულობისა და ძლიერი დაზიანების გამო. ამიტომ გარკვეული მხარეები ამ რელიეფური სახეებისა ბოლომდე არ არის ნათელი. პირით მხარეზე წარმოდგენილი ეედრების (სავარაუდო) სცენის სამი ფიგურიდან გარკვევით მხოლოდ მარჯვენა პიროსონაჟზე შეიძლება მსჯელობა. ფონიდან ოდნავ ამოწეული რელიეფით შესრულებული ფიგურა სრულიად დამორჩილებულია სიბრტყეს. სქემატურად მოხახული სილუეტი დეკორატიულად გაჯრებული სამოსლის ნაკეცების პარალელური გრაფიკული ხაზებით არის შევსებული. განირჩევა მხოლოდ ფიგურის (იოანე?) ზოგადი მონახაზი, თავის მოცულობა სქემატურად გადმოცემული დიდი თვალით. თვალის გადმოცემა ანალოგიურია მთავარანგელოზის თვალის დამუშავებისა.

ცენტრალური ფიგურა (ქრისტე) უფლებას გვაძლევს ვივარაუდოთ მისი მჯდომარე ფრონტალური პოზა. განირჩევა ფართო ნაკეცთა მოხახულობა ფიგურის ქვედა ნაწილში (მუხლები, ფეხები) და ფარფლისებური ორნამენტული ზედაპირი ზედა სამოსლისა. ამგვარი დეკორატიულად დამუშავებული სამოსელი გვხვდება ძველ ქართულ რელიეფებზე (საცხენისის სტელა, რელიეფური ფილა ზედაზნიდან)[7].

ბოლომდე გაურკვეველი რჩება ანგელოზთა ფრთების განაწილება. სტელაზე ექვსფრთედები მთლიანად ავსებენ კვადრატული წახნაგის არეს. ამასთან, ორი ფრთის მიმართულება შეესაბამება მფრინავი ანგელოზების გადმოცემისას ძველ ქართველ ოსტატთა მიერ გამოყენებულ სქემებს[8]. მაგრამ სტელაზე ფრთების რიცხვი უდრის ექვსს, ე. ი. აქ გამოსახულია არა ჩვეულებრივი ანგელოზები, ამაღლების სცენის მონაწილენი, არამედ სერაფიმები. როგორ ახერხებს სტელის ოსტატი ამ ფრთოსანი არსებების გამოსახვას. რა ნიმუშებით ხელმძღვანელობდა იგი? როგორ გამოსახა ესაია წინასწარმეტყველებაში ასე კარგად გადმოცემული ხილვა უფლისა: „... და სერაფიმნი დგეს გარემოის მისსა, ექუსნი ფრთენი ერთსა და ექუსნი ფრთენი ერთსა ორითა უკუე დაიბურვიდეს პირსა, ხოლო ორითა დაიბურვიდეს ფერხთა და ორითა ფრინვიდეს“.

ორი ფრთა, რომლითაც სერაფიმი „ფრინვიდეს“, გარკვევით იკითხება რელიეფზე, მეორე წყვილი გაშლილია ვერტიკალურად (ერთი ზეაღმართული, მეორე დაბლა დაშვებული) ანგელოზის წინ, ცენტრალური კომპოზიციის მო-

---

[5] Age of Spirituality, New York, 1979, № 496, 497.

[6] იქვე, № 483, გვ. 538—539.

[7] Д. Вольская, Рельефная плита из Зедазенского монастыря, Ars Georgica, 8, Тб., 1979, табл. 47,1.

[8] ამგვარი მფრინავი ანგელოზები, როგორც წესი, გამოსახულია ამაღლების კომპოზიციაში. ამ თემის შესახებ ქართულ ხელოვნებაში იხ. Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948; Н. Г. Чубинашвили, Хандиси, Тб., 1972; Н. А. Аладашвили, Монументальная скульптура Грузии, М., 1977.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჯნავე წიბოს გასწვრივ. მესამე წყვილი ფრთებისა მარჯვენა სერაფიმთან გამოსახულია მის ზემოთ ვერტიკალურად აღმართული და შეწყვილებული. მარცხენა წასნაგი უფრო ძლიერად არის დაზიანებული, მაგრამ მაინც შეიმჩნევა, რომ ფრთები განსხვავებულად იყო განთავსებული სიბრტყეზე. მარჯვენა სერაფიმის ფრთების უჩვეულო განლაგების ასახსნელად მივმართეთ ადრეული შუა საუკუნეების ძეგლს სერაფიმთა გამოსახულებით. ქართულ ხელოვნებაში სერაფიმთა გამოსახვა ადრეულ ხანაში საკმაოდ იშვიათია; უძველესია ექვსფრთედის გამოსახულება წებელდის კანკელის ფილაზე და ვერცხლის სამწვრობელზე სვანეთიდან[9]. ადრექრისტიანულ ხანაში ექვსფრთედთა გამოსახულებას ეხებიან ლიტურგიკულ სამწვრობლებზე, რომელთა ფუნქცია ანალოგიური იყო სერაფიმთა დაცვითი ფუნქციისა[10]. ფორნტალურად გამოსახულ ექვსფრთედებს ზუსტი სქემით აქვთ განაწილებული ფრთები, ზუსტად ისე, როგორც ეს ესაია წინასწარმეტყველებაშია გადმოცემული: ორი ფრთა სიმეტრიულად გაშლილი ფონზე, ორი შეწყვილებულად აწეული თავს ზემოთ, ორი გადაჯვარედინებული სხეულზე, მიმართული ქვემოთ.

ნაღვარევის სტელას სერაფიმების ფრთები თითქოს სხვადასხვა ნიმუშებიდან აღებული სქემით არის განლაგებული: ორი — ამაღლების მფრინავი ანგელოზებიდან, ორი (შეწყვილებული) ექვსფრთედისა და ქერუბინთა ზეაღმართული ფრთებიდან, ორი ვერტიკალურად გაშლილი ფრთა კი მართლაც ვერ პოვებს ანალოგებს ძველი ქრისტიანული ხელოვნების ძეგლებში. მაგრამ იწვევს შორეულ ასოციაციებს ძველბაბილონური და ასურული ფროთსანი ღვთაებების ფრთების განაწილებასთან. ეს ძალზე დაშორებული პარალელი ამოტივტივდა იმასთან დაკავშირებით, რომ დღეს მრავალფრთედების იკონოგრაფიულ წინაპრებად აღიარებულია სწორედ ძველაღმოსავლური ფანტასტიკური ფრთოსანი არსებები. სავარაუდოა, რომ ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე ქართველი ოსტატები საკმაოდ თავისუფლად ეკლეციდნენ ნიმუშებს, შესაძლოა, შეჰქონდათ ქრისტიანულ სიუჟეტებში საკუთარი შემოქმედებითი წვლილი, მონაწილეობდნენ ქრისტიანული იკონოგრაფიის შექმნის პროცესში.

ფიგურული გამოსახულებების პლასტიკური დამუშავების ხარისხი (მთავარანგელოზი, სერაფიმი, იოანე ნათლისმცემელი), ზედაპირის სიბრტყობრივ დეკორატიული გადაწყვეტა, რელიეფის კვეთის თავისებურება გვიჩვენებს პლასტიკური ხელოვნების იმ ეტაპს როდესაც იქმნებოდა ქვემო ბოლნისის, ეძანის სიონის, სოფ. თეთრი-წყაროს ეკლესიების, ბოლნისის ზოგიერთი

---

[9] წებელდის რელიეფის შესახებ დიდი ლიტერატურა არსებობს, რომლის მთლიანად მოტანა აქ არ მიგვაჩნია გამართლებულად. ალვნიშნავთ მხოლოდ, რომ მან არაერთხელ მიიპყრო მკვლევართა ყურადღება (ვ. უვაროვა, დ. აინალოვი, გ. ჩუბინაშვილი, შ. ამირანაშვილი, რ. შმერლინგი, ნ. ჩუბინაშვილი, ლ. შერვაშიძე, ნ. ალადაშვილი, ნ. ხრუშკოვა) და დღესაც არ არის მიღწეული სრული თანხმობა ამ რელიეფთა თარიღის შესახებ, ისინი ზოგადად თარიღდება VI—VIII საუკუნეებით IX ს-ის მიჯნამდე. მესტიის სამწვრობელი IX ს-ის დასასრულითაა დათარიღებული: Г. Н. Чубинашвили, Грузинское чеканное искусство, Тб., 1959, გვ. 51—53, ტაბ. 25.

[10] ოქროსანი სამწვრობლებია აღმოჩენილი რიასსა და სტუმას საგანძურებში (სირია, VII ს.) მათზე გამოსახული სერაფიმები და ქერუბინები უძველესია ჩვენთვის ცნობილ ძეგლთა შორის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რელიეფი[11]. დაახლოებით VI საუკუნის შუა ხანებში შექმნილ ამ რელიეფებთან ნაღვარევის სტელას აკავშირებს ფიგურათა პრიმიტიულობა და სიბრტყოვნობიობა, ხაზგასმული პირობითობა. ფორმის პლასტიკური გადმოცემა აქ შეცვლილია ზედაპირის ხაზოვანი დამუშავებით. ამასთანავე ხაზების მიმართულება, მათი ხასიათი მხოლოდ მიანიშნებს საგანს თუ ნაკვთს და სრულიად არ ითვალისწინებს მოცულობით ფორმას. შეიძლება უამრავი დამთხვევა აღმოვაჩინოთ ზემოთჩამოთვლილ რელიეფთა ცალკეულ ნაწილთა დამუშავების ხასიათსა და ნაღვარევის სტელის ოსტატის მხატვრულ ხერხებს შორის. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა, თუ შევადარებთ ანგელოზების გამოსახულებებს, მათი ფრთების დამუშავებას. ოღონდ ნაღვარევის სტელის ოსტატი ფრთების დამუშავებისას იყენებს თავისებურ გრაფიკულ აქცენტებს, მოტივს გრაფიკული წრეხაზებისა, რომელთაც ცენტრი ნაჩხელეტით აქვთ აღნიშნული. ასეთი გრაფიკული აქცენტები ჩანს მთავარანგელოზის მხრებს ზემოთ ფრთებზე (სიმეტრიულად ორივე მხარეს), სერაფიმების ფრთების გარკვეული ადგილების ხაზგასასმელად.

ნაღვარევის სტელის მხატვრული სახის წარმოსაჩენად სრულიად აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ დანარჩენ წახნაგებზე მოთავსებული გამოსახულებების ხასიათი. მარჯვენა წახნაგზე, მთავარანგელოზის მომიჯნავე წახნაგზე, როგორც აღვნიშნეთ, მოთავსებულია სწორკუთხა არეში ოსტატურად ჩაწერილი ირმის გამოსახულება. ცხოველის ზუსტად დაჭერილი პოზა, მოქნილი ელასტიური ხაზით შემოწერილი სილუეტი კისრისა და თავის დახვეწილი ნახატი გამოცდილ ხელსა და კარგ მხატვრულ ალღოს ავლენს. კვადრატთან მიახლოებული კომპოზიციის ჩარჩო სრულიად სადა, ცხოველის ბრტყელი სილუეტი მკაფიოდ იკითხება ღლუვ ფონზე; ირმის გავაზე დიდი ვარდულიანი მედალიონია ამოკვეთილი.

ასეთივე ხასიათისაა კაპიტელის ზურგის მხარეზე გამოკვეთილი ხარის ბრტყელი გამოსახულება. წინა პირის კომპოზიციების მსგავსად ისიც უჩარჩოოდ, თავისუფალ სიბრტყეზეა მოთავსებული, ოღონდ მათგან განსხვავებით მოცემულია აპლიკაციისებურად, დიდი ღლუვი ზედაპირი, ყოველგვარი დამუშავების გარეშე. ფონიდან ოდნავ ამოზიდული ბრტყელი სილუეტის სახით. ეს ნაწილიც დაზიანებულია და დარჩენილი ნაწილი საშუალებას გვაძლევს ამ გამოსახულებაშიც დავინახოთ ცოცხალ ნატურაზე დაკვირვება. ცხოველის სახასიათო ნაკვეთების ოსტატური გადმოცემა.

ცხოველთა ეს ორი გამოსახულება მკვეთრად განსხვავდება პირობითი და სქემატური სიუჟეტიანი კომპოზიციებისაგან თავისი სიცოცხლით, ფორმის ზუსტი გრძნობით, კომპოზიციური გადაწყვეტის დასრულებულობით, მხატვრული მთლიანობით. განსაკუთრებულია ამ მხრივ ირმის რელიეფური სახე, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება მივიჩნიოთ ძველი ქართული ხელოვნების იშვიათი ძეგლების — ბრინჯაოს ბალთების შთამომავლად. კომპოზიციური ალღო, ცხოველის სპეციფიკური ფორმების ორიგინალური ტრან-

---

11 ქვეშა ბოლნისისა და ეძანის სიონის რელიეფების დახასიათება იხ. Н. Г. Чубинашвили, Р. Шмерлинг, Храм в древнем селении Триалети—Тетри Цкаро, Ars Georgica, Тб., გვ. 64. სტელა ბოლნისიდან ტახტზე მჯდომარე ღმერთისშვილის რელიეფური გამოსახულებით: Н. Г. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, ტაბ. 45.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორმაცია, უძველეს ასტრალურ კულტებთან დაკავშირებული სიმბოლიკური აქცენტები ცხოველის სხეულზე, თაღედის ორნამენტული მოჩარჩოება — ყველაფერი ეს ნაღვარევის სტელის ცხოველური მოტივების უძველეს ეროვნულ ძირებს ავლენს.

ნაღვარევის სტელის ირმის გამოსახულებასთან არ შეიძლება არ მოვიხსენიოთ იშვიათი ოსტატობით შესრულებული რელიეფი ჯიხვის გამოსახულებით თრიალეთის თეთრი წყაროს ეკლესიის კაპიტელზე (VI ს. დასასრული). მსგავსება ამ ორ რელიეფს შორის იმდენად დიდია, რომ უნდა ვივარაუდოთ ამ ორი რელიეფისათვის ერთი საერთო ნიმუში, საერთო სქემა კეთილშობილ რქოსანთა გამოსახვისა, რომელიც უძველეს ადგილობრივ ტრადიციაზეა დაფუძნებული. იმ ტრადიციაზე, რომელიც ჩვენამდე მოვიდა ბრინჯაოს ბალთების პლასტიკური კომპოზიციების სახით[12].

ირმი, როგორც მორწმუნე სულის სიმბოლო, ხშირად გვხვდება ადრექრისტიანული ხელოვნების ძეგლებში. საქართველოშიც, რელიეფურ დეკორში ირმის გამოსახვას გარკვეული ტრადიცია აქვს. რამდენიმე მაგალითი შეიქლება მოვიყვანოთ ქვემო ქართლის მასალებიდან (კაპიტელი დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიაში ირმისა თუ ვერძის გამოსახულებით, წოფილი საყდრის კედელში ჩაშენებული სტელის ფრაგმენტი ცხოველთა რელიეფური სახეებით — VI ს.)[13]. ამთვალ ერთზე (კაპიტელი დამბლუტისწყლის ხეობის მცირე ეკლესიაში), ჩვენი სტელის მსგავსად, ირმის სხეულზე, გავასა და მკერდზე ორნამენტული ვარდულებია მოთავსებული. ნაღვარევის ირმის რელიეფის წინა ნაწილი ძალზე დაზიანებულია, საფიქრებელია, რომ ასეთივე ორნამენტული ვარდული იქნებოდა მის მკერდზეც. ეს ნიმუში, დამბლუტისწყლის ეკლესიის კაპიტელის ირემთან ერთად, უშუალოდ არის დაკავშირებული პრინჯაოს ბალთებიდან მომდინარე ძველ ტრადიციასთან, რომელიც ცხოველთა გამოსახვის ადგილობრივ საფუძველზეა დამყარებული. ამავე ბალთების კომპოზიციებს უკავშირდება ირმის პროფილში გამოსახული სხეულისა და ფონზე ფრონტალურად გაშლილი დატოტვილი რქების სიმეტრიული განლაგების კომპოზიციური ხერხი.

თუმცა ხარის რელიეფისათვის გვიძნელდება ასეთივე შესატყვისი კომპოზიციების დასახელება, ამ ცხოველის თაყვანისცემისა და მისი გამოსახვის ტრადიციის უძველესი წარმართული ძირები, მისი „გაქრისტიანებული“ გამოსახულების ჩართვა ადრეული ხანის ქართული არქიტექტურის პლასტიკური დეკორის სისტემაში (ბოლნისის სიონის სანათლავი, სვეტიცხოვლის კარიბჭე). გვიჩვენებს სტელის ოსტატის გარკვეულ პოზიციას დეკორის სქემის შემუშავებაში[14].

ირმისა და ხარის გამოსახვის თავისებური პრინციპები გამოჩნდა ბოლნისის სიონის პლასტიკურ დეკორში (ირემი — სამხ. პორტიკის კაპიტელზე, ბაკ-

[12] რ. შმერლინგი თეთრი წყაროს ჯიხვის რელიეფის თავისებურებას, მის კომპოზიციურ გაჯერებას ცხოველის გამოსახულებაში „ზაზოვანი რიტმის მკაფიოებას“, ხასნის ადრექრისტიანული ხანის საქართველოში ცხოველთა გამოსახულებანი მადალხატვრული სასანური ვერცხლის ჭურჭლის დიდი გავრცელებით, რაც ოსტატს აძლევდა მიბაძვისათვის ღირსეულ ნიმუშებს. Н. Г. Чубинашвили, Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

[13] ვ. ჯაფარიძე, ადრეული შუა საუკუნეების არქეოლოგიური ძეგლები ქვემო ქართლიდან, თბ., 1982, ტაბ. XIX_1, XXXIII_2.

[14] Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948. გვ. 142.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტისტერიუმის აბსიდის მიმდებარე კაპიტელებზე: ხარი — ბაპტისტერიუმის კაპიტელზე). აქ გვაქვს შემთხვევა, როდესაც უძველესი, ხალხურ ყოფაში დამკვიდრებული ცხოველური მოტივები, დაკავშირებული წარმართული ხანის წარმოდგენებთან და მითოლოგიასთან, გამოყენებულია ქრისტიანული კულტის საჭიროებისათვის ახალი სიმბოლური არსითა და ახალი მხატვრულ-იდეური ფუნქციით. ბოლნისის სიონის პლასტიკურ დეკორში გამოყენებული ცხოველთა სახეები, როგორც ჩანს ფართოდ იყო გავრცელებული ადრეული ხანის საკულტო ძეგლებში, მათ შორის ქვასვეტების რელიეფურ სამკაულში.

ქრისტიანულ საკულტო ძეგლების დეკორში ცხოველთა გამოსახვის ასახსნელად უნდა გავიხსენოთ აკად. გ. ჩუბინაშვილისეული მოსაზრება. გამოთქმული მცნეთის ჯვრის ტაძრის რელიეფურ დეკორში ცხოველთა გამოსახულებების ჩართვის ასახსნელად. მკვლევარი ხედავს ამ რელიეფებში „მაგიური ზემოქმედების რწმენის“ უძველესი ზოგადი ტრადიციის ზეგავლენას ამასთანავე არის დაკავშირებული ეკლესიათა დღეობების დროს ხარებისა და წვრილფეხა რქოსანი საქონლის მსხვერპლად შეწირვის ტრადიციის არსებობა. ამ ტრადიციის თავისებური ასახვაა ცხოველთა გამოსახულებები ქრისტიანულ ძეგლებზე. სტელებზე გამოსახული ცხოველებიც წარმოადგენენ ხალხის ამ „უძველეს რელიგიურ განცდათა ანარეკლს მხატვრულ სახეებში“ (გ. ჩუბინაშვილი). სტელების ფუნქცია — მათი შემკვეთებისა და შემწირველებისათვის დაცვის, მფარველობის, შეწევნის ალმრენა — სავსებით გასაგებს ხდის ცხოველთა გამოსახულებათა ჩართვას დეკორატიულ სამკაულის საერთო მხატვრულ-იდეურ ქარგაში.

ნაღარევის სტელის პლასტიკურ დეკორში შეინიშნება აშკარა განსხვავება ქრისტოლოგიურ კომპოზიციების გადმოცემასა და ცხოველთა გამოსახულებების სტელის შორის. ერთი შეხედვით სტელის გამოსახულებებს ახასიათებს საერთო მიდგომა — გარკვეული პრიმიტიულობა, ფორმის გამარტივებული აღქმა, სქემატიზმი. მაგრამ თუ დავუკვირდებით, ცხადი ხდება, რომ ოსტატი ამ საერთო მხატვრული პოზიციის ჩარჩოებში გაცილებით უფრო თავისუფალია ცხოველთა გამოსახვაში, ვიდრე სიუჟეტების გადმოცემაში. ეს სავსებით კანონზომიერია, რადგან ქრისტიანული სიუჟეტების შექმნის ადრეულ ეტაპზე ოსტატი ახლად ეუფლებოდა ქრისტიანული რელიგიის შემოთავაზებულ თემატიკას, ითვისებდა წმიდა ისტორიიის პერსონაჟებისა და მოვლენების გამოსახვის უჩვეულო ხერხებს საკუთარი მხატვრული გამოცდილების გამოყენებით. ცხოველთა გადმოცემაში კი მას ჰქონდა მრავალსაუკუნოვანი ადგილობრივი ტრადიციები. მკაფიოდ გამოშუშავებული ზოომორფული სახეების მთელი სისტემა. ამას უნდა დაემატოს ადრეფეოდალური ხანის საქართველოში სასანური ირანის ზოომორფულ სახეთა დიდი პოპულარობა, ცხოველთა სახეებით შემკული სასანურ ნივთთა დიდი რაოდენობა, რაც თავის კვალს ტოვებდა ქართული ხელოვნების ძეგლთა ხასიათსა და მათ თემატიკაზე[15]. ასეთ ვითარებაში სავსებით გასაგებია ფიგურულ გამოსახულებათა ერთგვარი მხატვრული გაუმართობა (სერაფიმები.), რადგან საქმე ეხება ძველი ხელოვნების განვითარე-

15 ქრისტიანულ ძეგლებში ცხოველთა გამოსახულებების· გამოყენებას შეეხო გ. ჩუბინაშვილი „ქართული ხელოვნების ისტორიის“ პირველ ტომში. მან ხაზი გაუსვა ამ თემატიკის უძველეს საწყისებს და სასანური ხელოვნების მნიშვნელობას VI—VII საუკუნეთა საქართველოში (გვ. 44—45).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის იმ ეტაპს (V—VI სს.), როდესაც მიმდინარეობდა ქრისტიანული იკონოგრაფიის ჩამოყალიბება და ბევრი რამ ჯერ კიდევ ბოლომდე დაუდგენელი და ეაურკვეველი იყო.

ნაღვარევის სტელის სწორად განსაზღვრისათვის დიდმნიშვნელოვანი მომენტია ორნამენტული მოტივის მხატვრული გადაწყვეტა. მარცხენა გვერდითი წახნაგი შემკულია მცენარეული ორნამენტის ზოლით, რომელიც სადა რელიეფურ ჩარჩოშია მოთავსებული. ეს ორნამენტული მოტივი საკმაოდ გავრცელებული ჩანს გარკვეული პერიოდის ქართულ ძეგლებში. ლ. მუსხელიშვილი ასეთ ორნამენტს უწოდებს „პალმეტებიან ორმაგ მშვილდას"[16]. ამგვარი ორნამენტი გვხვდება ქვემო ქართლის ძეგლებზე VI საუკუნის მანძილზე (ორსაყდრების ქვემო ეკლესიის ჩრდ. კედელში ჩასმული ქვა[17], დამბლუტისწყლის მცირე ეკლესიაში სტელის წახნაგი, სოფ. ბალიჭის ეკლესიაში — სტელის ფრაგმენტი[18], ქვასვეტის ფრაგმენტი ბოლნისიდან[19]). იგივე ორნამენტია გამოყენებული მცხეთის ჯვრის სამხრეთის პორტიკის თაღზე[20], ზოგიერთ არქიტექტურულ ძეგლზე (აკვანება, VI ს. შუა წლებში[21]) და ქვასვეტებზე (დმანისის ქვასვეტი, საქართველოს ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი), ვხედებით ამ ორნამენტული მოტივის ვარიაციებს, მის გაორმაგებას. განსხვავებულია ამ „მშვილდა" ორნამენტის პალმეტის ხასიათიც. ნაღვარევის სტელის ორნამენტში გამოყენებულია ლამაზი ფორმის შროშანის ყვავილი, რომლის ზედაპირის დამუშავების გარჩევა ვერ ხერხდება დაზიანების გამო. შროშანის ამგვარი დახვეწილი ფორმა შემონახულია ქვემო ბოლნისის სვეტის ბაზაზე (VI ს.) და დმანისის ერთ-ერთ სტელაზე მამაკაცის გამოსახულებით (VI ს.).[22].

ნაღვარევის სტელის რელიეფური დეკორის იკონოგრაფიული პროგრამისა და პლასტიკურ გამოსახულებათა სტილის მხატვრულმა ანალიზმა გვიჩვენა მისი მჭიდრო კავშირი VI საუკუნის ქართული ხელოვნების ძეგლებთან. ამ ეპოქის ქართულ სტელათა კვლევამ არაერთხელ გამოავლინა ქართველ ოსტატთა ორიგინალური მხატვრული აზროვნების თავისებურებანი, გვიჩვენა, თუ რა დამოუკიდებლად, შემოქმედებითად წყვეტდნენ ისინი მათ წინაშე მდგომ რთულ მხატვრულ-თეოლოგიურ ამოცანებს. ამ თვალსაზრისით ნაღვარევის სტელის პლასტიკური დეკორი ძალზე მნიშვნელოვან ძეგლად უნდა მივიჩნიოთ, რადგან მან შეიძლება გარკვეულად შეავსოს ის ხარვეზი, რომელიც არსებობს ადრექრისტიანული ხანის სახვითი ხელოვნების სფეროში არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საერთოდ. ქვასვეტის ზედაპირის ძლიერი დაზიანება არ გვაძლევს კატეგორიული დასკვნების გაკეთების უფლებას. მაგრამ ზემოთმო-

---

16 ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები მაშავრის ხეობაში, თბ., 1941, 1941, გვ. 28.

17 იქვე, ტაბ. VI$_{10}$.

18 ვ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი ტაბ. XXIV$_2$, XXV$_4$.

19 Г. Н. Чубинашвили, Болниси, ნახ. 56, გვ. 90.

20 Н. Г. Чубинашвили, Хандиси, ტაბ. 43,1 (უახლოეს პარალელად ამ ორნამენტის სტელისა და ქრონოლოგიისთვის გ. ჩუბინაშვილს მოჰყავს ტაკი-ბოსტანის ორნამენტული ფრიზი ხოსრო II-ის ცხენოსანი ფიგურის თავზე).

21 Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, ტაბ. 28.

22 იქვე, ტაბ. 43$_2$, ტაბ. 30.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყვანილი მხატვრულ-იკონოგრაფიული ანალიზი, ვიმედოვნებ, გვაძლევს გარკვეული ვარაუდის შესაძლებლობას. საფუძველს მოკლებული არ უნდა იყოს ძოსაზრება ქვასვეტის კაპიტელზე ქრისტეს თეოფანურ ხილვასთან დაკავშირებული ვედრების თემის გამოსახვის შესახებ. ამგვარად, ჩვენს ხელთ არის ვედრების სიუჟეტის ერთ-ერთი უძველესი ნიმუში არა მარტო ქართულ, არამედ მსოფლიო ხელოვნებაში. თუ გავიხსენებთ, რომ შუა საუკუნეების ხელოვნებაში გავრცელებულ ვედრების თემის ყველაზე ძველ ნიმუშად აღიარებულია სინაის მთის წმ. ეკატერინეს მონასტრის აბსიდის მოზაიკა იუსტინიანეს ხანისა (548—575), VI საუკუნის ქართულ ქვასვეტზე ამ კომპოზიციის არსებობა უკვე თავისთავად დიდმნიშვნელოვან ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. ამას უნდა დავმატოს სერაფიმთა გამოსახულებებიც, რომელთა უძველესი ნიმუში გვაქვს საქართველოში IX საუკუნის სამწერობელზე. ხოლო ბიზანტიურ სამყაროში VI—VII საუკუნის სირიულ სამწერობლებზე. შესაძლოა, ქვასვეტის რელიეფები გვიჩვენებს ექვსფრთოვანთა იკონოგრაფიის ჩამოყალიბების საწყის ეტაპს, რომელსაც მოჰყვება განვითარების ორგანული პროცესი, რომლის შედეგს ვხედავთ მესტიის ვერცხლის სამწერლობლის უკვე მკაფიოდ გარკვეულ სქემაში და შემდეგ მის თავისებურ გადამუშავებას X საუკუნეში უდეს სტელაზე.

ნაღვარევის სტელა, სხვა ქართულ სტელებთან ერთად, მნიშვნელოვნად ავსებს ჩვენს ცოდნას ადრექრისტიანული ეპოქის ქართული ხელოვნების შესახებ და გვარწმუნებს იმაში, თუ რა რთული და საინტერესო იყო ის ეტაპი შუა საუკუნეების ხელოვნების განვითარებაში, რომელიც „ბნელი“ ეპოქის სახელით იყო ცნობილი და რომლის ზოგიერთი მხარე მცირედ მაინც ნათდება ძველ ქართველ ოსტატთა ნიჭიერებით შექმნილი უნიკალური ძეგლების — ქვაჯვრებისა და ქვასვეტების წყალობით.

К. Г. МАЧАБЕЛИ

ФРАГМЕНТ СТЕЛЫ ИЗ СЕЛ. НАГВАРЕВИ

Резюме

В историческом Музее Самцхе — Джавахети хранится фрагмент стелы, украшенный рельефным декором (высота 0,62 м., сторона верхнего квадрата 0,3 м., нижнего — 0·26 м.), обнаруженный в сел. Нагвареви (Адыгенский р-н). Это — верхняя часть четырехгранного столбика под каменный крест, завершенная вырезанной в каменном монолите капителью. Поверхность стелы покрыта рельефными композициями, плохая сохранность которых осложняет восстановление цельной программы рельефного декора.

На фасадной стороне капители — трехфигурная композиция; в более крупной центральной фигуре следует предположить Христа на троне, слева от него фигура в длинном одеянии (Иоанн?), правая фигура не сохранилась. На боковых гранях капители расположены изображения шестокрыльцев.

На главной грани каменного столбика помещено изображение архангела с древнегрузинской надписью «асомтаврули» — св. Микаел.

ეროვნული ბიბლიოთეკა

На правой грани в особо выделенных рамочках расположены фигуры оленей с ветвистыми рогами, с характерными для древних культовых изображений животных астральными знаками — розетками — на туловище. Левая грань заполнена полосой стилизованного цветочного орнамента.

Если верно предположение о наличии на лицевой грани капители сцены Деисуса, то изображение на боковых гранях серафимов, тесно связанных с центральным изображением, становится понятным в контексте раннехристианских идеологических представлений. Рельефная композиция капители предстает как олицетворение сложной идеи, объединившей теофаническое видение Христа второго пришествия, его Славу и Деисус. Такое сочетание этих тем точно соответствовало функции стел, возводившихся древними христианами для получения божественного покровительства, благословения.

Характер пластической проработки изображений, плоскостно-декоративное решение рельефных композиций, характерные приемы резьбы связывают стелу из сел Нагвареви с архитектурным декором грузинских церквей середины VI века (Квемо Болниси Эдзанский Сион, Тетри Цкаро). На ту же эпоху указывает характер изображения животных на нагваревской стеле, своеобразие растительного орнамента, встречающегося на протяжении VI века на целом ряде архитектурных памятников исторической Квемо Картли.

Стела из сел. Нагвареви является значительным памятником раннехристианского искусства, показывающим оригинальное художественное мышление древнегрузинских мастеров, свидетельствующим об их вкладе в создание ранней христианской иконографии. Эта стела, с ее уникальным рельефным декором, важна не только для понимания раннехристианского грузинского искусства, но является явлением общей истории искусства раннего средневековья.

წარმოდგენილია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. ბერიძემ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მ. გაგუნია, ა. ვეკუა, ჰ. ჯანელიძე, ე. ყვავაძე,

პირველი ზედაპალეოლითური სადგომი ჯავახეთის ზეგანზე (ბავრას მღვიმე I)

ჯავახეთის ზეგანზე, ქ. ახალქალაქის ჩრდილოეთით სამიოდე კილომეტრის დაშორებით, სოფ. ბავრას მიდამოებში მდ. ფარავნის მარჯვენა ნაპირზე, დოლერიტული ლავების ციცაბო კედელში რამდენიმე მცირე მოცულობის მღვიმეა გამომუშავებული. სადაზვერვო სამუშაოების ჩატარების დროს ერთ-ერთ მღვიმეში, სამხრეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1980 წელს ქვის ხანის არქეოლოგიურ ნაშთებს მიაკვლია. მომდევნო წლებში ჩატარებული გათხრების შედეგად მოპოვებული არქეოლოგიური და პალეონტოლოგიური მასალის ანალიზის საფუძველზე გაირკვა, რომ ბავრას მღვიმეში დალექილი ნაფენები შეიცავენ მეზოლითელი და ზედაპალეოლითელი ადამიანების სამეურნეო მოღვაწეობის ნაშთებს. ნალექების მთელი დასტის სიმძლავრე გაკეთებულ ჭრილში 2—2,10 მ-ია. მათი ზედაპირი ციცაბოდ ეშვება მდ. ახალქალაქისწყლის კალაპოტისაკენ (5—7⁰-ით).

ბავრას მღვიმის შესასწავლი მდინარის კალაპოტიდან 9 მ-ის სიმაღლეზეა. მღვიმის სიმაღლე შესასვლელთან 4 მ-ია, სიგანე 8 მ, სიღრმე 6,5 მ. მღვიმე, როგორც ადნიშნეთ, დოლერიტულ ლავებშია გამომუშავებული, რომლის გეოლოგიური ასაკი ზედა პლეოცენის და ქვედა პლეისტოცენის ქრონოლოგიურ ჩარჩოებში თავსდება (სურ. 1) გათხრილ ფართობზე (16 მ²) გრძივმა ჭრილმა (ზემოდან ქვემოთ) ასეთი სურათი მოგვცა (ნახ. 2): 1. მუქი მოყავისფრო შეფერილობის ფხვიერი, კორდოვანი დელუვიური ნიადაგი, ბაზალტის ღორღის იშვიათი ჩანართით, სიმძლავრე 10—80 სმ; 2. მოყვითალო ფერის მკვრივი ქვიშანარევი თიხნარი ბაზალტის დაკუთხული ლოდების ჩანართებით, სიმძლავრე 20—35 სმ, 3. კოშტოვანი სტრუქტურის მონაცრისფრო თიხნარი ბაზალტის დაკუთხული ლოდების ჩანართებით, სიმძლავრე 10—20 სმ; 4. ღიაყავისფერი, კოშტოვანი სტრუქტურის მქონე თიხნარები ბაზალტის ღორღის შემცველობით — სტერილური ფენა, სიმძლავრე 60—80 სმ; 5. მდინარეული წარმოშობის მონაცრისფრო ქვიშები, როჭკი და წვრილი კაჭარი, სიმძლავრე 10—30 სმ.

აღნიშნულ ჭრილში წარმოდგენილი ფენებიდან ზედაპალეოლითურ მასალას მესამე ფენა შეიცავს.

გათხრილ ფართობზე მოპოვებულია 3771 ერთეული ბაზალტისა და ობსიდიანის ნაწარმი (ურეკა ორიოდე კაჟი და ერთი კვარცი) და მცირერიცხოვანი ფაუნის ნაშთები.

მზა იარაღები (რეტუშიანი ლამელების გამოკლებით) 73 ცალია, რაც მთელი მასალის 2%-ს შეადგენს.

იარაღებში აშკარად ჩანს საფხეკების უპირატესობა 47 ც (25,40%). აქედან 50% ანატკეცებზეა დამზადებული, 25,5% ლამელებზე, 12% ლამელისებური ანატკეცებზე, 10,6% კი ანამტვრევებზე (ტაბ. I 3,5—7,12—14).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურ. 1. ბავრას მღვიმის ხედი.

ტიპობრივად საფხეკები ძალიან მრავალფეროვნად გამოიყურება, აქ გვაქვს ნისკარტისებური, დაკბილული სამუშაო პირით, თავამოღარული, გვერდის, მრგვალი, ოვალური, თავსწორრეტუშიანი, თავირიბრეტუშიანი. ლამელა — ანატკეცებს, რომლებზეც ჩამოთვლილი საფხეკებია დამზადებული ხშირ შემთხვევაში გვერდებიც აქვთ დამუშავებული დამრეცი ან ფაქიზი რეტუშით (ტაბ. I—16, 12, 14).

საფხეკების ასეთ მრავალფეროვნებასთან ერთად კოლექციაში სულ 6 საჭრისია (ტაბ. I—4,10—11), აქვე გვაქვს რვა დანა ბაზალტის მსხვილ ანამტვრევებზე დამზადებული (ტაბ. I—1,2). მცირე ზომის სამკუთხა მოყვანილობის წვეტანა, რომელსაც გვერდებზე ორივე სიბრტყიდან აქვს შემღწევი რეტუში. განსაკუთრებული ყურადღების ღირსია ე. წ. შატელპერონისებური ტიპის დანები — 6 ც. (ტაბ. II—19—21) და 8 ცალი მოზრდილი ზომის გრავეტისებური წვეტანა (ტაბ. II—27); რომლებიც გამოირჩევა ფართეფაცეტოვანი, ხშირად შემხვედრი ვერტიკალური რეტუშით. სამ-სამი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი სახვრეტები (ტაბ. I—15—16) და ხოწები (ტაბ. I—8—9).

მთელი მასალის 27% (1005 ც) შეადგენენ ლამელები, რომელთაგან მხოლოდ 11,14% (112 ც)-ია დამუშავებული. რეტუშიან ლამელებში 52%-ს აქვს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაბმული ან წყვეტილი ფაქიზი რეტუში ზურგის ან მუცლის მხრიდან ცალ ან ორივე გვერდზე. 18%-ს შეადგენენ გვერდდაბლაგებული ლამელები. უმეტესად დამუშავებული შემხვედრი ვერტიკალური ფართეფაცეტოვანი რეტუშით (ტაბ. II—12—18). 11% დაკბილული ლამელებია და 6, 25%-გვერდამოღარული.

საინტერესოა აღინიშნოს ბავრას მღვიმეში თავირობრეტუშიანი ლამელების სერია (15 ც — 13, 40%), რომელთაც მკვეთრი მახვილი კუთხით ირიბად აქვთ დაქანებული თავი და ქმნიან წვეტიან იარაღებს (ტაბ. II—22—26).



Спорово-пыльцевая диаграмма отложений палеолитической стоянки

Бавра I

სურ. 2. ბავრას მღვიმის სტრატიგრაფიული პრილი.

ურეტუშო ლამელებში (893 ც) 150 ც—17% მოზრდილი ზომისაა. მათი აღნიშვნელოვანი ნაწილი (დანისებურია, ნაკეთებია ბაზალტზე და მოგვაგონებენ ტიპიურ ორინიაკულ ლამელებს. საშუალო ზომის ურეტუშო ლამელებიც ძირითადად ბაზალტისაა — 63 ც. ურეტუშო ლამელებში დიდი სერიითაა ასევე წარმოდგენილი მცირე ზომისა 370 ც და მიკროლითური 310 ც, უნდა აღინიშნოს, რომ მათ შორის უკვე დიდი რაოდენობით გვხვდება ობსიდიანი, თითქმის თანაბრად ბაზალტთან, ან ოდნავ ჭარბობს მას (ტაბ. II—1—11; ტაბ. III—4—7).

ბავრას ნუკლეუსებში (სულ 27 ც) წამყვანია პრიზმული, კონუსური და დისკოიდალური ფორმები. ისინი უმეტესად დიდი ზომისანი არიან და მზადდებიან ბაზალტზე, გვხვდება ობსიდიანის ნუკლეუსებიც, ყველა ნუკლეუსს აქვს ჰორიზონტალური დარტყმის მოედანი, ნეგატივები დაუყვება ან ირგვლივ ან მხოლოდ ფრონტალურ მხარეზე, მეორე მხარე კი ხშირად კაჭრის ქერქითაა დაფარული (ტაბ. III, 1—3).

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. I 1—2 ბაზალტის დანები; 3,5—7,12—14 სხვადასხვა სახის საფხეკები, 4, 10—11 სხვადასხვა სახის საჭრისები; 8—9 ხოწები; 15—16 სახვრეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც შეეხება ანატკეცებს, მათი მეტი წილი დიდი ზომისაა, უხეში, ურეტუშო, იშვიათად აქვს შერჩენილი დარტყმის ბურცობი. არის ბურცობგამოკვეთილი და ზედა სიბრტყიდან სამკუთხა ანატკეცის ატკეცვის კვალით, ე. წ. პროტოლევალუაური ანატკეცები. ბევრია უსახო ანატკეცები, ანამტვრევები და ქერცლისებრი ანატკეც-ანამტვრევები — 2529 ც.

თუ შევჯამებთ ბავრას მღვიმის კომპლექსის განმსაზღვრელ ნიშნებს დავინახავთ, რომ: 1. მის ტექნიკაში აშკარად წამყვანი როლი უჭირავს დისკოიდალურ და პრიზმულ-კონუსურ ნუკლეუსებს; 2. მრავალრიცხოვანია და მრავალფეროვნად გამოიყურებიან საფხეკები. 3. საჭრისები უმნიშვნელოდაა წარმოდგენილი; 4. სულ სამ-სამი ან ოთხ-ოთხი ეგზემპლარითაა წარმოდგენილი სხვა დანარჩენი იარაღები (დანები, ხიწვები, სახვრეტები); 5. გრავეტისებური და საერთოდ გვერდდამლაგებული ლამელების მაღალი პროცენტია; 6. შატელპერონისებური იარაღები საკმაო რაოდენობითაა; 7. იარაღთა უმეტესობა (საფხეკები, საჭრისები) დამზადებულია გვერდრეტუშიან ლამელა-ანატკეცებზე. ხშირად დაკბილულ ლამელებზე; 8. თვით ლამელები და მიკროლამელები მეტწილად ურეტუშოა; 9. ლამელებში მნიშვნელოვანი სერიითაა წარმოდგენილი ორნინაკული ლამელები; 10. ლამელებსა და ანატკეცებზე დამზადებულ იარაღთა თანაფარდობა თითქმის თანაბარია; 11. რეტუშის სახეებიდან ჭარბობს უსახო-ფაქიზი, მეორე ადგილზეა ბლაგვი-ციცაბო, ვერტიკალური და ბლაგვი-დამრეცი, მესამეზე კი დამრეცი, გვხვდება შემდწეკი რეტუშიც.

თუ ბავრას ქვის ინდუსტრიის ზემოჩამოთვლილ მახასიათებლებს განმსაზღვრელ კრიტერიუმად მივიჩნევთ, მართლაც დავიწმუნდებით მის ტიპოლოგიურ ერთფეროვნებაში. ამავე დროს, ისიც აშკარაა, რომ ძეგლი ძალიან თავისებური ჩანს. სხვა მსგავსი დაჯგუფების დასახელება ძალიან გაგვიძნელდება.

ადვილი შესაძლებელია, რომ კომპლექსი შეესაბამება ქვის იარაღთა დამზადების ტექნიკის გარკვეულ ტრადიციებს და ამიტომაც ჩამოთვლილი დამახასიათებელი ნიშნები, მას თავისებურ ფაციესს ელფერს აძლევს. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ გამოვყოთ ცალკეული შემთხვევები, რომლებიც უფრო მის ქრონოლოგიურ საფეხურს განსაზღვრავენ, ვიდრე ამა თუ იმ კულტურისადმი კუთვნილებას. მაგალითად, შატელპერონის ტიპის მსგავსი დანები დამზადების ტექნიკის თვალსაზრისით, შესაძრნეკ სერიას შეადგენენ ამ სადგომში. ესაა ლამელები განერი მორკალული ზუბრით, რომელიც დამუშავებულია ვერტიკალური ორმხრივი რეტუშით, ასეთი იარაღები გავრცელებულია საფრანგეთის ლა-გრავეტის ზედაპალეოლითური სადგომის ბეიაკის კულტურაში. 1. 2. აქ მათ უწოდებენ შატელპერონის ტრადიციების მატარებელ იარაღებს. ბევრია ისინი აგრეთვე საფრანგეთის ორნინაკისა და პერიგორდის მთელ რიგ ძეგლებში[3]. მსგავსი ფსევდოშატელპერონის დანები გვხვდება იაბრუდ I-ის მე-15 ფენაში, რომელიც პროორინიაკს მიეკუთვნება[4].

---

[1] F. Lacorre La Gravette, 1960, Paris.

[2] M. Lenoir et S. Terraza, La Magdalenien superieur de l'abri Foustin Commune de Cessac (Gironde). BSPF, t. 68, fase. 1, 1971.

[3] D. de Sonneville-Bordes, Problèmes généraux du paléolithique supèrieur dans le Sud-Ouest de la France, L'Anthropologie, T—62, № 5—6, 1958.

[4] A. Rust, Die Höhlenfunde von Jabrud (Sirien), 1950.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ტაბ. II. 1 ლამელა რიტუშის კვალით; 2—11 სხვადასხვა ზომის ურიტუშო ლამელები; 12—18 გვერდდაბლაგვებული ლამელები, 19—21 შატელპერონ-სებური დანები; 22—26 თავიირიბრიტუშიანი ლამელების ფრაგმენტები; 27 გრავეტისმაგვარი იარაღი.

მეორე დამახასიათებელი ნიშანი ბავრას მღვიმისა ესაა გვერდდაბლაგვებული ლამელების შედარებითი სიჭარბე. აქ გვხვდება ძალიან განსხვავებული ტიპები: მიკროლითური, საშუალო და მოზრდილი ზომების. ყველაზე ნაკლებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ შორის მიკროლითური. რეტუში უმეტესად ვერტიკალური შემხვედრია, უფრო იშვიათად კი ლამელის ნაპირს გასდევს მხოლოდ ზურგის, ან მხოლოდ შუცლის მხრიდან. ჩამოთვლილი ტიპები არ წარმოადგენს ტიპიურ გრავეტის წვეტანებს, ან დანებს, მაგრამ დიდი სერიებითაა წარმოდგენილი ლა-გრავე-



ტაბ. III. 1 ბაზალტის დისკოსებური ნუკლეუსი; 2 ბაზალტის პრიზმული ნუკლეუსი, 3 ბაზალტის კონუსური ნუკლეუსი; 4—7 ბაზალტის დიდი ზომის ლამელები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტის ე. წ. საშუალო და დიდი ზომის გრავეტში, ასევე საფრანგეთის ორინიაკასა და პერიგორის ზოგიერთ სადგომში[5]. ასეთივე განიერი ბლადგი რეტუში გვხვდება იაბრუდ I-ის მე-15 ფენაში[6].

თავრეტუშიან ლამელებში გამოიყოფა მკვეთრი მახვილი კუთხით თავირიბრეტუშიანი ლამელები. მზგავსი ტიპები ძალიან დამახასიათებელია პალესტინის ერკ-ელ-ახმარის ზედაპალეოლითური სადგომისათვის და მას პალესტინურ წვეტიანებს უწოდებენ. აქვეა ბავრას იდენტური ამოღარული და დაკბილული ლამელები. ერკ-ელ-ახმარის საფხეკების ტიპები და მათი დამზადების ტექნიკა ახლოა ბავრას საფხეკების ტიპებსა და ტექნიკასთან. ამავე დროს ერკ-ელ-ახმარშიც საფხეკები ბევრია და საჭრისები კი უმნიშვნელო რაოდენობითაა წარმოდგენილი[7]. ტიპობრივად ბავრას მზგავსი საფხეკები, დამზადებული, როგორც ლამელებზე, ისე ანატკეცებზე (მათ შორის მრგვალიც) გვხვდება იაბრუდ 11-ის მე-7 ფენაში (ადრე ორინიაკი)[8] და ასევე დასავლეთ ევროპის ორინიაკში[9].

ბავრას მზგავსი პრიზმული და კონუსური ნუკლეუსები თითქოს მეორდება იაბრუდ 11-ის მე-4-5 შუა ორინიაკულ ფენებში, ამავე დროს, აქაც გავრცელებულია უსახო — წმინდა, დამრეცი და ბლადგი რეტუშები[10].

ასეთი მაგალითი კიდევ არაერთი შეგვიძლია დავსახელოთ, მხოლოდ ანლა ვამჯობინეთ მოკლედ შევეჩერდეთ საქართველოს ზოგიერთ ზედაპალეოლითურ ძეგლზე.

ბავრას ნუკლეუსები, განსაკუთრებით პრიზმული, ძალიან ემსგავსება ხერგულისკლდისას[11], მზგავსი ნუკლეუსები გვხვდება ასევე დევის ხვრელსა და საკაჭიაში. მიკრონუკლეუსები ჩამოთვლილ ძეგლებში ცოტაა, მაგრამ საშერცხლეკლდესა[12] და მღვიმევში[13] ისინი უკვე საკმაო რაოდენობითაა წარმოდგენილი. დევისხვრელის[14], საკაჭიას[16], და სამერცხლეკლდის[17] იარაღები დამზადებულია ასევე, როგორც ბავრაში ანატკეცებსა და ლამელებზეც, მაგრამ ამ სადგომებში ლამელები ჭარბობს, მაშინ როდესაც ბავრაში თანაფარდობა თითქმის თანაბარია. საქართველოს ყველა ჩამოთვლილ ძეგლში ბავრასაგან განსხვავებით, საფხეკებთან ერთად მრავლად გვხვდება საჭრისებიც.

---

[5] D. de Sonneville-Bordes, დასახ. ნაშრომი; D. de Sonneville-Bordes et J. Perrot, Lexique typologique da paléolithique superieur, BSPF, № 1, 1954.

[6] A. Rust, დასახ. ნაშრომი.

[7] И. И. Коробков, Палеолит Ближнего и Среднего Востока, Ленинград, 1978.

[8] A. Rust, დასახ. ნაშრომი.

[9] M. Lenoir et Terraza, დასახ. ნაშრომი.

[10] A. Rust, დასახ. ნაშრომი.

[11] ხერგულის კლდის 1971—72 წლის განათხარი კოლექცია, დაცული საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ქვის ხანის არქეოლოგიის განყოფილებაში.

[12] მ. ნიორაძე, სამერცხლეკლდის ზედა პალეოლითი, თბ., 1975.

[13] ნ. ბერძენიშვილი, მ. გაბუნია, მღვიმევის ზედაპალეოლითური სადგომის (მონოგრაფია) — ხელნაწერი.

[14] გ. ნიორაძე, პალეოლითური ადამიანი დევის-ხვრელში, საქ. სახელმწიფო მუზეუმის შრომები, ტ. VI, თბ., 1933.

[15] გ. ნიორაძე, ქვის ხანის ადამიანი საკაჭიას გამოქვაბულში, „ტექნიკა და შრომა", თბ., 1953.

[16] ნ. ბერძენიშვილი, მ. გაბუნია, დასახ. ნაშრომი.

[17] მ. ნიორაძე, დასახ. ნაშრომი, თბ., 1975.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვიმევსა და საკაჟიაში არის მიკროლითური მრგვალი საფხეკებიც. ხურგდაბლაგვული მიკროლამელები, გრავეტები, შატელპერონის ტიპის დანები გვაქვს დევის ხვრელში, საკაჟიასა და მღვიმევშიც. მაგრამ მათ ხურგი ბავრას მზგავსი განიერი რეტუშით არა აქვთ დამუშავებული. გრავეტები გვაქვს ხერგულის კლდეშიც.

ბავრას მღვიმის II კულტურულ ფენაში მოპოვებული არქეოლოგიური მასალის ანალიზი და მისი მსგავსება სხვა პალეოლითური სადგომების (სამერცხლეკლდე, საკაჟია, მღვიმევი, დევის ხვრელი და სხვ). ქვის იარაღებთან საკმარისად მეტყველებს იმაზე, რომ იგი ზედაპალეოლითის განეკუთვნება. მღვიმევში მოპოვებული წარმოების ნაშთების სიმრავლე და ხასიათი (სხვადასხვა ზომის ანატკეცები, ანამტვრევები, ნუკლეუსები) თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ქვის იარაღების დამზადება ადგილზე ხდებოდა.

ქვის ხანის ზედაპალეოლითური მონაკვეთი ქრონოლოგიურად მეოთხეული პერიოდის უკანასკნელ გაყინვარების ეპოხვეა. ჯავახეთის ზეგანს (ინანმედროვე ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობების (პირველ რიგში ჰიფსომეტრიული და კლიმატური) გათვალისწინებამ შეიძლება ეჭვი დაბადოს იმის შესახებ, თუ აღნიშნულ რეგიონში მეოთხეული პერიოდის უკანასკნელი გამყინვარების დროს ადამიანის ცხოვრებისათვის რამდენად ხელსაყრელი პირობები იქნებოდა.

ჯავახეთის ზეგანი ზ. დ. 1600—1800 მ მდებარეობს და საკმაოდ კონტინენტური ჰავით ხასიათდება. ახალქალაქის მეტეოროლოგიური სადგურის მონაცემებით იანვრის საშუალო ტემპერატურა — 7,2°-ია, აგვისტოსი 16.4°, საშუალო წლიური ტემპერატურა 5,3° არ აღემატება, ხოლო ატმოსფერული ნალექების წლიური ჯამი 606—700 მმ შეადგენს[18] თოვლის საბურველის ხანგრძლივობა, რომლის სისქე ზეგანზე არაუმეტეს 10—20 სმ, 4—5 თვეს გრძელდება. ცხადია, ვიურმული გამყინვარების დროს ჯავახეთის ზეგნის ჰავა თანამედროვეესთან შედარებით, გაცილებით მკაცრი იქნებოდა, თუმცა ამჟამად არსებული პალეოგეოგრაფიული კვლევის შედეგები არ იძლევა იმის საშუალებას, რომ რამდენადმე მიახლოვებით მაინც იქნეს წარმოდგენილი ამ რაიონის მეტეოროლოგიური ელემენტების (ჰაერის ტემპერატურა, ნალექები და სხვ.) ხასიათი გამყინვარების დროს. პალეოგლაციოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით ჯავახეთის ზეგნის ფარგლებში აღმართულ სამსარ-კეჩუთის საშუალო მთიანმა რაიონმა ვიურმულ ეპოქაში განიცადა გამყინვარება, რომლის მორფოლოგიური კვალი აქაური მთების თხემურ ნაწილში კარგად არის შემორჩენილი, მაგრამ ისიც ცნობილია, რომ გამყინვარებას აქ გაცილებით ნაკლები მასშტაბები ჰქონდა ვიდრე კავკასიონის მთავარ ქედზე. ჯავახეთის ზეგანზე ძველმყინვარეული რელიეფის და ნალექების გავრცელებით ირკვევა, რომ ვიურმული გამყინვარების დროს მყინვარებით ძირითადად დაკავშირებული იყო მთათა თხემური ზოლი ზღვის დონიდან 2800 მეტრზე მაღლა. მხოლოდ ზოგიერთი მყინვარის მოქმედების სუსტი კვალი შეიმჩნევა ალაგ-ალაგ უფრო დაბლა —2 400 მ-მდე[19]. ასეთ პირობებში დასაშვებად მიგვაჩნია, რომ ჯავახეთის ზეგნის ბრტყელი ნაწილი ვიურმული გამყინვარების დროს მთის სტეპებით იყო შემოსილი, რაც სხვათაშორის ბავრას

18 შ. ჯავახიშვილი, საქართველოს სსრ კლიმატოგრაფია, თბ., 1977, გვ. 236.
19 ლ. მარუაშვილი, საქართველოს ფიზიკური გეოგრაფია თბ., 1970, გვ. გვ. 347.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მღვიმეში მოპოვებულ გარეულ ცხოველთა ძვლოვანი მასალის ანალიზითა და ამავე მღვიმის ფსკერზე დალექილი ნაფენების პალინოლოგიური მონაცემებით დასტურდება.

მღვიმეში ჯერ არ არის შემორჩენილი, მაგრამ ძირითადი არქეოლოგიური მასალა მოპოვებულია ნაცროვან შრეში, სადაც ნახშირის ნამცეცებიც გვხვდება. ბავრელების საარსებო საშუალებას ნადირობა წარმოადგენდა, რაც ცუდად შემონახული ფაუნისტური კომპლექსიდანაც ჩანს.

მიუხედავად ფრაგმენტულობისა იგი თავისი შემადგენლობით საკმაოდ მრავალფეროვანია. ა. ვეკუას მიერ აქ შესწავლილია 108 დასახელების ძვალი და დადგენილია შემდეგი სახეები: ომანა (Cracetus sp.), მემინდვრია (Pytimis sp.), თუმცა, კერძოდ რომელი ვერ განისაზღვრა, მგელი (Canis lupus), მელა Vulpes vulpes), ცხენი (Equus caballus var strictipes) გარეული ღორი (Sus serofa), გარეული ცხვარი (Ovis sp.), გარეული თხა (Capra sp.), ირემი (Cervus elaphus), და ბიზონი (Bison sp.); ფრინველებიდან ნ. ბურჩაკ-აბრამოვიჩის მიერ (დადგენილია გარეული ქათამი (Gallus sp.), გარეული იხვი, ამიერკავკასიური გნოლი.

ძვლის მასალის სიმრავლით ყველაზე კარგადაა წარმოდგენილი გარეული ცხენი (63 ძვალი), მეორე ადგილზეა ბიზონი (53 ძვალი), ხოლო მესამეზე გარეული ცხვარი (18 ძვალი) დანარჩენი ცხოველები თითო-ოროლა ძვლითაა წარმოდგენილი.

მზგავსი ფაუნა სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე ბინადრობდა პლეისტოცენის მეორე ნახევარში და ჰოლოცენის პირველ ნახევარში. ამავე დროს ბავრას მღვიმის ცხენების ნაშთების დეტალური შესწავლის საფუძველზე იჩქვევა, რომ ეს ფაუნა ზედაპლეისტოცენზურზე უფრო გვიანდელი არ უნდა იყოს. ამ მოსაზრებას ადასტურებს ბავრას ცხენის ზედა და ქვედა კბილების საღეჭი ზედაპირის აღნაგობა, რითაც იგი დიდ მზგავსებას ამყოვანებს აღმოსავლეთ საქართველოში დადგენილ ნამარხ წვრილთითია ცხენებთან (Equus caballus var strictipes), რომელთა გავრცელება პლეისტოცენის ზედა საზღვარს არ უნდა სცილდებოდეს. ამ ფაუნის ეკოლოგიური ხასიათის მიხედვით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ აქ ძირითადად გაბატონებული ყოფილა ტყე-სტეპის პირობები, შედარებით მშრალი ჰავით.

ბავრას მღვიმის ჭრილიდან აღებულია 16 ნიმუში პალინოლოგიური ანალიზისათვის. მტვრისა და სპორების კონცენტრაცია ამ ნიმუშებში არათანაბარია. ჭრილის ქვედა ნაწილში, რომელიც გენეტიკურად წარმოდგენილია რიყის ქვითა და ხრეშით მტვრისა და სპორების რაოდენობა მკვეთრად კლებულობს. მცირე რაოდენობითაა მტვერი 60—70 სმ სიღრმეზეც. მიუხედავად ამისა, მთლიანად ყოველი ნიმუშიდან დათვლილია მტვრიანის არანაკლებ 300 მარცვალი და სპორი.

სპორო-მტვრიანის სპექტრებიდან და თანამედროვე დანალექების მტვრის სპექტრებიდან გამომდინარე შეიძლება დავუშვათ, რომ აღნიშნულ რაიონში შესწავლილი ნალექების სიზრქის დაგროვების განმავლობაში მცენარეულობამ არაერთხელ განიცადა ცვლილება.

სულ ქვედა ნალექების მტვრის სპექტრის ფორმირების დროს მდ. ფარავნის ხეობაში იზრდებოდა წიფლისა და რცხილის ტყეებით დაფარული უბნები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლომდებარე მთათა ფერდობების დიდი ნაწილი იყო უტყეო, ფიჭვისა და სოჭის ტყეები ვრცელდება უმნიშვნელო ფრაგმენტებად.

ამ ფენაში გვიმრისა და ბოსტნის იის სპორების არსებობა მიუთითებს იმ დროს ჰავის ჰუმიდურ პირობებზე. დღესდღეობით ბოსტნის ია წარმოადგენს მცენარეულობის მეზოფილურ ელემენტს. შემდგომ კულტურული ფენის წარმოშობის დროს 110—150 მ სიღრმეზე ამ ხეობაში დაიწია წიფელისა და რცხილას როლმა, სჭარბობს მურყანი.

გარეუბნებში გაიზარდა ფიჭვისა და სოჭის ტყეები. კედრის მტვერი უნდა გადმოტანილად ჩაითვალოს.

ბალახეული მცენარეულობის ასოციაცია შედგენილია ძირითადად სხვადასხვა რთულყვავილოვნებისაგან მარცვლეულის მცირე მინარევით, ცენოპოდიაციებისა და ავშანისაგან.

შემდგომ იზრდება ქსეროფიტული მცენარეულობის ელემენტების როლი, რაც, როგორც ჩანს გამოწვეული იყო ჰავის დათბობითა და გამოშრობით (80—110 სმ სიღრმეზე), მაქსიმალურ მნიშვნელობას აღწევს ავშანთა, ცენოპოდიაციებისა და ეფედრას როლი, რომლებიც მშრალი მთის სტეპების ედიფიკატორებად ითვლებიან.

ფიჭვის ტყეებს მეტი გავრცელება ჰქონდათ ვიდრე წინა პერიოდში. ამ ტყეებით დაფარული იყო მომიჯნავე მთების კალთები. უფრო მაღალ ჰიფსომეტრიულ დონეებზე იზრდებოდა ნაძვის ტყის ფრაგმენტები. 50—80 სმ სიღრმის მტვრის სპექტრიდან გამომდინარე შეიძლება დავადგინოთ, რომ ჰავის არიდიზაციის პროცესი რამდენადმე შეჩერებული იყო. ქრება ეფედრას მტვერი. მცირდება ავშანისა და ცენოპოდიაციების მტვრის რაოდენობა.



სურ. 3. ბავრას დანალექების პალინოლოგიური ანალიზის დიაგრამა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზედა ფენის დალექვის დროს იზრდება ფიჭვისა და ნაძვის ტყეების ფართობი, რაც, როგორც ჩანს, გარდა კლიმატური ცვლილებებისა წარმოადგენს ასევე, ანთროპოგენული ზემოქმედების შედეგს. ბალახეულ მცენარეთა შორის იზრდება მარცვლეულის როლი, სადაც საკმაო მნიშვნელობას იძენენ კულტურულ მცენარეთა სახეები. ამგვარად, აღნიშნული ნალექების პალინოლოგიური ანალიზის შედეგები (იხ. თანდართული დიაგრამა — სურ. 3) მოწმობს, რომ ბავრას მღვიმეში პალეოლითელი ადამიანის ცხოვრების დროს, ჯავახეთის ზეგანზე, ძირითადად ბალახეული ფიტოცენოზები იყო განვითარებული.

დას. საქართველოს მღვიმური ნალექების კომპლექსური შესწავლით ირკვევა, რომ ვიურმული გამყინვარების დროს ზამთრის სეზონი თანამედროვეებთან შედარებით ხანგრძლივი და გაცივებით მკაცრი იყო, ზაფხული კი ჰავის პირობებით რამდენადმე არსებითად არ განსხვავდებოდა ამჟამინდელისაგან[20]. ნაწილობრივ ამ გარემოებით ხსნიან იმ ფაქტს, რომ რუსეთის ვაკეზე და ციმბირში ვიურმული გამყინვარების დროს ზედაპალეოლითელი ადამიანი სახლობდა. მაგალითისათვის შეიძლება დავასახელოთ ზედაპალეოლითური სადგომი ხოტილოვო (რუსეთის ვაკე), რომლის რადიონახშირბადული ასაკი 23660=270 წელია და რომლის არსებობაც ემთხვევა ვიურმული გამყინვარების მაქსიმალური განვითარების ფაზას. ზედაპალეოლითელი ადამიანის მიერ ამ სადგომის გამოყენების დროს აქ ზამთრის ტემპერატურა 18°-მდე ეშვებოდა, ხოლო ივლისისა +17° შეადგენდა[21].

კარგადაა ცნობილი, რომ ვიურმული გამყინვარების დროს მეტად მკაცრი კონტინენტური ჰავის პირობებში ზედაპალეოლითელ ადამიანს ათვისებული ჰქონდა ციმბირის ტერიტორია (კოკორევო II, ჩერიომუშკა, დაშტიკი და სხვ.). სავარაუდოა, რომ აღნიშნული სადგომების გავრცელების რაიონებში ვიურმული გამყინვარების დროს ჰავის პირობები გაცილებით მკაცრი უნდა ყოფილიყო ვიდრე ჯავახეთის ზეგანზე. აქ ნიშანდობლივად ისიც უნდა მივიჩნიოთ, რომ სწორედ გამყინვარების დროს წარმოიქმნა მარადი მზრალობა ციმბირის ვრცელ ტერიტორიაზე, რაც, როგორც რელქტური ფენომენი დღემდე შემორჩა ამ მხარეს. მსგავს მოვლენას ჯავახეთის ზეგანზე ადგილი არ ჰქონია, რაც ვიურმში მისი ჰავის ნაკლებ სიმკაცრეზე მეტყველებს.

ზემოთაღნიშნული ფაქტები მოწმობენ, რომ ვიურმის ხანაში ჯავახეთის ზეგნის ბუნებრივი გარემო ზედაპალეოლითელ ადამიანს თავისუფლად შეეძლო გამოეყენებინა საცხოვრებლად.

აქ მოყვანილია ბავრას მღვიმის წინასწარული კვლევის შედეგები.

---

[20] Изучение пещер Колхиды, Тб., 1978, გვ. 293.

[21] А. А. Величко, Х. А. Арсланов, Е. Н. Куренкова, Доклады АН СССР, 1976, т. 228, № 3, გვ. 713—716.

М. К. ГАБУНИЯ, А. К. ВЕКУА, Ч. П. ДЖАНЕЛИДЗЕ, Э. К. КВАВАДЗЕ

ПЕРВАЯ ВЕРХНЕПАЛЕОЛИТСКАЯ СТОЯНКА НА ДЖАВАХЕТСКОМ ПЛОСКОГОРЬЕ (БАВРСКАЯ ПЕЩЕРА I)

Резюме

В данной статье вниманию специалистов предлагаются предварительные данные комплексного изучения (геоморфологическое, палеогеографическое, палеонтологическое, палинологическое и археологическое) нового археологического материала, обнаруженного в с. Бавра (южная часть Грузии, Ахалкалакский район).

Стоянка представляет собой небольшую пещеру. Она находится на высоте 9 м от уровня реки и 1800 м над уровнем моря. Пещера выработана в долеритовых лавах верхнеплиоценового и нижнеплейстоценового возраста.

На основании анализа археологического и палеонтологического материала выяснилось, что в пещере сохранились следы хозяйственной деятельности мезолитского и верхнепалеолитского человека. Общая мощность пачки слоев в продольном разрезе 2—2.10 м.

На раскопанной площади найдено 3771 единица базальтовых и обсидиановых изделий.

Суммируя характерные черты верхнепалеолитского слоя (сл. III) Бавركой пещеры заметим следующее: в ее технике явно преобладают призматические, конические и дисковидные нуклеусы; много и разнообразно выглядят скребки; незначительно число резцов и мало других видов орудий (ножей, стамесок, проколок); высок процент граветтообразных форм; в достаточном количестве имеются шательпероновидные орудия; значительной серией представлены ориньяковидные пластины; пластины и микропластинки большей частью без вторичной обработки.

Типологический состав материала, соотношение форм и технических приемов, сопоставление с рядом западногрузинских, западноевропейских и ближневосточных памятников позволяют отнести комплекс Бавركой пещеры к верхнему палеолиту.

Из фаунистических остатков стоянки распространены: хомяк, волк, лиса, дикая лошадь, дикий кабан, дикая овца, козел, олень, баран и по определению Н. И. Бурчак-Абрамовича орнитофауна — дикая курица, дикая утка, закавказская куропатка.

Результаты палинологического анализа всей стратиграфической колонки показали, что в Бавركой пещере во время обитания верхнепалеолитского человека в основном был распространен травянистый фитоценоз.

Бавركая пещера тем более привлекает внимание, что она является первой находкой верхнего палеолита в данном регионе Грузии.

წარმოდგენა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის არქეოლოგიური კვლევის ცენტრმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჟუჟუნა ერიაშვილი

ამანათობის საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში

გამომცემლობა „მეცნიერებამ“ რუსულ ენაზე გამოსცა ეთნოგრაფ. მ. კანდელაკის მონოგრაფია „Из общественного быта горцев Грузии—институт аманатства“, Тб., 1987, რომელშიც ავტორი, სწავლობს რა ამანათის ინსტიტუტს, აიგივებს მას მოსულის ინსტიტუტთან: 1) „На примере института аманатства обретает ясность вопрос о „коренных“ (мквидри) и „пришлых“ (мосули) жителях горских общин. Изучение аманатства свидетельствует, что **понятия „аманат“ и „мосули“ едины в своем значении**“ (გვ. 133); ანდა: 2) „Другое мнение по этому вопросу см.: Эриашвили Ж. Г. „Древнейшие“... где автор резко противопоставляет „мосули“ (**аманат**) и мквидри друг другу. ... по сей день в среде горцев термин „мосули“ (грамматическое причастие от глгола „мосвла“—приходить) в отличие от равнины (?) не несет социальной нагрузки“. (გვ. 134). მოსულისა და ამანათის ინსტიტუტების გაგივების ხაზი გატარებულია დასახელებულ ნაშრომში თავიდან ბოლომდე.

წინამორბარე რეცენზიაში შეეხებით სწორედ ამ საკითხს, კერძოდ, არის თუ არა მოსული და ამანათი ადექვატური ინსტიტუტები.

წინასწარ უნდა შევნიშნოთ, რომ მოსულისა და ამანათის ინსტიტუტების გაიგივება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება; ეს ნიშნავს მთელი მიგრაციული პროცესების ამანათობამდე დაყვანას[1], რაც, რბილად რომ ვთქვათ, უხეში შეცდომა იქნებოდა. ამ გაიგივებამ მიიყვანა სწორედ ნაშრომის ავტორი ასეთი განცხადებამდე: **В этой связи не лишено интереса** замечание тушин—старцев о том, **что вся Тушети представляет собой сборище пришедших из различных горных, также низинных уголков Кавказа** аманатов (Хевсурети, Пшави, Кистети, Дагестани, Имерети, Картли)“ (გვ. 15). მიგრაციული პროცესები, სხვა კუთხეებთან შედარებით, შესაძლოა ცოტა მეტად იგრძნობოდეს თუშეთის მაგალითზე, მაგრამ იმის თქმა — ინტერესმოკლებული არ არის იმ მთხრობელთა აზრი, რომელთა მიხედვით მთელი თუშეთი ამანათებით (კაცისმკვლელებით და სხვ.) იყო დასახლებულიო, უხერხულად გვეჩვენება.

ამანათობის ისეთი დასასრული, როდესაც ამანათად წასული მკვლელი ვერ შეურიგდებოდა მოსისხლეს, ერთ-ერთი წყარო ხდებოდა მოსუ-

---

1 ზოგიერთი ახალგაზრდა მეცნიერის მიერ გამოქვეყნებულ ნაშრომში უკვე იგრძნობა ტენდენცია, რომ ყოველგვარ მიგრაციას ამანათობა უწოდოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობისათვის. მაგრამ ეს იმას არ ნიშნავდა, რომ ამანათის სტატუსი მოსულის სტატუსის ადექვატური იყო.

ამანათობას ჰქონდა თავისი დასაწყისი და დასასრული (ამანათობას თავისი ვადა ჰქონდა). ის რაც ამანათობის დასაწყისსა და დასასრულს შორის იყო მოქცეული, იყო ამანათობის შინაარსი და მისი სტატუსის განმსაზღვრელი.

დასასრული ამანათობას შეიძლება ორნაირი ჰქონოდა: 1) როდესაც ამანათი შეურიგდებოდა მოსისხლეს და საცხოვრებლად თავის თემს უბრუნდებოდა (!) 2). ამანათობა თავრდებოდა მაშინაც, როდესაც ის ვერ შეურიგდებოდა მოსისხლეს და იძულებული იყო ახალ თემში დასახლებულიყო. ეს ახალი თემი შეიძლება ოგივე ყოფილიყო, სადაც აქამდე ამანათად იმყოფებოდა, უმეტესწილად კი იგი ტოვებდა მას, რითაც შურისმაძიებელთ გზაკვალს ურევდა და იწყებდა მოძრაობას უფრო შორეული, ისეთი უცხო თემებისკენ, სადაც მოსისხლეს თვალი და ყური ადვილად ვერ მისწვდებოდა[2]. მაგრამ ამ ახალ, შორეულ თემში იგი ამანათად კი აღარ მოდიოდა (ამანათად მიმიღეთო, ამას კი აღარ ითხოვდა) (!), არამედ მუდმივ საცხოვრებლად, თემის წევრად და მოსულის სტატუსით მკვიდრდებოდა[3], ე. ი. ამანათი თემის მოსახლეობის იმ კატეგორიაში გადავიდოდა, რომელსაც „მოსული ერქვა (მკვიდრის საპირისპიროდ). თემში, რა თქმა უნდა, იცოდნენ, რომ იგი „ამანათად ნამყოფი"[4] იყო (!).

ამანათობა ერთადერთი წყარო კი არ იყო, რომელიც თავისი ცუდი გამოსაელის შემთხვევაში (მოსისხლესთან შეურიგებლობის შემთხვევაში) მოსულის კატეგორიის მოსახლეობას უერთდებოდა, არამედ ერთ-ერთი და ისიც არც თუ ძლიერი წყარო.

ამრიგად, ვიმეორებთ, ამანათობის ისეთი დასასრული, როდესაც მკვლელი ვერ შეურიგდებოდა მოკლულის ოჯახსა და ნათესავებს, იყო დასაწყისი მოსულობისათვის. აქ იყო ამანათობისა და მოსულობის შეხების წერტილები. როგორც უკვე აღვნიშნავდით კიდეც, შეხების წერტილები ჩნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მკვლელი (მოკვეთილი და სხვ) ვერ შეურიგდებოდა ძველ თემს. პირველ შემთხვევაში კი, როდესაც იგი უერიგდებოდა მოსისხლეს, მოსულობასთან შეხების ეს წერტილები არარსებობდა.

მოსულობას მხოლოდ დასაწყისი ჰქონდა, დასასრული კი არა, ე. ი. განსხვავებით ამანათობისაგან, მას თავისი ვადა არ ჰქონდა. ამანათობის ვადა იყო სამ, ან ხუთ წლამდე. ამანათი იყო შურისძიებისგან თავგარიდებული, უცხო თემში საცხოვრებლად მანამდე მყოფი, ვიდრე შერიგებაარ მოხდებოდა. ამდენად, ის ამ თემის დროებითი მაცხოვრებლის კატეგორიაში ითვ-

---

2 თემის არჩევაში მიწის საკითხიც იყო გადამწყვეტი, რაზეც ავტორიც ამახვილებს ყურადღებას.

3 ამანათად კი მეთემე უფრო ახლომდებარე თემებში მიდიოდა, რომ თავის ძველ თემთან კავშირი ადვილად დაემყარებინა იმ წესების შესრულებაც არ გაძნელებოდა, რომელსაც მოსისხლესთან შესარიგებლად ასრულებდა; მაგ., როგორც იყო „ხატში შეკდომა" და სხვა მრავალი.

4 „ამანათად ნამყოფი" ადგილობრივი (მთიანეთის) ტერმინია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლ ებ ოდ ა. ეს კარგად ჩანს თუნდაც ამანათის დასაფლავების წესიდანაც. თუ ამანათს მოსისხლე მოკლავდა. ახლო ნათესავები მის გვამს გამოითხოვდნენ, ძველ თემში წაასვენებდნენ და იქ დასასაფლავებდნენ, როგორც ამ თემის წევრს. იქვე ბრუნდებოდა მისი ოჯახიც. მ ო ს ულ ი კი ახალ საცხოვრებელ თემში იმარხებოდა[5].

რა მასალებს ეყრდნობა ზემომოტანილი მსჯელობა?

ჯერ კიდევ ადრე გვქონდა შემჩნეული, რომ ალ. ოჩიაური თავის მასალებში აშკარად ასხვავებდა ერთმანეთისაგან მოსულსა და ა მ ა ნ ა თ ს. მაგ., ჭიჩის თემში მოსახლე ბურდულის ეკარს იგი უწოდებს მ ო ს ულ ს და აი, რას სწერს შემდეგ მის შესახებ: „ბურდული რა მიზეზით მოსულა, არაგინ იცის. უფრო ამბობენ, კაცის მკვლელი გამოხიზნულა და ჭიჩის თემს მიკედლებია. ბურდული ჭიჩის თ ე მ ს პ ი რ ვ ე ლ ად ი ს ე მ ი უ ღ ი ა, რ ო გ ო რ ც ა მ ა ნ ა თ ი (!). მერე კი ადგილიც მიუცია და თავის სასოფლო და სათემო სალოცავების ყმად ვაუხდია“ (ალ. ოჩიაური, ფშაური ხალხური დღეობები, გვ. 334).

დიდი დაკვირვება და ანალიზი არ სჭირდება, მე მგონია, იმას რომ აღნიშნული ნაწყვეტის მიხედვით ამანათობაში მიწის მიცემა და სასოფლო და სათემო სალოცავების ყმობა არ შედის. ე. ი. ამანათი სალოცავების ყმა არ არის, მას არა აქვს მიწის ნაკვეთი (რა თქმა უნდა, იგულისხმება მიწის მფლობელობაში მიცემა და არა მისით დროებით სარგებლობა; ამანათს დროებით სარგებლობაში აძლევდნენ ხოლმე მიწის ნაკვეთს). ანდა, უკანაფშავის თემის ვაკისოფელში ერთ-ერთი მოსულის შესახებ ალ- ოჩიაური წერს: „ამათი პაპა, ე. ი. წინაპარი, ყოფილა თუში ჩაღმა. ისიც შემოხიზნულა ამ თემში, დაყმობია წყაროსთაოსს და გახდილა ამ თემის წევრი... რაღაც შემთხვევით, ამათი გვარი, ამათ თემს კ ა რ გ ად ვ ე რ შ ე უ თ ვ ი ს ებ ი ა.; მ ა მ უ ლ ებ ი დ რ ო ზ ე ა რ მ ი უ ც ი ა და ჩ ვ ე ნ ამ დ ი ნ თ ი თ ქ მ ი ს მ ო ა ხ წ ი ა, რ ო მ ა მ ა თ გ ვ ა რ ი ს კ ა ც ებ ს ა მ ა ნ ა თ ებ ს ე ძ ა ხ დ ნ ე ნ: შ ე ნ ა ქ რ ა გ ე კ ი თ ხ ებ ა, ა მ ა ნ ა თ ი ხ ა რ ო. მ ა მ უ ლ ებ ი ც გ ვ ი ა ნ დ ა ი ჭ ი რ ე ს, ხ ა ლ ხ ი ა რ ა ნ ე ბ ებ ბ ა. ხ შ ი რ ა დ ე ტ ყ ო დ ნ ე ნ, თ ქ ვ ე ნ ს ა ი დ ა ნ ა ც მ ო ს უ ლ ხ ა ო ნ ,, ი ქ წ ა დ ი ო, ა ქ თ ქ ვ ე ნ მ ა მ უ ლ ს ვ ი ნ მ ო გ ც ე მ თ, გ ა ნ ა ა ქ ა ო რ ი მ ი წ ა-თ ი ჯ ა თ შ ვ ი ლ ებ ი ხ ა რ თ-ო“ (იქვე).

არც აქ არის დიდი დაკვირვება საჭირო და სრულიად აშკარაა, რომ აქ ამანათობა ნახსენებია აღნიშნული გვარის (მ ო ს უ ლ ი ს) იმ მდგომარეობის გამოსახატავად, როდესაც მას მიწა არა აქვს (თემი ვერ შეეთვისა და არ მისცა. ამ გვარის წარმომადგენლებს იმიტომ კი არ ეუბნებოდნენ „ამანათი ხ ა რ ო“, რ ო მ ი ს ი ნ ი ი მ დ რ ო ს ა მ ა ნ ა თ ებ ი ი ყ უ ვ ნ ე ნ, არამედ მათი მდგომარეობა — უმიწოდ ყოფნა, ამანათობასთან არის გატოლებული და გაიგივებული; თქვენ თემის წევრები კი არა ხართ, ამანათები ხართო და მიწას ვინ მოგცემთო.

ამ ნაწყვეტებიდან ჩანს, რომ: ა) ამანათია ის, ვისაც თემში მიწა არა აქვს (მფლობელობაში — ჯ. ე.); ბ) ამანათი თემის „მიწა-თიკათ შვილი“ არ არის, ე. ი. თემის წევრი არაა და არც ამ თემის ჯვარ-ხატების ყმაა. აი, რას ამბობს, ამანათის გასაგონად, ერთ-ერთი მეთემე: „...ამანათსაც გონ უნდა ხქონდეა, ამანათსაც უნდა აკსონდას, რო ი ს ა მ ა ნ ა თ ი ა ს, ი ს ა ქ ა ო რ ი ა რ ა ს, ა რ ც წ ყ ა ლ -ა დ გ ი ლ ი ს პ ა ტ რ ო ნ ი ა ქ ა ო რ ი ს ა, ა რ ც ჯ ვ ა რ ი ს ყ მ ი ი

5 ზოგჯერ მ ო ს უ ლ ს (მის შთამომავლობას) ცალკე ჰქონდა სასაფლაო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ას აქაურისა“ (გვ. 6, M′ 86. II ნაწ.). მაშ, ვინ იყო ამანათი? ის იყო უ ყ მ ყ მ ა: „ამანათს სოფლის ხალხს იმედი ჰქონდა, რადგან ჯვარში საკლავით შეეხვეწა ჯვარსა და ჯვარის ყმათ და, მაშასადამე, არავინ უღალატებდა და ყველა დაიცავდა. მაგრამ, ამას უფრო მეტად ჯვარის იმედი ჰქონდა, ის უშველიდა და მტერს არ გაამარჯვებდა შ ე მ ო ხ ვ ე წ ი ლ უ ყ მ ო ყ მ ა ზე (უ ყ მ ო ყ მ ა ს უ ფ რ ო პ ა ტ რ ო ნ ა ს ს დ ა ე შ ვ ე ლ ე ბ ა ო, რ ო მ ე ლ ი ც შ ე ხ ვ ე წ ე ბ ა ო, ი ტ ყ ო დ ნ ე ს“ გვ. 2. M′86. II).

ჩვენ ეჭვი არ გვეპარება, რომ ეს მასალები ნაშრომის ავტორისათვის ცნობილია. „მისი აზრითაც, ამანათობა მთავრდება მაშინ, როდესაც მას მიწას მისცემენ მფლობელობაში (გვ. 46), მაგრამ, რ ა ტ ო მ ღ ა ც ა მ ა ნ ა თ ი ს ს ტ ა ტ უ ს ში ა მ მ ა ს ა ლ ე ბ ი დ ა ნ გ ა მ ო მ დ ი ნ ა რ ე დ ა ს კ ვ ნ ე ბ ი ა რ ა ი ს ახ ა. წ ი ნ ა ა ღ მ დ ე ვ ე შ ე მ ო ხ ვ ე ვ ა ვ ში, ა ვ ტ ო რ ი ა მ ა ნ ა თ ი ს ა დ ა მ ო ს უ ლ ი ს ინ ს ტ ი ტ უ ტ ებ ს ე რ თ მ ა ნ ე თ თ ან ა ღ ა რ გ ა ა ი გ ი ვ ე ბ ა. მ ო ს უ ლ ი, როგორც ეს ჩვენ ნაშრომში არაერთხელ არის ხაზგასმული, ჯ ვ ა რ-ხ ა ტ ებ ი ს უ ყ მ ა ა დ ა მ ი წ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ი ც გ ა ხ ლ ა ვ თ. მხოლოდ მას ეს თემის წევრობა, ჯვარ-ხატების ყმობა და მიწის მფლობელობა განსაზღვრული წესების შესრულების შედეგად აქვს მოპოვებული. აგრეთვე მოსულად წოდებული ჯვარის თითოეული კომლი ყოველწლიურად ჯვარ-ხატს მსხვერპლად სწირავს ერთ საკლავს, ლუდს, არაყს და სხვ. მოსულს ჯვარის წარმომადგენელი **საერთო სათემო სალოცავში** ვერ დადგება ხელოსნად (ხევსურეთში) და ხევისბრად (ფშავში). ჯვარ-ხატში ხელოსნად და ხევისბერად დადგომის უფლება აქვთ მხოლოდ მოსულთა შემდეგ კატეგორიას: მოყვანილ-მოწვეულთ. და ისეთ მოსულებს, რომლებსაც თემის წინაშე რაიმე დამსახურების გამო (ბრძოლებში თავის გამოჩენის, თემის მიმართ განსაკუთრებული ერთგულებით თავის გამოჩენის და დამსახურების) ჯვარ-ხატი ხ ე ლ ს დ ა ს დ ე ბ ა დ ა ჯ ე ლ დ ე ბ უ ლ ყ მ ე ბ ა დ აქ ც ე ვ ე ს. მ ო ყ ვ ა ნ ი ლ-მ ო წ ვ ე ულ თ ა დ ა ჯ ე ლ დ ებ ულ თ ა გ ან კ ი უ ქ ვ ე დ გ ებ ო დ ა თ ი თ ო-თ ი თ ო ნ ო ხ ე ვ ი ს ბ ე რ ი. ხ ო ლ ო ნ რ ო დ ე ს ც ა ა მ ა ნ ა თ ი ჯ ვ ა რ-ხ ა ტ ი ს უ ყ მ ა დ ა მ ი წ ი ს მ ფ ლ ო ბ ე ლ ი გ ა ხ ლ ე ბ ა, ი ს ა მ ა ნ ა თ ი ა ღ ა რ ა ა, ი ს გ ა ხ ლ ა ვ თ თ ე მ ი ს მ ო ს ა ხ ლ ე ო ბ ი ს ს ხ ვ ა კ ა ტ ე გ ო რ ი ი ს — ე. წ. მ ო ს უ ლ ი ს წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ ი. მ ო ს უ ლ ი ს გ ან გ ა ნ ს ხ ვ ა ვ ებ ი თ, ა მ ა ნ ა თ ი ა რ ი ს თ ე მ ი ს ე რ ო ვ ნ ებ ი თ მ ა ცხ ო ვ რ ებ ელ ი. რა მასალები გვაქვს ამის შესახებ პირდაპირი და არაპირდაპირი?:

1) „ხევსურს რომ თავის სოფელში ცხოვრება აღარ შეეძლო მ ო ს ი ს ხ ლ ე ო ბ ი ს, ან რ ა ი მ ე ა მ გ ვ ა რ ი მ ი ზ ე ზ ი ს გ ა მ ო, რომელმე სოფელს შეარჩევდა და იქ წავიდოდა ამანათად. პირველად სოფელში თვალსაჩინო კაცთან მივიდოდა და მას თხოვდა დახმარებას, რათა სოფლელებს ნება დაერთოთ მათთან დროებითი ცხოვრებისა (!). მასპინძელი სამამანათოდ მოსულის სურვილს განუცხადებდა შეყრილ სოფელს და თავის მხრივ სთხოვდა. ნება დაერთოთ. სოფელი ამანათის მოსვლაზე იშვიათად იტყოდა უარს. როდესაც დათანხმდებოდნენ, მაშინ ამანათი და მასპინძელი ჯვარში ერთ საკლავს მიიყვანდნენ და ყველას დაუძახებდნენ. მოსულ ხალხს მასპინძელი ეტყოდა: „აი, ეს ს ტ უ მ ა რ ამ საკლავით თქვენ შამაგებარასთ ჯვარსაცად კაცსაც. ამ საკლავით ყველას გთხოვთ შაინახთა, დაინდვათ“. მერე ხუცესი საკლავს ამანათის სამწყალობნოდ დაკლავდა. ყველანი დაამწყალობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებდნენ ამანათსაც და სოფელსაც. ამის შემდეგ სოფელი ითვლებოდა ამ კაცის მფარველად, იცავდნენ მტრისაგან, ეხმარებოდნენ გაჭირვებაში. მას საჯვარო მამული და ნორი-სამი დღის მამულსაც მისცემდნენ. სტუმარი, მათი შეხედულებით, ხალხსაც და ჯვარსაც ეკუთვნოდა, რადგანაც საკლავით როგორც ერთს, ისე მეორეს მიებარა. ამანათი იცხოვრებდა ამ სოფელში, ვიდრე მისი სურვილი იქნებოდა. ((ალ. ოჩიაური, სტუმარ-მასპინძლობა, 1980 წ. 247—248). ამ მასალიდან გამომდინარე ა) ამანათი თემში მოდის დროებით მაცხოვრებლად: ბ) ამანათის სტატუსი თემში სტუმრის სტატუსთანაა შედარებული გ) არც ისაა შემთხვევითი, რომ ამანათობის საკითხი ალ. ოჩიაურმა „სტუმარ-მასპინძლობაში“ შეიტანა.

2) „ალარ ჭრის ამანათის ცელიო,
ამანათობა მასწყენივაო.
აეგრავ ამანათის ცოლსაო
დედათ ფერობა მასწყენივაო“
(ალ. ოჩიაური, ხევსურული მასალები, II, გვ. 3, 1949—50 წ. M^1_{86}).

ლექსიდან ჩანს, რომ ამანათი ახალ თემში ცხოვრობს, უკვე შრომით საქმიანობას ეწევა (ამ შემთხვევაში — თიბავს), ოჯახიც თან ჰყავს, მაგრამ მას მაინც მოსწყენდა ამანათობა, ე. ი. ის, რაც ამ ინსტიტუტში იგულისხმება. მოსწყენდა იმ „ჩარჩოს“ ფარგლებში ყოფნა, რომელშიც ის, როგორც ამანათი „ზის“, მოსწყენდა ის ყოფა, რომელსაც ამანათობა ჰქვია. ასევე („აეგრავ“) მოსწყენდა ამანათად ყოფნა მის ცოლსაც, კერძოდ, თემის მდედრობითი სქესის მოსახლეობისადმი თავისი მორჩილი, დამოკიდებული მდგომარეობა — „ფერობა“. მაშასადამე, ამანათობაში შედის მორჩილება, დამოკიდებულ მდგომარეობაში ყოფნა — პიროვნული უუფლებობა. აი, რას ამბობს ალ. ოჩიაური ამის თაობაზე: „ამანათობა ადვილი არ იყო. ამანათობა უძნელდებოდა ამანათსაც და იმის ცოლ-შვილსაც. საჭირო იყო მუდამ ხაორით და თავმდაბალ ქცევა სოფლელებთან. ამ სიძნელეზე პატარ-პატარა ნაწყვეტები არის კაფიებისა, რასაც „ცელისტარზე მთიბლურად გვრინავენ“:

„ღმერთო, უშველე ამანათსაო,
აკმაე ამანათობაიო“

ანდა:

„შე გორისციხელო ამანათო,
გულდარდიანო, ნწუხარეო.
არ ვიცმ ალარ გიჭრის ღულიო (ნამგალი),
არ ვიცმ ალარ გითიბს გულიო
სთაკილობ ამანათობასაო
ცრემლით მხერშაო ჭენცლისაო“
(გვ. 10—11. M^1_{86} . II).

ან: „ზოგიერთ სოფელს ქონდა სახელი გავარდნილი, რომ ამანათს კარგად ინახავდნენ, დახმარებას უწევდნენ, არავინ რას აწყენდა არც კაცს, არც დიაც-ყმაწვილს. მაგრამ მაინც ამანათს და მისი ოჯახის წევრებს თავდაბლად ქცევას სთხოვდნენ, როგორც ამანათს და ეგულდიდებოდნენ მათ“ (გვ. 3. M'_{86}, II).

ეროვნული ბიბლიოთეკა

3) აი, როგორ მიმართავს ამანათი იმ სოფლის ხალხს, რომელსაც თავი უნდა შეაფაროს: „...მამიშვით თქვენს სოფელში. მ ა ნ ა მ ნ ე ბ ა რ ა ი ს ა მ ე ქ ნ ე ბ ი ს ა დ' ს ო ფ ე ლ შ ი მ ი მ ი შ ვ ბ ე ნ, თორე მე იქნება დიდხანს არც კი დაგაღონნათ, იქნება ხვალავაც მკვლენ. თუ მიღმადლებთ ჯვართაცად' ღმერთსაც ჩემს აქ მაშობას, სხვასაც თუ ვერას გარგებთ, წყემს-მუშაში მაინც გამაგადგებით. მემრ იქნება ღმერთმ თქოსად მიაც რაში ვის გამაგადგათ. ...მცადეთად, თუ კი საძმოდად სასოფლოდ ცუდ ვიქნები, მაშინაც შაგიძლავთ გამაგადათ. ა მ ა ნ ა თ ს თ უ ნ დ ა დ ღ ს ს გ ა ა ბ ე ბ ე ბ ა დ თ უ ნ დ ა ხ ვ ა ლ, თ ქ ვ ე ნ ს ჭ ე ლ ნ ი ვ ი ქ ნ ე ბ ი“ (М'86, II, გვ. 4).

4) ხუცესის სიტყვა, სოფელს რომ მიმართავს ამანათის მისაღებად: „ეს კაც მავიდ ჯვარისდაცად' ჯვარის ყმათადაც შამასახვეწებლად. ა

ეროვნული ბიბლიოთეკა

8; 2) „არცსახლს აყიდვინებდნენ უწინელს დროში“, იქვე, გვ. 9). ყველაფერ ამას აღ. ოჩიაური ტრადიციული ყოფისათვის — „უწინდელ დროში“ — დამახასიათებლად მიიჩნევს. ახალი ყოფისათვის კი წერს: „მერე კი თანდათანობით შეიცვალა და ამანათები სახლსაც ყიდულობდნენ და ზოგიერთებმა მამულიც იყიდეს, ხოლო როცა წავიდნენ, ისევ გაყიდეს თავის ნაყიდი მამული“[6] (იქვე, გვ. 9). იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამანათებს ახალ თემში მიწაც და სახლიც ნაყიდი აქვთ, ისინი ტოვებენ მათ და მიდიან თავიანთ ძველ თემებში. ამ მეტად მნიშვნელოვან ფაქტს აუცილებლად სჭირდება ახსნა.

6) ამანათი (ამანათობის პერიოდში) თავის ძველ თემში ასრულებს წესებს, მაგრამ ეს იმ საზოგადოებიდან „გამოსასვლელი“ წესები კი არაა (რადგან, ცნობილია, რომ როგორც ამა თუ იმ საზოგადოებაში „შესვლას“, ასევე იქიდან „გამოსვლას“ განსაზღვრული წესების შესრულება სჭირდებოდა), არამედ პირიქით. ეს წესები მიმართულია იქითკენ, რომ ამანათი როგორმე შეურიგდეს თავის ძველ თემს, მოკლულის ოჯახს და ნათესავებს. საერთოდ, ამანათის მთელი ქმედება, ამანათად ყოფნისას, მიმართულია შერიგებისაკენ. ეს რომ ძველი თემიდან „გამოსასვლელი“ წესები ყოფილიყო, მაშინ შეიძლებოდა ამანათის სტატუსს ისე წარმოდგენა, როგორც ეს ავტორმა სცადა: „По сути феномен этот-категория переходная от членства и покровительства одной общины и ее святилища под покровительства другой на социальной, правовой, религиозной основе“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 120), ანდა ასეთი განსაზღვრა: ...„Это единое, унифицированное **представление о сути аманатства, основное значение которого—стремление оставшегося в своей общине вне закона горца восстановить свою законность в общине чужой**“ (იქვე, გვ. 13). ჭეშმარიტად შთამბეჭდავი სიტყვებია, ადრესატი რომ სწორი იყოს. არა თუ აღწერა, იმ წესების ჩამოთვლაც კი შორს წაგვიყვანს, რომელსაც ამანათი ასრულებს შერიგებისათვის. ამანათობის არსის გასარკვევად, აუცილებლად დაცული უნდა იქნეს ქრონოლოგიური თანამიმდევრობა იმ წესებს შორის, რომელსაც ამანათი ასრულებს: ა) პირველი წესია მსხვერპლშეწირვა საკლავისა იმისათვის, რომ ამანათი მის მიერ შერჩეულმა სოფელმა, ხალხმა და ჯვარ-ხატმა დროებით შეიფაროს და მფარველობა გაუწიოს; ბ) შემდეგ, ქრონოლოგიურად, მოდის წესები, რომელთაც ამანათი ასრულებს თავის ძველ თემში მოსისხლესთან შესარიგებლად და სხვ.; გ) და მხოლოდ შემდეგ „პირით შეყრა“, რომელსაც ამანათი ასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვერ შეურიგდება მოსისხლეს და გადაწყვეტს დარჩენას ახალ თემში. წესების შესრულების ამ ქრონოლოგიური თანამიმდევრობის დაცვის გარეშე შეუძლებელია ამანათის ნამდვილი არსისა და მნიშვნელობის დადგენა. ამ მხრივ, გაუგებრობას ქმნის ავტორის მიერ წესების შესრულების ასე დაჯგუფება: ა) წესები, რომლებსაც ამანათი ასრულებს ახალ თემში და მასში განხილული აქვს ზემომოყვანილი პირველი და მესამე წესი და ბ) წესები, რომელსაც ის ასრუ-

---

6 ჩვენ რამოდენიმეჯერ, კიდევ და კიდევ გულდასმით წავიკითხეთ ნაშრომის თავი — „Земельный статус аманата“. აღმოჩნდა, რომ ეს მეტად მნიშვნელოვანი მასალები და მოგონ გამომდინარე დასკვნები ავტორს რატომღაც მხედველობიდან გამორჩენია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლებს თავის ძველ თემში. რჩება შთაბეჭდილება, რომ ამანათი „ჯარით შეყრის“ წესს ასრულებს მანამდე, სანამ გაიკვეფდეს მისი დამოკიდებულება მოსახლეობასთან. ვიმეორებთ, აუცილებელია ხაზგასმა იმისა, რომ „ჯარით შეყრის“ წესს ამანათი ასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ის ვერ შეურიგდება მოსახლეს და გადაწყვეტს ახალ თემში დასახლებას. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „ხარით შეყრა“ იცოდნენ ძლიერმა და სუსტმა გვარებმა (არა მარტო საქართველოში, არამედ ჩრდ. კავკასიაშიც) და სხვ. და ეს წესი მხოლოდ ამანათობასთან დაკავშირებით არ ფიგურირებს.

ავტორი ამანათის მიმართ ხშირად ხმარობს ტერმინ ინკორპორაციას. ამანათი ინკორპორირებული კი არ იყო, არამედ მიკედლებული. დროებითი მაცხოვრებელი. ამანათის მიმართ ამ ტერმინის ხმარებაც, ავტორის მიერ ამ ამანათისა და მოსულის ინსტიტუტების გაიგივების შედეგია. ამ გაიგივებისა და, ამდენად, ამანათის სტატუსის მცდარად გააზრების შედეგია ავტორის შემდეგი თვალსაზრისიც: „Аманатство—явление общекавказского масштаба и **представляет характерную разновидность искусственного родства“ ...Посредством феномена аманатства к родству кровному** пришивается его искусственная аналогия“. (გვ. 5). ხელოვნურ დანათესავებასთან არავითარი კავშირი ამანათს არა აქვს. სხვა საქმეა, ვიმეორებთ, როდესაც ამანათობის პერიოდში მკვლელი ვერ შეურიგდებოდა მოკლულის ოჯახსა და ნათესავებს და გადაწყვეტდა სხვა თემში სამუდამოდ დასახლებას. უცხო თემში, უცხო საზოგადოებაში „შესასვლელად“ იგი ასრულებდა სხვადასხვა წესებს და, მათ შორის, შეიძლება“ ჯარითაც შეყროდა „რომელიმე გვარს („ჯარით შეყრა“ იცოდნენ აგრეთვე სუსტმა და ძლიერმა გვარებმა და სხვ.), მაგრამ „ჯარით შეყრილი“ პიროვნებისა, თუ გვარის აღსანიშნავად ტერმინი ამანათის ხმარება, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, ეთნოგრაფიულ მასალებში არსად არ გვხვდება და არც შეიძლება რომ შეგვხვდეს, რადგან ამანათი, რომელიც „ჯარით შეეყრება“ სხვა გვარს, (ე. ი. ხელოვნურად დანათესავდება) გადადის თემის მოსახლეობის სხვა კატეგორიაში; ასე აქვს გაგებული ეს ავტორსაც (გვ. 93)[7]. ამიტომ ამანათის სტატუსში ხელოვნური დანათესავების ფენომენის შეტანა და თქმა, რომ „Аманатство... **представляет характерную разновидность искусственного родства“** სინამდვილეს არ შეეფერება.

მართალია, ავტორი ამანათობასა და მოსულობას აიგივებს, მაგრამ მოსულის ინსტიტუტს, ამ კატეგორიის მოსახლეობის არსებობას თემში არა სცნობს. მისი თვალსაზრისით ამანათი და მოსული ერთი და იგივეა, მაგრამ „ჯარით შეყრილი“ მეთემე მოსული კი არ არის, არამედ ისეთივე სრულუფლებიანი წევრია თემისა, როგორც მკვიდრი (გვ. 67, 69, 93, 126, და. ა. შ.). მკვი-

---

7 ჩვენი აზრით, ის ხდება „მოსული“, ავტორის აზრით ის ხდება თემის სრულუფლებიანი წევრი. თუ თემის სრულუფლებიანი წევრია, მაშინ თემის ეს წევრი „представляет характерную разновидность искусственного родства“ და არა „аманатства“. ავტორის შეცდომა სწორედ ესაა, რომ ყველა თვისებას, რასაც „ჯარით შეყრის“ შემდეგ იძენს მეთემე — ამანათი, კელკე ამანათობას მიაწერს და არა მოსახლეობის იმ კატეგორიის წარმომადგენელს, რომელშიც გადადის ამანათი „ჯარით შეყრის“ შემდეგ **ამანათობა კი არ წარმოადგენს „ხელოვნური ნათესაობის დამახასიათებელ სახესხვაობას“, არამედ მოსახლეობის ის კატეგორია, რომელშიც ამანათი გადადის „ჯარით შეყრის“ შემდეგ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დრიკი მცხოვრებს და თემის ყოველ წევრს ნიშნავს (გვ. 73). კვლავ ლიტონი განცხადება. მკვიდრისა და მოსულის საკითხს მიეძღვნა 10 ფორმიანი ნაშრომი (იხ. ჟ. ერიაშვილი, უძველესი სოციალურ-რელიგიური ინსტიტუტები საქართველოს მთიანეთში, 1982, თბილისი). მ. კანდელაკი კი ერთის ხელის მოსმით, სულ ორი სიტყვით წყვეტს ამ საკითხს. „В горном же регноне „мквидри“ означает „коренной житель“//„член общины“ (გვ. 73). თ ასე. ერთი წინადადებით „მოხსნა“ ავტორმა ეს პრობლემა. თავი რომ დავანებოთ ჩვენს ნაშრომს, რა ვუყოთ საარქივო ეთნოგრაფიულ მასალებს? რაშია საქმე. რა აიძულებს ალ. ოჩიაურს, ესა თუ ის გვარი, თუ პიროვნება აღნიშნოს *მოსულად*, ე. ი. დაარქვას მას საგანგებო სახელი, ანდა *მკვიდრად*, ანუ ავრეთვე დაარქვას მას საგანგებო სახელი? ანდა განასხვავოს, თუნდაც სახელწოდებით მკვიდრი ყმები, ვთქვათ **გარე ყმისგან**, ან **შემოხიზნული**, **გაფიცული**. შეწირული, ყელდებული, ან *მოყვანილი* ყმისაგან? რატომ არიან ისინი საგანგებო სახელწოდების მქონენ? რატომ გაჩნდა ტერმინი უნჯი//მკვიდრი, რას ან ვის დაუპირისპირდა იგი თემში? განა ამ ტერმინთა თუნდაც არსებობას არ უნდა ეკარნახა ავტორისათვის მეტი სიფრთხილის დაცვა?

რა ვუყოთ იმ ფაქტს, როდესაც ალ. ოჩიაური გვეუბნება: *სრულიად ხევსურეთის სალოცავის — გუდანის ჯვარის უნჯი (მკვიდრი) ყმები ჭინჭარაულნი, არაბულნი და გოგოჭურნი არიანო?* თუ მთიანეთში უნჯი//მკვიდრი ყველა მცხოვრებს ნიშნავდა, მაშინ, გამოდის, რომ მთელი ხევსურეთის მცხოვრებნი მხოლოდ ჭინჭარაულნი, არაბულნი და გოგოჭურები ყოფილან. მაგრამ სხვა, უამრავი გვარიც რომ სახლობს იქ? რატომ ისინი არ იწოდებიან უნჯებად? ანდა, ფშავში — სადაც *უნჯს* არ ხმარობენ (*უნჯი ფშავში მხოლოდ ხატის განძს* — ოქრო-ვერცხლს და სპილენძეულს ეწოდება) და სადაც *უნჯს ტერმინი მკვიდრი* ცვლის — როდესაც ალ. ოჩიაური გვეუბნება, გოგოლაურთის თემის *მკვიდრები* თურმანაულები არიან, დანარჩენი გვარები კი *მოსულები*ო? მკვიდრი თუ თემის ყველა წევრს ნიშნავს, მაშ, გოგოლაურთის თემის წევრები მხოლოდ თურმანაულები ყოფილან.

რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ სრულიად ხევსურეთის გუდანის ჯვარში ხელოსნებად მხოლოდ *უნჯი* ყმები დგებიან (ისიც შერჩევით და არა ყველა), ხოლო ხელოსნები კი ის მეთემეებია, რომელთაგანაც ჯვარ-ხატის მსახურნი — თემის თეოკრატიული ხელისუფლების მქონე პირები (ქადაგი, ხუცესი, მედროშე, მეგანძური, მესანელე, მესაფფეგე და ა. შ.) დგებიან (ისიც არა ყველა ხელოსანთაგან, არამედ იმ გვარის, მამიშვილობის, ან ოჯახის ხელოსანთაგან, ვისაც „მოუდის“ ქადაგობა, ხუცესობა, მეგანძურობა და ა. შ. ხოლო ვისაც მოუდის, აქედანაც — მხოლოდ იმათგან, ვინც გადაიბადა „საკელოში ჩადგომის“, ან „ზღუბლის დალაკვის“ წესი).

ანდა რა ვუყოთ ასეთ ფაქტს, არხოტის თემის მაგალითზე, სადაც *სრულიად არხოტის თემის სალოცავში* ხელოსნად მისცლა შეუძლიათ მხოლოდ *უნჯებს* ჯაბუშანურებს (მათგანაც მხოლოდ ერთი მამიშვილობას), სხვა გვარებს კი, ალ. ოჩიაური *მოსულებს* რომ უწოდებს, არა აქვთ თემის სათავეში მდგომ ჯვარ-ხატში ხელოსნად დადგომის უფლება. არ გამოვიკვლიოთ, რა სოციალ-ეკონომიკური საფუძვლები განაპირობებდა ტრადიცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულ ყოფაში ამ მოვლენებს? განა ეს მასალები ჩემგან და ეთნოგრაფ მ. კანდელაკისაგან დამოუკიდებლად, ობიექტურად არ არსებობენ? რატომ უნდა დაზარალდეს მეცნიერება ისეთი მკვლევრების მოსაზრებებით, რომლებმაც ვერ შეძლეს დაენახათ, ან, სხვადასხვა მიზეზის გამო, არ სურთ დაინახონ მათი არსებობა.

ანდა, აეღოთ ავტორის მიერ დამოწმებული შესანიშნავი ტერმინი **გადგანძული**, რომელსაც იგი ასე განმარტავს: „человек, потерявший свою фамилию". ავტორის აზრით ... аманат, принятый под покровительство села — общины и породнившийся с какой-либо из фамилий данной общины обычаем складства, как правило, заменял свою фамилию новой, становился гадагандзули" (გვ. 90). გამოდის გადაგანძული ნიშნავს გვარდაკარგულს, უგვარო ს. ეს უბრალო, პატარა ამბავი როდია!

გადაგანძული სხვანაირადაც შეიძლება გავიაზროთ. საქართველოს მთიანეთში განძი და უნჯი ერთმანეთის პარალელურად იხმარება და ნიშნავს როგორც ოქრო-ვერცხლსა და სპილენძეულს — ხატის ქონებას („ხ ა ტ ი ს გ ა ნ ძ ი"//„ხ ა ტ ი ს უ ნ ჯ ი", ანდა ხ ა ტ ი ს გ ა ნ ძ ი ს//ხ ა ტ ი ს უ ნ ჯ ი ს შესანახი საგანგებო ნაგებობა — „საუნჯე"//„საგანძე"), ასევე აღნიშნავს ჯვარ-ხატის ყმათა განსაზღვრულ კატეგორიას — „უ ნ ჯ ი ყ მ ე ბ ი", „ს ა მ ო გ ა ნ ძ ე ბ ი". ს ა მ ო გ ა ნ ძ ე ბ ი ეწოდება გუდანის ჯვარის უნჯ ყმათა — ჭინჭარაულთა, არაბულთა და გოგოჭურთა — თემს. ამდენად, ს ა მ ო გ ა ნ ძ ე ბ ი უნდა გავიაზროთ როგორც ს ა ე ნ ჯ ო. გ ა დ ა გ ა ნ ძ ე ბ ი, ისევე როგორც გ ა დ ა ჯ ი ნ ე ბ ე ლ ი//ჯ ი ნ ე ბ ა კ ა რ გ ე ლ ი//ე ნ ჯ ი ნ ო. უნდა ნიშნავდეს გ ა ნ ძ ე ბ ა კ ა რ გ ე ბ ე ლ ს, გ ა დ ა ე ნ ჯ ე ბ ე ლ ს, ანუ ე ნ ჯ ო ბ ა დ ა კ ა რ გ ე ბ ე ლ ს, რაც შეესატყვისება ისეთი სტატუსის მქონე ფენომენს, როგორიც მ ო ს ე ლ ი ა (რა თქმა უნდა ჩვენი გაგებით). მოსული ის არის, ვინც ენჯობა დაკარგა[8]. აი რატომ არ უნდა ამანათს ახალ თემში დარჩენა და იმ შემ-

---

8 სპეციალურ სამეცნიერო ლიტერატურაში ე ნ ჯ ი, ს ა ე ნ ჯ ე მიჩნეულია უცნოური წარმოშობის „გ ა ნ ძ ი ს ქართულ ეკვივალენტად" (ი. ა ბ ულ ა ძ ე, ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს., გვ. 091) მზია ანდრონიკაშვილი კი ქართულ უნჯს ირანული წარმოშობისად თვლის (მ. ა ნ დ რ ო ნ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან, გვ. 165).

9 ავტორი წერს: „...аманат, принятый под покровительство села — общины и породнившийся с какой-либо из фамилий данной общины обычаем складства, как правило, заменял свою фамилию новой, **становился гадагандзули** (человек, потерявший свою фамилию). **В итоге аманат следовал всем правам и обязанностям, возложенным на коренных общинников — покровителей».** (გვ. 90). მოტანილ მსჯელობაში განა შეუსაბამობა არაა, როდესაც გ ა დ ა გ ა ნ ძ უ ლ ი ს სახელწოდების მქონე მეოქე თემის სრულუფლებიან წევრად არის წარმოდგენილი? „ჯარაიშეულილი", გვარგამოცელილი ამანათი — მეთემე თუ სრულუფლებიანი წევრი ხდება, ანუ მოსახლეობის სხვა კატეგორიაშიგადადის, მაშინ ის ამანათიც აღარაა და არც ეს მსჯელობაა" სწორი: **«В итоге аманат следовал** всем правам и обязанностям, возложенным на коренных общинников — покровителей», ამანათი კი არა, **გადგანძული** „следовал всем правам"... მაგრამ რადგან გ ა დ ა გ ა ნ ძ უ ლ ი არ შეიძლებოდა რქმეოდა თემის სრულუფლებიან წევრს, ამიტომ გადაგანძული თემის მოსახლეობის ის კატეგორიაა, რომელიც უკვე აღარც ამანათია და თემის სრულუფლებიანი წევრიც არაა. მოსახლეობის აი, ეს კატეგორია სწორედ მ ო ს ე ლ ი. ის არის გადაგანძული, ანუ განძდაკარგული, ანუ უნჯობადაკარგული.

ᲔᲠᲘᲝᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

თხევაშიც კი, სახლ-კარი და მამულიც ნაყიდი რომ აქვს, ყიდის და მიდის თავის ძველ თემში. მაგრამ არავინ იფიქროს, რომ თავის თემში იგი ძველი უფლებებით აგრძელებს ცხოვრებას. სრული რესტიტუცია მკვლელისა არც ძველ თემში არ ხდება. ძველ თემში დარჩენაც არ არის უმტკივნეულო და მთელი სიცოცხლის მანძილზე ამ მეთემისა და მისი შთამომავლობისაგან გარკვეული სახის დათმობებთან არის დაკავშირებული მოკლულის გვარის და ოჯახის წინაშე.

ეს მასალებიც ცნობილია ავტორისათვის, მაგრამ გააზრებული და შეფასებული არაა მათი ღირებული მნიშვნელობის თვალსაზრისით: „Таким образом, волей и силой святилища удается примирение враждующих сторон. Однако дело этим не завершается: традиция живет, а следовательно и «остаток» кровной мести, длящийся согласно преданию, еще лет сто, именуясь **«хмели тави», переходя из поколения в поколение.** Суть его состоит в следующем: **потомки совершившего деликт горца обязаны ежегодно приносить одну жертву, препровожденную ритуальным напитком в пользу семьи пострадавшего (!) Помимо того, при встрече представителей враждующих некогда сторон, виновная сторона обязана послать пострадавшей первую чашу (таси), именуемую «пативи»... По требованию того же «пативи» представителям рода убийцы строго запрещалось петь или веселиться в присутствии пострадавшей некогда стороны, не заполучив на то ее согласия.... представителю со стороны убийцы не дозволено затевать ссору в присутствии пострадавших»...** (ვვ. 41).

განა ასეთი მეთემე — მოსისხლესთან და თავის ძველ თემთან შერიგებული ყოფილი (!) ამანათი, რომელსაც დამოუკიდებელი მოქმედების (ხმამაღალი ლაპარაკის, სიცილის, მხიარულების, ჩხუბის და ა. შ.) უფლება აღარ აქვს მოკლულის მხრის წარმომადგენლის თანდასწრებით და მისგან ნებადართველად, თან ყოველწლიურად მოკლულის ოჯახის სასარგებლოდ გამოსაღებს იღებს (მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი „ჭელი თავის“ სახელწოდებით თაობიდან თაობაზე გადადის ასი წლის განმავლობაში) — შეიძლება, ისევ თემის სრულუფლებიან წევრად ჩავთვალოთ? რა თქმა უნდა, არა. ასევე არ ჩაითვლება თემის სრულუფლებიან წევრად ახალ თემში მიღებული ყოფილი ამანათი. თუ კი სხვადასხვა მიზეზის გამო (ამ მიზეზებს მეცნიერულ ინტერესებთან არაფერი საერთო არა აქვს), კოლეგის იმ მოსაზრების აღიარება გვაშორს, რომლის მიხედვითაც, თემში ყოველი მოსულად წოდებული ოჯახი, გვარი თუ მამიშვილობა, ყოველწლიურად ჯვარ-ხატში ერთ საკლავს (ცხვარი) სწირავს თავისი ლუდით, არყით და სანთლით, იმის აღიარება მაინც უნდა შეგვეძლოს, რაც საკუთარ ნაშრომში თეთრზე შავით დაბეჭდილი მასალებიდან გამომდინარეობს.

ასე რომ არ ყოფილიყო, მაშ, რაში უნდა გამოხატულიყო მკვლელის დასჯა? ეტყობა მკვლელისთვის შემდგომმა ცხოვრებამ, დარჩება ის საკუთარ თემში, თუ სხვა თემში გადასახლდება საცხოვრებლად, სასჯელის სახე უნდა მიიღოს. თუ ახალ თემში „ჯარით შეყრის“ შემდეგ, ის **(„გადაგანძული“)** თემის სრულუფლებიანი წევრი გახდება (როგორც ეს ნაშრომის ავტორს აქვს წარმოდგენილი), მაშინ არც ერთი ამანათი აღარ შეეცდება შეურიგდეს მოკლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის ოჯახსა და ნათესავებს, პირდაპირ აიყრება და გადასახლდება ახალ თემში, სადაც მას, განსაზღვრული წესების შესრულების შემდეგ, თემის სრულუფლებიან წევრად მიიღებენ. რას ჰკარგავს მკვლელი? არაფერს. აქაც სრულუფლებიანი იყო და იქაც სრულუფლებიანი იქნება. მაგრამ თუნდაც, მორალურ-ზნეობრივი სასჯელი? საზოგადოების წინაკლასობრივ საფეხურზეც (ასე აქვს შეფასებული ავტორს მთიანეთის საზოგადოებრივი განვითარების დონე) ხომ უნდა არსებულიყო თუნდაც მორალური ნორმები?

ამ ანათობის მთელი არსი კი იმაში მდგომარეობს, რომ ჯერ ერთი, თავი გაარიდოს მოსისხლეს დროებით და მეორეც, როგორმე ეცადოს მასთან შერიგებას. მ. კანდელაკის ნაშრომში კი აქცენტი გაკეთებულია ამანათის უცხოთემში დასახლება-იერარქიულ ურთიერთობებზე[10], რითაც ამანათობის არსი, მისი ნამდვილი სახე გაბუნდოვანებული და გამოუკვეთელი დარჩა.

ამრიგად, მ. კანდელაკის დასახელებულ ნაშრომში ადგილი აქვს შეგნებულ, თუ შეუგნებელ აბერაციას—ამანათობის შესახებ ობიექტურად არსებული მასალებიდან (რომლის ნაწილიც მოვიტანეთ აქ) გამომდინარე დასკვნები არ არსებობს ამანათის სტატუსში, რითაც მოხდა ამ ინსტიტუტის ერთგვარი „გამრუდება-გაღარიბება“, მისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებების დაკარგვით. ამანათობა რთული, „მდიდარი“ ინსტიტუტია და არც ვალორიზაციას არ საჭიროებს ამანათის სტატუსში თემის სხვა კატეგორიის მოსახლეობისათვის (**მოსულის, მკვიდრის**) დამახასიათებელი ნიშან-თვისებების ასახვის საშუალებით.

ამანათობის სტატუსის მცდარად განსაზღვრის შედეგად, ასევე მცდარად არის შემდეგ წასული თეორიული მსჯელობა „მთიელთა სოციალური სისტემის“ (социальной системы горцев“) რეკონსტრუქციის შესახებ. მაგ.. ავტორი წერს: „**на примере института аманатства** представляется возможность иллюстрирования в общественном быту одного из основных законов материалистической диалектики—'единства и борьбы противоположностей, в данном случае представленных в виде кровно-родственных и искуственно-родственных (территориальных) начал в территориальной общине горцев Грузии“ (გვ. 5). გვესმის, რომ ავტორი აქ ამოდის ამანათობის მის მიერ დადგენილი სტატუსიდან, რომ ამანათი „представляет „характерную разновидность искусственного родства“ და რომ „посредством феномена аманатства к родству кровному примешивается его искусственная аналогия, основанная,в сущности, на договорных началах между чужаком (аманат-пришелец), инкорпорированным к покровителям, и общиной—покровительницей“ (იქვე). მაგრამ სწორედ თავისი კონცეფციიდან გამომდინარე, რაში ხედავს იგი ნათესაობის ამ ორი საწყისის დაპირისპირებას და, მით უმეტეს, ბრძოლას, ამ ანათობის მაგალითზე? ავტორის აზრით, ამანათი ხომ თემის სრულუფლებიანი წევრი ხდება. მას ხომ თემის რიგითი წევრის უფლებებში სვამენ—აძლევენ მიწას მფლობელობაში, ჯვარ-ხატების სამსახურში

[10] Статус аманата первоочередно разумел инкорпорирование чужака в общину—покровительницу“ (128), რაც სინამდვილს არ შეფერება. ამანათობის პერიოდში მთიების მთელი ქმედება მიმართულია მოსისხლესთან შერიგებისკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აყენებენ (ამანთის შეუძლია ჯვარ-ხატების სამსახურის სათავეშიც კი ჩადგეს). სად არის აქ დაპირისპირებულობა, მით უმეტეს, ბრძოლა? რით არის ნათესაობის ეს ორი საწყისი ამანათობის მაგალითზე, დაპირისპირებულთა ერთიანობისა და ბრძოლის კანონის ილუსტრაცია? ნაშრომიდან ეს ვერ დავინახეთ. თითქოს სრული სიმშვიდეა, არსად და არაფერში არა თუ ბრძოლის, ღელვის ნიშნებიც კი არა ჩანს. აი, თვითონ ავტორი კი ნამდვილად ღელავს, როდესაც გასაოცარი სითამამითა და ტონით ჩვენ გვიკიჟინებს „ელემენტარული პროფესიული ეთიკის სრულ უგულებელყოფას[11]. (გვ. 51—52), გვიყენებს „ფაქტების შელამაზების“, „თვითნებური შეფასების“ ბრალდებებს (იქვე), ჩვენს ინტერპრეტაციას უწოდებს „თვითნებურს[12]“, (გვ. 27), ეჭვიანობს, რომ „это делается с явной целью подогнать результаты своих исследований под общепринятые положения...“ და სხვ.

და საბოლოოდ, კიდევ ერთი საკითხის შესახებ, რომელსაც სხვა შემთხვევაში, ალბათ არც კი შეეხებოდით, მსგავს საკითხებზე თვითონ ნაშრომის ავტორი რომ არ ამახვილებდეს ყურადღებას. ჯერ კიდევ სადისერტაციო ნაშ-

---

[11] ნაშრომის მეორე თავში (გვ. 51-52, სქოლიო № 3) ავტორი წერს: „....**полностью игнорируя элементарную профессиональную этику**, этнограф Эриашвили Ж. Г. в своем автореферате „Древнейшие...“ обходит названные выше материалы (в основном архивные и доступные для обозрения), а также исследование, посвященное специально вопросу пришлого-аманата. **Похоже, что это делается с явной целью подогнать результаты своих исследований под общепринятые положения, приукрашивая факты** для их подтверждения. Мы имеем в виду здесь не раз обыгрывающийся в работе Эриашвили Ж. Г. тезис относительно связей аманата с его гокровителем, произвольно квалифицированный ею как отношения господства—подчинения“.

ზემოდასახელებული ავტორეფერატი წარმოადგენს ჩვენი წიგნის — „უძველესი“... ზუსტ რეზიუმეს. ამტომ ავტორეფერატში (და მით უმეტეს, წიგნში) ვერ აისახებოდა წიგნის გამოცემადან (1982 წ. აპრილი) ერთი წლის შემდეგ დასაცავად წარმოდგენილი (1983 წ. აპრილი) ეთნოგრაფ მ. კანდელაკის ნაშრომი. რაც შეეხება მის სტატიას „Аманати у горцев Восточной Грузии“, რომელიც 1972 წელს დაბეჭდა (მსგ, XVI—XVII, გვ. 293—297) და საარქივო მასალებს ამანათობის შესახებ, მითზე ჩვენ საგანგებოდ ყურადღება არ გავამახვილებია იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ წიგნში (წიგნი იგივე სადისერტაციო ნაშრომია) ჩვენ ამანათის საკითხი არ შეგვისწავლია; ამის დასადასტურებლად მოვიტანთ ციტატს წიგნიდან: „აღნიშნულ რეგიონში, მოსალოდნელია, მოსახლეობის სოციალური შემადგენლობის უფარო რთული სურათიც აღდგეს (მაგ., ნაშრომში განხილული არაა თემის გარეთ მდგომი პირის — ამანათის, დაკყრობილი თემების, მფარველობაში შემოსული სუსტი გვარების საკითხი და სხვ.), რასაც საკითხის შემდგომი კვლევა წარმოაჩენს“ (დასახ. ნაშრომი, გვ. 163).

ჩვენი „შეცდომა“ ის იყო, რომ ამანათის, როგორც ტერმინის, ჩვენეულ განსაზღვრას წიგნში (გვ. 32), დფუძნებულ საარქივო მასალების მონაცემებზე, არ მივუწერეთ ფრჩხილებში: შდრ. მ. კანდელაკი, „Аманати у горцев Восточной Грузии“. კანდელაკის სხვა ნაშრომში ამანათის შესახებ ჩვენი წიგნის გამოცემისას (დაიბეჭდა 1982 წ. აპრილში, გამომცემლობას გადაეცა 1980 წ), არ არსებობდა. ეს არ გავაკეთეთ სწორედ კოლეგიალობის გამო— ვიცოდით რა, რომ ამანათობის საკითხი საგანგებოდ ისწავლებოდა ავტორის მიერ და ვფიქრობდით, რომ საკითხის მონოგრაფიული შესწავლა მას იმ ხარვეზებისაგან დაიზღვევდა, რაც აღნიშნულ სტატიაში ჰქონდა დაშვებული. სამწუხაროდ, ეს ასე არ მოხდა. აი, სულ ეს იყო „შეცდომა“, რომელზედაც ადგო ავტორმა შემდეგ ჩვენი აუგად მოხსენიების მთელი გამა.

[12] ჩვენი ეს ინტერპრეტაცია საკითხის საგანგებოდ შესწავლის შედეგად არის მიღებული და არა ისეთი ლოტნი განაცხადია, როგორსაც ავტორი აკეთებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომში. შემდეგ ავტორეფერატსა და წიგნში. იგი არაერთხელ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ამანათობის ინსტიტუტი პირველად მან შეისწავლა მონოგრაფიულად, რაშიც ჩვენც სავსებით ვეთანხმებით მას. მაგრამ ავტორის პოზიციიდან გამომდინარე, თუ ამანათობა და მოსულობა ერთი და იგივე ინსტიტუტებია (რაშიც იგი მტკიცედ არის დარწმუნებული), აღნიშნული ხაზგასმა სწორი არ არის და ავტორს გვინდა ვუსაყვედუროთ „ელემენტარული პროფესიული ეთიკის სრული უგულებელყოფა" (მისი სიტყვებია), რადგან მოსულობის ინსტიტუტი (და მისი საპირისპირო მკვიდრის ინსტიტუტი) შესწავლილია (მართალია, ცუდად — მისი აზრით) ჩვენს წიგნში „უძველესი...", რომელიც გამოიცა 1982 წ. აპრილში (უფრო მეტიც, გამომცემლობას გადაეცა 1980 წ.), ხოლო ავტორმა თავისი სადისერტაციო ნაშრომი გადასცა და დაიცვა 1983 წლის აპრილში. წიგნად კი გამოსცა 1987 წ. მართალია, 1972 წელს მას გამოცემული ჰქონდა ხუთგვერდიანი სტატია (გვ. 293—297) ამანათობის შესახებ, მაგრამ ეს საკითხის მონოგრაფიულად შესწავლას ხომ არ ნიშნავდა? ამიტომ, მისივე პოზიციიდან გამომდინარე (მოსულობა-ამანათობის გაიგივებისას) ავტორს არ ჰქონდა საფუძველი დაეწერა, რომ ამანათობის ინსტიტუტი პირველმა მე შევისწავლე მონოგრაფიულად-ო. ჩვენი პოზიციიდან გამომდინარე კი (ამანათობის ინსტიტუტი სხვაა, მოსულის — ს რ უ ლ ი ა დ სხვა), მას ამის სრული უფლება ჰქონდა.

ОАНИБССР
ЭБ "АЛИНОЗ"

В. Б. ВИНОГРАДОВ

О РЕАЛЬНОСТИ ГРУЗИНСКОГО ВЛИЯНИЯ НА СЕВЕРО-ЗАПАДНОМ КАВКАЗЕ В X—XIII вв.

В контексте увлеченного изучения постоянно актуальной проблемы алано-византийских отношений В. А. Кузнецов счел недавно необходимым открыть полемику[1] с авторами ряда новейших работ, посвященных попыткам поисков вполне естественных в исторических условиях X—XIII вв. следов социально-политического и культурного влияния Грузии на полиэтническое население Прикубанья, как органической части Северо-Восточного Причерноморья. Автор полагает, что в свете его разработок «говорить о серьезном политическом и культурном влиянии Грузии в пределах Западной Алании (а это — часть разветвленного бассейна верховьев Кубани, — В. В.) вряд ли приходится. Тем более не приходится говорить о вассалите Западной Алании по отношению к феодальной Грузии даже в пору ее расцвета в XII в.».

Конкретной мишенью своих «нескольких критических замечаний» видный алановед избрал давние уже работы А. Н. Дьячкова-Тарасова[2], Г. Зардалишвили[3], и новые — М. Н. Ложкина[4], В. Б. Виноградова[5], В. Б. Бесолова[6]. Последний из оппонентов В. А. Кузнецова подвергся наиболее острой критике, причем в выражениях, которые существенно обесценивают предшествующие им упреки в «крикливых, некорректных» действиях осетинского архитектора-краеведа и невольно вызывают сомнения в умении автора «быть объективным в поиске научной истины, далекой от околонаучных спекуляций» и «не подверженной веяниям «прогрессивной» моды»[7].

Следует отметить, что раздраженность тона полемики маститого специалиста всегда настораживает сама по себе. В данном случае

---

[1] Кузнецов В. А. Алания и Византия. — В кн.: Археология и традиционная этнография Северной Осетии. Орджоникидзе, 1985, с. 59—61.

[2] Дьячков-Тарасов А. Н. Сентинский храм и его фрески. — Кубанский сборник, т. V. Екатеринодар, 1899, с. 3—4.

[3] Зардалишвили Г. К установлению некоторых географических наименований Клухорского района. — Известия Всесоюзного географического общества, т. 84, вып. 3, Л., 1952.

[4] Ложкин М. Н. Новые памятники средневековой архитектуры в Краснодарском крае. — СА, 1973, № 4, с. 270—276; его же. Каменная алтарная преграда грама № 1 Ильичевского городища XII—XIII вв. в Отрадненском районе Краснодарского края. — II Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1977, с. 1—3.

[5] Виноградов В. Б. Новое о периодизации и характере грузино-северокавказских историко-культурных связей. — IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983, с. 2—3.

6. Бесолов В. Б. Архитектура храма Сенты и многоаспектное сравнение его с памятниками христианского Востока и Византии. — IV Международный симпозиум по грузинскому искусству. Тбилиси, 1983, с. 18—22.

[7] Кузнецов В. А. Указ. соч., с. 61.

ОЛИМПОСЕЙЧИ ОЛИМПОЛИНОЛ

это становится особенно ощутимо, если учесть, что кроме устаревших статей А. П. Дьячкова-Тарасова и Г. Зардалишвили объектом резкого недовольства В. А. Кузнецова, выраженного в «узковедомственном издании», стала серия публикаций материалов Международных симпозиумов по грузинскому искусству (Тбилиси, 1977, 1983 гг.), уровень научной апробации которых непросто поставить под аргументированное сомнение.

Вряд ли подобные дебаты, незаметно для автора переходящие в окрик и категорическое назидание, могут привести к установлению истины, или хотя бы заметному движению по направлению к ее познанию. В Политическом докладе ЦК КПСС XXVII съезду партии подчеркивается: «Схоластика, начетничество и догматизм всегда были путами для действительного приращения знаний. Они ведут к застою мысли, мертвой стеной огораживают науку от жизни, тормозят ее развитие. Истину обретают не в декларациях и предписаниях, она рождается в научных дискуссиях и спорах, проверяется в действии»[8].

Руководствуясь именно таким пониманием ситуации, попытаюсь внести вклад в решение дискуссионной проблемы, сконцентрировав внимание читателя на некоторых авторских трактовках, касающихся отдельных комплексов и ансамблей памятников или узколокальных районов, а также предлагая попытку ранее не предпринимавшейся сводки фактов и вытекающих из них исследовательских мнений, затрагивающих важную тему: «Грузия и Северо-Восточное Причерноморье в X—XIII вв.», которая, разумеется, имеет не меньшее право на беспристрастную разработку, чем любая иная из более привычных до сих пор.

Эта задача диктуется прежде всего тем очевидным для меня обстоятельством, что существует определенная тенденция противопоставить и даже взаимоисключить грузинское и византийское влияние в отдельных областях Северного Кавказа и прежде всего в Прикубанье. Происходит так прежде всего потому, что во главу угла анализа ставятся все еще эпизодические археолого-архитектурные объекты, главными толкователями которых выступают археологи, тогда как строго архитектурный подход к подобным источникам открывает иные, более широкие горизонты и уж во всяком случае часто не оставляет места для однозначных оценок[9]. К тому же — и в этом В. А. Кузнецов совершенно прав: «История архитектуры — часть материализованной истории общества, специфически отражающая не только крупные и длительные общественные процессы, но и некоторые исторические явления. Вряд ли нужно доказывать, что архитектурное развитие не существует отдельно и изолированно от общеисторического и что одно с другим тесно взаимодействует при условии конечного примата истории»[10].

Однако это отнюдь не обязательно «примат истории» Византии или какого-либо еще государственно-культурного феномена или даже искусственно сконструированной группы таковых. Вот почему, например, вызывает неудовлетворенность тот факт, что в обобщающей кни-

---

[8] Горбачев М. С. Политический доклад Центрального Комитета КПСС XXVII съезду Коммунистической партии Советского Союза. М., 1986, с. 108.

[9] Гольдштейн А. Ф. Еще раз об изучении памятников архитектуры в горах Северного Кавказа. —В кн.: Археология и вопросы социальной истории Северного Кавказа. Грозный, 1984, с. 111—116.

[10] Кузнецов В. А. Указ. соч., с. 61.

Библиотека
Вадим Виноградов

ге «Очерки истории алан» В. А. Кузнецов, наметив с помощью специальных глав пути взаимных связей алан с Ираном, Византией, хазарами и русами, совершенно устранился от комплексной оценки алано-грузинских взаимоотношений и взаимодействия. Но без них панорама истории алан и их государственного образования никак не может быть ни полна, ни объективна[11].

Чтобы последнего не случилось, следует стремиться восполнить этот досадный пробел привлечением другой (прежде всего — общеисторической) литературы, базирующейся на тех источниках, которые, собственно, и создают реальную канву исторических процессов и конкретных явлений.

Круг научных работ, освещающих (обычно сквозь призму древне-русско-восточных связей) взаимоотношения Грузии с Северо-Западным Кавказом, не так уже мал и принадлежит перу весьма знающих специалистов[12]. В нем необходимо особо выделить ценную монографию З. В. Папаскири, содержание которой заметно шире буквального понимания ее названия[13]. В частности, оно мотивируется и таким важным соображением: «Так как взаимоотношения Грузинского царства с народами Северного Кавказа были составной частью общей северной политики Грузии, мы сочли нужным (в отдельной главе) кратко остановиться на грузино-северокавказских связях XI—XII вв. и определить место и значение этих отношений в северном направлении грузинской внешней политики в целом»[14].

Избегая пересказа этого интересного труда, привлечем для нашей темы некоторые его положения и выводы.

З. В. Папаскири впервые охарактеризовал каналы русско-грузинских контактов, в том числе собственно черноморский, обеспечивающийся способом каботажного плавания вдоль восточного побережья, и Прикубанский сухопутный, роль которого неминуемо возросла в результате «завоевания Тамани и создания там русской политической единицы(Тмутараканского княжества)». «В XI—XII вв. границы Грузинского феодального государства на северо-западе находились где-то под Туапсе», что определяло хорошую взаимную осведомленность.

В книге убедительно показано, что «важным связующим звеном между Русью и Грузией (особенно с конца X века) являлась Византия», чья политика была к той поре достаточно активна в Алании и Прикубанье. Автор внес окончательную, пожалуй, ясность в трактовку вопроса о «варангах» в Грузии. Таковые представляются крупной военной дружиной, пришедшей из земель Киевской Руси в 1046 г. на помощь непосредственно Баграту IV и состоявшей из русских и «варягов» (норманов).

Последний тезис трудно изолировать от использования в той или иной степени Северо-Западного Кавказа как транзитной территории

---

11 Кузнецов В. А. Очерки истории алан. Орджоникидзе, 1984.

12 См., например: Новосельцев А. П. и др. Древнерусское государство и его международное значение. М., 1965, с. 355—419; Анчабадзе З. В. и др. Очерки истории горских народов Кавказа. Тбилиси, 1969 (на груз. яз.); Папаскири З. В. Варанги грузинской «Летописи Картли» и некоторые вопросы русско-византийских контактов. — История СССР, 1981, № 3; Новосельцев А. П. Киевская Русь и страны Востока. — Вопросы истории, 1983, № 5, с. 17—31.

13 Папаскири З. В. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тбилиси, 1982.

14 Там же, с. 46—102.

движения «варангов». И здесь уместно вспомнить оригинальные и довольно веские поиски возможных следов варягов в лингво-этнографической традиции адыгов Прикубанья[15], а также новые открытия Ю. И. Десятчикова на Таманском полуострове, где обнаружено и исследуется мощное городище, часть истории которого сопоставляется с деятельностью «русов» в Предкавказье в X в. н. э., имевших тут, вероятно, крупный военный «переволочный» лагерь[16].

З. В. Папаскири далее рассмотрел «грузино-овские» (т. е. грузино-аланские) отношения. Он очень тактично провел историографический обзор и анализ источников, сумев придти к доказательному выводу о том, что «в грузино-овских отношениях XI—XII века являются новым этапом развития связей между народами... На первом этапе (Георгий I) грузинская дипломатия не смогла добиться существенных успехов. Однако уже со времени Баграта IV намечаются определенные сдвиги, в результате которых грузинский царь к концу своего царствования оказался в силах привлечь многочисленное овсское войско для участия в военной экспедиции против эмира Гандзи. В это время уже можно проследить элементы вассальной зависимости Овсетии (т. е. Алании) от Грузинского царства. В эпоху Давида Строителя Овсетия окончательно вошла в круг вассально зависимых от Грузии стран и продолжала пребывать в нем почти целое столетие». Автор резонно акцентирует, что в этом вопросе «в современной грузинской историографии нет принципиальных разногласий»[17]. И неправомерно, как это делает В. А. Кузнецов, игнорировать столь авторитетное мнение.

Если же попытаться противопоставить историческую ситуацию в «западной Алании» остальной части аланского государственного образования, то, очевидно, следовало бы учесть и особенности реальных взаимоотношений Грузии с адыгами Прикубанья, которые на основе изучения письменных источников З. В. Папаскири суммирует так: «Джики, кашаги редко упоминаются в грузинских хрониках. Несмотря на это, можно предположить, что некоторая часть и этих племен в XI—XII вв. попала под влияние Грузии. Мы обращаем внимание на тот факт, что северо-западная граница феодальной Грузии в это время доходила до Никопсии. Еще в XI в. один из грузинских авторов называл Никопсию «нашей страной — Абхазией». Давид Строитель своему сыну оставлял землю «от Никопсии до Дарубандского моря. Царица Тамар владела землями от «Понтийского (Черного) моря до Гурганского (Каспийского) моря всех кавкасийцев, имеров и амеров до Хазарии и Скифии». По сообщению «Матиане» еще абхазский царь Георгий II (929—957 гг.) одного непокорного феодала отправил в Джикети для отбывания там наказания. Кашаги примкнули к сторонникам Юрия Андреевича и Вардана Дадиани во время конфликта 1191 г. Они же перечислены среди народов, «опекаемых царицей Тамар». Приведенные факты могут засвидетельствовать распространение грузинского влияния и на этой части Северного Кавказа»[18].

---

15 Лавров Л. И. Возможный след варягов на Северо-Западном Кавказе. — В кн.: Краткое содержание докладов среднеазиатско-кавказских чтений, май, 1978 г. Л., 1978, с. 17—18.

16 Устное сообщение Ю. И. Десятчикова. Информацию см. в кн.: Археологические открытия 1985 года. М., 1986.

17 Папаскири З. В. У истоков..., с. 57.

18 Там же, с. 64—66.

Немалые по объему и содержанию извлечения из монографии З. В. Папаскири вовсе не означают моей принадлежности к числу апологетов идеи создания «единой феодальной монархии в Грузии и на всем Кавказе в XI — первой половине XIII в.»[19]. Однако, не отвлекаясь естественными преувеличениями средневековых источников, можно признать, что версия исторического процесса, отстаиваемая З. В. Папаскири, имеет серьезные основания. И нельзя делать вид, что таковых вроде и не существует, подменяя критическое исследование наличных данных хлесткими декларациями постоянного приоритета Византии.

При толковании и трезвой оценке имеющихся фактов большое значение приобретает объективный учет роли Абхазии как транзитной территории не только византийского, но и собственно грузинского влияния на Северо-Западный Кавказ. Для периода XI—XIII вв. представляются несколько абстрактными и схоластическими споры и мнения некоторых коллег о признаках и соотношениях «грузинской» и «абхазской» архитектурных традиций, «школ» как таковых в их взаимодействии на алан и касогов Прикубанья[20], об «опосредованном через Абхазию грузинском влиянии», исключающем-де «прямое влияние из Картли»[21]. Реальность того, что с 20-х годов XI в. Абхазия была включена в состав Грузинского государства и находилась под сильным воздействием собственно грузинской культуры, позволяет считать такую дискуссию в известной мере излишней, не учитывающей ясный исторический контекст.

Напомним теперь и наличные архитектурные и вещественные материалы во всем их доступном сегодня (и постепенно растущем) разнообразии.

На Ильичевском раннесредневековом городище в верховьях р. Уруп (в границах «западной Алании») М. Н. Ложкиным выявлены руины трех церквей, которые отмечены явным сходством с христианскими зданиями Закавказья, в частности, Грузии[23]. В 1977 г. В. А. Кузнецов писал о них: «Появление **группы грузинских памятников** (выделено мною — В. В.) в хорошо освоенных византийскими миссионерами районах западной Алании вносит некоторые коррективы в наши представления о ходе христианизации этой части Алании и исторических особенностях этого процесса»[24]. Сегодня он настаивает на «специальном исследовании» этих объектов и, всячески преуменьшая возможный «политический смысл грузинского влияния»,

---

19 Сравни: Шавхелишвили А. И. Из истории взаимоотношений между грузинским и чечено-ингушским народами (с древнейших времен до XV в.). Грозный, 1963, с. 72—76; Виноградов В. Б., Саламов А. А. Об одной попытке освещения грузино-вейнахских связей. — В кн.: Археолого-этнографический сборник, т. I. Грозный, 1966, с. 167—175.

20 Перфильева Л. А. Архитектурные памятники средневековой Алании. — В кн.: Конференция «Культурные взаимосвязи народов Средней Азии и Кавказа с окружающим миром в древности и средневековье». Тезисы докладов. М., 1981, с. 9.

21 Кузнецов В. А. Зодчество феодальной Алании. Орджоникидзе, 1977.

22 Анчабадзе З. В. Из истории средневековой Абхазии. Сухуми, 1959, с. 196—202.

23 Ложкин М. Н. Новые памятники...; его же. Каменная... .

24 Кузнецов В. А. Зодчество..., с. 94.

готов свести вопрос лишь к тому, что «иерархи Аланской церкви», находясь под диктатом Константинополя, но, «нуждаясь в опытных строителях, иногда приглашали их из близлежащих и единоверных Абхазии и Грузии»[25].

Не стану оспаривать возможности такого поворота дел в каких-то конкретных случаях, но следует учесть, что настойчивые изыскания М. Н. Ложкина ввели в научный оборот сведения о христианских храмах грузинской архитектурной школы и на северокавказском отрезке Черноморского побережья (Ахун, Агуа), за пределами западной Алании[26]. Нуждается в учете и выявляемое ныне «присутствие грузинского элемента... в деталях (композиция завершений, форма, конструкция и материал покрытия зданий)» знаменитых зеленчукских храмов Алании, что связывается весьма компетентным исследователем с «вторичным строительным периодом», датируемым «не ранее XI века»[27].

Наконец, архитектурные доводы и соображения В. Б. Бесолова относительно храма Сенты в Теберде, высказанные в печати под редакцией такого знатока монументальной архитектуры Грузии и Закавказья, как В. В. Бериндзе[28], отнюдь не сводятся к двум пассажам, вызвавшим негодование и протест В. А. Кузнецова. Они заслуживают спокойной и деловитой оценки. Только так можно определить меру достоверности исторически отнюдь не противоестественной гипотезы, согласно которой архитектурные веяния проникали на Северо-Западный Кавказ не обязательно морским или прибрежным путем из Византии, но и «просачиваясь и прелюмляясь сквозь... грузинскую и, частично, абхазскую культуры, видоизменяясь в местных условиях и конкретной среде...»[29].

Но, как теперь выясняется, источники не ограничиваются лишь архитектурными объектами. Наличие определенных и ранее неуловимых связей Грузии с Северо-Восточным Причерноморьем фиксируется данными нумизматики.

Еще недавно бытовало убеждение о полном отсутствии к северу от Главного Кавказского хребта каких-либо грузинских монет первых трех веков II тысячелетия н. э. Размышляя над этим «странным на первый взгляд фактом», Е. И. Крупнов писал: «Надо помнить, что период наивысшего расцвета средневековой грузинской культуры и государственности — XI—XIII вв. — одновременно является и временем прекращения чеканки серебряных монет», которая «возобновилась только при царице Русудан в 1230 году. А медные монеты, чеканившиеся в предшествующий период в Грузии, были абсолютно бесформенными и вряд ли могли привлечь внимание горских красавиц как украшения. В монетах же как в денежных знаках горские общества, даже будучи вассальными Грузии, пока потребности не испытывали»[30]. Эта схема как будто бы подтверждалась и тем, что

---

25 Кузнецов В. А. Алания..., с. 59—60.

26 Ложкин М. Н. Христианские памятники домонгольского периода как источники изучения внешних связей народов Северо-Западного Кавказа. — В кн.: Конференция «Культурные взаимосвязи...». М., 1981, с. 92.

27 Перфильева Л. А. Указ. соч., с. 123.

28 Бесолов В. Б. Указ. соч.

29 Там же, с. 18.

30 Крупнов Е. И. Средневековая Ингушетия. М., 1971, с. 140—141.

в Киевской Руси не было известно грузинских монет позднее X в. (тбилисских Джафаридов и Давида Куропалата)[31].

Теперь, однако, положение дел существенно изменилось[32] и свой вклад в это внесли материалы Северо-Восточного Причерноморья. Выплыл из забвения случай 1848 г., когда «при постройке российского укрепления Хадыженского Майкопского отдела на Кубани найдено более 500 медных монет Русудан 1227 г.»[33]. В 70-е годы нашего столетия в г. Азове Ростовской области была найдена «серебряная монета Багратиони: Русудан, 1227 г.»[34]. Эти яркие (хотя и все еще эпизодические) находки делают отнюдь не безнадежными наши ожидания дальнейшего пополнения коллекции грузинских монет в Прикубанье и Восточной Европе вопреки логике цитированных выше мнений.

Представляется, что все приведенные выше факты неизбежно должны поставить под сомнение уверенность В. А. Кузнецова в «проникновении закавказско-грузинского влияния» только «в район западной Алании, ограниченный пока верховьями р. Урух»[35]. Учет их должен помочь уяснению реального соотношения византийского и грузинского влияний на Северо-Западном Кавказе в X—XIII веках, которое до сего дня допускалось как бы теоретически.

Остается упомянуть и о некоторых нюансах «Аланского послания» епископа Феодора, относящегося ко времени между 1222 и 1240 гг.[36] и многократно привлекавшегося В. А. Кузнецовым для доказательства постоянного византийского влияния на положение дел в Аланской епархии. Однако в действительности ситуация была (как это и должно) значительно сложнее. Это легко улавливается в сюжете послания, «содержавшего в себе живые и современные свидетельства об аланах» (Ю. Кулаковский).

После ряда дорожных мытарств по пути из Никеи, Феодор прибыл, наконец, к месту назначения («следует полагать, — поясняет В. А. Кузнецов, — «в ущелье Большого Зеленчука», т. е. в центр Западной Алании»)[37]. Там он и обнаружил, что какой-то купец из страны Лазов воспользовался отсутствие епископа в Алании и, объехав всю страну, сам рукоположил священников, а себя объявил епископом. После появления Феодора он скоро ретировался в Лазику.

Горько сетуя по поводу того, что аланы могли поверить «самозванцу», (а именно так аттестовал его Феодор как «истинный» иерарх церкви), священнослужитель сокрушался, что «между ними есть люди, пережившие смену трех епископов, а теперь видят меня — четвер-

---

[31] Топография кладов восточных монет (сасанидских и куфических, составил А. Марков). Спб., 1910, с. 5, 24, 38; Капанадзе Д. Грузинская нумизматика. М., 1955, с. 51—52.

[32] Виноградов В. Б. Монетные находки — малоизученный источник о грузино-северокавказских связях (в печати).

[33] Пахомов Е. А. Монетные клады Азербайджана и других республик, краев и областей Кавказа, вып. I. Баку, 1926, с. 54, № 135.

[34] Федоров-Давыдов Г. А. Новые находки восточных монет VIII—XIII вв. на территории Восточной Европы. — Эпиграфика Востока, т. XIII. Л., 1985, с. 47.

[35] Кузнецов В. А. Алания.., с. 60.

[36] Епископа Феодора «Аланское послание». Пер. Ю. Кулаковского. — Записки Одесского общества истории и древностей, т. XXI. Одесса, 1898, с. 11—27.

[37] Кузнецов В. А. Очерки.., с. 210.

ეროვნული ბიბლიოთეკა

того». Далее Феодор сообщает, что вынужден рукоположить многих лиц из тех, которые были рукоположены самозванцем, «так как опасность грозила всей церкви...».

Все эти коллизии, по моему разумению, плохо укладываются в коньюнктурно-наивную версию Феодора о «самозванстве» некоего лазского «купца», а скорее выдают соперничество двух церквей в стремлении установить свой контроль над Аланской епархией. Оригинальную и убедительную, как представляется, интерпретацию этого памятника предложил М. К. Джиоев[38]. В ней нет места доверчивому восприятию жалоб и субъективных толкований епископа Феодора. Вопрос решается именно в плоскости реального столкновения интересов византийской и грузинской церквей в целях борьбы за преобладающее влияние среди алан, переживших ужас первого знакомства с монголо-татарской агрессией. И «опасность» всей системе церковно-византийского диктата на Северо-Западном Кавказе возникла не вдруг, а была подготовлена ходом предшествующих событий.

Данная небольшая статья меньше всего претендует на роль решающей в развернувшейся дискуссии о грузинском воздействии в X—XIII вв. на Северо-Восточное Причерноморье. Ее цель скромна: путем сводки фактов и существующих исследовательских их трактовок поставить назревшую и ранее упускавшуюся проблему не только грузино-западноаланских, но и грузино-адыгских, грузино-русских связей на Северо-Западном Кавказе конца раннего средневековья. В разработке ее непременно следует избегать преувеличений. Но и сводить вопрос лишь к постоянной и безоговорочной политико-конфессиональной доминанте Византии уже нельзя.

---

28 Джиоев М. К. Алания в XIII—XIV вв., канд. диссерт., М., 1982.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გენიამინ სილაგაძე

XIII საუკუნის დამდეგის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან

1984 წელს გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“-მ დასტამბა აწ განსვენებული ი. ლოლაშვილის წიგნი „მრავალკარედის „სახელწოდებით, რომელშიც მოთავსებულია ნარკვევი, მიძღვნილი თამარ მეფის გარდაცვალების თარიღისადმი. ავტორის თქმით, „ოფიციალურ სახელმძღვანელო ლიტერატურაში“ საქართველოს დედოფლის აღსრულების თარიღად მიღებული 1213 წელი[1], დადგენილი თ. ჟორდანასა და ი. ჯავახიშვილის[2] მიერ და გახიარებული ჭ. ჯანაშვილის ნაშრომებში[3], XX ს-ის 20-იანი წლებიდან. „უფრო კი ამ უკანასკნელ ხანს... საკამათოდ აქციეს კ. კეკელიძემ. ს. კაკაბაძემ. ბ. სილაგაძემ, ჯ. ოდიშელმა, თ. ნატროშვილმა, გ. ჯაფარიძემ და შ. დარჩაშვილმა“[4] (გვ. 88).

კ. კეკელიძემ თამარის გარდაცვალების თარიღად გამოაცხადა 1216 წელი, თ. ნატროშვილმა, გ. ჯაფარიძემ და შ. დარჩაშვილმა — 1210, ხოლო ს. კაკაბაძემ, ბ. სილაგაძემ და ჯ. ოდიშელმა — 1207 წელი. „ამის გამო თანამედროვე ისტორიოგრაფიაში ბატონობს აზრთა დიდი შეუსაბამობა“, გამოწვეული ძველ საისტორიო წყაროებში საძიებელი თარიღის გარშემო ერთმანეთის გამომრიცხველი ცნობების არსებობით. ამიტომაც. — აცხადებს ი. ლოლაშვილი. — „საჭიროა ყველა ძველი ცნობის დეტალური განხილვა“, და ამ საქმეს იწყებს ლაშა გორგაშის დროინდელი მემატიანის ჩვენების კრიტიკით.

ამ მემატიანის მიხედვით, თამარმა „ძეფობასა. შინა დაჰყო ოცდასამი წე-

---

1 ნ. ბერძენიშვილი და სხვ., საქართველოს ისტორია, I, დამხმარე სახელმძღვანელო, თბ., 1958, გვ. 205; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III, თბ., 1979, გვ. 339.

2 თ. ჟორდანია, ქრონიკები, I, 1892, გვ. 300—301; ი. ჯავახიშვილი, ქართველების ისტორია, II, თბ.. 1965, გვ. 290, 385.

3 М. Джанашвили, Царица Тамара, 1901, გვ. 115; მისივე, თამარ მეფე, 1917, გვ. 74.

4 კ. კეკელიძე. ისტორიანი და აზმანი შარავანდეთანი, 1941, გვ. 40—43; ს. კაკაბაძე, როდის მეიცვალა თამარ მეფე („თემი“, 1912, №56); მისივე, Год смерти грузинской. царицы Тамары Великой. Изв. Тифл. Высш.Жен. Курс, Тифлис, 1917, кн. I, вып. I, გვ 163—168 მისივე. ერთი საკითხი საქართველოს ისტორიიდან („ინდუსტრიული ქუთაისი“, 1940, № 286); მისივე, რუსთაველი და მისი ვეფხისტყაოსანი, თბ., 1969, გვ. 228—230; ბ. სილაგაძე, XII—XIII სს. საქართველოს ისტორიის ზოგიერთი საკითხი იბნ ალ-ასირის ცნობათა შუქზე (კრებული „საქართველო რუსთაველის ხანაში, თბ., 1966, გვ. 124—129); ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი („ცისკარი“, თბ., 1976, № 1, გვ. 118—125); მცირე ქრონიკები, გამოსცა ჯ. ოდიშელმა, თბ., 1968, გვ. 94—96; თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, ცდა ერთი თარიღის დადგენისა („მაც
“, ენისა და ლიტერატურის სერია, თბ., 1974, № 1, გვ. 151—165 და № 2, გვ. 168—189); შ. დარჩაშვილი, XIII ს-ის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხები („მნათობი“, 1975, № 2, გვ. 151—158).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიწადი და აღვიდა წინაშე ღმერთისა... თუესა იანვარსა თორმეტსა, დღესა ოთხშაბათსა... ქრონიკონსა ოთხასოცდაშვიდსა"[5] ე. ი. ამ ცნობის თანახმად თამარი 1207 (427+780) წელს გარდაცვლილა.

მაგრამ მკვლევარს ეს არ სჯერა. იგი უნდობლობას იჩენს როგორც მოტანილი ცნობისადმი, ისე მთლიანად თხზულებისადმი, რადგან მასში, თურმე, დაშვებულია ზოგიერთი უზუსტობა, კერძოდ, კალენდარული განგაარიშებით, „ოთხშაბათი 12 იანვარი მოდიოდა 1205 წელს" და არა 1207 წელს. აქ მემატიანეს ერევა ან წელი, ან თვის რიცხვი, ანდა დღის სახელწოდება. მეტიც, მის მატიანეში არეულია სხვა ცნობილი ამბებიც. მაგალითად, ავტორის ჩვენებით, ქართველებმა „აიღეს დვინი მეცხრესა წელსა მეფობისა თამარისა, ქრონიკონი იყო [ოთხ]სა ოცდაცამეტი"[6]. მაშინ, როცა ცნობილია, რომ დვინი აღებული იქნა 1202 და არა 1193 (1184+9) ან 1213 (433+780) წელს (გვ. 9).

სწორი შენიშვნაა. ლაშასქროინდელი მემატიანის თხზულება, ისე როგორც სხვა მატიანენი, არაა ისეთი ტიპის ისტორიული ნაშრომი, სადაც ყველაფერი მათემატიკური სიზუსტით იყოს აღნუსხულ-განაგარიშებული. მასში არის გარკვეული შეუსაბამობანი, რაც თავის დროზე შემჩნეული ჰქონდა ი. ჯავახიშვილს. მაგრამ არც მას და არც სხვა ვინმეს ამის გამო ეშვი არ შეჰპარვია მისი როგორც პირველწყაროს მნიშვნელობაში. ეს შეუსაბამობანი ზოგი თვით ავტორისეულია, ზოგიც შემდეგ გაჩენილი თხზულების გადამწერთა თუ რედაქტორთა დაუდევრობით. ასეა ამ კონკრეტულ შემთხვევაშიც „ოთხშაბათი 12 იანვარი", რომელიც კალენდარული განგაარიშებით 1205 წელს მოდიოდა, დავით სოსლანის გარდაცვალების დღე და რიცხვი უნდა იყოს. რაც შეეხება დვინის აღებას, ნამდვილად 1202/3 წელს რომ მოხდა, აქ აშკარაა, რომ თამარის მეფობის „მეცხრე წელს" აკლია 10 წელი და ის შეცდომით მიმატებული აქვს ქრონიკონის აღმნიშვნელ რიცხვს. ასეთი შეუსაბამობანი, როგორც ამას თვით ლოლაშვილიც აღნიშნავს, ცხადია, დედაწში არ იქნებოდა (გვ. 90). თუმცა ის მასში კიდევაც რომ ყოფილიყო, მაინც არ გამორიცხავდა თამარის მეფობის ხანგრძლივობისა და მის გარდაცვალების აღნიშნული წლების სისწორეს, რადგან დასტურდება, სხვა წყაროთა მონაცემებითაც. მაგალითად, „აფხაზთა ქრონიკაში" (A. 1110) ვკითხულობთ: უკუ (ხ ყ ი ა), „ე. ი. 1207 წელსა „კარი აიღეს და თამარ დედოფალი გარდაიცვალა"[7]. ბასილი ეზოსმოძღვრის ცნობითაც, „თამარ ოცდასამთა შინა წელიწადთა შეაწუალია ყოველი გვარი კეთილმეფობისა". XIII-ს-ის სომეხი მწერალი ვარდან დიდი გვაუწყებს: „...თამარ მეფემ... მოიყვანა ქრმად ოსი სოსლანი... ამისგან შვა... ძე და უწოდა მას ლაშა. ხოლო თვითონ ეპყრა ტახტი ოცდასამ წელს"[8], ე. ი. 1207 წლამდე. სამეფო ანეკის ქრონიკის გაგრძელებაში, რომლის ავტორად სტეფანოს ორბელიანს მიიჩნევენ, ვკითხულობთ. სომხური წელთაღრიცხვის 655 (+551=1206) წელს „ზაქარიამ ტაბეიკებს წაართვა კარი... მომდევნო ე. ი. 1207) წელს კი გარდაიცვალა თამარი"[10]. ასეთივე ცნობას იძლევა თამარის თა-

---

5 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 369.

6 იქვე, გვ. 368.

7 თ. ყ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 294; მცირე ქრონიკები, გვ. 25; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 89.

8 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 150.

9 Հուսարումն պատմութեան Վարդանայ վարդապետի, Վենետիկ, 1862, გვ. 139.

10 Մաքսիմ ժամանակագրությունները, կազմեց Վ. Հակոբյան, հատ. Ա, եր., 1951, გვ. 37.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამედროვე არაბი მწერალი იბნ ალ-ასირიც. მისი ჩვენებით, ჰიჯრის 603 (1206/7) წელს ალაპმე მოაკვდინა ქართველთა დედოფალი და იხსნა მუსლიმთა მოდგმა განსაცდელისაგან[11].

ამის შემდეგ გაოცებას იწვევს მკვლევრის განცხადება: ლაშა გიორგის დროინდელი მემატიანის მიხედვით, „თამარის გარდაცვალების დროის განსაზღვრა (პაინტ) სათუოაო“ (გვ. 90). ასევე გაუგებარია მისი შემდეგი მსჯელობაც, რომლის თანახმად „დავით სოსლანი 5—6 წლით ადრე გარდაიცვალა თამარზე; დავითი 1206 წელს (კარის აღების დროს) ცოცხალია; ლაშა თამარმა თავის სიცოცხლეშივე გაამეფა დავითის გარდაცვალების უმალ; ლაშას გამეფების შემდეგ თამარმა კიდევ იცოცხლა ხუთ წელს. მაშ, როგორ შეეთანხმოთ ეს ფაქტები 1207 წელსო? კითხულობს ი. ლოლაშვილი და შემდეგ განაგრძობს „თუ ამ თარიღს მივიღებთ, მაშინ ლაშა დაბადებულა 1189 წელს, დავით სოსლანი გარდაცვალა 1202 წელს, კარი აუღიათ 1201 წელს და ა. შ. ერთი სიტყვით, 1207 წელი თამარის ოჯახისა და XIII ს. დასაწყისის ისტორიულ ამბავთა ქრონოლოგიას თავდაყირა აყენებსო“, — დაასკვნის მკვლევარი (გვ. 91).

რას ემყარება მისი ეს მსჯელობა? თ. ჟორდანია-ი. ჯავახიშვილის ს ა ვ ა რ ა უ დ ო თ ა რ ი ღ ს (1213 წელს) თამარის გარდაცვალების შესახებ და ამ თარიღზე აგებულ თავის შეხედულებას. მან 1213 წელი საქართველოს დედოფლის აღსრულების ურყეკ, როგორც თვითონ ამბობს, „კანონიკურ“ თარიღად მიიჩნია. აქედან გამოთვალა დავითის გარდაცვალებიდან თამარის აღსრულებამდე განვლილი დრო, ლაშა გიორგისა და დედამისის თანამეფობის პერიოდი. შემდეგ კი ასეთი გზით მიღებული არასწორი მონაცემები 1207 წელს შეუდარა.

ყამთაოაღწერლის თქმით, „გიორგი... იყო წლისა ათაკმეტისა, რაკამს დაიდგა გვირგვინი მეფობისა და, მეფემან თამარ მიუღოცა მეფობა“[12].

„აფხაზთის ქრონიკის“ თანახმად კი ლაშა 12 წლისა ყოფილა ოდეს დაუდგამს გვირგვინი მეფობისა[13]. მისივე ცნობით, ეს მომხდარა ყაზეზე ქართველთა პირველად გალაშქრებისას[14], რომელსაც თ. ჟორდანია 1205 წლით ათარიღებს[15].

ლაშა გიორგის გამეფება თავისთავად გულისხმობს, რომ ამ დროს დავითი სოსლანი უკვე ცოცხალი აღარ იყო და, რადგან ი. ლოლაშვილის აღიარებითაც გიორგი დავითის აღსრულების უმალ აღაზევეს გამოდის, რომ სოსლანი 1205 წელს გარდაიცვალა[16]. ეს კი ძირს უთხრის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ

---

11 ი ბ ნ ალ-ა ს ი რ ი, დასახ. ეხზეულება, ტ. XII, გვ. 119.

12 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

13 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 294; მცირე ქრონიკებთაც იგივე დასტურდება (გვ. 25).

14 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 24.

15 იქვე.

16 ვახუშტი ბაგრატიონიც ამას აღნიშნავს. მართალია, მისი ქრონოლოგიით დავითი 1199 წელსაა გარდაცვლილი (ქართლის ცხოვრება, IV, გვ. 189), მაგრამ თუ ეხედველობაში მივიღებთ მისი ქრონოლოგიის 6 წლიან ჩამორჩენას თამარის მონაკვეთში, როგორც ამას აღნიშნავს რ. კ ი კ ნ ა ძ ე (იხ. მისი, ფარსადან გორგიჯანიძე..., თბ., 1975, გვ. 131), მაშინ გამოდის, რომ დავითი 1205 (1199+6) წელს გარდაცვლილა. ამ გაანგარიშებით დავითი 1205 წელსაა გარდაცვლილი, აგრეთვე, იოანე ბაგრატიონის მიხედვითაც (ისტორია ქართლისა, სკ. მეცნ. აკად. კ. კეკელიძის სახელობის ხელნაწერთა ინსტიტუტი, ხელნაწერი 2134, ფ. 643ბ) მარშე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

1207 წელს თამარმა კი არა, მისმა მეუღლემ დავით სოსლანმა დაასრულა სიცოცხლე.

თუ წყაროთა ამ მონაცემებისა და მათ საფუძველზე გაკეთებული ჩვენი დასკვნის სისწორეს სადავოდ არ გავხდით, მაშინ აშკარა გახდება, რომ ლაშა გიორგი 1189 წელს' კი არა, 1192/3 წელს დაბადებულა: დავით სოსლანი 1202 წელს, რუმის სულთნის რუქნ ად-დინის თავდასხმამდე კი არა, მის შემდეგ 1205 წელს მომკვდარა და 12 თუ 13 წლის ლაშაც მაშინ გაუმეფებიათ. ხოლო თამარ მეფეს მეუღლის გარდაცვალებიდან 5—6 წელი კი არა, მხოლოდ 2 წელი უცოცხლია.

მკვლევარი აშკარად გრძნობს, რომ წყაროთა ჩვენებანი დავით სოსლანის აღსრულების შესახებ მის სასარგებლოდ არაფერს ამბობენ, ამიტომ სხვა გამოსავალს ვეღარ პოულობს და აცხადებს: „უცხოელ ისტორიკოსებს და გვანდელ ქართველ ავტორებს ერთმანეთში აერიათ გარდაცვლილი მეფის სახელიო" (გვ. 91). და თავისი ნაოქვამი რომ დამაჯერებელი გახადოს, აღნიშნავს ეს „ისტორიული ფაქტების პარალელური შეპირისპირებით ნათელყვეს თ. ნატროშვილმა და გ. ჯაფარიძემ"-ო (იქვე). მაგრამ პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ ამ მსჯელობას არავითარი ლოგიკური საყრდენი არ მოეპოვება. ყველა ისტორიკოსს როგორც ქართველს, ისე უცხოელს, შეუძლებელია ერთნაირი შეცდომა დაეშვა. ამიტომ, რასაც ისინი ამ შემთხვევაში ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად წერენ, აღრევა კი არა, სრული სინამდვილეა და აქ თ. ნატროშვილი-გ.ჯაფარიძის დამოწმება საქმეს ოდნავაც ვერ შველის. მათ მხოლოდ იმის დამტკიცება შეძლეს, რომ თამარი 1213 წლამდე კარგა ხნით ადრე გარდაიცვალა[17].

ნაშრომის 91-ე გვერდზე ი. ლოლაშვილი ისევ უბრუნდება ყარსის აღებას და თამარის შორე ისტორიკოსზე დაყრდნობით აღნიშნავს: ეს 1206 წელს, დავითის მონაწილეობით მოხდაო. ნამდვილად იმავე მემატიანის ცნობით, ყარსი აღებული იქნა თამარის გამეფების 23-ე წელს[18] ანუ 1206 წელს[19]. ამას ადასტურებს იბნ ალ-ასირიც[20], ამ დროს კი, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დავით სოსლანი ცოცხალი ადარ იყო. ამდენად, ქართულ წყაროებში დაშვებულია უზუსტობა, რომელსაც თითქოს ახსნაც ეძებნება. საქმე ისაა, რომ, როგორც ბასილი ეზოსმოძღვარი იტყობინება, ყარსისათვის ბრძოლა გაგრძელებულა დიდხანს[21], არაბი მემატიანის ცნობით „რამდენიმე წელიწადს"[22].

ლაშქრობას თავიდან დავით სოსლანი ხელმძღვანელობდა[23], ხოლო მისი

ტის 1206 წლის წარწერაში ლაშს მეფედ მოხსენიებაც ხომ იმაზე მიგვითითებს, რომ დავითი ამ დროს მკვდარია? (ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ქართველი ერის ისტორია, II, გვ. 290—291); შ. დ ა რ ჩ ი ა შ ვ ი ლ ი, XIII ს-ის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მნათობი", 1975, №2, გვ. 154—155. იქვე „ჰაღბატის 1221 წ. წარწერა", შენ. 35).

17 ვრცლად ამის შესახებ იხ. თ. ნ ა ტ რ ო შ ვ ი ლ ი ს ა და გ. ჯ ა ფ ა რ ი ძ ი ს დასახელებულ ნაშრომში („მაცნე", ენისა და ლიტ. სერია, თბ., 1974, № I, № 2).

18 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143.

19 თუ გავითვალისწინებთ, რომ მაშინ წლების ათვლა იანვრიდან არ ხდებოდა, ერთწლიანი სხვაობა დასაშვებია.

20 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, ტ. XII, გვ. 113.

21 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 143.

22 ი ბ ნ ა ლ-ა ს ი რ ი, დასახ. თხზულება, ტ. XII, გვ. 119.

23 ითქვა ბაგრატიონსაც სწორედ ეს ცნობა აქვს მხედველობაში, როცა ამბობს დავითი ყარის ბრძოლაში მონაწილეობდაო (იხ. მისი დასახ. თხზულება, ფ. 643,ა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდაცვალების შემდეგ 1205 წ.) ეს საქმე ამირსპასალარმა ზაქარიამ იტვირთა და ქალაქი მის დროს იქნა აღებული[24]. მაგრამ ქართველმა ისტორიკოსმა, მისი თხზულების გადამწერმა თუ რედაქტორმა, ეს ვრცელი ისტორია, ეტყობა, შეამოკლა და მოჭრით თქვა: ყარსი დავითმა აიღოო. თორემ დავითს ყარსის აღებაში კი არა გაცილებით უფრო ადრე მოწყობილ არდებილის ლაშქრობაშიც კი არ მიუღია მონაწილეობა.

ამ ლაშქრობას, რომელიც „ისტორიათა და აზმათა“ ავტორის თანახმად, ანისის დარბევიდან რამდენიმე კვირის შემდეგ მოხდა და ანისის აკლების საპასუხო თავდასხმას წარმოადგენდა, მ. ბროსე ვარდანის გავლენით, ჯერ 1210 წლით ათარიღებდა[25], შემდეგ — 1208 წლით[26]. ი. ჯავახიშვილი აღნიშნული ლაშქრობის დათარიღებისას ემყარება იბნ ხალიქანის ცნობას. რომ ქართველებმა მარანდი (და არა არდებილი, რომლის დარბევა წინ უსწრებდა მარანდის ბრძოლას) აიკლეს 603 წელს ჰიჯრით[27]. ჰიჯრის 602 წელი კი ქრისტიანული წელთაღრიცხვით დაიწყო 1205 წლის 18 აგვისტოს და დამთავრდა 1206 წლის 7 აგვისტოს. რაც შეეხება 603 წელს, ის 1206 წლის 8 აგვისტოდან 1207 წლის 27 ივლისამდე გრძელდებოდა[28]. მაგრამ ი. ჯავახიშვილმა ჰიჯრის თარიღის გადაყვანისას უმნიშვნელო უზუსტობა დაუშვა და არდებილის ლაშქრობა 1207/8 წლით განსაზღვრა[29]. ამ თარიღს იმეორებს ყველა, მათ შორის ი. ლოლაშვილიც. იგი არ ეთანხმება რ. კიკნაძეს, რომელმაც ეს, ე. წ. „ტრადიციული თარიღი“, უარყო და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ არდებილის ლაშქრობა უხდა მომხდარიყო 1205 წლის მაისში, როცა აღდგომა რამდენიმე კვირით წინ უსწრებდა მუსლიმების გახსნილების დღესასწაულს, და არა 1207, 1208, 1209 ან 1210 წელს[30], როცა აღდგომა მუსლიმთა გახსნილების დღის შემდეგ იყო.

რ. კიკნაძის ამ დაკვირვების სისწორის დასტურს წარმოადგენს იბნ ალ-ასირის ერთი ცნობა, რომლის თანახმად ჰიჯრით 601 წელს (1204. 29. VIII. 1205. 17. VIII) ქართველები აზერბაიჯანის მხრიდან ისლამის სამყაროში შეიჭრნენ. მათ გაძარცვეს, დაჟეტეს ივანურობა და უამრავი ტყვე წაასხეს[31].

ი. ლოლაშვილის აზრით, რაკი რ. კიკნაძე არდებილის ლაშქრობის თარიღად 1205 წელს დებს, ამით წინააღმდეგობაში ვარდება და ამის გამო შენიშნავს: „თუ ეს ასეა, მაშინ ქართველებს დავით სოსლანის მონაწილეობით კარი უნდა აეღოთ 1204 წელს, რაც გამორიცხულია თამარის მეორე ისტორიკოსისა და იბნ ალ-ასირის ქრონოლოგიით“-ო (გვ. 94, შენ. 16).

---

24 „655 (1206) წელს ზაქარიამ ტაჯიკებს წაართვა ქარსი“ ამბობს სტეფანოს ორბელიანი (მცირე ქრონიკები, ერევანი, 1951, გვ. 37; ჯ. ოდიშელი, ქართული ისტორიული ქრონოლოგიის ერთი საკითხი, „ცისკარი“, 1976, № 1, გვ. 124).

25 Additions et eclaircissiment..., გვ. 297.

26 მ. ბროსე, საქართველოს ისტორია, ნაწ. I, გვ. 175.

27 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 287.

28 Синхронические таблицы Хиджры и европейского летосчисления, М.-Л., 1961, გვ. 127.

29 ივ. ჯავახიშვილი, ქართული ერის ისტორია, II, გვ. 287.

30 რ. კიკნაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126—128.

31 იბნ ალ-ასირი, დასახ. თხზულება, ტ. XII, გვ. 95; ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 115.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ აქ არავითარი წინააღმდეგობა არ შეინიშნება. ირდებილის ბრძოლამ მხოლოდ შეაყოვნა ყარსის აღება. სხვა მხრივ მას არავითარი კავშირი არ აქვს ყარსის ამბებთან. ირდებილის ბრძოლა, როგორც უკვე ითქვა, გაიმართა 1205 წლის მაისში, ხოლო ყარსი დაეცა 1206 წელს. ასე რომ, ი. ლოლაშვილის მიერ ირდებილის ლაშქრობის თარიღად შემოთავაზებული 1207 წელი მიუღებლია. მას არც ქართული წყაროები ეთანხმებიან და არც უცხოელი ავტორები.

რ. კიკნაძის კრიტიკის შემდეგ მკვლევარი ამ სტრიქონების ავტორის განჭიქებას იწყებს და მას რამდენიმე ბრალდებას უყენებს: პირველი;„უაღრესად ტენდენციურია ბ. სილაგაძის მსჯელობა „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტის მეცნიერული ღირებულების შესახებ. აი, როგორ ჟღერს იგი: „მართალია, „ისტორიანი და აზმანი“ ივ. ჯავახიშვილის თქმით, „საზოგადოდ შინაარსიანი თხზულებაა (და ამ მხრივ იგი არც ერთ სხვა საუკეთესო ქართულ საისტორიო ძეგლს არ ჩამოუვარდება), მაგრამ. ამ თხზულებაში დარღვეულია თანმიმდევრობა ისეთი ამბებისა, როგორიცაა, მაგალითად, ანისისა და დვინის, აგრეთვე ბასიანისა და ყარსის ბრძოლები; თითქმის მთლიანად გამოტოვებულია ქართველების მიერ არეზში, მანასკერტის აღებისა და ხლათში ივანე მხარგრძელის დატყვევების ამბები; თითქმის არსად არ არის მითითებული თარიღი და სხვ. ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, იმას უნდა მოწმობდეს, რომ ეს თხზულება თამარის მეფობიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ არის დაწერილი, როცა მის ავტორს არა თუ ამათუიმ ამბის თარიღი, არამედ თვითამბების თანმიმდევრობაც აღარ სცოდნია (დაყოფა ი. ლოლაშვილისაა). ამიტომ ასეთი წყაროს მონაცემებს, თუ ისინი სხვა წყაროებთან არ დასტურდება, არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მივანიჭოთ“ (გვ. 98—99).

რაში გამოიხატება აქ ძეგლისადმი ჩვენი ტენდენციურობა? თურმე იმაში, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ასეთი შეფასების გამო „ფასი აგვიწევია ლაშასქროინდელი მემატიანისა და იბნ ალ-ასირის ცნობებისათვის თამარის 1207 წ. გარდაცვალების შესახებ“ (გვ. 98). იგი კატეგორიული ტონით აცხადებს: „თუ ამ ძეგლისადმი (ე. ი. „ისტორიათა და აზმათადმი“ — ბ. ს.) უნდობლობითი და რამდენადმე ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება 1912 წელს მისატევებელი იყო, დღეს იგი არადფრით არ არის გამართლებული: ახლა ეს თხზულება შესწავლილია კარგად და მისი ცნობების მაღალი ღირსება და ჭეშმარიტება დიდი ხანია მეცნიერთათვის ნათელია“ (დაყოფა ი. ლოლაშვილისაა, გვ. 99—100).

მაგრამ ეს მხოლოდ მკვლევრის სურვილია. „ისტორიათა და აზმათა“ ისტორიულ-ფილოლოგიურსა და ლიტერატურულ ანალიზს სპეციალური გამოკვლევები უძღვნეს ივ. ჯავახიშვილმა და კ. კეკელიძემ[32], თამარის ისტორიის საკითხებს შეეხნენ აგრეთვე თ. ყორდანია, პ. ინგოროყვა და ს. კაკაბაძე[33]. მათ

---

32 ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945; გვ. 220—241; კ. კეკელიძე, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, თბ., 1941, გვ. 17—24.

33 თ. ყორდანია, ქრონიკები, I, გვ. 285—290; პ. ინგოროყვა, ჩახრუხაძე, პოეტი, მოგზაური; „კავკასიონი“, 1924, № 1—2, გვ. 277; ს. კაკაბაძე, ეეფუხისტყაოსანი, თბ., 1927, გვ. XIX შენიშვნა, გვ. XXI—III; მისივე, ახლად აღმოჩენილი ქართლის ცხოვრება და თამარ შეფის მეორე აქამდე უცნობი ისტორიკოსის თხზულება“, („საისტორიო მოამბე“, 1924, I, გვ 285—291).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყურადღება მიაქციეს თხზულების შედგენილობას, მისი დაწერის თარიღს და ავტორის ვინაობას.

თ. ჟორდანიასა და ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით, „ისტორიანი და აზმანი“ თამარის თანამედროვე ერთი ავტორის თხზულებაა, შედგენილი ორ ნაწილად. I ნაწილი, შამქორის ბრძოლამდე, დაწერილია 1195/6 წელს, II — თამარის გარდაცვალებისთანავე.

თ. ჟორდანია-ივ. ჯავახიშვილისაგან განსხვავებით, პ. ინგოროყვა თვლის, რომ თხზულების თითოეულ ნაწილს ჰყავს ცალ-ცალკე ავტორი. ამასთან, მეორე ნაწილი დაწერილია XIII ს-ის I მეოთხედში. ს. კაკაბაძის მიხედვითაც „ისტორიანი და აზმანი“ შედგენილია ორი ავტორისაგან, მაგრამ I ნაწილი დაწერილი უნდა იყოს არა 1195/6 წელს, არამედ 1199 წელს, ხოლო მეორე — 1270—1295 წლების ახლოს.

ყველასაგან განსხვავებულ პოზიციაზე დგას კ. კეკელიძე. მისი აზრით, თამარის ისტორია კია ერთი ავტორის ერთიანი თხზულება, მაგრამ, ვინაიდან ისტორიკოსი აღნიშნავს: „რომელი აწ ჩანს დაწერასა შინა ამისსა ათერთმეტი მოქცევთა ქმთა თამარ სამეფოს სანატრელისათა“, ის არ შეიძლება დაწერილიყო თამარ მეფის სიცოცხლეში. იგი შედგენილი ჩანს 1222 წლის მახლობლად[34].

აი, ის ძირითადი მოსაზრებანი, რომელსაც მკვლევარნი გამოთქვამენ „ისტორიათა და აზმათა“ შემდგენლის, შედგენილობისა და შედგენის თარიღთან დაკავშირებით. ესენი წარმოადგენენ სამეშაო ჰიპოთეზას. ასე რომ, „ისტორიათა და აზმათა“ ტექსტი სამოლოდ დადგენილი არაა[35]. იგივე ითქმის მისი სანდოობის შესახებაც. მართალია, მკვლევარი აქ იმოწმებს ივ. ჯავახიშვილს, რომ ეს ძეგლი „დიდი ნდობის ღირსიც არისო“[36]. მაგრამ მეცნიერი იქვე მიუთითებს, რომ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი არ შეიძლება იყოს „ყოველი მოთხრობილის თვითმხილველი და თანადამხდური“. ამიტომ იგი „იძულებული იქნებოდა თავის თხზულებაში სხვათა ნაამბობიც შეეტანა“. აკი ისტორიკოსი თვითონვე იუწყება: „ამას გარდა, რაც ჩემი თვალით მიხილავს, ჩემს შრომაში ისიც შემომაქვს, რომელიც სხვათაგან მსმენიაო. მაგრამ მისი ინფორმატორები თვითონ იყვნენ ნაამბობის თვითმხილველნი და თანამედროვენი თუ არა, ამის შესახებ არაფერს იტყობინება. ამიტომ მათ ნაამბობს ფასი ეკარგება. თხზულების ბოლო ნაწილი შეცვლილი და ნაკლული უნდა იყოს, რადგან „თამარ მეფის სიკვდილის აღწერა მეტად მკრთალია და მოკლე... გარდაცვალების თარიღიც კი არ არის“[37].

„ისტორიანი და აზმანი“ რომ უნაკლო თხზულებას არ წარმოადგენს, ეს შემჩნეული აქვთ ავტორთვე თ. ჟორდანიას[28] ს. კაკაბაძე[39], რ. კიკნაძეს[40], ჯ. ოდი-

---

34 კ. კ ე კ ე ლ ი ძ ე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“, როგორც ლიტერატურული წყარო; რუსთაველის კრებული, თბ., 1938, გვ. 157; ქართლის ცხოვრება, II, გვ. 09—010.

35 ივ. ჯავახიშვილი ხომ აღნიშნავს, მისი ბოლო ნაწილი შეცვლილი და ნაკლული ჩანსო (ძველი ქართული სასტორიო მწერლობა, გვ. 225).

36 ივ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, თბ., 1945, გვ. 241.

37 იქვე, გვ. 225, 232—233.

38 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები I, გვ. 299.

39 ს. კ ა კ ა ბ ა ძ ე, როდის მიიცვალა თამარ მეფე („თემი“,1912, № 56).

40 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 113.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შელს[41] და თვით ი. ლოლაშვილსაც. აი, რას ამბობს იგი: „თამარის ორივე ისტორია ჩვენამდე თავდაპირველი სახით არ არის მოღწეული: „აზმათა“ ტექსტის მეორე ნაწილი ყამი-ყამად შეკვეცების კვალს ატოვებს, მასში რედაქტორის ნახელავიც შეიმჩნევა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ მატიანეში სწორედ ის ადგილებია დაზიანებული, რომლებშიც დავით სოსლანის გარდაცვალებაზე, ლაშა გიორგის გამეფებაზე და თამარის ავადმყოფობასა და გარდაცვალებაზე უნდა აყოფლიყო საუბარი“ (გვ. 98). სხვას რომ თავი დავანებოთ, განა მარტო ეს წყაროს ნაკლზე არ მიუთითებს? ანდა როგორ შეეუთავსოთ მკვლევრის ეს მსჯელობა მის მიერ იქვე გაკეთებულ დასკვნას: „ცხადია, ყოველივე თქმული არ გვაძლევს საფუძველს, ექვნის თვალით შევხედოთ ამ მატიანეთა (თამარის ორივე ისტორიას — ბ. ს.) მეორე ნაწილების ცნობებს ან ამბავთა გადმოცემის თანმიმდევრობა უყურადღებოდ დავტოვოთ“ (გვ. 98).

აქვე უნდა შეენიშნოთ ერთი გარემოება. ი. ლოლაშვილი სხვას აფრთხილებს, „აზმათა“ მონაცემები სრული ჭეშმარიტებაა და მისდამი კრიტიკული მიდგომა არაფრით არაა გამართლებული. თვითონ კი არ ასრულებს ამ შეგონებას და, როცა სჭირდება, მის კრიტიკას არ ერიდება, რის გამოც თავის თავს ეწინააღმდეგება.

მეორე ბრალდება, რომელსაც ი. ლოლაშვილი ჩვენ გვიყენებს ისაა, რომ თურმე სიტყვასიტყვით ვიმეორებთ ს. კაკაბაძის მიერ 1912 წელს გამოთქმულ მოსაზრებას ავტორის მიუთითებლად (გვ. 991). ე. ი. ბრალი გვედება პლაგიატში. ვნახოთ, რამდენად მართებულია ეს ბრალდება. აი, რას წერდა 1912 წლის ს. კაკაბაძე: „როგორც კრიტიკულმა შესწავლამ გვიჩვენა, თამარის მატიანის („ისტორიათა და აზმათა“[41]). მეორე ნაწილი თანამედროვის მიერ კი არაა დაწერილი, არამედ უფრო გვიან, არა-უადრეს XIII საუკუნის დასასრულისა. მაშასადამე 2—3 თაობის შემდეგ. გარდა ამისა ეს მემატიანე, რომელსაც დაწერილი აქვს თამარის მეფობის მეორე ნახევარი, არც თუ დიდად განათლებული კაცი ყოფილა. მისი თხზულებაც ფაქტების მხრივ და მეთოდოლოგიურადაც მდარე ღირებისაა. ამით აიხსნება, რომ მას მრავალი ღირსშესანიშნავი ფაქტი თამარის მეფობისა სრულიად აღნიშნული არ აქვს და არაც აღნიშნულია ისიც შეცდომით“[42] (დაყოფა ლოლაშვილისაა — ბ. ს.).

თუ ს. კაკაბაძის ნაშრომიდან ამოღებულ ამ ვრცელ ციტატას შევუდარებთ ჩვენს მსჯელობას, რაც სრულად ზემოთ (გვ. 175) იყო ძოტახილი, აღმოჩნდება, რომ ს. კაკაბაძესთან საუბარია „ისტორიათა და აზმათა“ მეორე ხაწილზე, ჩვენთან — მთელ თხზულებებზე; ს. კაკაბაძის მიხედვით, „აზმათა“ მეორე ნაწილი დაწერილია XIII ს-ის დასასრულს, 1270—1295 წლებში, ე. ი. 2—3 თაობის შემდეგ. ჩვენ კი ვვარაუდობთ მის დაწერას თამარის დროიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ; ს. კაკაბაძის დაკვირვებით, თხზულების მე-

41 ჯ. ოდიშელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

42 ს. კაკაბაძე, როდის მიიცვალა თამარ მეფე („თემი“, 1912, № 56; „საისტორიო მოამბე“, I, 1924, გვ. 289—291).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორე ნაწილის დამწერი არაა დიდად განათლებული კაცი, ჩვენ ამის შესახებ კრინტს ან ვძრავთ. სამაგიროდ აღვნიშნავთ, რომ თხზულებაში დარღვეულია ქრონოლოგიური თანმიმდევრობა ისეთი ამბებისა, როგორიცაა, მაგ., ანისის, დვინის, ბასიანისა და ყარსის ბრძოლები; გამოტოვებულია ქართველთა მიერ არჭეშისა და მანსკერტის აღება და ივანე მხარგრძელის დატყვევება ხლათში. ს. კაკაბაძესთან კი ისეთი რამ საერთოდ არ არის ნახსენები.

აი, თუმცა როგორ მივიტაცეთ სხვისი აზრები, როგორ დავარღვიეთ მეცნიერული ეთიკა, მაგრამ ამის განსჯა მკითხველისათვის მიგვინდია. ჩვენ კი, გვახსენდება ალ. გამყრელიძის ეულისტკვილით აღსავსე განცხადება ბასიანის ბრძოლის თარიღის დაზუსტებას რომ ეხებოდა[43].

ი. ლოლაშვილი უარყოფს ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ „ისტორიანი და აზმანი“ დაწერილია თამარის აღსრულებიდან რამდენიმე ათეული წლის შემდეგ[46]. მისი თქმით, ასეთი მოსაზრება „უფრო ნაჩქარევია, ვიდრე ღრმა მეცნიერული ძიების საფუძველზე შემუშავებული დასკვნა“ (გვ. 100). იგი ამის დასამტკიცებლად აღნიშნავს: „აზმათა“ მეორე ნაწილის ავტორი რომ გვიანდელი მწერალი იყოს, იგი ლაშასა და რუსუდანის ხანაზეც იტყოდა რამეს და მონგოლთა ურდოებზეც რაღაც სიტყვა წამოსცდებოდა“ (იქვე).

კითხვა ისმის: თუ კი „აზმათა“ ავტორი თამარისა და მისი ძის თანამედროვე იყო და (რაც მთავარია) თავის თხზულებას მათ დროს წერდა, მაშინ რითდა აიხსნას ის ფაქტი, რომ, როგორც ამას თვით ი. ლოლაშვილი კითხულობს, ეს თანამედროვე ისტორიკოსები თხზავენ თამარის ცხოვრება-მოღვაწეობის ამსახველ ვრცელ საკითხავებს და ერთ სიტყვასაც არ ამბობენ დედის სიცოცხლეში ლაშა-გიორგის გამეფებაზე? ანდა კიდევ: „აზმათა“ ავტორი რატომ არაფერს იუწყება „დავით სოსლანის გარდაცვალებაზე“, მისი მეუღლის... ავადმყოფობაზე და გარდაცვალებაზე (გვ. 97—81), ლაშას დროს მომხდარ ამბებზე, კერძოდ, მონღოლთა მოსვლაზე? განა ესა და სხვა დანარჩენი, რაზეც ნაწილობრივ ზემოთ გვქონდა მსჯელობა, მარტო რედაქციის ნახელავია? რა თქმა უნდა, არა. ამის მთავარი მიზეზი უფრო ისაა, რომ თხზულება იწერებოდა გვიან, დაახლოებით XIII ს-ის ოცდაათიანი წლების დასაწყისში, როცა ავტორს ბევრი რამ თამარისდროინდელი ამბებიდან ლარა ახსოვდა ხეირიანად. სხვაგვარი ახსნა ამ საკითხს, ვფიქრობთ, არ მოეძებნება. ამიტომ ან უნდა ვაღიაროთ, რომ თხზულება დაწერილია გვიან[47], რუსუდანის ზეობისას, ანდა უნდა

43 ალ. გამყრელიძე, ბასიანის ომის თარიღი და ტრაპიზონის იმპერიის დაარსების ზოგიერთი საკითხი („კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები“, თბ., 1966, გვ. 16, 47—53).

44 ი. ლოლაშვილი, ძველი ქართველი მეხოტბენი, II, თბ., 1964, გვ. 111—113.

45 ა. გამყრელიძე, დასახ. ნაშრომი.

46 ბ. სილაგაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 126.

47 ამასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს კიდევ ერთი გარემოება, მემატიანის თქმით, მას თხზულებაში შეუტანია არა მარტო ის ამბები, რის მომსწრე და თვითმხილველი თვითონ იყო, არამედ ისიც, რაც ბრძენთა და გონიერთა კაცთაგან“ მოუსმენია. მაშასადამე თხზულებაში ავტორს შეტანილი აქვს სხვისი მონაყოლი ამბებიც და, თუ მისი ინფორმატორები თვითონ არ იყვნენ ნაამბობის თანამედროვენი და თვითმხილველნი, რის შესახებ მემატიანე არაფერს იტყობინება, მაშინ მათ მიერ მოწოდებული ინფორმაცია სრულფასოვანი ვერ იქნება (ივ. ჯავახიშვილი, ძველი ქართული სასისტორიო მწერლობა, გვ. 232—233) და ის შეუსაბამობანი, რომლებიც თხზულებაში შეინიშნება, შეიძლება მათი მიზეზით იყოს გაჩენილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უარვყოთ ის აღრევანი, რომელიც მასში შეინიშნება. ამის უარყოფა კი არაფრით არ შეიძლება.

ასე რომ, ი. ლოლაშვილის მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ფილოლოგიურ მეცნიერებაში მიღებული მოსაზრების თანახმად „ისტორიანი და აზმანი“ ლაშას სიცოცხლეშია შედგენილი[46] და ამ თარიღის გადასინჯვით საეჭვოა ვინმემ პოზიტიურ შედეგს მიაღწიოს (გვ. 100), უსაფუძვლოდ მიგვაჩნია.

რაც შეეხება კითხვის მეორე ნაწილს, თუ „ისტორიანი და აზმანი“ გვიანაა დაწერილი, მაშინ რატომ მისი ავტორი არაფერს აღნიშნავს ლაშასა და რუსუდანის ეპოქაზე, მონოლოთა ან ხვარაზმელთა გამოჩენაზე, ეს მწერლის გარკვეული მოსაზრებით, წინასწარ შედგენილი გეგმით უნდა აიხსნას. მას განზრახული ჰქონდა თამარის ისტორიის შედგენა და, რამდენადაც შეძლო, ეს გააკეთა. განა ასე არაა დაწერილი, მაგალითად, ყამთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

თანხმობით. მაგრამ ერთი წუთით დავუშვათ, რომ მხითარის ცნობის ი. ლოლაშვილისეული გაგება სწორია და მემატიანის ცნობაში იგულისხმება, რომ ლაშა გიორგი პირადად ხელმძღვანელობდა აღნიშნულ ბრძოლებს. მაშინ იბადება ასეთი კითხვა: თუ კი მკვლევარში ეჭვს არ იწვევს ბასილი ეზოსმოძღვრის სიტყვების სისწორე იმის შესახებ, 1206 წელს ყარსის- აღებისას „ეფეცხოვნეებმა კლიტენი (15 წლის) ლაშას ჩააბარეს“ და ქალაქიც მას გადასცეს (გვ. 92), რატომ არ უნდა დავიჯეროთ, რომ უკვე 18 წელს მიღწეულ საქართველოს მეფეს თვითონ მოეწყო ლაშქრობა არეშზე, ვარაგზე ან სპარსელთა ანუ მაჰმადიანთა ნებისმიერ ადგილებში? განა მსოფლიო ისტორიამ ცოტა იცის შემთხვევა. როცა 18 წლის მეფენი თუ სარდლები ლაშქრობებს ხელმძღვანელობენ? განა დავით აღმაშენებელიც ამ ხნისა არ იყო ბრძოლებს რომ ედგა სათავეში? მემატიანენიც ხომ ლაშას თავის დიდ წინაპარს ადარებენ და აღნიშნავენ, რომ ის იყო „ტანად ძლიერი, გულადი ძნნე მოისარი, ჭკვიანი და დამხედვარი, მეტად ქამისა და ასაკისა მისისა“[50].

მ ე ს ა მ ე, ი. ლოლაშვილის მიერ დამოწმებულ ნაშრომში შ. დარჩაშვილი არსად არ ამბობს, რომ მხითარ აირივანცის ცნობა „ბუნდოვანი“ და მიუღებელია. არც შეიძლებოდა ასეთი რამ ეთქვა, რადგან სომეხი მემატიანის ცნობა მას მხოლოდ იმის ნათელსაყოფად დასჭირდა, რომ თამარის შემდეგ ტახტზე ასულ გამოუცდელი, ჭაბუკი მეფის დროს, ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ვ ა ს ა ლ ო ბ ი დ ა ნ გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს ს ურ ვ ი ლ ი ა ღ ე ძ რ ა მ ა ჰ მ ა დ ი ა ნ ყ ა ა ღ ნ ა ფ ი ც ქ ვ ე ყ ნ ე ბ ს, რ ო მ ე ლ თ ა შ ე მ ო მ ტ კ ბ ე ბ ა მ ა ს 1209—1210 წ ე ლ ს უ კ ვ ე უ ხ დ ე ბ ო დ ა[51] (დაყოფა ჩვენია — ბ. ს.).

მ ე ო თ ხ ე, „აზმათა“ ავტორის ცნობას, როგორც ისტორიული ფაქტის ამსახველს, კი არ ვაუფასურებთ და უარვყოფთ, არამედ მიგვაჩნია, რომ ივა ქრონოლოგიური თანმიმდევრობის თვალსაზრისით არ ზის თავის ადგილას და. აი, რატომ: თუ ის დიდი ლაშქრობა რომელიც წყაროს ცნობით ქართველებმა ირანში (ხორასანში) მოაწყვეს, ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ თამარის დრის მოეწყო, მაშინ იგი 1207 წლამდე, ე. ი. დედაფლის გარდაცვალებამდე მომხდარ ფაქტად უნდა მივიჩნიოთ. მაინც როდის? თუ „აზმათა“ ცნობა სწორია, მაშინ ამ ლაშქრობას ადგილი უნდა ჰქონოდა იმ წლის შემოდგომაზე, რომელიწლის გაზაფხულზეც არდებილის სულთანმა აიკლო ანისი, ხოლო ამის საპასუხოდ ქართველებმა დალაშქრეს არდებილი, რაზეც უკვე გვქონდა საუბარი. მაგრამ ჩვენ ვფიქრობთ, რომ მხითარის ცნობა არავითარ კაეშირში არაა ქართული წყაროს ჩვენებასთან. ამიტომ სომეხი ავტორის ცნობის შინაარსი სულ სხვაგვარად უნდა იქნას გაგებული. კერძოდ, ავტორი იუწყება, რომ თამარის შემდეგ საქართველოს ხელმწიფედ გამხდარ ახალგაზრდა ლაშა გიორგის ხმლით უხდება ამ დროს უკვე საქართველოს ვასალობიდან განმდგარი ყმადნაფიცი ქვეყნების დაპყრობა-დამორჩილება. ასე რომ, სომეხი მწერლის ცნობა არც ისე „ყურმოკრული“ და „მცდარია“. ყოველ შემთხვევაში 1209—1210 წელს რომ თამარი ცოცხალი ალარ იყო, რისთვისაც ეს ცნობა დავიმოწმეთ, არავითარ ეჭვს არ იწვევს[52], საეჭვო ამ ცნობაში შეიძლება იყოს ის ადგილი,

50 ლაშას დროინდელი მემატიანე (ქართლის ცხოვრება, I, გვ. 371); დ. გ ვ ი რ ტ ა შ ვ ი ლ ი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, თბ., 1962, გვ. 213.

51 შ. დ ა რ ჩ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 153.

52 ეს დასტურდება კირაკოს განძაკეცის ცნობითაც (Киракос Гандзакеци, История Армении, М., 1976, გვ. 129).

ეროვნული ბიბლიოთეკა

სადაც საუბარია „სპარსელთა ქვეყანაში“ ქართველთა ლაშქრობაზე და ისიც მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აქ ვიგულისხმებთ იმ შორეულ ლაშქრობას, როცა ქართველებმა დალაშქრეს მთელი ჩრდილო ირანი და რომ გურამდე მიაღწიეს, მაგრამ ცნობის შინაარსზე დაკვირვება გვარწმუნებს, რომ აეტორი „სპარსელთა ქვეყანაში“ საკუთრივ სპარსეთს კი არა, საერთოდ მუსლიმურ აღმოსავლეთს გულისხმობს. „სპარსეთი“ მაშინ უფრო ამ გაგებით იხმარებოდა საისტორიო მწერლობაში[53].

ძხითარ აირეკანის ცნობის ასეთი ინტერპრეტაცია ძირს უთხრის მისეულ ვარდან-კირაკოს-სტეფანოსის გაგებას, რომ სპარსეთს გალაშქრება მოეწყო ზაქარიას დროს, კერძოდ 1210 წლს[54]. მაშასადამე, იგი საფუძველს აცლის ამ სომხურ წყაროებზე დაყრდნობით ქართულ ისტორიოგრაფიაში გამოთქმულ და გაბატონებულ იმ თვალსაზრისსაც, რომ არდვინელ-მარანდის ლაშქრობები (თამარის სიცოცხლეში მომხდარ ფაქტად რომ ჩანს), გვიან მოხდა.

თამარი რომ 1207 ან 1210 წელს არ უნდა იყოს გარდაცვლილი ამის დასამტკიცებლად ი. ლოლაშვილი მიმართავს ნუმიზმატიკურ მასალას, კერძოდ, 1210 წელს თამარის სახეზე მოჭრილ მონეტას[55] და იმავე თარიღის ლაშა გიორგის მონეტას[56]. თამარის მონეტაზე „მეფეთა მეფედ“ დედოფალია მოხსენიებული, ხოლო მეორე მონეტაზე „მეფეთა მეფე“ — ლაშა გიორგი. ვინაიდან ერთდროულად ორი მეფეთა მეფის თანაარსებობა უპრეცედენტო შემთხვევაა, ამ უჩვეულო მოვლენას, როგორც მას მ. ბროსე უწოდებდა[57], თავისი ახსნა უნდა მოეძებნოს.

ქართულ (და არა მარტო ქართულ) ისტორიოგრაფიაში ამ საკითხთან დაკავშირებით გამოთქმულია რამდენიმე მოსაზრება: ზოგი ფიქრობს, რომ 1210 წელს თამარმა მთელი ძალაუფლება დაუთმო შვილს[58] და თავად მონასტერში აღიკვეცა[59]. ზოგს კი მიაჩნია, რომ ეს შეიძლება მომხდარიყო სახელმწიფო გადატრიალების ან დედის გარდაცვალების შედეგად[60]. ი. ლოლაშვილი სრულიად მართებულად უარყოფს ამ მოსაზრებებს, მაგრამ ცდება, როცა საკითხის თავისებურ ახსნას გვთავაზობს. მისი რწმენით, „სავსებით დასაშვებია, რომ დედა-შვილ მეფეთა შეთანხმებით, 1210 წელს ერთდროულად მოეჭრათ ორი სახის ფული: ერთი თამარის სახელზე, მეორე გიორგის სახელზე. საამისოდ

---

53 „რუსუდან ითხოვეს ხლათსა დასასმელად დიდმან სულტანმან მელექმან, რომელსა ეგვიპტით ვიდრე ხლათამდის სპარსეთიჰქონდა“ (ლაშა გიორგის დროინდელი მემატენე (ქ. ც. I, გვ. 371 ვ. დონდუა, საისტორიო ძიებანი, II, თბ., 1973, გვ. III.

54 Вардан, დასხხ. თხზულება, გვ. 171.

55 Е. Л. Пахомов, Монеты Грузии, Тб., გვ. 91.

56 იქვე, გვ. 96.

57 M. Brosset, Report sur l'ouvrage intitulé Нумизматические факты грузинского царства et Revue de Numismatique Georgiene. St-Petersbourg. 1847, გვ. 67. უჩვეულო მოვლენად მიაჩნდა იგი ე. პახომოვსაც (იხ. მისი, დასახ. ნაშრომი, გვ. 98).

58 Е. Л. Пахомов, დასახ. ნაშრომი, 87; А. А. Быков, Грузинские монеты XII—XIII вв. (Памятники Эпохи Руставели, Л., 1938, გვ. 85); D. M. Lang. Studies in the Numismatic history of Georgia in Transcaucasia (The American Numismatic Sosiety Numismatic Notes and Monographs, № 130, New-York, 1955, გვ. 25).

59 Е. Л. Пахомов, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

60 თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არც პოლიტიკური გადატრიალება იყო საჭირო, არც რომელიმე მათგანის ნებითი გადადგომა (თუ გარდაცვალება) (გვ. 108).

როგორც ვხედავთ, მკვლევარი სრულიად მარტივად წყვეტს საკითხს, მაგრამ როგორც სხვა მოსაზრებანი, ეს ახსნაც დაუჯერებელია და მიუღებელი.

დედა-შვილის შეთანხმება. ცალ-ცალკე მოეჭრათ ფულის ნიშნები მეფეთა ძეფის ტატულით, არ ესადაგება ნუმიზმატიკურ პრაქტიკას. იგი ვერ იძლევა ასეთს ერთდროულად, ერთ და იმავე სახელმწიფოში ორი მეფეთ მეფის თანაარსებობის აუცილებლობის შესახებ. მაშასადამე, მას სხვანაირი ახსნა სჭირდება.

სამონეტო საქმის ისტორიაში ცნობილია შემთხვევები, როდესაც მონეტა იჭრება უკვე სამეფო ტახტიდან გადაყენებული ან გარდაცვლილი ხელმწიფის სახელზე[61]. ცნობილი ნუმიზმატი ე. პახომოვი, სახალიფოსდრონიდელ მუსლიმურ მონეტებზე მუშაობისას დარწმუნდა, რომ ზოგი მონეტა უსახელოა, ზოგი კი ისეთი, რომელზედაც აღნიშნულია არა მმართველი ხალიფას, არამედ მისი წინა მორბედი გამგებლის სახელი[62].

ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე 1210 წელს თამარ მეფის სახელზე მოჭრილი მონეტის საკითხშიც. ამ დროს საქართველოს ერთპიროვნული მბრძანებელი, მისი მეფეთა მეფე ლაშა გიორგია და ფულიც მის სახელზე იჭრება. მაგრამ ამავე დროს უკვე აღსრულებული თამარის მონეტის ემისიაც გრძელდება. რაშია საქმე? თუ საქართველოს დედოფალი ნამდვილად 1207 წელს გარდაიცვალა და ტახტი მისმა ვაჟმა დაიკავა, მაშინ რატომ ასე გვიან — 1210 წლიდან იწყება მისი სახელით ფულის მოჭრა?

ამის თავი და თავი მიზეზი საქართველოს სამეფო კარზე მაშინ არსებულ რთულ პოლიტიკურ სიტუაციაში და შინაკოალსობრივ ბრძოლაშია საძებარი. არაბი მემატიანე ხომ პირდაპირ ამბობს: თამარის გარდაცვალების შემდეგ საქართველოს სამეფო კარზე თავი იჩინა არეულობამ[63]... უცხო ავტორის ამ მეტად მნიშვნელოვანი ჩვენების სისწორე მთლიანად დასტურდება ქართულ წყაროთა მონაცემებითაც.

ლაშა გვევლინება დამოუკიდებელ სახელმწიფო მოღვაწედ. მისი იდეალი იყო ქვეყნის ცენტრალიზაციის შენარჩუნება და მეფის ხელისუფლების გაძლიერება, რასაც ხელს უშლიდნენ მსხვილი ფეოდალები, მეტადრე თამარის დროს მეტისმეტად აღზევებული და გაძლიერებული სამეფო კარის დიდმოხელენი. მათ სურდათ მეფის ხელისუფლების დასუსტება და მეფის გადაქცევა მათზე დამოკიდებულ პიროვნებად.

ამიტომ მეფეს განხორახული ჰქონდა ცვლილებების მოხდენა: ურჩების დამცრობა-გადაყენება და მათ ადგილას თავისი მომხრე ახალგაზრდობის დაწინაურება.

ამ ღონისძიების გატარებისას იგი ეყრდნობა ფეოდალური წრიდან გამოსულ რაინდული სულისკვეთებით გამსჭვალული ახალგაზრდობის განსაკუთრებულ სოციალურ კატეგორიას — „რინდებს". ამის გამოა ქამთაალმწერელი

---

61 თ. ნატროშვილი, გ. ჯაფარიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 160.

62 Е. Л. Пахомов, Монеты Азербайджана, вып. IV, Баку, 1913, გვ. 145.

63 იბნ ალ-ასირი, დასახ. ნაშრომი, XII, გვ. 119.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკმაყოფილოდ რომ ამბობს: მეფემ „განაშორნნა ვაზირნი სანატრელისა დედოფლისა და... შეიყუარნა თანამოჰასაკენონ“[64].

ძნელი სათქმელია ახალგაზრდა მეფე ასეთ ღონისძიებას თვითონ, სხვისი კარნახის გარეშე ახორციელებდა თუ ჰყავდა ერთგული მრჩეველნი. მაგრამ ვისგანაც არ უნდა მოდიოდეს იდეა თამარისდროინდელი ვაზირების განშორებისა, რელიგიისადმი თავისუფალი დამოკიდებულებისა, კულტის მსახურთათვის ანგარიშის გაუწევლობისა და მეფის ხელისუფლების გაძლიერებისა, ის კი ცხადია, რომ ასეთი საქციელი მსხვილი ფეოდალების, მათ შორის სამეფო კარის დიდმოხელეთა მოწონებას ვერ დაიმსახურებდა. და როგორც ყამთაოლმწერელი იუწყება, „ამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანნი, ფრიად შეუხარენი, და უმტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი ზაქარიას ძე განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან“ და მეფეს მოახსენებდნენ: „არა თავს ვიდებთო... შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენონ ბოროტთა კაცთა სიახლესა და ავსა წესსა, რომელსა იქმ“[65].

მემატიანის ამ სიტყვებიდან აშკარაა ის კონფლიქტური სიტუაცია, რომელიც სუფევს სამეფო კარზე ლაშას ერთმეფობის დასაწყისში.

უთანხმოება მეფესა და ფეოდალებს შორის კარგა ხანს გრძელდებოდა. მეფე თავიდან უარს ამბობდა მის მიმართ წაყენებული მოთხოვნების მიღებაზე, მაგრამ ბოლოს ოპოზიციამ მაინც იმძლავრა და თავისი გაიტანა. ლაშა გორგიმ აღუთქვა, რომ „არარასა იქმდა თჳნიერ მათისა განზრახვისა“[66]. მაშასადამე, მან თავი მათ მორჩილად სცნო და იმათაც ამის შემდეგ შეცვლეს დამოკიდებულება მისდამი. იგი ქვეყნის სრულუფლებიან გამგებლად სცნეს და ეს, როგორც წყაროებიდან[67] ჩანს, 1210 წელს კუთხეევით დაადასტურეს[68]. მანამდე კი, ვინაიდან მისი მეფობა პირობითი იყო, მის სახელზე ფულის მოჭრაზეც თავს იკავებდნენ და თამარის მონეტების ემისია გრძელდებოდა. ამრიგად, 1210 წლით დათარიღებული თამარისა და მისი ძის მონეტების არსებობა არც იმას ნიშნავს, რომ თამარი მაშინ ცოცხალი იყო და არც იმას, რომ ლაშას ერთმეფობაც იმ დროს დაიწყო. ხოლო თე ეს ასეა (რასაც წყაროთა მონაცემები უჭერენ მხარს), მაშინ დედა-შვილს შორის რაიმე შეთანხმებაზე საუბარი ზედმეტია. ასევე გამორიცხული ჩანს ისიც, რომ დედამ შვილს ტახტი გადასცა და თვითონ მონასტერში აღიკვეცა. ცდილობს, რა როგორმე დაიცვას თამარის გარდაცვალების „ტრადიციული“, „კანონიკური“ თარიღი — 1213 წელი, ი. ლოლაშვილი იმოწმებს თ. ნატროშვილს, გ. ჯაფარიძეს და შ. დარჩაშვილს იმ შემთხვევაში, როცა ისინი აღნიშნავენ, რომ თამარი 1207 წელს არ აღსრულებულა. მაგრამ არ ეთანხმება როცა ისინი საქართველოს დედოფლის გარდაცვალების თარიღად 1210 წელს დებენ. მისი აზრით, თამარი 1211 წელსაც ცოცხალი ყოფილა და ამის დასამტკიცებლად მიმართავს ყამთაოლმწერლის, ფარსადან გორგიჯანიძის, ვახუშტი ბაგრატიონის, „ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეულ და ვახტანგისეული რედაქციის (ERdps) სხვა ნუსხათა ცნობებს, აგრეთვე A 85 ხელნაწერის II კვინკლოსის მინაწერს (გვ. 106—107).

64 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

65 იქვე.

66 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 155.

67 იხ. „ჰაღბატის 1210 წლის წარწერა“ (შ. დ ა რ ჩ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, რომ, გვ. 152).

68 დაახლოებით ასეთსავე აზრს გამოთქვამს ჯ. ოდიშელიც (იხ. მ ი ს ი, დასახ. ნაშრომი, „ცისკარი“, № I, 1976, გვ. 123).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქამთააღმწერლის ცნობით, „რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო ლაშა ათრვამეტისა წლისა“[69]. ე. ი. თამარი გარდაიცვალა 1211 (1193+18) წელს. მაგრამ, ჯ ე რ ე რ თ ი, ეს ცნობა გვიანდელია (X IV ს.) და მ ე ო რ ე, იგი ეწინააღმდეგება მეორე ცნობას, რომელშიც იგივე ავტორი აღნიშნავს, რომ ლაშამ გვირგვინი მეფობისა დაიდგა „ათცამეტისა წლისამ“[70], (დავით სოლომონის გარდაცვალების შემდეგ)[71], ე. ი. 1205/6 წელს. თუ ეს ცნობა სწორია, მაშინ გამოდის, რომ 1207 წელს დავითი კი არა, მისი მეუღლე თამარი გარდაიცვალა და, ცხადია, ის 1211 ან 1213 წელს ვეღარ მოკვდებოდა. ამასაც რომ თავი დავანებოთ, თამარის გარდაცვალების ქამთააღმწერლისეული თარიღი (1211 წ.) ი. ლოლაშვილისთვისაც არაა ხელსაყრელი.

ფარსადან გორგიჯანიძეს დამოუკიდებელი თვალსაზრისი თამარის მეფობის დასასრულის შესახებ არ გააჩნია. მისი წყაროა ქამთააღმწერელი და ისიც იმას ამბობს, რაც წყაროში სწერია. მისგან განსხვავებით მხოლოდ იმას აღნიშნავს, რომ „ხუთი წელი დედამ იცოცხლა შვილის მეფობაშიო“[72] და აქაც შეცდომას უშვებს.

ვახუშტი ბაგრატიონის ძირითადი წყაროც ქამთააღმწერელია. მაგრამ წყაროსაგან განსხვავებით მას აქვს საკუთარი ქრონოლოგია, რომელიც საერთოდ 10[73], ხოლო თამარის მეფობის მონაკვეთში ძირითადად 6 წლით[74] ჩამორჩება რეალურს. ამის გათვალისწინებით, მის თხზულებაში თამარის გამეფების 1174 და გარდაცვალების თარიღად დასახელებული 1201 წელი უდრის 1184/1174+10/ და 1207/1201+6/ წლებს. ასე რომ, ვახუშტიც არ უშვრს მხარს ი. ლოლაშვილს. იგივე ითქმის „ქართლის ცხოვრების“ მის მიერ დასახელებული ნუსხებისა და A 85 ხელნაწერის II კვინკლოსის მინაწერთა შესახებაც.

„ქართლის ცხოვრების“ ბარათაშვილისეული ნუსხის მინაწერი „თამარ დაიძინა... ქორონიკონსა უ ლ“[75]/780+930=1210/ ბასილის თხზულებას ეკუთვნის. მინაწერი შესრულებულია გვიან. ამასთან, იქვეა სულ სხვა ხელით გაკეთებული მეორე მინაწერიც, რომელიც გვამცნობს, რომ თამარი აღესრულა ქორონიკონსა „უია“[76] /411/, რაც შეესატყვისება 119/411+780/ წელს. აპრიგად, არსებობს სხვადასხვა ხელით შესრულებული ორი ერთმანეთისაგან განსხვავებული მინაწერი. უთითებენ მხოლოდ ერთ მინაწერს, რომლის თანახმად თამარი 1210 წელს ჩანს გარდაცვლილი, მეორეს კი საერთოდ არ ახსენებენ,

---

69 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 151.

70 იქვე.

71 დავითის სიცოცხლეში ლაშას კეთრთევა მეფედ ვერ მოხდებოდა.

72 ფ ა რ ს ა დ ა ნ გ ო რ გ ი ჯ ა ნ ი ძ ე, საქართველოს ცხოვრება, ხელნწ. H 2140, ფ. 33. მ. ლოლაშვილის მიხედვით ეს დიდმნიშვნელოვანი ფაქტია (გვ. 107). სინამდვილეში ნახევრად ყალბ მონაცემებზე აგებული უბრალო მთავმატიკური გაანგარიშებაა. გამეფებისას ლაშა იყო 13 წლის, დედის დაკარგვისას — 18 წლის. რაკი ფარსადანმა იცოდა, რომ ლაშა 1192/3 წელსაა დაბადებული, ამის მიხედვით გამოიყვანა მათი თანამეფობის 5 წელი.

73 S a i n t-M a r t i n, Memoires Historiques et Geographiques sur Armenien. t. II. Paris, 1819, გვ. 25, 292; თ. ქ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, I, გვ. 90-91.

74 რ. კ ი კ ნ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი, გვ. 131.

75 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 146 (ვარიანტები); ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 120; ი. ლ ო ლ ა შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

76 მ ც ი რ ე ქ რ ო ნ ი კ ე ბ ი, გვ. 28.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ის არც არსებობდეს. მიზეზი და მიზანი ასეთი მოქმედებისა ისაა, რომ როგორმე უარყოფ თამარის სიკვდილი 1207 წელს. მაგრამ არც პირველი მინაწერის სისწორე დასტურდება ისტორიული წყაროებით და გიორგი მეორისა. ამდენად, ისინი არ იმსახურებენ ნდობას. ყოველ შემთხვევაში, ეს მოხაცემები სწორიც რომ იყოს, მაინც ი. ლოლაშვილის კონცეფციას ეწინააღმდეგება.

რაც შეეხება A 85 ხელნაწერის II ეკინკლოსის მინაწერს — „ულა /1211/ თამარ მეფე გარდაიცვალა... და მეორესა წელსა მეფედ დაჯდა გიორგი“ — არსებობს ძისი სხვანაირი წაკითხვაც. თ. ბრეგაძე მას კითხულობს ასე „ული [თამ]არ დედოფალი გარდაიცვალა. უმ. მეორესა წელსა მეფედ და[ჯდა] გიორგი...“‘.

„ულ“-ს რიცხვითი მაჩვენებელია 431, „ული“-სა 440. მაშასადამე, პირველი წაკითხვით თამარი გარდაიცვალა 1211, ხოლო მეორე წაკითხვის თანახმად — 1220 წელს. ამ ორი წაკითხვიდან არც ერთია სანდო და არც მეორე. თ. ჟორდანიას დაკვირვებით, ეს მინაწერი გაკეთებულია XV ს-ში[78]. ი. ლოლაშვილის თქმით კი უფრო გვიან — XVII ს-ში (გვ. 106). ამასთან, თ. ჟორდანია ფიქრობს, რომ მინაწერში მოხსენებული დედოფალი თამარი არ არის თამარ მეფე, მით უფრო, რომ მინაწერი ჩართულია XIV მოქცევის ქორონიკონებში. ასეთსავე მოსაზრებას გამოთქვამს ჯ. ოდიშელიც. მისი დაკვირვებითაც ეს ცნობა მექანიკურადაა გადმოტანილი სხვა კვნკლოსიდან და თარიღში დაშვებულია მექანიკური შეცდომა[79]. ამის დასტურად გამოდგება თუნდაც ის, რომ I კვინკლოსის მინაწერებიდან ერთ-ერთში /5/აღნიშნულია: „უკვ /ხეკ/ —1206 — აქა მიიცვალა თამარ და მეორ[ესა] წელს გამე[ფდა ძე მისი] გიორგი“. მართალია, აქაცაა მცირე შეცდომა დაშვებული, მაგრამ სინამდვილეს აღდგენა იოლად ხერხდება. საქმე ისაა, რომ ლაშას გამეფება მოხდა თამარის გარდაცვალების წელსვე. ამიტომ ამ ცნობის მიხედვით, ან ლაშაც 1206 წელს უნდა გამეფებულიყო, ანდა თამარი უნდა აღსრულებულიყო ლაშას აღზევების დროს, ცნობის თანახმად 1207 წელს. ვინაიდან 1206 წელს სხვა წყაროები არ უმტკიცებენ მხარს, ეჭვი არაა, რომ თამარის გარდაცვალებისა და გიორგი ლაშას ერთმეფობის დასაწყისის სწორი თარიღია 1207 წელი.

ამრიგად, ირკვევა, რომ ი. ლოლაშვილის მიერ მოხმობილი გვიანდელი წყაროებიდან არც ერთით არ დგინდება, რომ თამარ მეფე უდავოდ 1211 წელს იყო გარდაცვლილი. მაგრამ კიდევაც რომ დავუშვათ, რომ ეს ასე არ არის და საქართველოს დედოფალი 1211 წელს აღესრულა, მაშინ როგორღა უნდა ვამტკიცოთ, რომ ის ნამდვილად 1213 წელს მოკვდა?

ი. ლოლაშვილი ფრანგი რაინდის დე ბუას გახმაურებული წერილის შესახებ აცხადებს: „ასეთი დოკუმენტით (რომელსაც თარიღი არ უზის) არ შეიძლება რაიმე სხვა თარიღის დადგენაო“ (გვ. 105). თუმცა მან მშვენივრად იცის, რომ წერილი დაწერილი უნდა იყოს 1208/9 წელს, რადგან მასში ლაშა 16 წლისადაა მოხსენიებული. მაშ რატომ ამბობს მის მიხედვით სხვა რომელიმე თარიღის დადგენა შეუძლებელია და ის წყაროდ არ გამოდგებაო? მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ როგორც წერილის შინაარსიდან ჩანს, მისი დაწერის დროს თამარი ცოცხალი აღარ არის.

77 A ფონდის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, I, თბ., 1973, გვ. 296.

78 თ. ჟ ო რ დ ა ნ ი ა, ქრონიკები, II, გვ. 91.

79 მცირე ქრონიკები, გვ. 95.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასევე მიუღებელია მისი მსჯელობა რომის პაპის ინოკენტი III-ის მიერ საქართველოს მეფე გიორგი ლაშასადმი 1211 წლის 7 ივნისს გამოგზავნილი წერილის შესახებაც. გიორგისადმი წერილით მიმართვა უეჭველად იმას ნიშნავდა, რომ თამარი მაშინ უკვე ცოცხალი აღარ იყო. მკვლევარი კი უარყოფს ამას და აღნიშნავს: თუ ასე ვიმსჯელებთ, მაშინ გამოდის რომ 1224 წელს რუსუდანიც მკვდარი ყოფილა, რადგან რომის პაპი ონორეს 1224 წლის 12 მაისს ივანე ათაბაგისადმი გაგზავნილ წერილში რუსუდანის ხსენება არ არისო (გვ. 109).

მაგრამ ეს ანალოგია არ გამოდგება. მკვლევარს ავიწყდება, რომ, როცა ონორე ივანეს წერილს უგზავნიდა, ასეთივე ეპისტოლეთი მიმართა საქართველოს მეფე რუსუდანს. ამიტომ ამირსპასალარისადმი გაგზავნილ წერილში მეფის სახელის მოხსენიება საჭიროდ აღარ ჩათვალა. ასე რომ, აქედან გაკეთებული დასკვნა: რომის პაპს დედა-შვილის თანამოსაყდრეობის დროს შეიძლებოდა ეპისტოლე მეფეთა მეფის თამარის გვერდის ავლით მხოლოდ გიორგი მეფის სახელზე დაეწერა და მისთვის ეთხოვა ჯვარსნულ ლაშქრობაში მონაწილეობის მიღება (გვ. 109), ყოვლად დაუჯერებელია. პაპი ინოკენტი III თამარის გვერდის ავლით არავითარ შემთხვევაში არ დაუკავშირდებოდა ლაშას, რადგან ეს იქნებოდა დიპლომატიური ეთიკის უხეში დარღვევა, საქართველოს მეფის შეურაცხყოფა, მისი და ამავე დროს საკუთარი თავის დამცირება.

„ისტორიათა და აზმათა“ ავტორის ჩვენებით, თამარი აღსრულებულა ზაქარია ამირსპასალარის შემდეგ[80]. სომხური ეპიგრაფიკული მასალით კი ჩანს, რომ საქმე პირიქითაა, ჯერ თამარი გარდაცვლილა, შემდეგ — ზაქარიან[81]. ეპიგრაფიკულ მონაცემებს მხარს უჭერენ ნარატიული წყაროებიც. ვარდან აღმოსავლელისა და სტეფანოს ორბელიანის ცნობით, არდებილ-მარანდის 1210 წლის ლაშქრობებიდან დაბრუნებული ზაქარია ამირსპასალარი გარდაიცვალა 1212 წელს[82]. კირაკოს განძაკეცის თქმით, ზაქარიას სიკვდილს დიდად დაუმწუხრებია საქართველოს მეფე გიორგი ლაშა, ‘ზაქარიას ძმა ივანე და მთელი ქართული ლაშქარი[83].

მოსალოდნელი იყო, რომ ი. ლოლაშვილი სხვა წყაროთა ცნობების მოშველიებით, მათი შედარებისა და სათანადო ანალიზის შედეგად შეეცდებოდა წინაღმდეგობებით აღსავსე ამ საკითხის გარკვევას. მან კი ეს პრობლემა სულ მარტივად გადაწყვიტა.

მისი თქმით, სომხური სავანეების — ჰაღბატის, მარმეთის, მორო ძორისა და ბაგავანის წარწერები ერთი შეხედვით, მართლაც, დასტურებენ თამარის გარდაცვალებას ზაქარია მხარგრძელზე უწინ (გვ. 109—110), მაგრამ ეს ასე არ არის, რადგან ზოგიერთი რეალია უნდობლობას იწვევს (გვ. 110). თურმე მკვლევარში უნდობლობის გრძნობა აღძრა იმან, რომ, ჯერერთი, ჰაღბატის 1210 წლის წარწერა ამოიკვეთა „მეფეთა-მეფის გიორგი... თამარის ძის (მეორედ) კუროხეევის წელს“ და შ. დარჩაშვილი მას სრულიად სანდოდ მი-

80 ქართლის ცხოვრება, II, გვ. 110—112.

81 შ. დარჩაშვილი, XIII ს-ის დასაწყისის საქართველოს ქრონოლოგიის საკითხისათვის, „მნათობი“, 1975, № 2, გვ. 151—155.

82 ვარდანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 171—172; სტეფანოს ორბელიანი, დასახ. ნაშრომი, გვ. 64.

83 Киракос Гандзакеци, დასახ. თხზულება, გვ. 129, დამწუხრებულთა შორის თამარის მოუხსენებლობა იმის მაუწყებელია, რომ იგი მაშინ ცოცხალი აღარაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

იჩნევს; მ ე ო რ ე, მორო ძოროს 1213 წლის წარწერის მიხედვით ზაქარია მაშინ ცოცხალი აღარ ყოფილა, ხოლო ს. კაკაბაძე მისი გარდაცვალების თარიღად 1215 წელს ასახელებს (გვ. 110).

რომელ ერთს დავუჯეროთო კითხულობს ი. ლოლაშვილი და თვითონვე უპასუხებს: „საკითხის მართებულად გადაწყვეტისათვის ერთადერთი სწორი გზაა XIII ს-ის ქართველ და სომეხ ისტორიკოსთა მონათხრობისა და მათივე ქრონოლოგიური მონაცემების შედარებით შესწავლა და ანალიზი“ (გვ. 110). მაგრამ სწორედ ამ ანალიზს ვერ ვხედებით მის ნაშრომში. იგი ქმაყოფილდება მხოლოდ ავტორთა დასახელებით და დასმულ კითხვაზე: ზაქარია უწინ გარდაიცვალა თუ თამარი, უბრალოდ ასკვნის, ერთადერთ სწორ პასუხს იძლევა მხოლოდ „ისტორიათა და აზმათა“ ავტორი, რომლის მიხედვით თამარი ზაქარიას შემდეგაც ცოცხალიაო. ხოლო რაც შეეხება იმას, რომ სომეხი ავტორები ზაქარიას გარდაცვალების გამო დამწუხრებულთა შორის თამარს არ იხსენიებენ, ეს იმას კი არ ნიშნავს, რომ თამარი ამ დროს ცოცხალი აღარ იყო, არამედ იმას, რომ მათ არ იცოდნენ როგორ იმოქმედა თამარზე ზაქარიას სიკვდილმაო (გვ. III).

წარმოუდგენელია სომეხ ავტორებს გიორგის განწყობილება სცოდნოდათ. ამორსპასალარის დაკარგვის გამო და თამარისა — არა. ერთი წუთით დავუშვათ, რომ ი. ლოლაშვილის მსჯელობა მართალია. მაგრამ ამას ხომ დასაბუთება უნდა.. ეს მით უფრო აუცილებელია, რომ ეპიგრაფიკული მასალა ეწინააღმდეგება „აზმათა“ ავტორის ზემოთ მოტანილ ცნობას. ამ მასალიდან ხომ ჩანს, რომ ზაქარია თამარის შემდეგაც ცოცხალია და ასეთ შემთხვევაში, ცხადია, თამარი ძს ვეღარ იგლოვდა.

ჩვენ არ ვიცით, რამდენად სანდოა სომეხი მწერლებისა და ეპიგრაფიკული ძეგლების მონაცემები, რომელთა აღიარებით ზაქარია 1212 წელს აღესრულა (ამას დამატებით კვლევა სჭირდება), მაგრამ ვერც იმას ვიტყვით ხელაღებით, რომ ქართულ წყაროში ეს ამბავი ზუსტად და თავის ადგილზეა გადმოცემული. ასეთ ეჭვს ბადებს თუნდაც მარტო ის ფაქტები, რაზედაც ზემოთ თავის ადგილას იყო საუბარი. ამიტომ საჭიროა შემდგომი კვლევა-ძიება ამ მიმართულებით და, როცა ეს საკითხი საბოლოოდ გაირკვევა, მაშინ დადგინდება ზაქარია უწინ გარდაიცვალა თუ თამარი, ასევე ისიც, თუ როდის მოეწყო ქართველთა ძლევამოსილი ლაშქრობა შორეულ ირანში. ამის დადგენას კი თავის მხრივ არსებითი მნიშვნელობა ენიჭება იმის შესამოწმებლად, თუ რამდენად სწორია ვარაუდი იმის შესახებ, რომ აღნიშნულ ლაშქრობას ადგილი უნდა ჰქონოდა არა 1210 წელს, არამედ 1205/6 წელს ანის-არდებილის ამბების შემდეგ, იმავე წლის შემოდგომაზე, როცა თამარი ჯერ კიდევ ცოცხალია.

ი. ლოლაშვილი არაფერს ამბობს ამ საკითხების შესახებ და ისე უნდა აბსოლუტური შეშმარიტების მნიშვნელობა მიანიჭოს თ. ჟორდანიასა და ივ. ჯავახიშვილის ვარაუდს თამარ მეფის 1213 წლის გარდაცვალების შესახებ. მაკრამ, როგორც უკვე დავინახეთ, ამას ვერ ახერხებს და ყოველ ნაბიჯზე წინააღმდეგობაში ვარდება. ამდენად, მისი განცხადება ნაშრომის დასაწყისში (გვ. 89), რომ თამარის აღსრულების გამო თანამედროვე ისტორიოგრაფიაში არსებობს მოსაზრებათა დიდი შეუსაბამობა და ამიტომ საჭიროა ყველა ძველი ცნობის დეტალური განხილვა, რათა მკითხველს ვუჩვენონო, თუ რომელი თარიღია სარწმუნო — განცხადებადვე რჩება. ნაშრომი მიზანს ვერ აღწევს.

თამარი 1213 წელს კი არა, 1207 წელს აღესრულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

М. В. НАТМЕЛАДЗЕ. ИСТОРИЯ РАБОЧЕГО КЛАССА ГРУЗИИ (июнь 1941—1980 гг.), т. III, «Мецниереба», Тб., 1987.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 70 წლისთავის იუბილეს კარგად მეესადგა გამომცემლობა „მეცნიერება"-ს მიერ გამოქვეყნებული პროფ. მაყვალა ნათმელაძის მონოგრაფია — საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის სამტომეულის მესამე ტომი, რომელიც მოიცავს ჩვენი საუკუნის 40—70-იანი წლების ისტორიულ მონაკვეთს და ქრონოლოგიურად აგრძელებს საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის მეორე ტომს, რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ისტორიული თარიღიდან იღებს სათავეს და საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის დაწყებით მთავრდება. მეორე ტომის ავტორიც მ. ნათმელაძე გახლავთ.

ფრიად სასიამოვნო მოვალეობად მიგვაჩნია ხაზი გაუსვათ იმ გარემოებას, რომ ამ ახალი მონოგრაფიის გამოცემით მ. ნათმელაძემ შექმნა საბჭოური ხანის საქართველოს მუშათა კლასის თანმიმდევრული მეცნიერული ისტორია. საერთოდ, ამ პრობლემის შესწავლას ავტორმა მრავალი ნაშრომი უძღვნა ქართულ და რუსულ ენებზე, მათ შორის ცალკე უნდა გამოვყოთ განმაზოგადებელი ხასიათის, 1970—1975 წლებში გამოქვეყნებული საბჭოთა საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის ორი ტომი ქართულ ენაზე, ამიტომ ამთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ საკრიტიკო და აუცილებელია ქართულ ენაზეც გამოიცეს მესამე ტომი, რომელსაც, ცხადია, რუსული გამოცემის მესამე ტომი დაედება საფუძვლად.

სანამ თვით მონოგრაფიაში განხილულ საკითხებს შეეხებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია იმის აღნიშნვაც, რომ დღეს, როდესაც პარტიის მიერ მიღებული გარდაქმნის სტრატეგიული კურსის განხორციელება აყენებს ჩვენი ქვეყნის ისტორიული წარსულისადმი ახლებური მიდგომის ამოცანას, კერძოდ პიროვნების კულტის დაძლევის ფონზე უახლესი ისტორიის რიგ საკითხებზე უკვე გამოქვეყნებულ და მით უფრო გამოსაქვეყნებელი სასისტორიო სამეცნიერო ლიტერატურისადმი ახლებური მიდგომის ამოცანას, განსაკუთრებული მნიშვნელობის ფაქტად აღვიქვამთ სარეცენზიო მონოგრაფიის გამოცემას.

მუშათა კლასის ისტორიის პრობლემატიკაზე მ. ნათმელაძის ავტორობით გამოქვეყნებული ნაშრომები, კერძოდ კი საქართველოს მუშათა კლასის როგორც მეორე, ისე მესამე ტომი დაწერილია და გამოცემულია სკკპ XX ყრილობის შემდგომ პერიოდში, ამიტომ ისინი სრულიად თავისუფალნი არიან პიროვნების კულტის პერიოდის ისტორიულ კვლევა-ძიებისათვის დამახასიათებელი ტენდენციებისაგან, მით უფრო კი მესამე ტომი, რომელშიც გათვალისწინებულია სკკპ XXVII ყრილობის მიერ შემუშავებული ზოგადი შეფასება უახლესი წარსულისა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ მ. ნათმელაძის ახალი მონოგრაფია საბჭოთა საზოგადოების წმაყვანი ძალის — მუშათა კლასის საწარმო და პოლიტიკური მოდაწყობის, პარტიის მიერ დასახული გეგმების რეალიზაციისათვის თავდადებული შრომის ისტორიაა, შრომის სოციალისტური ფორმების დახასიათება-ანალიზია, მუშათა კლასის სოციალისტური განვითარების განზოგადებაა. უეჭველია მთელი ჩვენ ქვეყნის, მათ შორის საქართველოს მუშათა კლასის სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და საწარმოო საქმიანობაზე გავლენას ახდენდა 40—70-იანი წლებში — სოციალიზმის მშენებლობისა და სოციალიზმის საერთო განვითარების ობიექტური და სუბიექტური ფაქტორები, ნეგატიური მოვლენები, რომელთაც ოკი იჩინეს 50—70-იან წლებში მრეწველობისადმი ხელმძღვანელობასა თუ სხვა დარგში დასახულ მრავალრიცხოვან ექსპერიმენტებსა და მათი განხორციელების არცოუ სასურველ შედეგებში. მაგრამ ერთი უდავოა, რომ მუშათა კლასი მისივის დამახასიათებელი მაღალი შეგნებულობით იბრძოდა ქვეყნის წინაშე პარტიის მიერ დასახული სახალო სამეურნეო ამოცანების შესრულებისათვის. აქვე ისიც უნდა დავძინოთ, რომ სარეცენზიო მონოგრაფია ქრონოლოგიურად მთავრდება 80-იანი წლების დამდეგით, ამიტომ მასში, ცხადია, ვერ აისახებოდა საბჭოთა კავშირის სოცია-

ლურ-ეკონომიკური და საზოგადოებრივ-პოლიტიკური განვითარების პროცესში წარმოჩენილი უძლიერის ტენდენცია, რომლის შედეგებმა უფრო მოგვიანებით 80-იანი წლების მიჯნაზე და მის შუა ხანებში გამოკვეთილად იჩინა თავი.

მონოგრაფიაში საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის საკითხები წარმოდგენილია ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპების მიხედვით. კერძოდ, ნაშრომის პირველი თავი ეძღვნება საქართველოს მუშათა კლასის შრომით და პოლიტიკურ საქმიანობას საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის პერიოდში, როდესაც ფეცილული გახდა მთელი სახალხო მეურნეობის, პირველრიგში მრეწველობისა და ტრანსპორტის გადაყვანა სამხედრო ყაიდაზე. მუშათა კლასის ძალების დაძაბვა ფრონტისადმი დამხმარებისა და რესპუბლიკის საწარმოო ძალების განვითარების, ფაშისტური ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების მეურნეობის აღდგენაში აქტიური მონაწილეობის უზრუნველსაყოფად. მონოგრაფის ამ ნაწილში ყურადღებას იქცევს სამამული ომის პერიოდში შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ფორმების ავტორისეული ინტერპრეტაცია. არგუმენტირებულად გვიჩვენებს ავტორის აზრი სოციალისტური შეჯიბრების ძირითადი ფორმების გამოყოფის თაობაზე, რომელიც განსხვავებული იყო ომამდელი ფორმებისაგან. ეს განსხვავება განპირობა იმან, რომ ომიანობის ვითარებასთან დაკავშირებით შეიცვალა სოციალისტური შეჯიბრების მიზნისაგე მუშათა სოციალური, კვალიფიკური, სქესობრივი და ასაკობრივი შემადგენლობა. აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით ავტორი შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ფორმებად მიჩნევეს მუშათა შრომითი აქტივობის არაყოველგვარ გამოვლენას, არამედ დიდი სამამულო ომის პერიოდისათვის დამახასიათებელ ისეთ ფორმებს, როგორიც იყო კომკავშირულ-ახალგაზრდული ბრიგადები, რომელთა შორის მოწინავენი ფრონტზე ბრიგადად იწოდებოდნენ. სოციალისტური შეჯიბრების ერთერთ ძირითად ფორმად ავტორს მიაჩნია, და მართებულადაც, ორსოციალთა და ათასოვანთა მოძრაობა, რომელიც ავტორისავე თქმით შეიძლება ემსგავსებოდეს საწარმოო გეგმების ორმაგად და ა. შ. შესრულებას, რაც სამამული ომამდეც ფართდდ იყო გავრცელებული საქართველოს სამრეწველო საწარმოებში, მაგრამ აბჯერად სამე ეხება არა მარტოოდენ საწარმოო ნორმების შესრულებას, არამედ ამ ნორმების შემსრულებელთა რაოდენობრივ ცვლილებებსაც. ამასთან ავტორი ასაბუთებს, რომ ორასოვანთა და ათასოვანთა მოძრაობის სისტემატური და მასობრივი მოძრაობის ხასიათი ჰქონდა. სამამული ომის პერიოდის სოციალისტური შრომის ახალ ფორმად მიიჩნევს ქალთა მოძრაობას ე. წ. მამაკაცთა პროფესიების ათვისებისათვის, სხვაც ასევე მხოლოდ ომიანობის დროს საწარმოებში მამაკაცების ქალებით შეცვლის პირობებში შეიძლება წარმოშობილიყო. ტრანსპორტზე, მთა შორის რკინიგზის ტრანსპორტზე სოციალისტური შეჯიბრების ძირითად ფორმად ავტორს მიაჩნია ლენინური მოძრაობა. მონოგრაფიაში კარგად არის ნაჩვენები სოციალისტური შეჯიბრების სხვა ფორმების (ჩრაველდაზგასნობა, პროფესიათა შეთავსება და სხვ.) განვითარება, მაგრამ მათი ნაწილი ომის წინაპერიოდში განვითარდა და ომის პირობებში ახალი შინაარსი არ შეუძენია, ან მასობრივ მოძრაობად არ ჩამოყალიბებულა.

ნაშრომის პირველ თავში განხილულია მუშათა კლასის რაოდენობრივ და თვისებრივ შემადგენლობაში მომხდარი ცვლილებები, სქესობრივ შემადგენლობასთან ერთად. თვისებრივი ცვლილებები გამოიხატა მუშათა პროფესიული და კვალიფიკურ და ასაკობრივ შემადგენლობაში და, რაც მთავარია, მუშათა რიგების ზევსების წყარობის ცვლილებაში. მუშათა შევსების წყაროს სამამული ომის წლებში წარმოადგენდნენ ქალები და მოზარდები, ამასთან წარმოებას უბრუნდებოდნენ ხანდაზმული კვალიფიციური მუშები, ომის ინვალიდები და არასამწყობრო სამსახურის მებრძოლები.

მონოგრაფიის მეორე თავში განხილულია მუშათა კლასის შრომით საქმიანობა ომისშემდგომ სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, რომლის უზარმაზარ ფაზაში გადამწყვეტი როლი შეასრულა მუშათა კლასის საწარმოო აქტივობის განვითარებამ.

ნაშრომის მესამე თავი მიძღვნილია მუშათა კლასის ისტორიის საკითხების განხილვისაგან 50-იან წლებში, კერძოდ, ამ ნაწილში გაშუქებულია საქართველოს მუშათა კლასის ბრძოლა ტექნიკური პროგრესის დაჩქარებისათვის, შრომის სოციალისტური ორგანიზაციის ახალი ფორმების, მათ შორის მოძრაობები შრომისადმი კომუნისტური დამოკიდებულების განვითარებისათვის. ხაზგასმულია ის გარემება, რომ მუშათა კლასის შრომით ინიციატივაში პოლიტიკური აქტივობაცაა იმავდროულად გამოხატული, რადგან თავდადებულ შრომასთან ერთად წარმოებაში მუშათა კლასი წამყვან როლს ასრულებდა კომუნისტური პარტიის მოღვაწეობაში, მისი რიგების ზრდაში. ფართოდ მონაწილეობდა საბჭოების, პრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფესვული კავშირებისა და კომპავშირის ორგანიზაციულ განმტკიცებაში.

სარეცენზიო მონოგრაფიის მეოთხე და მეხუთე თავებში გაშუქებულია 60—70-იან წლებში მუშათა კლასის მრავალმხრივი მოღვაწეობის საკითხები. აქ განსაკუთრებული ყურადღება აქვს დამობილი საქართველოს ინფუსტრიულ განვითარებას მერვე და მეცხრე ხუთწლედების პერიოდში. ამ მიზნით მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვას წარმოებაში ეკონომიკური რეფორმის პირობებში 60-იანი წლების მეორე ნახევარში, მუშათა კლასის ბრძოლას რესპუბლიკის ჩამორჩენის დაძლევისათვის ეკონომიკაში და სახოგადოებრივ ცხოვრებაში 70-იან წლებში.

ნაშრომში განალიზებულია მუშათა კლასის შემოქმედებითი ინიციატივის ახალი ფორმების განვითარება 70-იანი წლების მეორე ნახევარში.

მომდევნო თავებში განხილულია საქართველოს მუშათა კლასის სოციალური განვითარების პრობლემა. განალიზებულია მუშათა კლასის რაოდენობრივი ზრდის დინამიკა, ცვლილებები მის შინადარგობრივ სტრუქტურაში, მუშათა კლასის შევსების წყაროები. მოცემულია საბჭოთა მუშის სოციალური პორტრეტის შექმნის ცდა რესპუბლიკის მუშათა კლასის მოწინავე მუშათა მოღვაწეობის მაგალითზე.

ნაშრომის ცალკე თავი ეძღვნება საქართველოს მუშათა კლასის კულტურულ-ტექნიკური დონის დახასიათებას, ამასთან დაკავშირებით ნაჩვენებია მუშათა კადრების მომზადების ფორმები და მეთოდები, მუშათა მონაწილეობა წარმოების მართვაში, რაციონალიზატორობისა და გამიგონებლობის განვითარება მრეწველობაში.

მონოგრაფიის მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამობილი მუშათა კლასის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობის ჩვენებას უმთავრესად რესპუბლიკის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, მუშათა მონაწილეობის სოციალისტური დემოკრატიის განვითარების, კოლმეურნე გლეხობასთან კავშირის განხილვის საფუძველზე.

ნაშრომის უკანასკნელ თავში გაშუქებულია მუშათა კლასის მატერიალური მდგომარეობა 60—70-იან წლებში, კერძოდ, მუშათა ეკონომიკური სტიმულირება, შრომის ანაზღაურების სრულყოფის, ასევე მუშათა საყოფაცხოვრებო, სავაჭრო, სოციალურ-კულტურულ და სამედიცინო მომსახურების გაუჯობესების ღონისძიებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი მართებულად იქცევა, როდესაც მუშათა კლასის პოლიტიკური, სოციალური და კულტურული განვითარების, მატერიალური მდგომარეობის საკითხებს იხილავს არა ცალკე მოკლე ისტორიული მონაკვეთების მიხედვით, არამედ შედარებით დიდი ისტორიული ეტაპის განმავლობაში, რაც მუშათა კლასის ისტორიის ამ სფეროების განვითარების პროცესის უკეთ წარმოდგენისა და გაგრძნობის შესაძლებლობას იძლევა.

უნდა აღინიშნოს, რომ საერეცენზიო მონოგრაფიაში დამოწმებულია მდიდარი ფაქტობრივი მასალა, რომლის საფუძველზე განხილულია მუშათა კლასის ისტორიის ყველა ძირითადი საკითხი. ყოველი ავტორისეული დებულება სათანადოდ არის არგუმენტირებული. უდავოდ მოსაწონია ის გარემოება, რომ ავტორი ხშირად მიმართავს თვით მუშათა გამონათქვამების დამოწმებას, რომელთა მიხედვით კარგად ჩანს მუშათა კოლექტივებისა თუ ცალკეული მოწინავე მუშათა დამოკიდებულება გადასაჭრელი ამოცანებისადმი, მუშათა წერილობითი გამოსვლები შეიცავენ სიანქელებისა და მუშაობის ნაკლოვანებების გაგრძრებასა და მათი დაძლევის გზების ძიების პათოსსაც.

მაგრამ ამასთან ისიც უნდა ითქვას, რომ ზოგიერთი საკითხი გაშუქება ერგვარი უკმარისობის დაღს ატარებს. მაგალითად, ეს შეიძლება ითქვას მუშათა კლასის რაოდენობის დინამიკის, მისი დარგობრივი სტრუქტურის, საშუალო წლიური რიცხვის ზრდის ტემპების, მუშათა ეროვნული შემადგენლობის განხილვასთან დაკავშირებით. ჩვენი აზრით, სასურველი იყო უფრო ფართო მსჯელობა წარმოებაში მუშათა დენადობის მიზეზების შესახებ და სხვ.

დაბოლოს უნდა ითქვას, რომ მ. ნათმელაძის საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის მასამე ტომი მაღალ მეცნიერულ დონეზე შესრულებული ნაშრომია. იგი ქართული საბჭოთა ისტორიოგრაფიის შენაძენად მოგვაჩნია. ამ ნაშრომის მნიშვნელობა მხოლოდ იმით არ განისაზღვრება, რომ შეიქმნა მუშათა კლასის ისტორიის უკანასკნელი პერიოდის ამსახველი ნაშრომი (ერთ-ერთი პირველთაგანი მუშათა კლასის საბჭოური ისტორიოგრაფიაში), არამედ იმითაც, რომ საქართველოს მუშათა კლასის ისტორიის საკითხები შეიძლება აისახოს საბჭოთა კავშირის მუშათა კლასის ისტორიის ექვსტომეულის შესაბამის ტომებში.

ვალერიან ჯიქია
მაგია ჯიჯეიშვილი,

პროკოფი რატიანი

ქართველმა სამეცნიერო საზოგადოებამ მძიმე დანაკარგი განიცადა, 73 წლისა გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი, საზოგადო და პარტიული მოღვაწე, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის განყოფილების ხელმძღვანელი, საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი პროკოფი კონსტანტინეს ძე რატიანი.

პ. რატიანი დაიბადა 1914 წელს, ჭიათურის რაიონის სოფელ ოგაანში, მუშის ოჯახში. სამშალო განათლება ჭიათურაში მიიღო. 1938 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი დაამთავრა და მას შემდეგ ერთგულად და დაუღალავად ემსახურებოდა ქართულ მეცნიერებას და ეროვნულისტიკას. მრავალმხრივია მისი მოღვაწეობა. იყო გაზეთ „ჭიათურელი მადაროელის", შემდეგ რესპუბლიკური გაზეთის „კომუნისტის" თანამშრომელი. გაზეთ „კომუნისტში" მუშაობდა განყოფილების გამგედ, პასუხისმგებელ მდივნად, რედაქტორის მოადგილედ. მოგვიანებით 1957—1958 წლებში რედაქტორად. მეცნიერების ცნობილი ორგანიზატორი და პარტიული მუშაკი პ. რატიანი ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აფხაზეთის ენის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტს, მუშაობდა საქართველოს კპ საჩხერის რაიკომის პირველ მდივნად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის სასკოლო და სამეცნიერო განყოფილების გამგედ. იყო ისტორიული მეცნიერების ისტორიის საკავშირო საკორდინაციო საბჭოს საქართველოს სექციის თავმჯდომარე, ინსტიტუტის უფროსი მეგზური მეთოდოლოგიური სემინარის ხელმძღვანელი. მისი რედაქტორობით გამოვიდა „ქართული ისტორიოგრაფიის" სამი წიგნი.

ყველა საქმეს პროკოფი რატიანი ასრულებდა სამაგალითო კეთილსინდისიერებითა და შემოქმედებითად. ცნობილი იყო კრიტიკული პატარსნებენი, ქედმოხრილი პრინციპებით, პირფთვნელობითა და პირდაპირობით, საქეყანო საქმისადმი უსაზღვრო ერთგულებით.

უაღრესად ფართო და მრავალმხრივი იყო პროკოფი რატიანის მეცნიერულ ინტერესთა სფერო, მისი შემოქმედების სარბიელი. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა მისი მეცნიერული კვლევა-ძიება ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში, სადაც მან რამდენიმე ათეული წელი იმოღვაწა. მის სახელთანაა დაკავშირებული ინსტიტუტში ორი განყოფილების დაარსება.

ნიჭიერ ახალგაზრდას აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ 1945 ტრაბი ხელი მოეკიდა XIX საუკუნის გამოჩენილი ქართველი მოღვაწეების — თერგდალეულების, უპირველესად კი მათი იდეური ხელმძღვანელის ილია ჭავჭავაძის მემკვიდრეობის შესწავლისათვის. ამ პრობლემის იმდროინდელი დონე არ იყო დამაკმაყოფილებელი. პ. რატიანი 40 წელზე მეტხანს იკვლევდა XIX ს-ის საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობასა და მის განმაპირობებელ კონკრეტულ ისტორიულ ვითარებას, რომელიც ქართველი საზოგადოებრივ-ფოდებრივ ძალთა განლაგებას განსაზღვრავდა. გაზეთსური და ზეფნაშეფნური მოკლენების ერთმანეთთან კავშირში, ერთობლივად გაანრებით პ. რატიანმა ღრმად შეისწავლა ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამებრძოლების მოღვაწეობა და შემოქმედება, მათი ადგილი საქართველოს ისტორიაში. 122 გამოქვეყნებული ნაშრომიდან, რომელთა შორის 15 მონოგრაფიაა, მეცნიერმა უმეტესობა ზემოხსენებული პრობლემის კვლევას მიუძღვნა. ქართული ისტორიოგრაფიის დიდი შენაძენია პ. რატიანის „რჩეული ნაშრომები" ცნობილი სამტომეული (1984, 1985), რომელიც დიდი ილიას საიუბილეოდ გამოიცა.

პ. რატიანს ეკუთვნის თვალსაზრისი, რომ ილია ჭავჭავაძე და თერგდალეულები 1860—1870-იან წლებში იყვნენ არა თავადაზნაურობისა ან ბურჟუაზიის იდეოლოგები, როგორც ეს მიღებული იყო ადრე, არამედ ქართველი მშრომელი ხალხის, პირველ რიგში გლეხობის ინტერესების გამომხატველი და დამცველი რევოლუციონერ-დემოკრატები. მკვლევარმა ცხადყო, რომ თერგდალეულთა იდეოლოგიაში სოციალური თავისუფლებისათვის ბრძოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორგანულად დაუკავშირდა ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლას, რადგან ისინი ჩაგრული ერის შვილები იყვნენ. ეს გარემოება თერგდალეულთა რეალისტიურ დემოკრატიზმს თავისებურ ხასიათს ანიჭებდა. პ. რატიანის ახალი თვალსაზრისი საისტორიო მეცნიერებაში და ისტორიულ-პატრიეტ ლიტერატურაში ისახა. პ. რატიანმა შეწყობრი ისტორიული კონცეფცია შექმნა, რომლის საფუძველზე მან ჩვენ ისტორიოგრაფიაში პირველმა გამრთა XIX ს-ის მეორე ნახევრის ისტორია. ამავე თვალსაზრისით გადასნეა მან „დასკვნაში" გ. წერეთლისეული თეორია, თბილისს ღარიბი მოსახლეობის 1865 წლის აჯანყების არსი, გლეხთა განთავისუფლების საკითხებისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულება, ნიკო ნიკოლაძის მსოფლმხედველობის ეეოლუციის, ასევე სომეხი ხალხისადმი ილია ჭავჭავაძის დამოკიდებულების საკითხი და სხვა.

3. რატიანმა ჩვენ ისტორიოგრაფიაში პირველმა წამოაყენა დღეს უკვე საყოველთაოდ აღიარებული და დასაბუთებული მოსაზრება XIX ს-ის რეფორმამდელ საქართველოში (პირველი) რევოლუციური სიტუაციის არსებობაზე. მისი მეცნიერული შემკვიდრეობის ერთ-ერთი ღირსება მრავალფეროვანნი საისტორიო წყაროების და მათ შორის საარქივო პირველწყაროების მეცნიერულ მიმოქცევაში შემოტანა და მათი მონაცემების ფართოდ გამოყენებაა. XIX ს-ის ისტორიის კვლევისადმი ასეთი ღრმა მიდგომა პ. რატიანსა და მის თანამედროვე ისტორიკოსებს წინამორბეთთაგან მკვეთრად გამოარჩევს. მეცნიერის დიდი დამსახურებაა XIX ს-ის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის სისტემატური კურსის გამართვა. ეს კურსი ახალი სიტყვაა ქართულ ისტორიოგრაფიაში, ის შევიდა 1958 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიაში". ეს კურსი სრული სახით გამოქვეყნდა „საქართველოს ისტორიის" სამტომეულში. 1986 წელს კი ცალკე წიგნად გამოიცა პ. რატიანის „საქართველოს ახალი ისტორიის ნარკვევები". კურსი ზოგიერთი კორექტივით შევიდა აკადემიკოს კ. ბერძენიშვილის მიერ გამოცემულ „საქართველოს ისტორიის" საკითხვ წიგნში (1980 წ.).

საგანგებოდაა აღსანიშნავი პ. რატიანის დამსახურება ქართულ ისტორიოგრაფიაში ლენინური ეტაპის დადგენაში. ამ საკითხის შესწავლას მან ორი წიგნი მიუძღვნა. მნიშვნელოვანია მის მიერ ივანე ჯავახიშვილის მსოფლმხედველობისა და ალ. წულუკიძის შეხედულებებისადმი მიძღვნილი გამოკვლევები.

ოც წელზე მეტი მუშაობდა პ. რატიანი ფეოდალური ხანის ქართულ ისტორიოგრაფიისა და საზოგადოებრივი აზრის საკითხებზე. მან გამოაქვეყნა საყურადღებო ნაშრომები XI ს-ის ქართველი ისტორიკოსის ლეონტი მროველის ისტორიული კონცეფციის თაობაზე, ადრეული ჰუმანიზმის ასახვაზე კახა თორელის „დაწერილში", ბატონერიძე ტბელის თხზულების წყაროთმცოდნეობით მნიშვნელობაზე.

3. რატანი სწავლობდა XII ს-ის საქართველოში მიმდინარე სოციალურ-პოლიტიკური პროცესების ხასიათს. მისი დაკვირვების საგანია „ქართლის ცხოვრებაში" ასახული ხალხის მასების პოლიტიკური და სოციალური აქტიურობის ფაქტები. დაბოლოს აღსანიშნავია მისი ორიგინალური თვალსაზრისი შოთა რუსთაველის ვინაობაზე, რის დასაბუთებასაც მან ორი წიგნი მიუძღვნა.

3. რატიანს თვალსაჩინო დამსახურება მიუძღვის საქართველოს ახალი ისტორიის, ისტორიული მეცნიერების ისტორიისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის სპეციალისტთა მომზადებაში. მისი გამოჩნდილი მეცნიერები წარმატებით მოღვაწეობენ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლებში და სამეცნიერო დაწესებულებებში. ის 1952 წლიდან იყო საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, 1958 წლიდან კი საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირის წევრი, აქტიურად მონაწილეობდა ჩვენი ქვეყნის მეცნიერულ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ვისაც პროკოფი რატანთან მუშაობის ბედნიერება ჰქონია, დაგვეთანხმება, რომ მასთან მუშაობა ძალიან ადვილიც იყო და ძალიან ძნელიც. ადვილი იმიტომ, რომ ახალი იდეებით მუდამ დამეხტეული ნიჭიერი პიროვნება თანამოსაქმეებს უშურველად ეხმარებოდა, ძნელი კი იმიტომ, რომ მუშაობაში სხვების მიმართაც მოთხოვნები იყო. საქმისადმი გულრცელობასა და უპასუხისმგებლობას არავის ანატიგებდა. ჩვენი უფროსი მეგობარი ამავე დროს საოცრად გულთბილი, კეთილშობილი და მომხიბვლელი ადამიანი იყო. განუმეორებელი იყო ბატონი პროკოფი — განრისხებული და ასევე განუმეორებელი იყო გახარებული. წმინდა შინაგანი სამყაროთი გამორჩეული, გარეგნულადაც ლამაზი და მიმზიდველი იყო. ასეთი იყო ბატონი პროკოფი — კოლეგა და მასწავლებელი, მეგობარი და ამხანაგი.

დიდებული პიროვნების, ნიჭიერი ისტორიკოსის ცხოვრება დამთავრდა. ქართულ ისტორიოგრაფიაში მან ღრმა და მეტად თავისებური კვალი დატოვა.

გრიგოლ მარგიანი,
უშანგი სიდაკონიძე

ფასი 1 მან. 30 კაპ.
630/163
ინდექსი 76197
ეროვნული ბიბლიოთეკა